ნოდარ ფუფუნიშვილი

საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები

ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

რ ო ლ ა ნ დ თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი

საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები

„ლომისი“

თბილისი
1997

წიგნის მაკეტი მომზადებულია კომპანია VESTA-ს ხარჯით 1994 წლის დასაწყისში. ავტორი დიდ მადლობას უხდის ამ კომპანიის დირექტორს ბ-ნ ვახტანგ ყურაშვილს.

რედაქტორი: **აკად. დავით მუსხელიშვილი**
რეცენზენტები: **აკად. მარიამ ლორთქიფანიძე**
პროფ. ჯონდო გვასალია
მხატვარი: **მაია ხურცილავა**

გამომცემელი ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

© „ლომისი"

„ხოლო რაოდენნი ოსნი დავსნერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაჲთგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“.

ვახუშტი

შესავლის მაგივრ

ნაშრომი არაისტორიკოსის, მაგრამ ცნობილი მწერლის კიტა ბუაჩიძის წიგნიდან — „შავი წიგნი“ ამონაწერით უნდა დავიწყო:

„Южная Осетия — мой родной край, моя колыбельная песня. Пять тысяч лет мой народ живет на этой прекрасной земле...“

//ЛГ, N 16, 1972/

არ მინდა რაიმეში მოვიტყუო: „პიატ ტისიაჩს“ ხაზი მე გავუსვი...

ხედავთ? თურმე ხუთი ათასი წლის წინათ, თუბალებისა და მოსხების დროს, დასახლებულან აქ ოსები, მერე, ე-ე, მე-ე-რე, ქრისტეს დაბადებიდან მრავალი საუკუნის გასვლის შემდეგ, მოვთრეულვართ ჩვენ, „ნაციონალისტი ქართველები“, დაგვირქმევია სამხრეთ ოსეთისათვის შიდა ქართლი და შეგვიეწროებია „ამ მშვენიერი მიწის“ კანონიერი პატრონნი — ოვსნი...

მერედა, ვინ წერს ყოველივე ამას?

ჰოდა, ამას წერს არა მწერლუკა ზაურბეკ ჯიკაევი ანდა სოსლან ქოქოევი, ამას წერს ნამდვილი მწერალი — რაც ბევრად უარესია! — ფრიად განათლებული, ნიჭიერი, როგორც იტყვიან, ყოველმხრივ ერუდირებული, მგონი პროფესორიც, ნაფი ჯუსოითი!

წერს და უბეჭდავენ პირველ გვერდზე, — მოწინავე სტატიის ადგილას! — ისეთ სოლიდურ ორგანოში, როგორიცაა „ლიტერატურნაია გაზეტა“, რომლის ტირაჟი ორი მილიონია და მაშასადამე, სულ ცოტა ოცი მილიონი მკითხველი ხომ მაინც ეყოლება!

.....

....და ეს ნაფი ჯუსოითი, ჩვენი „ერთგული მეგობარი“ და „ობიექტური“ მკვლევარი, ქართული აკადემიის წევრობის . . კანდიდატადაა წამოყენებული.....

..... ჯუხოიანის „ბუთი ათას წელს“ არც ერთი ჩვენი ისტორიკოსი არ გამოეხმაურა: შეიძლება მათ ეს თავშეხაქცევად, სახაცილოდაც არ ეყოთ, მაგრამ დაშაქრული ამბავით ასეთი სახაცილო ამბების გადაულაპვა ჩვენ, მერე და მერე, ერთობ ძვირი გვიჯდება“.

(კიტა ბუაჩიძე, შავი წიგნი, თბ.1990, გვ.28-30).

კ. ბუაჩიძის აღნიშნული წიგნი 1979 წელს დაიწერა. სამწუხაროდ, მწერლის წინასწარმეტყველება ასდა. ჯუხოიანებმა თავისი საქმე გააკეთეს, ოსი ხალხი არაერთ სიყალბეში დააჯერეს, თავგზა აუბნიეს და ის ქართველ ხალხს შეაჯავრეს, დაუპირისპირეს.

მთელი საბჭოთა ისტორიოგრაფია სიყალბეზე იყო აგებული. ისტორიას აყალბებდა „უფროსი ძმაც“ და მისი არაერთი „უმცროსი ძმაც“. უველა თავისაკენ მიითვლიდა. ასეთ ყალბ ისტორიებს განსაკუთრებით საქართველოს მეზობლები და მტერ-მოყვარენი ქმნიდნენ. განუკითხაობას საზღვარი არ ჰქონდა. ისტორიკოსთა საერთაშორისო სასამართლო არ არსებობდა, რომ მტყუან-მართალი გაერჩია... მაგრამ არსებობდა „უფროსი ძმა“, რომლის დასტურით და ხელშეწყობით იქმნებოდა ყალბი ისტორია.

კ. ბუაჩიძის მიერ შენიშნული ანომალია ქართველ ისტორიკოსებს არ შეუმჩნევიათ, რომც შეენიშნათ...

ერთი რამ უნდა ითქვას, რომ მსგავს ფანტაზიას ისტორიკოსთა ნაშრომებში ვერსად ნახავთ, მაგრამ ფანტაზიით ისტორიკოსებიც არ ჩამოუვარდებოდნენ მწერალსა და ფილოლოგს. საქართველოში ოსთა დასახლებას ზოგიერთი 2 500, 1.600, 1.300 და 700 წლების წინანდელ ამბად თვლიდა. ასეთი სხვაობა, რა თქმა უნდა, მიუთითებს იმაზე, რომ არც ერთი ეს დრო ფაქტებს საისტორიო საბუთებს, წყაროებს არ ეყრდნობა. ოსთა საქართველოში მიგრაციის ისტორიის შესწავლა კი ქართული საისტორიო წყაროებისა და საბუთების გარეშე წარმოუდგენელია. არაქართველი ისტორიკოსები, რომლებიც ამ პროცესს შეეხნენ, საერთოდ არ იყენებენ ქართულ წყაროებსა და საბუთებს, ანდა, თუ იყენებენ არასწორი წაკითხვითა და ინტერპრეტაციით. სამწუხაროდ, შიდა ქართლის ეთნოისტორიისა და ოსთა საქართველოში ჩამოსახლების საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი. წინამდებარე ნაშრომი ამ პრობლემის მონოგრაფიული კვლევის ერთგვარი ცდაა.

წიგნი სამი ძირითადი მონაკვეთისაგან შედგება. პირველი ნაწილი

მიძღვნილია დვალთა ეთნიკური ვინაობისადმი, რადგან ეს პრობლემა უშუალოდ კავშირშია საქართველოში ოსთა მიგრაციასთან. მეორე მონაკვეთი ეთმობა ოსთა საქართველოში გადმოსახლების ისტორიოგრაფიას, მესამეში კი უშუალოდ გადმოცემულია აღნიშნული პროცესის არც თუ ძნელად ახასიათებელი სურათი.

1. დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის

საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს, ანუ კავკასიონის მთავარ ქედს თუ თვალს გავაყოლებთ, შევამჩნევთ, რომ მის ცენტრალურ ნაწილში, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ნაწილში საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთისაკენ „ჩამოტეხილია". ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქცეული ეს ტერიტორია, მდ. არდონის სათავე, ესაა ისტორიული დვალეთი, რომელიც მუდმივად მეფე ფარნავაზის დროიდან მოყოლებული, ვიდრე 1859 წლამდე, საქართველოს განუყოველი ნაწილი იყო.

აკად. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული. ეს ქვეყანა ყოველმხრივ მარადთოვლან მთებით არის გარშემოზღუდული ისე - კი, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქედი, ე.ი. პირიქითელი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთ ალაგს გარდა სრულიათ გაუვალია. ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო. ძველითგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ საზღვარს განსაკუთრებული ყურადღება მე-XII-ე ს-ითგან მიექცა და პოლიტიკურადაც მტკიცედ აქ ქართველობამ ფეხი დავით აღმაშენებლის დროს მოიკიდა (ცხოვრება მეფისა დავითისი, გვ.301; ქართული ერის ისტორია,II, გვ. 515). შემდეგშიაც, თვით საქართველოს პოლიტიკურ დაუძლურების დროსაც, XVIII ს-ის დამდეგსაც, დვალეთი ქართველთა ხელში იყო და ვახუშტის მოწმობით „მეფეთა ქართველთა... მისცემენ დღემდე ხარკსა" (გეოგრაფია, 460). ვახტანგ მე-VI-ე იყო ის მეფე, რომელმაც საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრის ეს მონაპირე კუთხე 1711 წელს ჯარითურთ შემოიარა, შევიდა შიგ: „ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ყელის-ხევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული". სწორედ მან კვლავინდებურად მტკიცედ „დაიპყრო დვალეთი და დასდვა ხარკნი" (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 118)" — ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ.1919, გვ.6-7.

ეთნოისტორიული პროცესები ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია. ეთნოისტორიული პროცესების, ეთნიკური ისტორიის, ეთნიკური პროცესების კვლევით შესაძლებლობა გვეძლევა წარმოჩნდეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი მომენტი. ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი დროისათვის ასეთი პროცესების შესასწავლად განსაკუთრებული

მნიშვნელობა ეძლევა გადმოცემებს გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენი საისტორიო წყაროებისა და საისტორიო საბუთების მონაცემებს, საარქივო მასალებს, ონომასტიკას. დასმული პრობლემის შესასწავლად კი ყველა ჩამოთვლილი წყაროს კომპლექსური შესწავლაა საჭირო.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს მთიანეთში ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესები. საქართველოს მთიანეთის თითოეული რეგიონი ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათის მომცემია. ისევე როგორც სოციალური მოვლენების მხრივ, მთის რეგიონები ერთმანეთისაგან მისთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულობით გამოირჩეოდნენ. ეს პრობლემა, თავის მხრივ, აქტუალურია დღევანდელობის თვალსაზრისითაც. თავისებურებებით გამოირჩეოდა თუშეთისა და ფხოვის პროვინციები, თრუსო-თერგის ხეობა, შიდა ქართლის მთიანეთი — განსაკუთრებით ლიახვისა და ქსნის ხეობები. ეს პრობლემა მჭიდროდ ეჯაჭვება ამ უკანასკნელ ხეობებში ოსთა მიგრაციისა და დღეს გამქრალი ტომის — დვალების ეთნიკური ვინაობის საკითხებს. ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემაში ძველთაგანვე შემავალი დვალები იმიტომაც იქცევენ მეცნიერთა ყურადღებას, რომ საქართველოს მთიანეთის ამ პროვინციაში ისტორიულად მიმდინარე ეთნიკურმა პროცესებმა ისინი, როგორც ქართველი ხალხის ერთ-ერთი დანაყოფი, გადააშენა. დვალეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მოხდა მოსახლეობის ეთნიკური ცვლა. მოსულმა არაკავკასიურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა მოახდინეს ადგილობრივი ქართველური ტომის — დვალების ასიმილაცია და მსოფლიოს ისტორიიდან ცნობილი სხვა მოვლენების მსგავსად, მიგრირებულმა ეთნიკურმა ერთეულმა მიიღო ადგილობრივი ტომის სახელწოდება. ამან ზოგიერთ მეცნიერს შეუქმნა ილუზია დვალების ოსური წარმომავლობის შესახებ და აქედან გამომდინარე იმის მტკიცება, რომ ოსები კავკასიონის სამხრეთ კალთებზე უძველესი დროიდან ცხოვრობენ.

ნაშრომის ამ ნაკვეთის მიზანია გაარკვიოს, თუ რომელი ეთნიკური ერთეულით იყო დასახლებული ეს რეგიონი; რა როლი ეკუთვნოდა შიგა და გარეშე მიგრაციულ პროცესებს ადგილობრივი მთური ერთეულების ჩამოყალიბებაში. საგულისყუროა თვით ამ ქართული რეგიონების ურთიერთმიმართების საკითხიც.

შიდა ქართლის მთიანეთი, დვალეთთან ერთად, ეთნოისტორიული კვლევის თვალთახედვით იმიტომაც იქცევს განსაკუთრებულ ინტერესს, რომ აქ, საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, შეიცვალა ქართული ეთნიკური ერთეული არაქართული ეთნიკური ერთეულით. რა ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა აქ? როდის და როგორ მოხდა ეთნოსების ეს შეცვლა? ცნობილია, რომ

ქართველ ისტორიკოსებს აქამდეც მიუქცევიათ ამ საკითხებისადმი ყურადღება. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი, საგულისყურო და მისაღები, მეცნიერულად არგუმენტირებული ნაშრომებიც გამოქვეყნდა დვალთა ეთნიკური ვინაობისა და ოსთა შიდა ქართლში მიგრაციის შესახებ (ვ. გამრეკელი, ჯ. გვასალია, ნ. აფხაზავა, ნ. ლომოური). მაგრამ, ხაზგასასმელია, რომ არაქართველ ისტორიკოსთაგან ხდება ისტორიის შეგნებული გაყალბება, რაშიც მათ, თავის დროზე, ზოგიერთი ქართველი მეცნიერის ჰაიპარად, არაარგუმენტირებულად გამონათქვამმაც შეუწყო ხელი.

ვ. გამრეკელმა დამაჯერებლად უარყო ოსთა საქართველოში მიგრაციის დაწყება XIII ს-დან, თუმცა მის მიერ ამ პროცესის დათარიღებაც (XV ს) არაა მისაღები. ამ ავტორის დიდი მეცნიერული დამსახურებაა ის, რომ, მან არგუმენტირებულად უარყო დვალთა ოსური ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილება. აჩვენა, რომ ძველ ქართულ საბუთებსა და წყაროებში მოხსენიებული დვალები არ იყვნენ ოსები, რომ ქართული წყაროები ყოველთვის მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან დვალებსა და ოსებს. ვ.გამრეკელმა თავის მონოგრაფიაში დვალებში ადგილობრივი კავკასიური, ვაინახური ტომი შეიცნო. თუმცა, მანვე, მოგვიანებით, დვალებში ზანური (ეგრ. დასავლურ ქართული) ელემენტიც დაინახა. საამისო მასალის წარმოდგენის საშუალება კი ქართულ ენციკლოპედიაში მას არ ჰქონდა. საერთოდ, ვ. გამრეკელმა, დვალების ეთნიკური ვინაობის კვლევის თვალთახედვით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთგვარი ეტაპი შექმნა, რის გაუთვალისწინებლობა და უგულვებელყოფა მხოლოდ ზიანს მოუტანს ქართულ მეცნიერებასა და ქართულ საქმეს. თუმცა ვ.გამრეკელის მონოგრაფიული გამოკვლევის უგულებელმყოფი „მეცნიერი" კარგად ახერხებს მისი წინამორბედი მკვლევარის რუსული მონოგრაფიიდან ქართულ ენაზე პერიფრაზირებას და თანაც პირველალმომჩენის როლში გვევლინება.

ასევე უარყოფილია დვალთა ოსობა დ. გერიტიშვილის ნაშრომში. ამის პარალელურად მან ოსთა საქართველოში მიგრაციის დროდ XIIIს. მიიჩნია, რაც მხოლოდ მეცნიერის ვარაუდი იყო და არც ერთ მყარ მეცნიერულ არგუმენტს არ ეყრდნობოდა.

ჩვენ აქ არ შეეუდგებით ოსთა საქართველოში გადმოსახლების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვას. მას მომდევნო ნაკვეთში შემოგთავაზებთ. აღვნიშნავთ, რომ ოს მეცნიერთაგან მხოლოდ ვ.აბაევი თვლიდა დვალეთში ოსებს მოსულად და არა მკვიდრებად.

ოსთა საქართველოში მიგრაციის საკითხის გადასაწყვეტად მეტად მნიშვნელოვანია დვალთა ვინაობის საკითხის გარკვევა. როგორც აღვნიშნეთ, ამ პრობლემას მონოგრაფია უძღვნა ვ.გამრეკელმა. მან

დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ დვალები ოსები არ იყვნენ, რომ ისინი ადგილობრივი კავკასიური ტომი იყო, რომ ოსთა დვალეთში მიგრაციის შედეგად მოხდა ისეთი ეთნოისტორიული პროცესები, რამაც გამოიწვია დვალთა ოსურ ეთნიკურ გარემოში მოქცევა და მათი გაოსება. მოსული ოსებისა და დამხვდური დვალების ასიმილირებულმა ერთობამ შეინარჩუნა ადგილობრივი ეთნიკური სახელწოდება და დვალეთში მცხოვრები ოსები თავიანთ თავს, სხვა ოსებისაგან, გამოსაცალკევებლად „თუალს" უწოდებდნენ.

ოსი მეცნიერები, იმის გამო, რომ დვალეთში მცხოვრები ოსები თავის თავს „თუალს" უწოდებდნენ, ყოველგვარი სხვა წყაროების უგულებელყოფით ავითარებენ და ნერგავენ იმ აზრს, რომ დვალები თავიდანვე ოსური ტომი იყო. აქ მხოლოდ ერთი კონტრარგუმენტით დავკმაყოფილდებით: თუ დვალები თავიდანვე ოსური ტომი იყო, საკითხავია, რატომ არ ლაპარაკობდნენ ისინი ოსური ენის დვალურ დიალექტზე (ასეთი დიალექტი საერთოდ არ არსებობს) და არა ირონულ დიალექტზე, რომელიც მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჰქონდათ მოტანილი?

(დვალთა ეთნიური მიკუთვნებულობის შესახებ, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი და სანდო წყაროა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება. ის წერდა:„ენა აქუთ ძუელი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად" (ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.639). კიდევ ერთი ამონაწერი ვახუშტის ნაშრომიდან: ნიქოზში „ზის დღესაც მწყემსი კავკასიანთა დვალთა, და აწ ოსეთად წოდებული". მოტანილი ციტატებიდან აშკარაა, რომ დვალებს თავისი საკუთარი, ადრინდელი ძველი ენა (დვალური) ჰქონდათ, რომელიც, ვახუშტის დროს, უკვე დაკარგული ჰქონდათ და ოსურად ლაპარაკობდნენო („აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად"). ვახუშტის გაგებით, დვალური ენა ოსური ენა არ არის და ის ადგილობრივ კავკასიურ (ჩერქეზულ) ენათა ოჯახს განეკუთვნებოდა. ვახუშტის ამ წინადადებამ აფიქრებინა ვ. გამრეკელს, რომ დვალური ენა ვაინახურ ენებს მიეკუთვნებოდა. ოსი მეცნიერები კი ერთი ხელის მოსმით აცხადებენ, რომ დვალები ოსური წარმომავლობის ტომი იყო მხოლოდ იმის ანალოგიით, რომ გვიან ფეოდალურ პერიოდში დვალნი („თუალნი" ოსურად) ოსების ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო. ვახუშტის ზემოთ მოტანილი ციტატიდან კი აშკარაა რომ დვალეთს მხოლოდ მის დროს ეწოდებოდა ოსეთი.

ქართულ საისტორიო წყაროებში დვალები ყოველთვის ქართველ მთიელთა შორის არიან სახელდებულნი. ქართულ წყაროებში დვალები და ოსები ყოველთვის დაპირისპირებული არიან. ქც-ში ვკითხულობთ: „ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქუელისა. და ამისსა მეფობასა **გარდმოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა**" (ქც,I, გვ.55). „ხოლო ვიდრეცა მირიან ჯერეთ

იყო მუნ, გარდმოვლეს ოვსთა, ფერეშ და კავტია და განრყუნეს ქართლი. ხოლო მირიან გარეს-გარ გარდავიდა ოსეთს, **მოტყუენა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდე და გარდმოვლო გზა დვალეთისა** და მოვიდა შინა" (ქც,I, გვ.68). „მოუწოდა მეფეშან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოჯეველთა, ჯადელთა, ცკავატელთა, ჭართალელთა, ერწო-თიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა ზედა" (ქც,II,გვ.111). „უკეთუ გნებავს მოქცევა მათი სჯულსა თქუენისასა ზედა, აწ მომეც სიმრავლენი სპათა თქუენისანი და წარვალ თემთა და სამეფოთა მთის ადგილისათა, მთიულთა, ოვსთა, დუალთა, სუანთა, აფხაზთა და ყოველივე მუნ მყოფთა" (ქც, II, გვ.329-330). არჩილ მეფე წერდა: „... ისევ დვალეთს წამოველ და იქიდან ოსეთს ფაიქომში გარდმოველ" (არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, „ქართული მწერლობა", ტ.6, თბ., 1989, გვ. 341).

საყურადღებოა იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის (XVII ს-ის პირველი ნახევარი) ტიტულატურა: „მეფეთ-მეფე, სრულიად იმერთა, აფხაზთა, სვანთა, დვალთა; ოსთა მპყრობელი და მართებული მეფეთ-მეფე" (პირთა ანოტირებული ლექსიკონი,I, გვ.225). ამ ტიტულატორის მიხედვით, იმერეთის მეფე არის ხელმწიფე მთელი დასავლეთ საქართველოსი (იმერთა, აფხაზთა, სვანთა) და დვალეთისა და მპყრობელი ოსეთისა. დვალები და ოსები ეთნიკურად დაპირისპირებული არიან ერთმანეთისადმი. იმასაც ესმის ხაზი, რომ დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ხოლო ოსეთი ქართველ მეფეებს დაჭერილი, დაპყრობილი ჰქონდათ.

ქართული წყაროებიდან მოტანილი ამონაწერებით აშკარაა, რომ ქართველთათვის დვალეთი და ოსეთი სულ სხვადასხვა ცნებები და გეოგრაფიული (და ეთნიკური) ერთეულები იყო. ვახუშტი დვალეთის ერთ-ერთი რეგიონის კასრის ხეობის შესახებ წერს, რომ „არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თჯნიერ მთასა ოვსნი" (ქც, IV,გვ.65). საინტერესოა, დვალეთი თუ ოსეთი იყო, რაღა საჭირო იყო აქ ოსთათვის ჩამკეტი კარის არსებობა? ასეთი კარი მაშინ დვალეთის სამხრეთით იქნებოდა აგებული.

ისტორიკოსთათვის ცნობილია, რომ დვალეთი ყოველთვის და მუდამ საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. იგი იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის დროიდან (ძვ.წ. IV- III სს) საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა და მხოლოდ 1859 წლიდან მეფის რუსეთმა ადმინისტრაციულად ის ვლადიკავკაზის ოკრუგს დაუქვემდებარა (იხ. ჯ. გვასალია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", N 39, 1989). მოგვეპოვება არა ერთი საისტორიო საბუთი, გვიან ფეოდალური პერიოდისა, ქართველ მეფეთა მიერ გაცემული, რომელთა მიხედვითაც დვალეთი და მისი ხეობები ქართველ მეფეთა საგამგეოს წარმოად-

გენდა (იხ. **История Осетии в документах и материалах, составители: Г.Д.Тогошвили и И.Н. Цховребов, том 1, Цхинвали, 1962, С.147, 159, 178, 179**). ქართულ ისტორიოგრაფიაში ისიც ცნობილია, რომ დვალეთი საქართველოს სახელმწიფოებრივ სისტემაში მხოლოდ პოლიტიკურად როდი იყო ჩართული. საქართველოს ეს ჩრდილოეთი, პირიქითი მხარე კულტურულად და რაც მთავარია რელიგიური თვალსაზრისით ქართული რეგიონი იყო; ის ნიქოზის სამწყოსში შედიოდა. დვალეთის მოურავ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან კი ცნობილია გიორგი საკაძე. ვახუშტი გვამცნობს: „არამედ ამ ჟამებთა შინა განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ჴევნი და ჴეობანი თჳსად და უმეტეს ყოველთა საკაძე გიორგი, მოურავი ტფილისისა, ქცხინვალისა და დუალეთისა“ (ქც, IV, გვ. 420). „კუალად ჟამთა ამათ არა მოსცეს დუალთა ბეგარა მოურავსა, გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოარნა ურჩნი და ყვნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ეართლს“. (ქც, IV, გვ.434).

ამდენად, მეცნიერული თვალსაზრისით, კრიტიკას ვერ უძლებს, როდესაც ვკითხულობთ სკიტსკის ანტიმეცნიერულ წინადადებას: **„Южная Осетия в старой географии Грузии называлась Двалетия“**. ავტორს, რა თქმა უნდა, წაკითხული რომ ჰქონოდა ვახუშტის გეოგრაფია მსგავს ნონსენს არ დაუშვებდა. დვალეთი, თავისი ექვსი ხეობით, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით იყო. რაც შეეხება მაღრან-დვალეთს, ის დვალეთის სამხრეთით დიდი ლიახვის სათავეში მდებარეობდა. მაღრან-დვალეთის რეგიონი, დიდი ლიახვის სათავეში, შედარებით გვიან პერიოდში, დვალეთიდან დვალთა მიგრაციის შედეგად, წარმოქმნილი რეგიონი იყო. მაღრან-დვალეთის რეგიონი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, დიდი ლიახვის სათავეში პირველად ქართულ საისტორიო წყაროებში XIII ს-ის ამბების თხრობასთან დაკავშირებითაა ნახსენები. აქვე, იმასაც აღვნიშნავთ, რომ მაღრან-დვალეთი ძალიან პატარა გეოგრაფიული რეგიონი იყო და ეს თემი სულ ცხრა მთური სოფლის გაერთიანებას წარმოადგენდა. ეს სოფლები იყო: ზემო ერეთი, შუა ერეთი, ქვემო ერეთი, ხოჯა („ხოჯი“ მეგრულად ხარია. ამავე სახელწოდებით სოფელი ლეჩხუმშიცაა), გვიდისი (იმავე ძირისაა მთიულეთის სოფ.„გვიდაქე“) და ქალაქა, ზემო კაბუეთი, ქვემო კაბუეთი, ბრუტაული, კელეთი. მაღრან-დვალეთის სოფლების ჩამოთვლა იმიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ ზოგიერთ ქართველ ავტორსაც იგი დიდ რეგიონად წარმოუდგენია და მასში შეაქვთ მთელი დიდი ლიახვის მთიანი მონაკვეთი თავისი შენაკადი ხეობებით.

სკიტსკის ანტიმეცნიერული თეზისი აიტიაცეს ოსმა მეცნიერებმა,

რადგან მას ის აწყობდათ ისტორიის გასაყალბებლად, ოსური ეთნოსის საქართველოში მკვიდრობის ხელოვნურად დასაძველებლად. ზ. ვანეევი წერდა: „Юго-Осетия, или Двалетия по старой грузинской географической номенклатуре." „Двалы-осетины обитают на территории Ю. Осетии с древних времен". საქმე აწყობილია. შიდა ქართლის ვეებერთელა სივრცეს დვალეთად ასაღებენ, დვალებს — ოსურ ტომად და „ამტკიცებენ" რომ აქ ისინი უძველესი დროიდან ცხოვრობენ. საინტერესოა, რატომ ვერ შეუთანხმეს ვანეევმა და კალოევმა ერთმანეთს თავიანთი „თეორიები". კალოევის მიხედვით, შიდა ქართლში IV ს-დან ალანები მკვიდრობდნენ, ვანეევის მიხედვით - დვალები. მკითხველს შევახსენებთ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დიდი ლიახვის ხეობის გარდა მოიცავდა პატარა ლიახვის, ქსნის, ლეხურას, მეჯუდას, ფრონეების ხეობებს. არც ერთ ამ ხეობაში ისტორიულად დვალები არ მკვიდრობდნენ. ვიმეორებთ, დვალეთი მხოლოდ და მხოლოდ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის რჩდილოეთით მდებარეობდა. დვალეთიდან დვალთა დიდი ლიახვის ხეობის სათავეში მიგრაციის შედეგად კი მოგვიანებთ წარმოიქმნა მაღრან-დვალეთის მცირე რეგიონი.

ქართულ საისტორიო საბუთებსა და წყაროებში ვერსად ვერ ამოიკითხავ იმას, რასაც ვანეევი წერს. ის ისტორიული ფაქტების დამახინჯების კლასიკური ნიმუშია. ჯერ ერთი, დვალები არა ოსური, არამედ ადგილობრივი კავკასიური (ქართველური) ტომი იყო. მეორე, დვალეთის ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია ახლა მთლიანად შედის ჩრდილოეთ ოსეთში. რანაირად ემთხვეოდა დღევანდელი, ბოლშევიკების მიერ გამოგონილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთი" დვალეთს? მესამე, დღევანდელ ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" შედის მხოლოდ მაღრან-დვალეთი. როგორც აღვნიშნეთ ესაა მდ. დიდი ლიახვის უკიდურესი ზემო წელი, სულ 9 სოფელი (როგორც ვახუშტის, ასე 1814 წლის აღწერით).

სხვათა შორის, აღიარებულია, რომ ოსები მონგოლთა შემოსევებამდე მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში სახლობდნენ. სწორედ აქ ჰქონდათ მათ შექმნილი ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი გაერთიანება და არა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში. ოსი მეცნიერის ბერეზოვის მონოგრაფიის მიხედვით აშკარაა, რომ ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მონგოლთა შემოსევების შემდეგ დასახლდნენ. ისევ ვახუშტი ბაგრატიონს მივმართოთ: „სახელი ესენი (იგულისხმება დვალეთის გარეთ მდებარე ოსური პროვინციები: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი — რ.თ.) ეწოდნენ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყეენთა მოსვლისა, ბათო ყეენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოკრნა, ხოლო ოვსნი შემოიელტოდნენ კავკასიათა შინა და

ინოდნენ სახელითა მათითა ჭეობანი ესენი, ვითარცა აჩენს გუარი მათნი, რამეთუ უწარჩინებულესნი გუარით არიან ოვსნი...“ „ხოლო შემდგომად მოოჭრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა ინოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდად, და კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან უგუაროთა კუალად დვალადვე“ (ქც, IV,გვ. 633-634).

აი, რეალური ისტორია. XIII ს-დან, მონგოლთა შემოსევების შემდეგ, ოსები შემოდიან ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში. აბდენენ აქ მკვიდრი კავკასიური ტომების ასიმილაციას და გარკვეული ხნის შემდეგ (XV-XVI) იწყებენ დვალეთის ტერიტორიაზე დაფუძნებას, დვალთა ასიმილაციას. დვალთა ასიმილაციაში მათ ხელი თავად დვალებმა შეუწყვეს, რადგან მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ოსთა მოწოლის შემდეგ, მიატოვა მამა პაპათა საცხოვრისი და შიდა და ქვემო ქართლში, რაჭასა და ზემო იმერეთში გაიფანტა, მითუმეტეს, რომ მტერთა ხშირი თავდასხმების გამო, დემოგრაფიული სიტუაცია ბარში ერთობ სავალალო იყო. ადგილზე დარჩენილ დვალთა ნაწილი ოსთა მრავალრიცხოვან გარემოცვაში აღმოჩნდა (მთის ვიწრო ხეობებში აღმოჩენილი ოსები მრავლდებოდნენ და საარსებო საშუალება არ ყოფნიდათ, რაც იყო ძირითადი მიზეზი მათი საცხოვრებლად სამხრეთისაკენ წამოწევისა) და გაოსდა. ისტორიიდან მსგავსი მაგალითების მოტანა არაერთი შეიძლება, როდესაც, ისტორიული ვითარების კვალობაზე, ესა თუ ის ხალხი თავის ეთნიკურ სახეს სრულიად იცვლიდა.

ბოლო დროს ოსმა მეცნიერებმა იგრძნეს რა შიდა ქართლის დვალეთად გამოცხადების უსუსურობა, არგუმენტების არ არსებობა, დაიწყეს ამის „დამამტკიცებელი“ საბუთების „მოძიება“ სხვა საისტორიო წყაროებში. ი. გაგლოითმა, ქართლის აღნიშნულ რეგიონებს გარდა, დვალეთს თრუსოს რეგიონიც (თერგის ხეობის ზემო წელი) მიათვალა. როგორც ცნობილია, გვიან ფეოდალურ პერიოდში თრუსოც ოსური ელემენტით იყო დასახლებული. როდის უნდა გაჩენილიყო ხევის მეზობელ რეგიონში — თრუსოში ოსური მოსახლეობა? დღევანდელი საქართველო პროვინციებიდან ოსების დასახლება პირველად სწორედ თრუსოში მოხდა (არა დღევანდელი გაგებით თრუსოში, არამედ თერგის უფრო ზემო წელში). პფაფისა და ნ.ვოლკოვას მონაცემებით, თრუსოში ოსები XV-XVI სს. არიან მიგრირებული ქურთათის ხეობიდან. თრუსოდან ქართული მოსახლეობის აყრა XIV ს-ის მიწურულში თემურ-ლენგის შემოსევების დროს უნდა მომხდარიყო. საფიქრებელია, რომ თერგის ხეობის (თრუსო, ხევი) ადრინდელი მოსახლეობა თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ ძალიან შემცირდა და ამ შემცირებულმა რაოდენობამ მთლიანად ხევში მოიყარა თავი და თავისთავად ნოყიერი

ნიადაგი შეუქმნა XVII ს. I ნახევარში ქურთათის ხეობის ოსეთა თრუსოში მიგრაცია-დამკვიდრებას.

არაერთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ ხევში დღეს მცხოვრები ქართული გვარების თავდაპირველად თრუსოში მკვიდრობა-მოსახლეობის შესახებ. შეიძლება დავასახელოთ: ზაქაიძე-ზაგაშვილები, ბაბაშვილები, ფაჯიშვილები, არჯინაშვილები, ბადაშვილები, კობიაშვილები, ტუჩაშვილები... ხაზი უნდა გაესვას, რომ დღევანდელი ხევის მომიჯნავე თრუსოს ნაწილი XVIII ს-შიც ქართველებით იყო დასახლებული (სოფ. მნა 1774 წლის ხევის აღწერაშია შეტანილი). ამაზე მიუთითებენ ოიკონიმებიც (შევარდენი, ოქროყანა...). დღევანდელ ტოპონიმ „ადოს მინდვრის" ადგილას კი „გერგეტის სულთა მატიანეში" მითითებულია სოფელი ადო, რომელშიც ცისკარიშვილებს უცხოვრიათ (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ.1954, გვ.272). ამ მხრივ მხარდასაჭერია გ. ჩიქოვანის მოსაზრება, რომ თრუსო მოიცავდა ტერიტორიას თერგის სათავიდან ხეობის უვიწროეს ადგილ ყაშარა //კასარამდე. ეს მოსაზრება მყარ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზეა დაფუძნებული. აქ, ჩვენი აზრით, მთავარია ის, რომ „ძეგლი ერისთავთაში" თრუსოელნი და მნაელნი დაპირისპირებულნი არიან ერთმანეთისადმი. მნის ხეობელნი თრუსოელებად არ არიან მიჩნეულნი. ხოლო თრუსოში ოსთა დასახლებამდე, აშკარაა, რომ დვალები ცხოვრობდნენ. მაგრამ, ჩვენი აზრით, თრუსო არასოდეს შედიოდა დვალეთში, როგორც ეს მიაჩნიათ. უბრალოდ, თრუსო, სანამ ოსებით იქნებოდა დასახლებული XVII ს. I ნახ. დვალთა მიგრაციის ობიექტად იქცა (XIII-XIV სს) და დვალთა ასიმილაცია ოსებმა, საკუთრივ დვალეთს გარდა, თრუსოშიც მოახდინეს. ვახუშტის სიტყვები, რომ თრუსოში „მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი" იმას არ ნიშნავს, რომ თრუსო დვალეთი იყო. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ თრუსოში მკვიდრობდნენ გაოსებული დვალები. დვალების ასიმილაცია ოსებმა, საკუთრივ დვალეთს გარდა, თრუსოშიც მოახდინეს. აქ ურიგო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა გერმანელი მეცნიერის გიულდენშტედტის სიტყვები: „კავკასიელ მთიელთა შორის განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომლებთაც, რელიგიასთან ერთად, ენაც დაივიწყეს" (გიულდენშტედტის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 185). დიდად ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ თრუსო ვახუშტის ხევის აღწერაში აქვს შეტანილი.

თრუსოდან ხევში მიგრირებული რამდენიმე გვარის შესახებ ზემოთ გვქონდა ნათქვამი. აღნიშნული იყო, რომ თრუსოში გაოსდა ბაგაშვილების გვარი, რომლებიც ზაგაევებად იქცნენ (აღსანიშნავია, რომ 1886 წლის საოჯახო სიებში შეტანილი ზაგაშვილ-ზაგაევების შინა სალაპარაკო ენა ქართული იყო). თრუსოში რამდენიმე სხვა ადგილობრივი ქართული (resp. დვალური) გვარიც გაოსებულა. ესენი

არიან გუდიაურები, არჯინაულები (არძინოვებად იქცნენ). ამავე დროს, ძირად ქართველებად მიაჩნიათ თავი ქასოევებსა და სუხიევებს, რომლებიც თავიანთ ადრინდელ გვარებად ქასოშვილსა და სუხიშვილს ასახელებენ (გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-ბ, თბ., 1961, გვ.227). ანგარიშგასაწევია ის ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც თრუსოს ოსურ მოსახლეობაში გ. ჯალაბაძემ მოიპოვა: „არდონიდან ჩამოსახლებული ოსური ფენის უმეტესობა გადმოსახლებიდან სამ-ოთხ თაობას მოითვლის. ჩამოსახლებულთა დასკვნით, „ოსების მიერ ყაბარდოელების ქვეშ დვალური მოსახლეობის ისეთი ფენა უნდა იყოს ნავარაუდევი, რომელიც თრუსოს ხეობის ზედა რაიონში მოსახლეობდა“ (გ.ჯალაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 228).

„ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით აშკარაა, რომ თერგის ხეობაში XIV ს-ში გამოიყოფა სამი „ქვეყანა“ — თრუსო, მნა და ხევი. მნა თრუსოსა და ხევს შორის მდებარეობს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვახუშტის თრუსოში ოსის სულ რვა სოფელი აქვს დასახელებული, ჩვენ შეგვიძლია თრუსოს რეგიონის მიახლოებითი მოხაზვა და მისგან იმ დროს აშკარად მნის „ქვეყნის“ გამოყოფა. „ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით, თრუსო და მნა ერთმანეთის მიმართ აშკარად მტრულად განწყობილი „ქვეყნებია“. მნის „ქვეყანა“ ეთნოგრაფიულად ხევის „ქვეყნის“ თითქმის მსგავსი და ანალოგიურია. მოვუსმინოთ „ძეგლი ერისთავთა“-ს: „მაშინ ჩამოვიდა თრუსოს და მოეგებნეს თრუსოელნი მრავლითა ძღუენითა და ერთგულებისა ჩვენებითა და ევედრნეს შუელად მტერთა მათთა ზედა მნას“ (შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ.357). აშკარაა, რომ თრუსოელები შედარებით მცირერიცხოვანნი იყვნენ, მნაველებთან შედარებით, რადგან ისინი საკუთარი ძალებით მას ვერ ერევიან და ერისთავს ევედრებიან დახმარებას. მნაველები იმდენად დარწმუნებული არიან თავის სიძლიერეში, რომ ისინი ერისთავის ბრძანებაზე მასთან მისულიყვნენ, უარს ამბობენ: „ხოლო ერისთავმან უბრძანა მნაველთა მოსვლად წინაშე მისსა, არამედ მათ არა ინებეს, რამეთუ თქუეს: არა მეშინის შენგან და ვერც რას შემძლებელ ხარ ვნებად ჩუენდა“. სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ვირშელ ერისთავმა მნაველთა წინაალმდეგობა გატეხა. „მაშინ მოიკლეს სიმრავლეთა ისართაგან თავნი და გოლიათნი ქუეყნისა მათისანი“ „ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით, აშკარაა, რომ მნელები თავიანთ „ქვეყნის“ „თავებთან“ ერთად მრავალრიცხოვანი იყვნენ. იმავე ძეგლში ლაპარაკია მათ მრავალრიცხოვან ციხეებსა და სოფლებზე: „მაშინ შესტეხეს კარები და შეიპყრეს ყოველნი მბრძოლნი და მოიყვანეს წინაშე ერისთავისა და დაწუეს და დაარღვნეს ციხენი და სოფელნი იმათნი“ (გვ.358).

მნაველების დახმარება მოხევეებს გადაუწყვეტიათ. რატომ ? იმიტომ ხომ არა, რომ ისინი მათ თანამოძმეებად თვლიდნენ? იმიტომ ხომ არა, რომ თრუსოს მხრიდან დვალთა მოწოლის ბურჯად, შემჩერებლებად მნაველები იდგნენ? იმიტომ ხომ არა, რომ მნაველებთან ერთად მათაც არ უნდოდათ ფეოდალური უღლის დადება?

„ესმა მოხევეთა და მოვიდეს ბრძოლად. და ვითარცა იხილეს სიმრავლე ლაშქრისა, შიშით დაიმალნეს. უკუმოდგა ერისთავი კობს და მოიღეს მოჭეევეთა სიმრავლე ძღვენისა და შემდგომად განთენებისასა წამოვიდა".

„გერგეტის მატიანეს" (1439 წ.) მიხედვით აშკარაა, რომ ხევის სალოცავი — გერგეტის სამება თავის უფლებამოსილებას, გარდა ხევისა, ავრცელებდა მნასა და თრუსოზეც, ე.ი. XV ს-ში თერგის ხეობა მთლიანად (თრუსო + მნა + ხევი) ერთ ერთეულს წარმოადგენდა. თერგის ხეობის სამივე გეოგრაფიული ერთეული გერგეტის სამებას ეყმობოდა. წყაროში ვკითხულობთ: „და მნაველთაცა მათ მოიკიდესა ურთაშვილი ჩიტურა და ბაჩხისძე და აბიაური სედუვათაძე, ყანობით ყალარდოიშვილი და რაჟს ძე. თრუსოველთაჟცა — ჯურთიელ ყანობელთა მოიკიდეს. მნით ბადაჟსძე და ადოით — ცისკარაშვილი" (გვ.272). მოტანილი ამონაწერი იმითაცაა საყურადღებო, რომ დღევანდელი ხევის ზემოთ ადოსა და მნაში ქართველები მკვიდრობდნენ. მატიანეში ჩამოთვლილი ანთროპონიმები თქმულის დამადასტურებელია. ამასთანავე, 1439 წლის წყაროში მოხსენიებული ბადაისძენი მნაში მკვიდრობდნენ 1774 წელსაც, რომლებიც დღეს ხევის სოფ. ხურთისში მცხოვრები ბადაშვილების წინაპრები იყვნენ.

აშკარაა, რომ საქართველოს მთის ზოგიერთ რეგიონში ეთნიკურ-ეთნოგრაფიული სიტუაცია იცვლებოდა. ის არამდგრადი იყო. ასეთივე სიტუაცია უნდა გვქონოდა მთლიანად თერგის ხეობაში. საისტორიო საბუთებით აშკარაა, რომ თერგის ხეობა, თავის დროზე, მთლიანად წანართა ქართველური ტომით იყო დასახლებული, რომლებმაც შემდეგ დიდი როლი ითამაშეს VIII-IX სს-ში კახეთის სამთავროს წარმოქმნაში.

მტრის მიერ დასუსტებულ, გაპარტახებულ, მოსახლეობით შეთხელებულ ბარს მთის ჭარბი და ნამატი მოსახლეობა ავსებდა. ბარი (კახეთისა) გაჩანაგებულია. მთიელი წანარები კი არ ემორჩილებიან უცხო დამპყრობლებს. გამრავლებულ წანარებს საარსებო საშუალება სჭირდებოდათ. სჭირდებოდათ კახეთის ბარი არსებობისათვის და იწყებენ ბრძოლას, სათავეში უდგებიან ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ და ბოლომდე მიყავთ საქმე. ცხადია, მთიელი წანარები კახეთის მთისწინეთსა და ბარში ესახლებიან თანდათან. თერგის ხეობის ძირითადი ნაწილი (ზემო წელი) მოსახლეობისაგან თავისუფალი

ხდება. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ წანარეთი თერგის ხეობაში იყო (ივ. ჯავახიშვილი, ა. კაკაბაძე, ს. ჯანაშია, მ.ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, დ. მუსხელიშვილი, ჯ. გვასალია, შ. ბადრიძე).

ჩვენი აზრით, სწორედ IX ს-ში უნდა მომხდარიყო წანართა მასიური ჩამოსახლება კახეთის მთისწინეთ ბარში. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი თვლის, რომ წანართა პოლიტიკური ექსპანსია მიმდა ბარისაკენ (მ.ლორთქიფანიძე), მეორე ნაწილი: მათ ეთნიკურ გავრცელებას გულისხმობს კახეთის მთელ ტერიტორიაზე (დ. მუსხელიშვილი). მიგვაჩნია, რომ მეორე შეხედულება უფრო მხარდაჭერი და მისაღებია. ჩვენი აზრით, მოხდა, როგორც პოლიტიკური, ისე ეთნიკური ექსპანსია. ერთი მეორეს არ გამორიცხავს. რა თქმა უნდა, წანართა პოლიტიკურ ექსპანსიას მათი ეთნიკური ექსპანსია ანუ ჯგუფური გადასახლებანი მოყვებოდა ბარში. სიდანაირად გამორიცხულია. წანართა ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხომ ის იყო, რომ ჩამოენაცვლათ მტრისაგან გაპარტახებულ და გავერანებულ კახეთის დაბლობში. წანართა მასიური ჩამოსახლება რომ მოხდა კახეთის მთისწინეთ — ბარში, ამის მაჩვენებელია ისიც, რომ შემდეგ წანარები, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი, ქრებიან ისტორიის სარბიელიდან. წანარებს თერგის ხეობაში, რომ კომპაქტური დასახლება შეენარჩუნებინათ, მათი სახელი არ გაქრებოდა და სხვა მითელებთან (ტომებთან) ერთად სახელდებული იქნებოდნენ. ბარში ჩამოსახლებული მთიელები (წანარები) კი ფაქტია, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ. დღევანდელი თერგის ხეობა რომ ისტორიული წანარეთია იქიდანაც ჩანს, რომ ოსები მოხევეებს „შანას" უწოდებენ. ჯ. გვასალიას სამართლიანი შენიშვნით „შანა" გამოძახილია სწორედ „წანა-სანასი".

დაახლოებით XIII ს-დან წანარეთის ქვეყნის ნაწილს - თრუსოს მნის ხეევამდე — წანარეთის მონათესავე სხვა ქართველური ტომი — დვალები იკავებენ. დვალებს, ნამატის გამო, თავისთავად სჭირდებოდათ საცხოვრებელი გარემო. ამასთანავე, დვალებს მონღოლთაგან შევიწროებული ოსები ავიწროებდნენ. ისინიც აღარ აყოვნებენ და სახლდებიან წანარეთის ამ ნაწილში — თრუსოში, რომელიც მთლიანად დაცლილია მოსახლეობისაგან. ამავე პერიოდს ოდნავ წინ უნდა უსწრებდეს მაღრან-დვალეთის წარმოქმნა დიდი ლიახვის სათავეში. ამავე დროს, ისტორიული წანარეთის მეორე დიდ ნაწილსაც სახელი ეცვლება და ხევად იწოდება. მთლიანად არ უნდა მომხდარიყო წანარების აყრა — გადასახლება. მათი გარკვეული ნაწილი ადგილზე დარჩა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"ში" ნახსარია ტერმინი „წანარეთისა ჴევსა". დროთა განმავლობაში „წანარეთის ჴევიდან" „წანარეთი" დაიკარგა და მივიღეთ „ხევი", რადგან ეთნიკურ-ეთნოგ-

რაფიულად წანარეთი (წანარეთის ხევი) და ხევი (დღევანდელი გაგებით) უკვე აღარ ემთხვეოდა ერთმანეთს, წანართა ეთნოგრაფიული ჯგუფის აქედან გადასახლების გამო. როგორც აღიარებულია, წანარები სვანურენოვანი ტომი იყო (ნ. მარი, ს.კაკაბაძე, ჯ. გვასალია). თუმცა ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება სანარებ-ი (წანარების) ვაინახური წარმოშობის შესახებ. ეთნოგრაფ ნ.ვოლკოვას ეს ვერსია დაუსაბუთებლად მიაჩნია (ასევე საეჭვოდ მიაჩნია მას ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების დვალების (თალების, ვალების) ნახურურენოვანი სამყაროსადმი მიკუთვნება. ნ. ვოლკოვას აზრით, უფრო მართლზომიერია დვალებისა და ნანარების მთლიანად იბერიულ-კავკასიური ენობრივ ნრისადმი მიკუთვნება (Н.Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 123-124). წანარების სვანურენოვნების, მითუმეტეს, მათი იბერიულკავკასიური ენობრივი სამყაროსადმი მიკუთვნება, ჩვენ გასაზიარებლად მიგვაჩნია, იმ განსხვავებით, რომ **შესაძლოა წანარები დღევანდელ სვანთა სრულად იდენტურნი არ იყვნენ**, არამედ სვანებთან ახლოს მდგომი ქართველური ტომი. წანარების დასავლეთ ქართულ ტომებთან (სვანებთან) ეთნოგრაფიული სიახლოვის დამადასტურებელი ისიც უნდა იყოს, რომ ეთნომუსიკოლოგიური გამოკვლევებით, დღევანდელ მოხევეთა სიმღერა ახლოს დგას სვანურ სიმღერებთან (ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989), რაც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ხევში ადგილზე დარჩა წანართა გარკვეული რაოდენობა.

ასე, რომ ერთიანი წანარეთი (წანარეთის ხევი) X ს-ის შემდგომ სამ პატარა „ქვეყნად" დაიშალა: თრუსოდ, მნად და ხევად. XVIII ს-ის დასასრულს მნაც თრუსომ გადაფარა, რაც შედეგი იყო ამ პერიოდში თრუსოში მცხოვრები ოსების ნინ წამოწევისა, მნაში ქართული მოსახლეობის ოსურით შეცვლისა. უფრო ადრე, XVII ს-მდე თრუსოც არაოსური იყო. აქ დვალები მკვიდრობდნენ, რომლებიც ასევე გაოსდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ქურთათის ხეობიდან ოსების ინფილტრაციის შედეგად. ასეთი იყო ეთნიკური სურათი ხევის მეზობელ თრუსოში, რომელიც, როგორც ვნახეთ, ისტორიის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა. ხევი კი ეთნოკატაკლიზმებს გადაურჩა. სხვათაშორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ტოპონიმი „თრუსო" იხსნება ძველი ქართული ენის საშუალებით. სულხან-საბას ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ **„დრუსო** არს ზღუდე ქვისა კოშკიანი, დიდი და კეთილად შენებული". „დრუსო არს ზღუდე ქვისა მაღალი კეთილად ნაგები კოშკ-კოშკოვანი" (სულხან-საბა ორბელიანი,ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ.292). იგივე განმარტებას აძლევს ამ სიტყვას დავით ჩუბინაშვილი: **„დრუსო** – ზღუდე ქვისა მაღალი,

ნაგები კოშკ-კოშკებად. Ограда. стена каменная с башнями"(დ.ჩუ-ბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984). თრუსო, სხვა მთის კუთხეებთან ერთად ისეთი რეგიონი იყო, სადაც სწორედ ასეთი კოშკოვანი ზღუდეები იგებოდა. რაც შეეხება იმას, რომ რეგიონს სახელად „თრუსო" ჰქვია და ზღუდის სახეობას — „დრუსო", აქაც ისეთივე მონაცვლეობა გვაქვს „დ" და „თ" თანხმოვნებისა, როგორც „დვალეთისა" და „თუალეთის" შემთხვევაში. იმავე დ. ჩუბინაშვილს თუ მოვიშველიებთ „გარნა მდაბიურად ნაცვლად დ ხმარობენ თ". ქიზიყში კი „თრუსოს" ცელის პირის ასაწყობ სალეს ქვას უწოდებ-დნენ. ასეთ ქვას, რომელიც მოლურჯო იყო, ქიზიყში მშრალად და დაუსველებლად ხმარობდნენ (იხ. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი). ივ. წიკლაურის მონაცემებით თერგის ხეობა სწორედ ასეთი სალესავი ქვებით არის მდიდარი.

ახლა უნდა დავუბრუნდეთ ოს ისტორიკოსთა ზემოთ ნახსენებ ახალ მცდელობას დვალეთი უწოდონ შიდა ქართლის მთისწინა — მთიან რეგიონს. საამისოდ მათ „გამოიყენეს" „ძეგლი ერისთავთას" ერთი ადგილი. მასში ვკითხულობთ, რომ ქსნის ერისთავმა და მისმა ლაშქარმა „...მოწუნეს და მოაოჯრნეს ყოველნი ჯევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვივნეს ყოველნი ციხენი თრუსოით აჩაბეთამდე" (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ.348). ქრონიკის ამ ადგილმა აფიქრებინა ზოგიერთ ოს ისტორიკოსს (ი.გაგლოევი, მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში, მოხსენებათა თეზისები, 1989, გვ. 43-44), რომ დვალეთი ისტორიულ-გეოგრაფიულად მოიცავდა თითქმის მთელი შიდა ქართლის — მთა-მთისწინეთს ლიახვის, ლეხურას, მეჯუდას, ქსნის ხეობებს. ჯ. გვასალიამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ „ყოველნი ხევნი დვალეთისანი" არ მოიცავს თრუსოსა და აჩაბეთს და მეორეც, გამოთქმა „აჩაბეთიდან თრუსომდე" არავითარ შემთხვევაში არ მოიცავს ქსნის ხეობას (მითუმეტეს შენაკადებით), რადგანაც თრუსოს ხეობიდან ლიახვის ხეობაში (აჩაბეთში) მოსახვედრად არაა საჭირო ქსნის ხეობის გავლა, მითუმეტეს, რომ თრუსოს ხეობა ქსნისას არ უკავშირდება (ჯ.გვასალია, „კომუნისტი", 9/IX, 1990). ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ თრუსოდან პირდაპირ გადადის გზა მალრან-დვალეთში (ლიახვის ხეობის სათავე) და რაც მთავარია ადგილი აქვს ტექსტის არა სწორად წაკითხვას. დააკვირდით: „მაშინ მოწუნეს და მოაოჯრნეს ყოველნი ჯევნი დვალეთისანი..." აქ აზრი მთავრდება და შემდეგ მოდის „და" კავშირი, ე.ი. დვალეთთან ერთად მოაოხრეს სხვა ტერიტორიაც, კერძოდ, „შემუსრნეს და დაარღვივნეს ყოველნი ციხენი თრუსოით აჩაბეთამდე". აზრი ნათელია. აქ ლაპარაკია სამ სხვადასხვა რეგიონზე: დვალეთზე, თრუსოზე და დიდი ლიახვის ხეობაზე თრუსოდან მოყოლებული აჩაბეთამდე. საქმე გვაქვს რთულ წინადა-

დებასთან, რომელშიც ორი მარტივი წინადადებაა გაერთიანებული. ვისაც ქართული ყური არ ეხამუშება, აშკარაა პირველ მარტივ წინადადებას („მოწუნეს და მოაოჯრნეს ყოველნი ჭევნი დვალეთისანი...") სრულიად არ განსაზღვრავს მეორე მარტივი წინადადება („... და შემუსრნეს და დაარღვნეს ყოველნი ციხენი თრუსოით აჩაბეთამდე"). ნათელია, რომ ამ ერთ რთულ წინადადებაში ლაპარაკია შიდა ქართლის მთიანეთის სულ სხვადასხვა რეგიონებზე. ტექსტში აშკარად მითითებულია, რომ ქსნის ერისთავის ჯარმა მოაოხრა დვალეთის პროვინცია, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა და რომელიც ექვს ხეობას აერთიანებდა (ვახუშტის მიხედვით): კასრის ხევი, ზრამაკა, ეღელე, ნარა, ზროგო და ზახა. „ძეგლი ერისთავთა"-ში სწორედ დვალეთის ამ ხეობებზეა ლაპარაკი, როდესაც ვკითხულობთ: „... მოწუნეს და მოაოჯრნეს ყოველნი ჭევნი დვალეთისანი..." აქ, რომ კავკასიონის ქედის სამხრეთით მცხოვრები დვალების შესახებ ყოფილიყო საუბარი, ტექსტში აუცილებლად დვალეთის ნაცვლად „მაღრან-დვალეთი" იქნებოდა ჩაწერილი, რადგან, როგორც განსახილველი წყარო, ისე სხვა ქართული საისტორიო წყაროები და გვიანდელი ჩვენთვის ხელმისაწვდომი ეთნოგრაფიული მონაცემები მკვეთრად მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან დვალეთსა და მაღრან-დვალეთს. თუმცა ქრონიკაში ისიცაა ნათქვამი, რომ დვალეთთან ერთად მაღრან-დვალეთის ტერიტორიაც იქნა შემუსრული დიდი ლიახვის ხეობის სხვა მონაკვეთთან ერთად. იმის გამო, რომ დიდი ლიახვის ხეობაში ზოლოდ მაღრან-დვალეთი არ დალაშქრეს, „ძე"-თას ავტორმა ფალ-ცალკე აღარ დააკონკრეტა დიდი ლიახვის ხეობის სხვადასხვა მონაკვეთები და აღნიშნა, რომ ეს ლაშქრობა მოეწყო პირიქით, დვალეთში და დიდი ლიახვის ხეობაში მისი სათავიდან(ანუ ირუსოდან) აჩაბეთამდე.

* * *

ვ. აბაევის გამოკვლევებით ოსური ენის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა კავკასიურმა ელემენტმა. ანგარიშგასაწევია, რომ არა მარტო შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, არამედ ისტორიულ ოსეთში ტოპონიმების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არ იხსნება ოსური ენის საშუალებით. საერთოდ, ოსურ ენაში გამოყოფენ ორ- დიგორულ და ირონულ დიალექტებს. საქართველოში მცხოვრები ოსები ირონულ დიალექტზე მეტყველებენ. თუ თავიდანვე არსებობდა დვალთა ოსური ეთნოგრაფიული ჯგუფი (თუ საერთოდ დვალები ოსები იყვნენ), რატომ არ გვაქვს დიგორულ და ირონულ დიალექტებთან ერთად დვალური დიალექტიც? აღნიშნული ეჭვბრივი ფაქტი, რა თქმა უნდა, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ

საქართველოში (შიდა ქართლში) ოსური ეთნოსის მიგრაცია მოხდა ჩრდილოეთ კავკასიის იმ ოსური რეგიონებიდან,სადაც ირონულ დიალექტზე მეტყველებდნენ. აშასთანავე, ოსური გვარებია შესახებ გადმოცემები ნათლად მოწმობენ იმასაც, რომ ოსთა დღევანდელ საქართველოში მიგრაცია ძირითადად ხდებოდა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული პროვინციის — დვალეთის გამოვლით. ბევრი ოსური გვარი ჩრდილოეთ ოსეთის სხვადასხვა ხეობიდან ჯერ დვალეთში ფუძნდებოდა და შემდეგ ნამატი საქართველოსაკენ გადმოდიოდა საცხოვრებლად.

ზემოთაც აღვნიშნეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ შიდა ქართლში ოსების განსახლების ისტორიას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს დვალების ეთნიკური ვინაობის საკითხის გარკვევა, რამეთუ ზოგიერთ „მეცნიერს" დვალთა საკითხი დღეს სადაოდ გაუხდია. უკანასკნელი დროის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებით ირკვევა, რომ XVII-XX სს-ში შიდა ქართლში მოსახლე ოსები არ არიან იგივე დვალები. დვალები ოდესღაც არსებული ქართველური ტომია, რომლებიც ისტორიული კატაკლიზმებისა და კავკასიის მთებში მიმდინარე ეთნოისტორიული პროცესების შედეგად ასიმილირებულ იქნა. მათი დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში განსახლდა. ადგილზე დარჩენილი მათი ნაწილი კი დვალეთში ოსთა შემოჭრისა და დასახლკარების შედეგად გაოსდა და, როგორც ხშირად ხდებოდა ისტორიაში, მოსულმა ოსებმა დამხვდური ადგილობრივი ტომის სახელწოდება საკუთარ სახელწოდებად აქციეს. ყოველივე ამას ადასტურებს ქართლში მცხოვრები ოსური გვარების ისტორიის შესწავლაც. ქართლის მთაში განსახლებული ოსური გვარების ისტორია და განსაკუთრებით პირველმოსახლე ოსური გვარების ისტორია, გადმოცემების საფუძველზე, შეისწავლა ვანეცევმა. დაწვრილებით ოსთა მიგრაციის ამ წყაროს შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ შიდა ქართლში განსახლებული ოსური გვარების უმეტესობას (დიდ ნაწილს) არაფერი აქვთ საერთო დვალებთან. ისინი ძირითადად გადმოსახლებული არიან ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხეობებიდან, უმეტესად კი ალაგირიდან. თუმცა, აქვე იმაზეც უნდა ითქვას, რომ ოსთა საქართველოსაკენ მიგრაცია ძირითადად ხორციელდება დვალეთის ტერიტორიის კავ-ლით. ბევრი ოსური გვარი, რომელიც დღეს საქართველოში მკვიდრობს ჩამოყალიბდა უშუალოდ დვალეთში. უფრო სწორ-კონკრეტად, ჩრდილოეთ კავკასიიდან დვალეთში მიგრირებული ესა თუ ის ოსი პიროვნებები საფუძველს უყრიდნენ ახალ, სხვადასხვა ოსურ გვარებს.

ზემოთაც აღვნიშნე და აქაც მინდა გავიმეორო, რომ ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევი ძველ დვალებს იბერიულ-კავკასიური ტომად

თვლიდა. საყურადღებოა, რომ ასეთი დასკვნა მას გამოაქვს ოსური ენისა და ტოპონიმების შესწავლის შედეგად (В. Абаев, Осетинский язык и фол ьклор,I, 1949).

ვ. გამრეკელის გამოკვლევით დვალები ქართიზებული ვაინახები იყვნენ. ქართულ ენციკლოპედიაში დასტამბულ სტატიაში მანვე დვალები დასავლურ ქართულ (ზანურ) და კავკასიურ ტომებად წარმოიდგინა. ოსი მეცნიერები (ვ.აბაევისა და გ. თოგოშვილის გამოკლებით) დვალებს ოსურ ტომად მიიჩნევენ.

დვალების ვაინახური წარმომავლობის ვერსია ეჭვქვეშ დააყენა ნ. ვოლკოვამ. ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ წამოყენებული არგუმენტები მან დამაჯერებლად არ მიიჩნია. ნ. ვოლკოვას უფრო დამაჯერებლად მიაჩნია ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების დვალების (აგრეთვე, წანარების) საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენობრივი წრისადმი მიკუთვნება (Н.Г. Волкова, Этнонимы... с. 123-124).

დვალების ეთნიკური ვინაობის გასარკვევად ამოსავალი მაინც ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომია, რომელიც მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან ოსებსა და დვალებს და დვალების ეთნოგრაფიული ჯგუფისა თუ ტომის გაქრობას, ოსთა დვალეთში შემოჭრას უკავშირებდა.

ვფიქრობთ, რომ დვალების ეთნიკური ვინაობის გასარკვევად ჩვენთვის დღეს ერთ-ერთი მთავარი წყაროა ტოპონიმები და ანთროპონიმები. დვალეთში ქართული ტოპონიმების არსებობა ვ. გამრეკელმა აღნიშნა. ის ასახელებს ისეთ ქართულ ტოპონიმებს, როგორებიცაა: კოშკი, მუღისველი, როკა, ზეკარი, ქალაქა, გორი, სანიბა-სამება, მაღალა და სხვ. ჩვენი დაკვირვებით ცენტრალური კავკასიონის ამ რეგიონში არაერთი გვაქვს სხვა ქართველური ტოპონიმიც, რაც წლების განმავლობაში გვაფიქრებინებდა და პირად საუბრებშიც არაერთხელ აღგვინიშნავს სხვა მეცნიერებთან, რომ დვალები სვანურენოვანი ანდა სვანებთან ახლოს მდგომი ტომი უნდა ყოფილიყო. თუმცა, საკითხის უფრო დაწვრილებითმა შესწავლამ და კვლევაში ანთროპონიმიული მასალის შემოტანამ, ასეთ კატეგორიულ დასკვნაზე ხელი აგვაღებინა, რადგან მასში უფრო მეტად ჭარბობს ზანური ელემენტი. ჩვენი დაკვირვებით ქართულია დვალეთის ხეობების სახელწოდებებიც: კასრის ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა, თვით დვალი (და „დვალეთი") — ოსურად „თუალთაი", მთები: კედელა, გუნაური, ზეკარა.

დღევანდელი ე.წ. სამხრეთ ოსეთი ოდითგანვე თუ ოსებით იყო დასახლებული, რატომ არაა აქ ოსური ტოპონიმები? რა ვუყოთ აქ არსებულ უამრავ ქართულ ტოპონიმს ლიახვის ხეობაში? მაგალითად: ჯავა, ქეშელთა, (მ)სხლები, ხვწე, მუგუთი, კოშკა, სბა... ქსნის ხეობაში-ეამური. ლაპარაკიც არ შეიძლება იყოს ქსნის, პატარა

ლიახვის, ლეხურას, მეჯუდას, ფრონეების ხეობების ოიკონიმებზე. ისინი თითქმის მთლიანად ქართულია. თუკი სადმე გვხვდება ოსური ტოპონიმები, ყველა მათგანი მოგვიანებით, ხელოვნურადაა შექმნილი, ბევრი მათგანი დამახინჯებული ქართული ტოპონიმია.

„დვალი" (ანუ „თუალი") როგორც სკიტსკი მიუთითებდა, სრულიადაც არ არის ოსების ძველი სახელწოდება. „თუალი"(„დვალი") ძველი, ადგილობრივი კავკასიური ტომის სახელწოდება იყო, რომელიც აქ მოსულმა ოსებმა მიისაკუთრეს. თუ დავაკვირდებით, აღნიშნულ ეთნონიმსა და ტოპონიმში („დვალი" — „თუალი", „დვალეთი" — „თუალეთი") მხოლოდ ქართული ძირი ჩანს. „თუალი" — ასეთი სახელწოდებით ტოპონიმები საქართველოში სხვაგანაც გვქონდა.

დვალეთის კასრის ხევი ჩრდილოეთ კავკასიაში (ოსეთში) გასასვლელი ერთადერთი ხევი იყო. ამ ჰიდრონიმის ქართულობა ეჭვს არ იწვევს, ოღონდ ის უნდა აიხსნებოდეს არა უშუალოდ „კასრი"-თ, რომელსაც ძველ ქართულად რამდენიმე ახსნა ჰქონდა („კასრი" — სახლი მომცრო; სარწყავი ერთეული, რომელშიც რვა დოქი ჩადიოდა, ხის ჭურჭელი — ნახე სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული"), არამედ „ქასრი", რომელიც ერთდროულად სალესავი ქვის, ქვის გარკვეული ჯიშისა და სარეველა ბალახის ერთ-ერთი ჯიშის სახელწოდება იყო (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). მსგავსი ტოპონიმია „ქაისხევიც" არაგვის ხეობაში. „ელელე" ხომ არაა იგივე ღელე? თუმცა უფრო ლოგიკური იქნება ეს ჰიდრონიმი ნიადაგის ფერს, ელალ ფერს (შავმოწითალო) დავუკავშიროთ. ქართულია დვალეთის ცენტრალური ხეობისა და ქვაბულის „ნარა" სახელწოდებაც. სულხან-საბას განმარტებით „ნარი" — ეკლიანი ბალახია.

ვ. გამრეკელს მიაჩნდა, რომ დვალეთში ქართული ტოპონიმები შედეგი იყო XI-XIII სს-ში და უფრო ადრეც ქართული კულტურის, ქართული ქრისტიანობის შეტანისა (**В.Н. Гамрекели, Двалы и Двалетия в I-XV вв. н.э. Тб.1961**, გვ.90). ვ. გამრეკელის აზრით, დვალეთში ქართული ენის შეტანა შედეგი იყო არამარტო ქრისტიანობის გავრცელებისა, არამედ დიდი როლი ითამაშა, აგრეთვე, მიგრაციულმა ტალღებმაო. ეს მიგრაციული ტალღები მან დაუკავშირა არაბთა პერიოდულ თავდასხმებს, რასაც ქართლის ცენტრალური რაიონებიდან პერიფერიებისაკენ მოსახლეობის გადასახლება უნდა გამოეწვიაო. ასეთი მსჯელობა შეიძლება ლოგიკური იყოს, მაგრამ ქართლის ბარიდან შიდა ქართლის მთასა და ცენტრალური კავკასიონის რეგიონში მოსახლეობის მიგრაცია ერთობ სათუოდ მიგვაჩნია. ვ. გამრეკელის აზრით, არაბთა პერიოდული თავდასხმები ინვევდა ქართული ეთნიკური ელემენტის პერიფერიებში გაძლიერებას და ქართული ენის უფრო გავრცელებასო. ქართიზაცია, ბუნებრივია, პირველ რიგში, შეეხებოდა მაღრან-დვალებსო, ნაკლებად ნარას

ქვაბულის დვალებსო. ე.ი. ვ. გამრეკელი უშვებდა იმას, რომ არაბთა შემოსევების დროს შიდა ქართლის მთიანეთში, დიდი ლიახვის ხეობის სათავეში მაღრან-დვალეთის რეგიონი არსებობდა, რომ არაბთა შემოსევებამდე დვალები დვალეთიდან უკვე მიგრირებული და დასახლკარებულნი იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, დიდი ლიახვის ხეობის სათავეში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის დამადასტურებელი არავითარი საისტორიო წყარო არ გაგვაჩნია. რა თქმა უნდა, არაბთა შემოსევები ხელს უწყობდა მოსახლეობის გაფანტვას სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ გამორიცხულია მიგრირებული მოსახლეობის მიმღებებად მთის რეგიონები ნარმოვიდგინოთ. მთა ყოველთვის იყო გადამეტსახლებული და მას არ შეეძლო მუდმივად საცხოვრებლად მიეღო მოსახლეობის დიდი ჯგუფები. პირიქით კი იყო, მთის რეგიონები და მათ შორის დვალეთიც, თავისი ნამატი მოსახლეობით ხშირად კვებავდა ბარის შეთხელებულ მოსახლეობას.

ვ. გამრეკელს მიაჩნია, რომ დვალების (კავკასიური ტომის) ძირითადი ნაწილის ქართველ ხალხთან შერწყმა დამთავრებულად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს აყვავების ხანაშიო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ დვალებს ქართველ ხალხთან შესარწყმელი არაფერი ჰქონდათ, რადგან ისინი თავისთავად ქართველური ტომი იყო და თუ გინდ მათ ერთ-ერთ ქართველურ ენაზე ელაპარაკათ, არავითარ შერწყმა-ასიმილაციაზე ლაპარაკი არ შეიძლება ქართველთა მხრიდან. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ ქართველურმა ტომმა თავისი ერთ-ერთი ქართველური ენით თავისთავადობა გვიან პერიოდამდე (XVII სს.) შეინარჩუნა, სანამ მათი დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (რაჭა, იმერეთი, ქართლი) განსახლდებოდა და ადგილზე დარჩენილი ნაწილი შემოსული ოსების მიერ იქნებოდა ასიმილირებული.

ვ. გამრეკელს თავის მონოგრაფიაში (გვ.97) მოაქვს ციტატა XIII ს-ის ტექსტიდან („თარგმანება წმინდისა იპოლიტისა") რომელშიც ჩამოთვლილია მსოფლიოს ხალხები (სულ 70 ეთნომიმი) ასეთი მიმდევრობით: 30. ქართველი, 31. აფხაზი, 32. სვანი, 33. მეგრელი, 34. დვალი... 55. ალანი. საინტერესოა, რომ ქართველ-აფხაზ-სვან-მეგრელებთან ერთად დვალები არიან სახელდებული, ე.ი. დვალები ქართულ ეთნიკურ-კულტურულ სამყაროს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევიან. ოსთა წინაპრებად მიჩნეული ალანები კი ქართულ-ქართველური სამყაროსაგან დაშორებით 55 ნომრით არიან დასახელებული. ალანებსა და დვალებს რაიმე ნათესაური კავშირი რომ ჰქონოდათ, ისინი ერთ რიგში, გვერდიგვერდ იქნებოდნენ დასახელებული. აღსანიშნავია, აგრეთვე ის, რომ VII ს-ის სომხური გეოგრაფია დვალებს ასახელებს ქართველ მთიელთა შორის და მკვეთრად მიჯნავს დვალებს ალანებისაგან. დვალები (დივალები) და ალანები ასევე

მკვეთრად არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული IV ს-ის პეიტინგერის ტაბულაზე. დივალებისა და ალანების აღნიშნულ ტაბულაზე ძალიან დაშორებით დატანა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ისინი სხვადასხვა ეთნოსები იყვნენ. ტაბულაზე ალანები ასევე ძალიან არიან დაშორებული კოლხებისა და იბერებისაგან. სამაგიეროდ, ერთმანეთთან ახლოს არიან აღნიშნული დივალები, იბერები და კოლხები. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაბულაზე დივალები ორ ადგილზე არიან ფიქსირებული. (იხ. K. Miller, Die Peutingersche tafel, Stuttgart, 1962).

აშკარაა, გვიან შუა საუკუნეებში (XIV-XVI სს) დვალების საქართველოს მთისწინეთსა და ბარში ინტენსიური ჩამოსახლება, რაც, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიზეზით უნდა ყოფილიყო განპირობებულად. საკმარისია გავიხსენოთ ტოპონიმები: დვალეთი, დვალთა, ნადვალევი, დვალიანთკარი, დვალულა, დვალიშვილები, ადვალი...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დვალეთში ქართულ-ქართველური ტოპონიმები, როგორც ვ. გამრეკელი ფიქრობს, იყო არა შედეგი I და II ათასწლეულების მიჯნაზე დვალეთის გაძლიერებული ქართიზაციისა, არამედ შედეგი ოდიდგანვე აქ ქართველური ტომის მკვიდრობა-მოსახლეობისა.

დვალთა ეთნიკური ვინაობის გასარკვევად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ანთროპონიმებს. ჩვენი ყურადღება მიიქცია XIX ს-ის პირველი ნახევრის დვალეთის, კერძოდ, ნარას ქვაბულის მოსახლეობის აღწერის მასალებმა, რომელიც ჯერ კიდევ ამ დროს თბილისის გუბერნიაში შედიოდა. ამ დროისათვის აქ უკვე ჩამოყალიბებული ოსური მოსახლეობა გვქონდა. აღწერილი არიან მხოლოდ მამრობითი სქესის პიროვნებები (ოსები) სახელითა და გვარით. ირკვევა, რომ მამაკაცთა გარკვეულად დიდი ნაწილი დვალეთში (ნარაში), XIX ს-ის პირველ ნახევარში ქართველურ (დასავლურ ქართულ) საკუთარ სახელებს ატარებდა. მანამ სანამ ამ სახელებს ჩამოვთვლით, უნდა გავუსწროთ მოვლენებს და დავსვათ კითხვა: რატომ იყო დვალეთში გავრცელებული დასავლურ ქართული საკუთარი სახელები და არა ქრისტიანულ-კანონიზებული ქართული სახელები? (კანონიზებულ ქრისტიანული ქართული სახელები ბოლო დრომდე ნაკლებად იყო გავრცელებული, აგრეთვე, საქართველოს მთელ მთიანეთში და სამეგრელოში. აქ ძირითადად ყველგან იხმარებოდა ძველი ქართული-ქართველური საკუთარი სახელები). ჩვენი აზრით, აღნიშნულის მიზეზი უბრალოდ იყო ის, რომ დვალები დასავლურ ქართულ ტომებთან ახლოს მდგომი ტომი იყო და მათ მიუხედავად იმისა, რომ განიცადეს ოსების მიერ ეთნიკური ასიმილაცია, გაოსება, ყოფაში, ტრადიციის ძალით, შეინარჩუნეს

თავდაპირველი ქართველური სახელები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და რომლებიც დიდი მდგრადობით გამოირჩეოდნენ, სხვათაშორის, ასეთი ქართველური სახელების დვალეთში შემონახულობა იმაზედაც უსვამს ხაზს, რომ აქ ქრისტიანობა მაინცდამაინც ისე მტკიცედ არ იყო შემოსული (როგორც მთიანეთის ყველა სხვა რეგიონში), როგორც ამას ვ. გამრეკელი ფიქრობდა. ქართველურძირიანი არაერთი ოსური გვარიც გვაქვს, რომლებიც, რა თქმა უნდა, დვალეთში ნარმოიქმნენ მათი აქ მოსვლა — მიგრაციის შედეგად.

1814 წლის მოსახლეობის აღწერაში (სცსსა, ფ.254, ან.1, საქ. N 367) სოფ. კულბითში მითითებულია „Нарский Гето Бегелури". ყურადღებას იქცევს ამ ოსი პიროვნების როგორც სახელი, ისე გვარი. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ სოფ. კულბითში გეტო ბელელური ნარადან (დვალეთიდან) არის გადმოსახლებული. ბელელური დვალეთის ერთ-ერთი ძირძველი, ადგილობრივი გვარი იყო. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ გვარი სუფთა ქართულია. მას ძირიც და სუფიქსიც (-ურ) ქართული აქვს. ბელელურის გვარი ნაწარმოებია საქართველოს მთისათვის (მთის გვარებისათვის) მახასიათებელი -ურ ფორმანტით და ფუძედ აქვს მამაკაცის ძველი ქართული სახელი „ბელელა". რაც შეეხება სახელს „გეთო", ეს სახელი ბოლო დრომდე უაღრესად გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. შდრ. აგრეთვე გვარები: გეთია და გეთიაშვილი.

ნარაში (დვალეთში) მკვიდრობდნენ გოგიჩაშვილებიც. გვარს საფუძვლად უდევს დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა პროვინციაში გავრცელებული მამაკაცის სახელი „გოგიჩა", რაც გოგის კნინობითი ფორმაა (შდრ. ხვიჩა, ბაკიჩა, ყაყიჩა...).

ვფიქრობთ, არავითარი კომენტარი არ სჭირდება ისეთ სახელებს, როგორიცაა ტუხია, ბიძინა, ჩინელი, ფრანგა, ბატია. დვალეთის ოსებში გავრცელებული სახელი იყო „ჩიჩო" (შდრ. გვარი „ჩიჩუა"), „ბახა" (შდრ. გვარი „ბახია"), „ხუჭა" (შდრ. გვარი „ხუჭუა"), „დოჩი" (შდრ. გვარი „დოჩია"; გურიასა და აჭარაში „დოჩი" ბოჩოლას, ერთი წლის ან ცოტა ნაკლები ხნის ხბოს, დეკეულს ეწოდებოდა. ქართლში კი „დოჩო" უეშმაკო ადამიანის სინონიმია), „ჯახი" (შდრ. გვარი ჯახია), „ჩოჩი" (შდრ. გვარი „ჩოჩია".) უდავოა, რომ ოსი ჩოჩიევები ძირად დვალები არიან. დვალეთში მცხოვრებ ამ გვარს, სხვა ოსური გვარებისაგან განსხვავებით, არა აქვს გადმოცემა რჩდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან გადმოსახლების შესახებ. როგორც საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა ქართველი ჩოჩიშვილები უფრო ადრე ოქროპირიძის გვარს ატარებდნენ. ქართლში არის ჩოჩაშვილის გვარიც (სოფ. ცხრამუხა), რომელთა თავდაპირველი გვარი, როგორც გადმოცემით, ისე საარქივო მონაცემებით 1859 წ. აღწერა — ქურდაძე ყოფილა (სცსსა, ფ. 254,

ან.2, საქ. N 2332). ქართლში მცხოვრები ჩოჩიშვილების გარკვეული ნაწილი ხევის სოფ. ხურთისიდანაა მიგრირებული, რომელნიც XVIII ს-ის აღწერის დავთარში ჩოჩოურად არიან ჩაწერილი. 1860 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერით ირკვევა, რომ ვანათელი ჩოჩიშვილების ადრინდელი ქართული გვარი ყოფილა მაისურაძე (სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. N244, გვ. 188-204). 1621 წელს სოფელ საჩხეურში ფიქსირებულია ამავე ძირის სხვა გვარიც — ჩოჩივაძე (ქსძ, ტ. III, გვ. 404). გვაქვს აგრეთვე გვარსახელები ჩოჩელი და ჩოჩნიძე. ჩოჩიას, ჩოჩიშვილს, ჩოჩოშვილის, ჩოჩივაძის გვარებს საფუძვლად უდევს ძველი ქართული სახელი „ჩოჩი". ბოლო დრომდე ეს სახელი შემორჩენილი იყო სამეგრელოში. არაერთგზის გვაქვს ეს სახელი (ჩოჩი) ამოწერილი 1904 წლის სამეგრელოს მოსახლეობის აღწერიდან. ჩოჩიშვილების გვარი რომ ერთ-ერთი ძველი ქართული გვარია, ამას ადასტურებს 1031-1033 წწ. საისტორიო საბუთში სოფ. ჩოჩეთის მოხსენიება (ქისკ I, თბ. 1984, გვ.26). სხვათა შორის, ნარას ერთ-ერთ სოფელში ჩოჩიშვილებთან ერთად ცხოვრობდნენ: გოგიჩაშვილები, ჯანაშვილები და ბერიშვილებიც. „ფალი" (შდრ. სვანური გვარი „ფალიანი"). დვალეთის ოსებში გავრცელებულ გვარს „გუჩაშვილს", იგივე გუცაშვილს (გუცაევს) საფუძვლად უდევს ბოლო დრომდე სამეგრელოში გავრცელებული ქალის სახელი „გუჩა" (შდრ. გვარი „გუჩუა"). ამავე ძირისაა მეგრული სახელი „გუძა". ქართლშიც ბოლო დრომდე მეტსახელად გავრცელებული იყო სახელი „გუცა". დვალეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის ოსებში გავრცელებული სახელი იყო „გუგუნა" (ეს იგივე „გუგუაა").გვიან დრომდე მამაკაცის სახელი „გუგუნა" გავრცელებული იყო იმერეთშიც (იხ. ქუთაისის ეპარქიის გლეხთა აღწერა, სცსსა, ფ. 254, ან.I, საქ. N 805) — შდრ. გვარი „გუგუნავა". XIX ს-ის პირველი ნახევრის დვალეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის ოსი მოსახლეობის აღწერიდან არაერთხელ მაქვს ამოწერილი მამაკაცის სახელი „გოჩი" (შდრ. მეგრული სახელი „გოჩა"). აგრეთვე: „გუდუნი" (გავრცელებული სახელი იყო სამეგრელოშიც), „სალა" (შდრ. გვარი „სალია").

ოსურ გვარს „ფილიევს„ ექვივალენტი აქვს ქართულში: ფილია-ფილაური-ფილიშვილი. XIX ს-ის აღწერებიდან ამოწერილი მაქვს ოსური გვარი „ქორთიშვილი" (სოფ. კოშკაში) — შდრ. მეგრული გვარი „ქორთუა".

ნარის (დვალეთის) სოფ. ჯაჩიში ცხოვრობდნენ „ხასიშვილები" (დღევანდელი ხასიევები) — შდრ. მეგრული გვარი „ხასია". ნარაშივე, სოფ. გინათში მკვიდრობდნენ „გუდაშვილები". თერგის ხეობის სოფ. მნაში 1774 წელს „გუდიაურად" ეწერნენ — შდრ. გვარები გუდავა, გუდაძე. მამაკაცის სახელი „გუდა" გვხვდება XV-XVI სს-ის ერთ სვანურ საბუთში (სწძ, I, გვ.275). აქვე მკვიდრობდნენ ქალაშვილებიც.

საქართველოში მცხოვრებ ოსებში გავრცელებული გვარია „კოჩიევი". გვარს საფუძველად უდევს მეგრული სახელი „კოჩი", რაც მამაკაცს ნიშნავს (იგივეა, რაც ქართული „ყოჩი"). ოსებში დამოწმებული გვაქვს კაცის სახელი „კაჩა" (იგივე „კოჩა") – შდრ. გვარები „კაჩია" და „კაშია". გვქონდა გვარი „კოჩაძე". შეიძლება ითქვას, რომ XVI-XVII სს-ის სამეგრელოში მამაკაცის სახელებს შორის „კოჩი" და მისგან შედგენილი სახელები ყველაზე გავრცელებული იყო. შეიძლება დავასახელოთ: „კოჩა", „კოჩია", „კოჩილე", „კოჩილუა", „კოჩიარა", „კოჩიორე", „კოჩილა", „კოჩილეი", „უჩაკოჩი", „ქეკოჩაი", „ჯგეკოჩაი", „კაკაკოჩი", „ვაკეკოჩი", „ჯგერეკოჩი", „ბაბაკოჩი", „წინწიაკოჩი", „წინაკოჩი" (ქართული სამართლის ჩეგლები, ტ.III). XIII ს-ის სვანეთის სულთა მატიანეში რამდენიმე გზის ფიქსირებულია გვარი „კოჩიანი" (პ. ინგოროყვა, გვ. 130, 133, 138,140).

ნარელი ოსები XIX ს-ის დასაწყისში ატარებდნენ, აგრეთვე, სახელებს: „თავქანა" (თავქალა?), „ბაბა", „გოჩა", „კოჩი", „ტალაბა", „ჩაბა" (შდრ. გვარი „ჩაბაკური. „ჩაბა" იგივეა, რაც „ჭაბა". აქედანაა გვარი ჭაბაშვილი), „კუდი", „ტილა", „გუდა".

ოსური გვარი ხაბელოვი ქართული გვარისაგან (ხაბელაშვილი) მომდინარეობს. ბოლო დრომდე ამ გვარის ფუძესახელი (ხაბელა, ხაბა) გავრცელებული იყო, როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. სახელი „ხაბა" გეხვდება XIV ს-ის ერთ სვანურ საბუთში (სვანეთის ნერილობითი ძეგლები, I, თბ. 1986, გვ.152). შიდა ქართლში მცხოვრები ხაბარელებიც ძირად დვალები არიან.

თრუსოს სოფ. შევარდენის XIX ს-ის აღნერის დავთარში გეხვდება მამაკაცის სახელი „უძილა" (254-I-1255, გვ.130); აქვე სოფ. ოქრო-ყანაში — „კიტრია". თრუსოს სოფ.ბურმასიკში დასახელებულია გვარი „Таваск", რომელიც, რა თქმა უნდა, ქართული სახელიდან („თაკა") მომდინარეობს. აქვე გავრცელებული სახელები იყო: „რუხია", „შავქალა", „ხარა" (ქალისა), „გაბა" (კაცისა) - -შდრ. სვანური გვარი „გაბიანი". არის ოსური გვარიც „გაბიევი".

დვალეთში ყაბარდოდან მოსულ ხეთაგს ჰყოლია შვილი ჯარჯი. ჯარჯის შვილებს კი რქმევიათ „მამია" და „მამი". პირველის ოთხი ვაჟიდან ორი „ჯანა" -სა და „გოცი"-ს სახელებს ატარებდა. ხეთაგის შთამომავალთა შორის ასახელებენ, აგრეთვე, „ძუ"-ს (შდრ. „ძუკუ") (იხ. Б.А. Калоев, Происхождение некоторых осетинских фамилий по народным преданиям). კალოევისავე მონაცემებით, დვალეთის ზახას ხეობის თავდაპირველი მკვიდრნი იყვნენ კესაევები, რომლებიც, როგორც ჩანს, ყესაურები (იგივე ქესაურები) უნდა ყოფილიყვნენ. დვალეთიდან მიგრირებული ქესაურების რამდენიმე ოჯახი ახლა შიდა ქართლში მოსახლეობს. ქესაურების შთამომავალი

(უფროსი შვილი) ყოფილა „ხერხა", რომლის მთამომავალნი ყოფილან ქართველი თავადები ხერხაულიძეები, ამ გვარის თავდაპირველი ფორმა კი ხერხაული ყოფილა. ჩანს, გვიან დაემატა - ძე. კალოევის მოტანილი ეს ეთნოგრაფიული მასალა იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა დვალეთში ქართული ანთროპონიმების პრიორეტულობა. ოსი თავის შვილს „ხერხა„-ს რიდი დაარქმევდა.

1860 წლის აღწერაში შიდა ქართლის მთიანეთის ოსური მოსახლეობის აღნერაში დამოწმებული გვაქვს სახელი „გულა" (254-2-237). შდრ. გვარები „გულია", „გულუა", „გულიაშვილი". სახელი „გულა" გავრცელებული იყო სამეგრელოში და სვანეთში (სწძ, I, გ .197).

დიდი ლიახვის ხეობის სოფ. ტონტობეთში მკვიდრობდა გერგაულების გვარი, რომლებიც გვიან გერგაულოვებად იქცნენ. ისინიც ძირად დვალები არიან. გვარი ნანარმოებია ქართული სუფიქსით (-ულ) და საფუძვლად უდევს ასევე ბოლო დრომდე სამეგრელოში გავრცელებული სახელი „გერგა", „გერგო". სვანურ საისტორიო საბუთებში გვხვდება: „გერგილედა" (ჰ. ინგორიყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ.2, თბ., 1941, გვ.149). სვანეთშივეა დადასტურებული „გერგილ", სამეგრელოში — გერგეგე, გერგეზ, გერგობე, გერგოია (ალ.ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ.100). ამავე ძირისაა გვარები „გერგაია", „გერგედავა".

შესადარებლად კიდევ შეგვიძლია მოვიტანოთ: „ჯახა" (ოსური სახელი) და მეგრული გვარი „ჯახია", „ბება" (საქართველოში მცხოვრებ ოსებში გავრცელებული) და გვარი ბებია; „ხარება" (დვალეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის ოსებში გავრცელებული მამაკაცის სახელი) და გვარები „ხარებავა" და „ხარებაშვილი". „ყანჩავა" (ასევე საქართველოში მცხოვრებ ოსებში XIX ს-ში დადასტურებული) და გვარი „ყალიჩავა"; სახელი „თელა" და სამეგრელოში გავრცელებული გვარი „თელია". „გაგუჩა". (XIX ს-ის აღწერის დავთრიდან ამონერილი) —შდრ. „ხვიჩა", „გოჩა"... ოსური სახელი „გაბიჩა" და გვარი „გაბიჩვაძე", „გილა" (ბოლო დროს ოსებში გავრცელებული სახელი) და ქართული გვარები: გილაური და გილაშვილი; „გუგუნა" (ოსური სახელი) და მეგრული გვარი „გუგუნავა"; „ქუცირა" (ოსური სახელი) — შდრ. „ქუცური" (მთიულეში); „კანკო" (ოსური სახელი) — შდრ. გვარი „კანკავა"; გაბილა (ოსური სახელი) - შდრ. მეგრული გვარი „გაბელია", „გაბილა" ოსებს დვალებისაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. მამაკაცის სახელი „გაბელა" — გვხვდება „მატიანე სვანეთისა კრებისა" -ში (ჰ.ინგოროყვა, დას. წიგნი, გვ. 127). „გაბილ" ბოლო დრომდე სვანეთში იყო გავრცელებული. ამავე ძირისაა კაბისოვი („კაბისაშვილი"), რომელსაც საფუძვლად უდევს სვანეთსა და ხევსურეთში

გავრცელებული სახელები „გაბისა“, „გაბისუ“ შდრ. მეგრული გვარი „გაბისონია“. საქართველოში მცხოვრებ ოსებს შორის გავრცელებული სახელი იყო „ტიბა“. სახელი „ტიბო“ დასტურდება 1774 წლის მთიულეთის სოფელ ზაქათ კარის აღწერაში (ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII ს-ში, თბ., 1907, გვ. 439) შდრ. მეგრული გვარი „ტიბუა“.

ოსური გვარები შავლოხოვი და ლოხოვი ქართული ენით იხსნებიან. „შავ + ლოხა“ ორი ძირისაგან შედგება (შდრ. „შავ+ხალა“).

კიდევ შეიძლება დავასახელოთ: ოსური სახელი „ჩეჩი“ და გვარი „ჩეჩია“. ოსებში გავრცელებული სახელი იყო „კოკუცა“ შდრ. იმერეთში გავრცელებული სახელი „კაკიჩა“; ოსებში გავრცელებული სახელი „გუგუნა“ — შდრ. გუგუნავა. „გუგუნა„ ერთ-ერთი ძველი ქართული სახელია. ის გვხვდება „ტრეთის სულთა მატიანეში“.

სამეგრელოში გავრცელებული სახელი იყო „დუდა“, რაც მეგრულად „თავს“ ნიშნავს. იგივე სახელი ფართოდ იყო გავრცელებული XIII ს-ის სვანეთში (პ.ინგოროყვა, გვ. 119,120). საკუთარი სახელიდან მოდის მეგრული გვარი „დუდუჩავა“. მას ფუძედ აქვს „დუდუჩა“, რაც თავშავას ნიშნავს. ამავე ძირისაა ოსური გვარი დუდაევი. გვაქვს ქართული გვარიც დუდაური.

ახლა შეეადაროთ ქართული და ოსური გვარები: ცანავა — ცანაევი; შანიძე — შანაევი; კუცია — კუცაევი; ზანგური — ზანგიევი; ბუტაური — ბუტაევი (საფუძვლად უდევს ასევე კოლხეთში გავრცელებული სახელი „ბუტა“); სოხაძე — სოხიევი; გაბისიანი და გაბისონია — გაბისოვი.

ახლა კვლავ ჩამოვთვლით იმ სახელებს, რომლებიც დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში განსახლებულ ოსებში იყო გავრცელებული და რომლებიც ამოწერილი გვაქვს XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან: „ლაჩა“ (გვაქვს ქართული გვარი „ლაჩაშვილი“); „ხოგა“ (გავიხსენოთ „ხოგაის მინდი“); „გეგო“ (გვაქვს გვარი „გეგია“); „წულუკა“ (სოფ.ერტულში)— შდრ. წულუკიძე და წულუკიანი: „ბიგა“ — გვარი „ბიგვა“; „კუტე“ (გვაქვს მეგრული გვარი „კუტალია“); „ტაბა“ (შდრ. გვარი „ტაბალუა“); 1904 წ. აღწერით ზემო იმერეთის სოფ. წევაში აზნაურს თავზარაშვილს სახელად ერქვა „ტაბა“ („თაბა“). ოსური სახელი „ხაჟი“ (გვაქვს მეგრული გვარი „ხაჟალია“); სახელი „ნასრა-გვარი „ნარსია“;სახელი „ჩიჩო“-მეგრული გვარი „ჩიჩუა„; სახელი „კიტო“ -შდრ. გვარი „კიტია“, „ჩაჩი“ — შდრ. გვარი „ჩაჩიბაია“; „ხუბუა“ (შდრ. გვარი „ხუბულავა“); ოსური სახელი „კუცი“ — შდრ. გვარი „კუცია“. ოსებში გავრცელებული სახელი „თუთუ“ „თუთა“ და გვარი „თუთუსანი“. ცნობილია, რომ მეგრულად „თუთა“ მთვარეს ნიშნავს. სოფ. ძოციანთკარში დამოწმებული გვაქვს

სახელი „ძალორა“ — შდრ. „ჯოლორი“. გვაქვს ოსური გვარი „ბიტიევი“, ქართული გვარი „ბიტიაშვილი“. „ბიტი“, „ბიტა“, „ბიტუ“ არაერთგზის გვაქვს ამოწერილი 1904 წლის სამეგრელოსა და სვანეთის აღწერებიდან. დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, ლეჩხუმი, სვანეთი, სამეგრელო) ფართოდ გავრცელებული სახელი იყო „ბეკო“ — შდრ. ოსური გვარი „ბეკოევი“. არის ოსური გვარი „თაბუევი“ და ქართული გვარი „თაბუაშვილი“. ამ გვარების ფუძესაც ერთ-ერთი ძველი ქართველური სახელი „თაბუ“, „თაბა“ წარმოადგენს. მამაკაცის სახელი არაერთგზისაა ნახსენები XIII ს-ის სვანეთის კრების მატიანეში (ბ. ინგოროყვა, გვ. 131, 145). თაბუევები (თაბუაშვილები) წარმომავლობით უდავოდ დვალები არიან. მათი ადრინდელი გვარი იყო თაბაური. საქართველოს ისტორიაში ცნობილია ლარგვისის მონასტრის მოღვაწე „გიორგი თაბაური“ (XIV ს. მეორე ნახევარი) — იხ.შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, მსკის, ნაკ. 30, თბ., 1954, გვ.317 სვანეთშივე გავრცელებული სახელი იყო „ბაჩირ“, „ხამიჯ“, „ხუბილ“ (სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986, გვ.134, 214, 280). შეიძლება გავიხსენოთ ოსური გვარები „ბაჩირაშვილი“, „ხუბულაშვილი“, „ხამიცაშვილი“. ამ უკანასკნელი გვარის ძველური წარმომავლობის შესახებ მასალა ბ. კალიუჟნაც მოეპოვება.

სვანური სახელი „გუჯა“ გავრცელებული იყო ოსებშიც. აქვე შეიძლებოდა გაგვეხსენებინა კიდევ ერთი სახელი: „ბიჩინა“. 1904 წლის აღწერაში ეს სახელი დადასტურებული გვაქვს: ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში. არსებობს ოსური გვარი „ბიჩენოვი“, ქართულიც — „ბიჩინაშვილი“. 1904 წლის დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების აღწერებიდან შეიძლება ჩამოგვეთვალა შემდეგი სახელები: გულა, გოგიჩა, ხასი, კუდო, ხაბია, კოზა (ქოზა) — გურიაში (შდრ. ოსური გვარი ქოზაშვილი), კოჩა, ბუტუ, ბოგოზა (შდრ. ბეგიზოვი, გობოზაშვილი), ჩიჩი, დუდა, გერგო, გუდა, ფილუ (შდრ. ფილიევი და ფილია). აღარაფერს ვამბობთ ისეთ გვარებზე, როგორებიცაა მელაძე, შიუკაშვილი,ბედიშვილი, ბაგაური, ხარებაშვილი, თიბილაშვილი, (დ)ვალიშვილი, გურნიშვილი (შდრ. სვანური გვარი „გურჩიანი“), რომლებსაც აშკარად ქართველური წარმომავლობა აქვთ.

შეიძლება კიდევ შევადაროთ: კაჯაევი და ქაჯაია, კვეზეროვი და კვეზერელი, მარგიევი და მარგიშვილი, მარგიანი, მარლანია, მარლია, კესაევი და ქესაური (დვალური ძირძველი გვარია).

* * *

დვალეთში, ქვემო ზარაგმას მოპირდაპირე მხარეს (ნ) არდონის მარჯვენა მხარეს ყოფილა ბიგულოევების სოფ. ტობორზა (Б.А. Калоев, Осетины, М., 1972, с.54). შენიშვნებში ბ. კალოევი

აღნიშნავს, რომ სახელწოდება „ტობორზა“ უნგრულად „ცეკვას“ („пляска“) ნიშნავს და ვ. აბაევის აზრით ის ნასესხებია ალანების მიერ უნგრელებისაგან და შემოტანილია ცენტრალური ოსეთის მთიანეთში შუა საუკუნეებში.

აქ მხოლოდ ერთი რამაა საგულისყურო: ოსების ცენტრალური კავკასიის მთიანეთში შუა საუკუნეებში შემოსვლა. ტოპონიმის ასეთი **გულუბრყველო** ახსნა კი წარმოუდგენელია. ჯერ ერთი, „ცეკვის“ აღსანიშნავად უნგრული სიტყვა „ტობორზა“ ოსურ ენაში უნდა შესულიყო. მეორეც, გასარკვევია ასეთი ტოპონიმები („ცეკვა“, „სიმღერა“, „ბუქნა“, „სირბილი“...) თუ არსებობს საერთოდ მსოფლიოში და კერძოდ ოსურ და უნგრულ სამყაროში. სად უნდა ესესხათ ოსებს უნგრელებისაგან აღნიშნული სიტყვა? სად უნდა მომხდარიყო უნგრულ-ალანური ენობრივი კონტაქტები? ისტორიაში მხოლოდ ერთი რამაა ცნობილი, რომ მონგოლთა შემოსევების დროს ჩრდილოეთ კავკასიის ველებში მცხოვრები ალანების ერთი, გადარჩენილი ნაწილი, 1238 წ. პოლოვცებთან (ყივჩაყებთან) ერთად, დასავლეთის მიმართულებით დაიძრა და იქ მადიარებს შეერია. ისინი, რომლებიც იწოდებოდნენ იაზიგებად (იაზოკებად) ასიმილირებულ იქნენ უნგრელების მიერ. სხვა შემთხვევაში ამ ორ, სრულიად სხვადასხვა ხალხს კონტაქტები არ ჰქონია.

რაც შეეხება ტოპონიმ „ტობორზას“ ის ქართველური ტოპონიმია. ამ ძირზე ტოპონიმები საქართველოში არაერთი გვხვდება. ძირია „ტობ“, რაც ტბას ნიშნავს. ქართველ ენათმეცნიერთა ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ „ტბა\ტბა“-ს ფორმის ზუსტი მეგრულ-ჭანური შესატყვისია **„ტობა-ტობო“**. ამას გარდა, მეგრულ-ჭანურში მას „ღრმა“-ს მნიშვნელობაც აქვს (ბ.ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993, გვ.107-124). სოფ. ტობა იყო სამცხეში. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ეს სოფელი აღარ ფიგურირებს, მაგრამ ფიგურირებდა 1926 წელს და შედიოდა მინაძის სასოფლო საბჭოში. ამ დროისათვის მასში მკვიდრობდა 100 ქართველი და 123 მაჰმადიანი (ქართველი). 1886 წ. კი სოფელი ახალციხის მაზრის ურავლის საზოგადოებაში შედიოდა. სოფ. ტობა ნახსენებია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიც“, წ. I, თბ., 1941, გვ.12. ამავე ძირზე ტოპონიმები არის სვანეთსა და იმერეთშიც. მესტიის რაიონში არის სოფ. „ტობარი“, ხოლო ვანის რაიონში — „ტობანიერი“. ტოპონიმი „ტობახჩა„ ყოფილა გურიაშიც (ბ.ჯორბენაძე, დასახ. წიგნი, გვ.112).

ამდენად, დვალეთის სოფ. „ტობორზა“ სუფთა ქართული ტოპონიმია. ის შეიძლება ასე დაიშალოს: ტობ-ორ-ზა. თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ტობარ-ზა. „არ“ ქართველური მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსია. ისიც აღსანიშნავია, რომ „ტობ“

გურულ კილოში თევზია, თევზების გროვაა, გაზაფხულზე ქვირითის დასაყრელად რომ მოგზაურობს (ა. ღლონტი).

დვალეთში ქართულ-ქართველური ტოპონიმებიც სხვა არაერთია. შეიძლება პირველ რიგში, დვალეთის 6 ხეობიდან ერთ-ერთი „ჟღელე" დავასახელოთ. „ჟღელე" იგივე „ღელეა" („ღელე — დავარდნილი ადგილი მინდორზედ ან მთათა შორის; Лобжина,низменность — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984). ცნობილია, რომ არაერთ ქართულ ტოპონიმს, დროთა განმავლობაში, თავკიდური თანხმოვანი დაკარგული აქვს. მაგალითად, იგოეთი თავდაპირველად „ნიგოეთი" უნდა ყოფილიყო. სრულიად დასაშვებია ამ ჰიდრონიმის „ჟღალი"-დან წარმოქმნაც. „ჟღალი" ხომ შავ-მონითალო ფერია.

რამდენიმე ქართული ტოპონიმი დააფიქსირა დვალეთში მ. სანაყოთმა. ის, მაგალითად, ზრამაგის ხეობაში (სოფ. ზრამაგაში) უთითებს ხრამის სახელწოდებას „ღორლიანი". გამოყოფს „ღორლი" („YORY") ძირს და სუფიქს (-ან) (იხ. მ. სანაყოთი, ჩრდილოეთ ოსეთის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ, „ონომასტიკა", I, თბ., 1987, გვ.155).

დვალეთისავე სოფ.თიბესთან (აქედანაა გვარი თიბილაშვილი თიბელაშვილი)მ. სანაყოთს დაუდასტურებია საძოვრის სახელწოდება „ნალორა", რომელშიც „ნა" პრეფიქსია და „ღორ" ფუძეა, რაც იგივე „ღვარს" ნიშნავს (გვ. 155). სხვათა შორის მთიულეთში არის ტოპონიმი „ნალორევი".

მ. სანაყოთს ქართული ტოპონიმები დვალეთის გარეთაც, დიგორსა და ალაგირის ხეობაშიც დაუდასტურებია. დიგორში ასეთი ჰიდრონიმი ყოფილა „პერანიდონი", „პერანი" ძველ ქართულსა და ზოგიერთ მთის დიალექტში ნიშნავს „ქაფს". მასში გამოიყოფა „პერ"-ძირი და „ან" სუფიქსი. „პერანი დონ" „ქაფიან მდინარეს" ნიშნავს (გვ. 155).

რადგან დვალეთის სოფ. ტობორზაში ცხოვრობდნენ ბიგულოვები, რომლებიც ბ. კალოევის მასალებით, აქ დახვედრიან XY-XYI სს-ში მოსულ ალან-ოსურ მოსახლეობას, შევეხოთ ამ გვარსაც. „ბიგა", „ბიგე", „ბიგუ", „ბიგო" მამაკაცის ძველი ქართული სახელია. „ბიგა" მამაკაცის სახელად თუშეთში დადასტურებული აქვს გ. ცოცანიძეს. „ბიგო" გავრცელებული სახელი იყო სვანეთში (ა.ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986). სამეგრელოში გვაქვს გვარი, „ბიგ-ვა". (მეგრულად „ბიგა" ჯოხს, კეტს ერქვა). ხევსურულ დიალექტში „ბიგა" ზოგადად პატარას სინონიმია. იმავე ძირისაა ოსური გვარი „ბიგ-ულ-აევი". ამ გვარში „ბიგ" ძირთან ერთად გამოიყოფა ქართული სუფიქსი — ულ. ბიგულაევები ოსთა დვალეთში მოსვლამდე და გაოსებამდე, რა თქმა უნდა, ბიგ-ულ-ები (ბიგული) იყვნენ. დღევანდელ ოსურ გვარებში ამავე ძირზე სხვა გვარიც

(ბიგანიშვილი) გამოიყოფა, რომელსაც ასევე უდავოდ ქართველური წარმოშობა აქვს. ამ შემთხვევაში ბიგ-ფუძეს ერთვის სუფიქსი -ან. ეს სუფიქსი ხომ ქართული (სვანური) გვარების ერთ-ერთი მაწარმოებელია (შდრ. გიგ-ანი, ფილფ-ანი, ნაკ-ანი, გადრ-ანი, ფანგ-ანი, უშხვ-ანი...) ასე, რომ ბიგანიშვილის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ბიგანი. ეს გვარიც წარმოშობით ქართველურ ეთნიკურ სამყაროს უკავშირდება. როგორც ბიგულოვები, ასევე ბიგანიშვილები წარმომავლობით დვალები არიან. (სხვათაშორის, ასევე ქართული (სვანური) წარმოშობა აქვს **მარშანიას** აფხაზურ გვარსაც, რომელშიც ორმაგი ქართული სუფიქსი (-ან + -ია) გამოიყოფა. გვარსახელის ფუძეა „მარშ". გვარსახელის თავდაპირველი ფორმა იყო „მარშანი", რომელსაც გვიან დაემატა მეგრული გვარების მაწარმოებელი სუფიქსი -ია. საყურადღებოა, რომ ანთროპონიმი „მარშვანი" (აგრეთვე მარუშანი) არაერთგზის გვხვდება XIII -XIV სს-ის სვანურ საისტორიო საბუთებში (პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941, გვ. 127-133, 129). იგივე შეიძლება ითქვას არაერთ სხვა ქართულ გვარზეც. შეიძლება დავასახელოთ: ძაგანია, მალანია, ფარცვანია, დარსანია, ჯალალანია, ბელქანია, სასანია, ჟორდანია, დარჯანია, მარლანია, ვახანია...).

- კიდევ შემოგთავაზებთ იმ სახელებს, რომლებიც დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსების XIX ს-ის კამერალური აღწერის დავთრებიდან გვაქვს ამოწერილი. არის ოსური გვარი „ბეროვი". გვარს საფუძვლად უდევს მთელს საქართველოში ისტორიულად ყველაზე პოპულარული მამაკაცის სახელი „ბერო". გვაქვს ამ ფუძე სახელიდან ქართული გვარები: ბერაია, ბერიაშვილი, ბეროშვილი, ბერაძე, ბერიძე. აღწერის დავთრებში ოსურ სახელთა შორის გვხვდება სახელი „ტულა" (ანუ „თულა"). შდრ. ქართული გვარები თულიანი და თულაშვილი. ნარელ ოსებში ფიქსირებული გვაქვს სახელი „ქორქა" —შდრ. გვარები ქორქია და ქორქაშვილი. აქვე შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს სამეგრელოში გავრცელებული გვარი „კოკაია„ და ოსური გვარი „ქოქოევი". ამ გვარებს ერთიდაიგივე ფუძე აქვთ. გვაქვს ქართული გვარი ჯახია და ოსური ჯახიევი.

საქართველოში მცხოვრებ ოსებს შორის ფიქსირებული გვაქვს სახელი „გაჩა". სახელი „გაჩი" ბოლო დრომდე გავრცელებული იყო სამეგრელოში. სახელი „გაჩიოს„ ერქვა ქართველთა ლეგენდარული წინაპრის ქართლოსის ხუთი ვაჟიდან ერთ-ერთს. „ქც"-ში ვკითხულობთ: „ხოლო· შვილთაშორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორეს გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხეს კუხოს, მეხუთესა გაჩიოს" (ქც,I, გვ. 8). ამ ფუძესახელზე გვაქვს ქართული გვარი „გაჩავა". 1798 წლის ერთ-ერთ საისტორიო საბუთში შიდა ქართლის მთიანეთში დასახელებულია

ოსი კუტი სლანაშვილი (История Осетии в документах и материалах. Составители: Г.Тогошвили и И. Цховребов, Цхинвали, 1962, с.191. სცსსა ფ.1448. საბ.9738). ვფიქრობთ, არავისათვის ეჭვს არ უნდა ინვევდეს ის, რომ „კუტი" ქართული სახელია, რაც ადამიანის განსაკუთრებით ფიზიკური მდგომარეობას ასახავს. მეტსახელი „კუტი" ბოლო დრომდე სამეგრელოშიც იყო გავრცელებული (ალ. ღლონტი, გვ.150). ვინმე „კუტა ადამია" ნახსენებია XVII ს-ის „მათხოჯის დავთარში" (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I , ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ.438). 1821 წ. გარე კახეთის სოფ. პატარძეულის აღწერაში შეტანილია „კუტა ონაშვილი" (სცსსა, ფ. 254, ნ.I, საქ. N687). ეს სახელი უდევს საფუძვლად ქართულ გვარებს „კუტალია"-ს და „კუტივაძე"-ს. XVIII ერთ საბუთში პატარა ლიახვის ხეობის მთიან ნაწილში (ჟვრიეში) დასახელებულია ოსი „თორიაშვილის„ გვარი (История... გვ.241). შდრ. ქართული გვარი „თორია" და ტოპონიმი „თორი" ბორჯომის ხეობაში. დვალეთის ოსთა შორის გავრცელებული სახელი იყო, აგრეთვე, „ახლაუ" (იგივე „ახალა"), „ბატა", „ტუჩი", „ბოხი"(„ბახი"-ს სახეზაცვალი ფორმა) — შდრ. ქართული გვარი „ბოხუა", „მაცი", „ბძი" (იგივე „ბიძია"), „ხელა", „ციკა" (იგივე „ჭინკა"), „შონა" (შდრ. გვარი „შონაია" და „შონია"). მეგრულად „შონ" „სვანს" აღნიშნავს. კიდევ შეიძლება დავასახელოთ სახელები: „ბუზალა" (ასეთი სახელი ამოწერილი გვაქვს სოფ. გუფთის აღწერიდან) — შდრ. ქართული გვარი „ბუზალაძე", „ბარცვა" (შდრ. გვარი „ბორცვაძე"). არის ოსური გვარი „მალიევი" და ქართული „მალია" და „მალასიძე"; „გეგიევი" და „გეგია"; „კუჩიევი" და „კუჭავა". გვაქვს კიდევ ოსური გვარები „ეფხიევი" (ნარაში), რომლებსაც (ეფხიაშვილებს) ქართველ მეფეთა მიერ აზნაურის წოდება ჰქონდათ მინიჭებული; „კოპაევი" და „ზანაევი".

ზემოთ მოტანილი მაგალითები, რა თქმა უნდა, არასრულია, თუმცა ბევრის მეტყველი, რაც საყურადღებო დასკვნის საშუალებას იძლევა. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველა სახელისა და გვარის ფუძე თავისი ნარმომავლობით ქართულ-ქართველურია. მაგრამ ფაქტია, რომ უმეტესობა ქართველურია, რომლებიც ბოლო დრომდე ყოფაში იყო შემორჩენილი, უმეტესად დასავლეთ საქართველოში. ისინი პარალელურად იხმარებოდა კანონიზებულ ქრისტიანულ ქართულ სახელებთან ერთად. ბევრმა მათგანმა აღმოსავლეთ საქართველოში შემოინახა თავი მეტსახელების სახით. სახელთა ერთი ერიდან მეორე ერში ასეთი რაოდენობით სესხების გზით გავრცელება წარმოუდგენელია. რჩება ერთადერთი გზა. დვალეთში მიგრირებულმა ოსებმა ეს სახელები შეითვისეს დამხვდური დვალური ტომისაგან.

მარცხალია, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში დვალებმა დაკარგეს თავისი ეთნოსისათვის მახასიათებელი ბევრი ნიშან-თვისება, ფაქტიურად ისინი გაოსდნენ, მაგრამ გაოსებულმა დვალებმა შეინარჩუნეს და მამიდან შვილზე გადასცეს საკუთარი სახელების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც აქ მიგრირებულმა ოსებმაც შეითვისეს. **ზემოთ მოტანილი არაერთი მაგალითი კი გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ დვალები ქართველური ტომი იყო. ისინი უფრო მეტ სიახლოვეს იჩენენ ზანებთან. თუმცა შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დვალები ზანების უშუალო და პირდაპირ ასლს წარმოადგენდნენ. დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ფიქსირებული რამდენიმე ტოპონიმი სვანური ენის საშუალებით იხსნება.**

სხვათა შორის, ოსურისა და მეგრულ-სვანურის კონტაქტებისა და ურთიერთგავლენის შესახებ შენიშნული აქვთ ენათმეცნიერებს, კერძოდ, ვ. აბაევს. მას მეგრულისა და ალანურის ასეთი კონტაქტების ხანად მიაჩნდა XIV ს-მდე პერიოდი (В.Абаев, Осетинский язык и фольклор. М., 1949, с.323-330). ბ.კალოევის სიტყვებით, ოსურისა და სვანურის ურთიერთგავლენა ვ. აბაევს შეუნიშნავს სვანეთში 1944 წელს მოგზაურობის დროს (Б.Калоев, Осетины, с.29). ორივე მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ ოსებმა სვანებისაგან შეითვისეა კავკასიური ოცობით თვლაო. ჩვენი აზრით, ქართველური ენებისა და ოსური ენის ურთიერთკონტაქტები და ქართველური ენების გავლენა ოსურ ენაზე დვალეთში უნდა მომხდარიყო და არა საქართველოს სხვა რომელიმე რეგიონში (მაგალითად, კოდორის ხეობაში), როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს და არა XIV ს-მდე პერიოდში. პირიქით, ეს გავლენა XVI ს-ის შემდეგ პერიოდში მოხდა, როცა ოსური ტომისანი დვალეთში შემოსახლდნენ. ცენტრალური კავკასიონის ამ ქართველურ რეგიონში (დვალეთში) შემოსულმა ოსურმა ეთნიკურმა ელემენტმა ბევრი რამ შეითვისა დვალური ენიდან. დვალები კი დასავლურ ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო. ოსურს ასევე კონტაქტები უნდა ჰქონოდა სვანურთან მთიანი რაჭის მეშვეობით. მთიანი რაჭა კი, როგორც ცნობილია, XV ს-მდე სვანებით იყო დასახლებული. გლოლა-ჭიორა-ღები კი უშუალოდ დაკავშირებულია დვალეთის ჟღელეს ხეობასთან. ასეთი კონტაქტები მთიან რაჭას დიგორთაგანც ჰქონდა.

ქართველური ენების, ქართული კულტურულ-ენობრივი სამყაროს კონტაქტები და გავლენა ოსურზე სხვა მხრივაც ჩანს. მხედველობაში გვაქვს რომ ისტორიული დვალეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების (რომლებიც აქ დვალეთის გზით იყვნენ მოსული) გვართა ფორმატები ქართულია. დვალეთში ხეთაგურების წინაპრის გადმოსახლება მოხდა ყაბარდოდან XVI-XVII ს-ის მიჯნაზე.

აქ მოსული ხეთაგის შთამომავალნი გვარს იფორმებენ საქართველოს მთისათვის დამახასიათებელი -ურ სუფიქსით. ამ შემთხვევაში შორიდან ქართულ გავლენაზე ლაპარაკი გაუმართლებელია. გვარი ქართველ მთიელთა გვარებისათვის დამახასიათებელ -ურ სუფიქსით იმიტომ გაფორმდა, რომ გადმოსახლება მოხდა დვალეთში, ქართულ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში. აშკარაა, რომ ხეთაგის გადმოსახლებისა და ხეთაგურის გვარის წარმოქმნის დროს, XVI-XVII სს-თა მიჯნაზე, დვალეთში კვლავ იყო ადგილობრივი ქართველური (დვალური) მოსახლეობა. ზემოთ ჩვენ -ურ სუფიქსიანი რამდენიმე დვალური წარმოშობის ოსური გვარი დავასახელეთ. შეიძლება გავიხსენოთ: ბაგაური, ბელელური, გერგაული, თვაური... -ძე-ზე დაბოლოვებული გვარებიდან მელაძე, ელბაქიძე ... მიიჩნევენ, რომ ოსური გვარების მაწარმოებელი სუფიქსია „-თ", მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სუფიქსი ოსებს ქართველთაგან აქვთ შეთვისებული. ქართულ ლინგვისტურ და საისტორიო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ქართული გვარების ყველაზე უძველესი მაწარმოებელი არის ეს სუფიქსი. ძველ ქართულ საისტორიო საბუთებში -თ სუფიქსიანი გვარების შესახებ მიუთითეს მ. ბროსემ, ს.ჯანაშიამ და ვ. თოფურიამ. აქ დავასახელებ პროფ. ვარლამ დონდუას ნაშრომს (იხ. მისი „საისტორიო ძიებანი", თბ., 1967, გვ. 101-140). „ტბეთის სულთა მატიანეში" „-თ" სუფიქსით ნაწარმოები არაერთი გვარი გვხვდება: ბედინათი, ბეჩიეთი, ბრევაეთი, გათენიეთი, დოლიეთი, თაგხელეთი, მორჩიეთი, ტურიეთი, ცხადიეთი...). „-თ" სუფიქსით გვარების წარმოება საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში დღესაცაა შემორჩენილი ოფიციალური — „შვილი" სუფიქსის ნაცვლად. მაგალითად, ხევში ნაცვლად ქუშაშვილისა, ქავთარაშვილისა, ჯამარჯიშვილისა, ბულაშვილისა იტყვიან: ქუშეთი, ქავთარეთი, ჯამარჯეთი, ბულეთი... სამცხე-ჯავახეთში ოფიციალური თამარაშვილის ნაცვლად ხალხურ მეტყველებაში ხმარობენ თამარათს, გოზალიშვილის ნაცვლად-გოზალეთი. 1886 წ. საოჯახო სიებში ქ. ახალციხეში პეტრეშვილები ჩაწერილი არიან -თ სუფიქსით (პეტრეთი), გულიჯანაშვილები — გულიჯანათად. ფშაველი ფეტვიაშვილის, ტვირთაშვილის, ფოთოლაშვილის ნაცვლად იტყვის: ფეტვიათი, ტვირთათი, ფოთოლათი. ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობის კვალი საკმაოდ ღრმად მიდის.

„-თ" სუფიქსის (ოსური გვარების ამ ფორმანტის) არაოსურების შესახებ თვით ოსი ავტორები უთითებენ. ზ. ვანეევის გამოკვლევით აღნიშნული სუფიქსი ოსურ გვარებში შედარებით ახალია. უფრო ადრინდელ სუფიქსებად მას მიაჩნია -ონ, -ან, -ენ ფორმატები. ის წერს: „Сохранилась и древняя форма окончания родового имени -он, -ан, -ен, которая поныне употребляется в отношении женщин (Хубул оы, Цху' рбиан, Гаглуен" - З.Н.

Ванеев, Из истории родового быта в Юго-Осетии, Тб., 1955, с.51). ზ.ვანეევი აგრძელებს: „В прежние времена это родовое название с окончанием он, ан, ен несомненно было общим для мужчин и женщин, о чем свидетельствуют древние родовые названия — Сидамон, Царезон, Кусагон и др.“ (იქვე, გვ.15).

გვარების მაწარმოებელი ეს სუფიქსებიც (-ონ, -ან, -ენ) ოსებს ქართველური სამყაროდან ჰქონდათ შეთვისებული, უფრო სწორედ, დვალებისაგან შეთვისებული. აღნიშნული სუფიქსები ხომ წამყვანი სუფიქსები იყო დასავლურ ქართული ენობრივი (სვანური, მეგრული) სამყაროსათვის. სვანური და მეგრული გვარების აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ამ ფორმატებითაა ნაწარმოები.

დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთშიც ტოპონიმების გარკვეული ნაწილი დასავლურ ქართულია. ისინი ქართველური ენების (მეგრული და სვანური ენების) საშუალებით იხსნებიან. დვალეთში ქართველური ტოპონიმებიდან შეიძლება დავასახელოთ: „ხალანა“ (მთა) — შდრ. სოფლის სახელი „ხალაწანი“ კახეთში, პანკისის ხეობაში; კამჩხუ, ცაგრითში, ქურთა, ხერხეტა, ჭინათი, რეგხი, ლია, ეცნა, ცესი (წესი?), ტობორზა, საგოლი; მალალა, ფურიათი, გორი, ქალაქა. დიდი ლიახვის ზემო წელში: ტუბათ-კარი, მთა ბრუტ-საბძელი, თხელა, დოდონასთა (დოდონას მთა?), კოშკა, მზიავი, წიფრანი (ოსურად ჩიფრანი), საზალეთი (საძაღლეთი?), ჭვრივი, მუგუთი, ნაკულთა (1766 წ. საბუთით ჯავის ხეობის ამ სოფელში მხოლოდ ერთი კომლი ოსი ცხოვრობდა — ქსძ, IV, გვ. 524. ნაკულთა ოდესღაც წაკუაძეების სამოსახლო სოფელი იყო, რომლებიც XVI ს-ში შიდა ქართლის სოფ. ალში ჩანან გადასახლებულნი), მსხლები, ბუზალა, საკირე, დიდი გუფთა, ხიხათა, გორმაღალა (მთა), ნაკრეფა (კვაისასთან), შეუბანი, შუაჭალა, არაშენდა, ზამთარეთი. სხლებში ადგილს ერქვა „ხაჭაპური“. სვანურად იხსნება ქსნის ხეობის სათავის, რეგიონის „ეამურის“ სახელწოდება. სვანეთში, მულახის თემში, გვაქვს ტოპონიმი „ეამუში“. სვანური ენით იხსნება თრუსოს სოფ.გიმარას სახელწოდებაც. „გიმ“ სვანურად მიწას ნიშნავს („სგიმ“ კი მეავე წყალს). — არ კი ქართველური ენებისათვის მახასიათებელი სუფიქსია (იხ. Н. Марр, Извлечение из сванско-русского словаря, Петроград, 1922).

შეიძლება კიდევ დავასახელოთ (დიდი ლიახვის ხეობაში): გუფთა, ანდისი, ტონტობეთი, საჩირე, ბორჯნისი, თლი, სბა, რაც იგივე ვახუშტისეული ებაა (ბეის ხევი). ოსურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოში, მოგვიანო პერიოდში ება-მ ფონეტიკურად სახე იცვალა და მივიღეს სბა. როგორც ჯ. გვასალიამ სამართლიანად შენიშნა „ება“ ანუ „ბეა“

მეგრულად მზეს ნიშნავს. ჯ. გვასალიასავე სამართლიანი დაკვირვებით მეგრული ენით აიხსნება ტოპონიმი „ჯავა“. „ჯა“ მეგრულად ხეს ნიშნავს, ხოლო — ვა სუფიქსია („ახალგაზრდა ივერიელი“, N9,N14, 1991 წ.) პატარა ლიახვის ხეობიდან დავასახელებთ შამბიეთს, შულაურს, ვანურს, გნასურს, ლაჭაურს, საკანაფს, ჩაბარუხს, სამციხრს, დიდახოს, ზონკარს.

ერთგვარი გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს ჩვენს მთიანეთში რიგმა ვაინახურმა ტოპონიმებმა. ჩვენი აზრით, ისინი წარმოქმნილია მათი მიგრაციის შედეგად. ცნობილია, რომ ფარნავაზ მეფის მემკვიდრე ქართლის მეფე საურმაგი ტახტს დურძუკთა საშუალებით დაეუფლა, კავკასიონთა ტომის ნახევარი გადმოიყვანა, ზოგნი მათგანი „წარჩინებულ ყვნა“, სხვები კი დაასახლა მთიულეთს დიდოეთიდან მოყოლებული სვანეთამდე (ეგრისამდე): „მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასიის ნახევარნი, და რომელნი მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, და ესენი დაიპყრა მოსანდომებლად თჳსად, დედულნი“ (ქც.I, გვ.27). აშკარაა, რომ ვაინახებიც, ქართველ მთიელთა შორის, მეფე საურმაგის დროს, საქართველოს მთელ მთიანეთში განსახლებულან, მათ შორის, რა თქმა უნდა, დვალეთშიც, ისინი შეჭრილი იყვნენ ქართველ მთიელებში და დროთა განმავლობაში შეერივნენ კიდეეაც მათ. თავისთავად ცხადია, ქართველმა მთიელებმა (ნანარებმა, თუშებმა, ფხოველებმა, დვალებმა), დროთა განმავლობაში, ჩვენს მთაში შემოსული დურძუკების ასიმილაცია მოახდინეს. საერთოდ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაინახების ინფილტრაცია, ქართულ სინამდვილეში, მთელი ფეოდალური ეპოქის მანძილზე მიმდინარეობდა. მათი გაფონვითი შემოსახლების არაერთი ფაქტი გვაქვს ფიქსირებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, ხევი). ეს პროცესი ხან ჯგუფური გადმოსახლების ფორმასაც იღებდა, რის მაგალითადაც შეიძლება დავასახელოთ ვაინახების დასახლება პანკისის ხეობაში XIX ს-ის შუა ხანებში.

ვ. აბაევის გამოკვლევებით „თუალ“-ს (იგივე „დვალს“) არაფერი აქვს საერთო ოსურ (და ირანულ) ენობრივ სამყაროსთან და ის წარმოადგენს ძველ, ადგილობრივ ეთნიკურ სახელწოდებას (В.Абаев,დასახ. წიგნი, გვ. 363). იგივე შეიძლება ითქვას სხვა ოსური ტომების სახელწოდებებზე — „ირ“, „დიგორ“, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ოსები არამარტო დვალეთში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ოსურ რეგიონებშიც მოსული არიან. მოსულმა ოსურმა ტომებმა შეითვისეს არამარტო დვალთა (თუალთა) ადგილობრივი სახელწოდება, არამედ დიგორელი და ირელი ტომებისაც. ადგილობრივი კავკასიური ეთნიკური ნომენკლატურის, ონო-

მასტიკის ათვისება, ვფიქრობთ, იმის გამოც მოხდა, რომ მოსულ ოსურ ტომებს მტკიცედ დამკვიდრებული არ ჰქონდათ თვითსახელწოდებანი და არ იყვნენ საბოლოოდ ჩამოყალიბებული მტკიცე ეთნიკურ ერთეულებად.

ცნობილია, რომ დვალეთში მცხოვრები ოსები თავიანთ თავს „თუალ„-ს უწოდებდნენ. მიგვაჩნია, რომ დვალების თვითსახელწოდებაც „თუალ„-ი იყო აღნიშნულის დამადასტურებელი უნდა იყოს ანტიკურ ავტორთა თხზულებები. მაგალითად, პლინიუსი მათ უწოდებს „Thalos"-ს. „დვალი" „თუალის" ლიტერატურული ქართული ფორმა უნდა იყოს.

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ძირითადი ოსური გვარები დვალეთში XVI ს-ში არიან მოსული, თუმცა საისტორიო საბუთებით აშკარაა, რომ XVII ს-ის პირველ ნახევარშიც დვალეთში ქართველები (ქართული გვარისანი) მკვიდრობდნენ. 1636 წლის ერთ საბუთში დვალეთის მკვიდრებად დასახელებული არიან ჩანთაძე და თეგაძე. საბუთი, რომელიც სცსსა-შია (ფ.1418, საბ.1492) დაცული რუსულადაა დაბეჭდილი და ჩვენც აქედან მოვიტანთ ნაწყვეტს: „Эту дарственную грамоту милостиво дали мы, царь, патрон Ростом тебе Чантадзе Хуци и Тегадзе Георгию из Двалети, братьям и детям вашим, В то время, когда... послали и привели Кара Махмадашвили и тринадцать знатных человек, мы за это милостиво наградили и навсегда освободили вас от кодиспури...„ (История... გვ.103). ორივე დასახელებულ გვარს საფუძვლად ქართველური სახელები უდევს. მამაკაცის სახელი „თეგი" გვხვდება „სვანეთის კრების მატიანეში" (პ. ინგოროყვა, გვ.127). რაც შეეხება „ჩანთა"-ს ის ბოლო დრომდე მეტსახელად დადასტურებულია გურიასა და სამეგრელოში (ა. ღლონტი, დას. წიგნი, გვ.223). დვალეთიდან თეგაძეები გვიან ქართლსა და კახეთში განსახლებულან. აქ ისინი არაერთგზის იხსენიებიან XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებში (მაგ., სცსსა, ფ. 254, ან.3, საქ.N 227).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო დვალებისა და დვალეთის ისტორიის შესახებ არის XIV ს. დასასრულის (შ. მესხიას გამოკვლევით დაწერილია 1348-1400 წლებს შორის — იხ. შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ.321) „ძეგლი ერისთავთა, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე. ამ ძეგლშიც, ისე როგორც სხვა ქართულ წყაროებში დვალეთი და ოსეთი დაპირისპირებულია ერთმანეთისადმი, ისინი სხვადასხვა ქვეყნებია: „ამათ ჟამთა იქმნა ფრიადი შფოთი ქუეყანასა ოვსეთისასა და იქმნა ფრიადი სისხლთა დათხევა მეფეთა შორის მათთა. მაშინ მძლე იქმნეს შვილნი უხუცესისა

ძმისანი და გარდმოიყვანნეს მთასა ზახისასა შვილნი უმრწემესისანი — როსტომ, ბიბილა, წითლოსანი და ძენი მათნი სამეოცდაათითა მონითა კეთილითა და მოიყვანნეს ქუეყანასა დვალეთისასა„ (შ. მესხია, გვ. 344). მოტანილი ციტატიდან აშკარაა, რომ ოსთა უმცროსი მეფის შვილები, შინაური შფოთის გამო, მოდიან მათთვის უცხო ქვეყანაში — დვალეთში. დვალეთში ოსეთიდან ისინი გადმოვიდნენ ზახის მთით. ძეგლში ხაზი აქვს გასმული, რომ გუარ-ნათესაობით, გვარ-ტომებით ოსები და დვალები სხვადასხვა ხალხია: „მაშინ გულისჴმა-ყვეს დვალთა, შეკრბეს და თქუეს: ვხედავთ, ვითარითა საქმითა იწყეს შენებად ოვსთა ამათ მეფეთა, დაღათუ სახელ-ვსდევით ბიბილურად, არამედ **სახელი ესე ვერ დაჰფარავს გუარ-ნათესაობასა მათსა** (ხაზი ჩვენია — რ.თ.) და შემდგომად მცირედისა ეუფლნენ ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა...“ (იქვე). წყაროდან აშკარაა, რომ დვალეთიდან გამოძევებული ოსები შიდა ქართლის მთიანეთში — ისროლისხევში ეფუძნებიან და უპირისპირდებიან როგორც სამეფო ხელისუფლებას, ისე მათ ირგვლივ მცხოვრებ მთიელებს და მათ შორის დვალებს: „ხოლო შალვა მიჰმართა ჴევთა დვალეთისათა და მოაოჴრნა ყოველნი. და მოუჴდეს შავდვალნი ღამესა ბნელსა...„ (იქვე, გვ. 348). ქრონიკაში დვალების პარალელურად ნახსენები არიან „შავდვალნი“, რომლებიც ეთნიკურ-ეთნოგრაფიულად, რა თქმა უნდა, იგივე დვალები იყვნენ. მაგრამ დვალებისაგან მაინც გამოცალკავებულად მოიხსენიებიან ძირითადი დვალებისაგან ტერიტორიული გამოცალკევების გამო. ჩანს, შავდვალნი შიდა ქართლის მთიანეთში, დვალეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე იყვნენ განსახლებულნი. საგულისყუროა, რომ ძეგლში არსად ქვეყანა „შავდვალეთი“ არაა დასახელებული. ლაპარაკია მხოლოდ შავდვალებზე. აშკარაა, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორისათვის შავდვალეთის ქვეყანა არ არსებობდა. დვალთა გარკვეული ნაწილის კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსახლებამ ახალი ქვეყნის წარმოქმნა არ გამოიწვია და შავდვალებით დასახლებული დვალეთის მომიჯნავე ლიახვის ხეობის სათავეები შავდვალეთად არ იქცა. ეს თავისთავად იმაზეც მიუთითებს, რომ იმდროისათვის (XIII ს.) შავდვალნი დვალეთიდან დიდი ლიახვის სათავის შენაკად ხეობებში ახალი გადმოსახლებულნი იყვნენ. XIII-XIV სს-ში დვალები დიდი ლიახვის სათავეში მკვიდრად სხედან. ქსნის ერისთავთა ქრონიკაში ვკითხულობთ: „ამას ჟამსა იყო შფოთი და ბოეს ჟამი დვალთა და წაასხეს ღუდით ზროხა. ესმა ერისთავსა და განილაშქრა მათ და ზედა მივიდა ერემას, წუხლეთს და წუბენს და დაარღვივნა ციხენი მათნი და დაწუა და აღაოჴრა ქუეყანა მათი და წარმოვიდა გამარჯვებული“ (გვ. 355). ლაპარაკია დვალთა სამი სოფლის (ერემას, წუხლეთის და წუბენის) აოხრებისა და დარბევის შესახებ. ერემა გვიანდელი ერმანი უნდა იყოს, რომელიც სულ 9 სოფლის

ერთობლიობას წარმოადგენდა.

XIV ს-ის ამბების თხრობისას, ქსნის ერისთავთა საგვარეულო ქრონიკაში შავდვალების პარალელურად დასახელებულნი არიან ქვემო დვალნიც: „ამას ჟამსა ქუემო დვალთა წაასხეს ზროხა აწრისხევით (აწერისხევი პატარა ლიახვის მთიან ნაწილშია — რ.თ.). ესმა იოვანეს და განილაშქრა“ (გვ. 356). ძეგლში მხოლოდ ქვემო დვალებზეა ლაპარაკი, არსად —ქვემო დვალეთზე. ქრონიკაში მითითებულია ქვემო დვალებით დასახლებული რეგიონიც. ესეა თლისხევი და სოფელი თლე დიდი ლიახვის სათავეში, აგრეთვე, სოფ. წერლუ. შემდეგ ძეგლში ქვემო დვალების სხვა სოფლებიცაა ჩამოთვლილი: „მაშინ მიემოწმნეს ყოველნი ლაშქარნი, წარემართნეს და შედგეს მთასა ბეხუშისასა,. და ესმა ქუემო დვალთა კოშკელ-იოსებურთა, თლეველ-მუღისველელთა, ზღუბერელ-როკაელთა“ (გვ. 357). ბეხუშის მთა ერთგვარი საზღვარი ჩანს ქვემო დვალებსა და ქსნის საერისთავოს შორის, სხვანაირად დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელს შორის. ძეგლის ავტორი, XIV ს-ში, დიდი ლიახვის ხეობის მთიან ნაწილში გადმოსახლებულ დვალებს ქვემო დვალებს უწოდებს. ქვემო დვალთაგან ერთგვარად გამოყოფილნი არიან მაღრან-დვალნი, რომელნიც დიდი ლიახვის სულ ზემო ნელში, სათავეში მკვიდრობდნენ. წყაროში მაღრან-დვალეთის თემ-სოფლებიცაა დასახელებული, რომელთაგან ზოგიერთი ბოლო დრომდე შემორჩა. „ძეგლი ერისთავთა“-ში ვკითხულობთ: „მობრუნდა და შედგა მთასა სოსხოელასა. და ესმა მაღრან-დვალთა და მოვიდეს ბრუტას — შვილნი და კელეურ-კაბუშურნი და ყოველნი სოსხოელ-ნუბენისხეველნი, ხოჯაელ-წაელნი მძევლითა, ბეგარითა და ძღუენისა სიმრავლითა“ (გვ.357). 1814 წლის აღწერით მაღრან-დვალეთში ეს სოფლებიც არის შეტანილი, კერძოდ, ერემი, ხოჯა („ხოჯაელ-წაელნი“), კელეთი და კაბუეთი („კელეურ-კაბუშურნი“), ბრუტაული („ბრუტასშვილნი“). აშკარაა, რომ, ამ დროს, XIV ს-ში, დაადეს ხელი ქსნის ერისთავებმა მაღრან-დვალეთს და თავის საგამგეოში შეიყვანეს.

იოანე ბაგრატიონის მიხედვით, დვალეთის ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს გამგებლობაშია, ნაწილი — დასავლეთ საქართველოს გამგებლობაში. ჩამოთვლის რა დიდი ლიახვის მთიანეთის ოსურ სოფლებს, როკასა და სბას, შემდეგ წერს: „ამას უკან, რომელიც სამეფო არს ოსის სოფლები კიდევ ქ. ზახა ქ. ნარას ხეობა (გვ.42). შემდეგ „იმერეთის სამეფოს რაც კავკასიის მხარე მიეწერება და რომელიც ინყების, დიდი ლიახვის მემოჯნავენი ოსნი და სხვანი მთის კაცნი, რომელნიც რაჭის საერისთაოს მიეწერებიან არიან ესენი სამეფო, სათავადო, საეზნაურო და საეკლესიო, არიან ესენი: ქ.მაღლა დვალეთი, ქ. ჯღერე, ქ.ლექერე, ქ.თებე, ქ.ლეთა, ქ.კაარა და სხვანი წვრილი სოფლები“ (გვ.77).

მოკლედ უნდა შევჩერდეთ ეთნოგრაფ ნ. ვოლკოვას ერთ მონოგრაფიაზე, რომელშიც მან დვალების ოსებთან მიმართებისა და მათი ასიმილაციის საკითხებიც განიხილა. მეცნიერი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში (მათ შორის, დვალეთშიც) ალან-ოსების მკვიდრობას გამორიცხავს VI-VII სს. წინარე ხანაში (Н.Г. Волкова, Этнонимы... с. 101, 104). ნ. ვოლკოვა ავლებს დიდ ზღვარს საუკუნებამდელ ალანებსა (რომლებიც IV ს-ის ავტორის ამიანე მარცელინის მონაცემებით ბინადრობდნენ სკვითების სტეპებში და ჰუნების მსგავსად ცხოვრობდნენ კიბეტებში (დახურულ, ჩარდახიან ურმებ-ში)და არ იცოდნენ მიწათმოქმედება) და შემდეგდროინდელ ალანებს შორის. VI-VII სს-დან ალანები თავის ისტორიულ არსებობას იწყებენ კავკასიურ ნიადაგზე და სწრაფად კარგავენ იმ ეთნოკულტურულ თავისებურებებს, რომლებიც მათ აკავშირებდათ ანტიკურ ალანებთან (ნ. ვოლკოვა, გვ.105-106).

სომხურ გეოგრაფიაზე დაკვირვება ნ. ვოლკოვას აფიქრებინებს, რომ VII ს-მდე არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვივარაუდოთ ცენტრალური კავკასიის მაღალმთიანეთში მცხოვრები დვალების ენობრივი ირანიზაცია (გვ. 113). თუმცა მისთვის დვალების შემდეგდროინდელი ისტორიული ბედი გაურკვეველია. მისი სიტყვე-ბით, ძნელია ქრონოლოგიურად განვსაზღვროთ ალანების მიერ დვალების ასიმილაციის დამთავრება და დავადგინოთ დასრულდა თუ არა ის მონგოლთა შემოსევამდე, ან მხოლოდ XIII-XIV სს-ში, ანდა, აგრეთვე, გავარკვიოთ მოხდა თუ არა ძველი, დვალური მოსახლეობის განდევნა კვლავ მოსული ალანების მიერო.

ნ. ვოლკოვა იმასაც აღნიშნავს, რომ XI ს-დან მოყოლებული ქართული წყაროები, ოსებისა და ოსეთის გვერდით, არაერთგზის იხსენიებენ დვალებსა და დვალეთს, თუმცა ეს მისთვის არაა სრული საფუძველი დაინახოს რეალური ეთნოლინგვისტური განსხვავება დასახელებულ ორ ეთნონიმს შორის. შესაძლოა იგი გამოხატავდეს მთელი ეთნოსისა (ოსი) და მისი ლოკალური ჯგუფის (დვალის) ურთიერთმიმართებასო (გვ. 114). ქართულ წყაროებში დვალებისა და ოსების გამოყოფა შუა საუკუნეების პერიოდში ჯერ კიდევ არ შეიძლება იყოს მათი ეთნიკური განმასხვავებლობის დამადასტურე-ბელიო. მსგავს განსხვავებას შეიძლება ჰქონოდა რაიმე რეალური ნიადაგი და შესაძლებელია ასახავდეს შორეული წარსულის ეთნიკურ სიტუაციას, როცა დვალები ნამდვილად იყვნენ სხვა ეთნიკური ძირისანი. ამ შემთხვევაში კომენტარის სახით მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ნ. ვოლკოვა სრულად ვერ ფლობს ქართულ საისტორიო წყაროებს („ძეგლი ერისთავთა", ვახუშტი ბაგრატიონი), რომლებითაც აშკარად ხაზი ესმის სწორედ XIII-XIV სს-ში ოსთა და დვალთა ეთნიკურ დაპირისპირებას და უფრო მოგვიანებით ოსთა

მიერ დვალების ეთნოლინგვისტურ ასიმილაციას.

ნ. ვოლკოვა განაგრძობს, რომ გვიანი შუა საუკუნეების ქართული წყაროები აგრძელებენ დვალებისა და ოსების დაპირისპირებას, მიუხედავად იმისა, რომ დვალები უკვე ლაპარაკობდნენ ოსურადო. ასეთი ცნობები აქვთ XIII ს-ის დასაწყისის ქართველ ისტორიკოსს ბასილ ეზოსმოძღვარს და XV ს-ის სომეხ ავტორს თომა მეწოფელს. მოაქვს ნაწყვეტი თომა მეწოფელის „თემურ-ლენგის ისტორიიდან", რომელშიც ქართლის რამდენიმე ენაა დასახელებული და მათ შორის, დვალურიც, მეგრულთან, აფხაზურთან, სვანურთან და ქართულთან ერთად. ნ. ვოლკოვას კომენტარი ასეთია, რომ ამ პერიოდში (ლაპარაკია XV ს-ზე) ოსები და დვალები ეთნიკურად ერთ მთლიანს წარმოადგენდნენო (გვ.114). რანაირად წარმოადგენდნენ XV ს-ში ოსები და დვალები ერთ ეთნოსს, ერთ ეთნიკურ ერთეულს, როდესაც იმავე სომეხი ისტორიკოსისათვის ოსური და დვალური სხვადასხვა ენებია?

ნ. ვოლკოვა დვალებსა და ოსებს შორის ეთნიკურ განსხვავებას ხედავს მხოლოდ ანტიკურ პერიოდში. გვიან შუასაუკუნეების მთელ ეპოქაში დვალებს ოსებთან აიგივებს, ამბობს, რა, რომ დვალების სახელი შეესატყვისებოდა ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანეთის ოსურენოვან მოსახლეობასო (გვ. 115).

ისიც უნდა ითქვას, რომ ნ. ვოლკოვა არ იზიარებს ბ. კალოევისა და სხვათა შეხედულებას ანტიკური ეპოქის დვალების ირანულენოვან ხალხად მიჩნევის შესახებ. არქეოლოგიური მასალებით, ოსები (ალანები) ოსეთის მაღალმთიანეთში VII-VIII სს-ში არიან მოსულიო და, ალბათ, ამ დროს უნდა მივაკუთვნოთ დვალური მოსახლეობის ირანიზაციის დაწყებაო. ნ. ვოლკოვას გამოაქვს დასკვნა, რომ კავკასიურენოვანი ხალხის -- დვალების ასიმილაცია ოსებმა მოახდინეს ადრე შუა საუკუნებშიო (გვ.116), თუმცა ასიმილაციაზე მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, თუ ალანებმა დვალეთიდან დვალები საერთოდ არ გააძევესო.

ნ. ვოლკოვასათვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ანტიკური ეპოქის დვალების სალაპარაკო ენის რაობაც და არ ემხრობა მათი ნახური სამყაროსადმი მიკუთვნებას.

ნ. ვოლკოვას დვალების, დვალებისა და ალან-ოსების ურთიერთმიმართების შესახებ მსჯელობიდან, პირველ რიგში, ის უნდა ითქვას რომ ავტორი სათანადოდ არ იყენებს ქართულ წყაროებს, ანდა, თუ იყენებს არ ენდობა მათ. ოსი ავტორებისაგან განსხვავებით, ნ.ვოლკოვას ნაშრომში პოზიტიურია ის, რომ დვალები მას არ მიაჩნია ოდითგანვე ოსურ ტომად. ის ხაზს უსვამს, რომ დვალები ადგილობრივი კავკასიური ეთნოლინგვისტური ერთეული იყო, რომლებიც ალან-ოსების მოსვლის შემდეგ გაოსდნენ. თუმცა მის მიერ

შემოთავაზებული თარიღი დვალების გაოსებისა, მეცნიერული თვალსაზრისით, არაფრით არაა მისაღები, რადგან გარკვეულ ნაწილში იგი ეყრდნობა ოსი ავტორების (განსაკუთრებით, კალოევის) ტენდენციურ და ნინასწარი წარმოსახვით მიღებულ დასკვნებს, დვალების, დვალებისა და ალან-ოსების ურთიერთმიმართების შესახებ.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩაწერილმა ერთმა გადმოცემამ გვავარაუდებინა, რომ ისტორიულად დვალებს უფრო მეტი ტერიტორიები ეკავათ, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში ისე საქართველოს მაღალმთიანეთში, უფრო სწორედ, საქართველოს ჩრდილოეთი პროვინციების ზოგიერთ იმ ნაწილში, რომლებიც პირიქით მდებარეობენ. ცნობილია,რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, ფშავი) დაცულია გადმოცემები დევების შესახებ. გადმოცემებით, რომლებსაც გ.ჩიტაიას სამართლიანი შენიშვნით საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ძველი ეთნიკური შემადგენლობის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება (გ.ჩიტაია, ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, ისტორიის ინსტიტუტის შრომები,ტ.I, 1955), ფშავისა და ხევსურეთის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ დევები, რომლებიც აქ მცხოვრები ქართველი მთიელების მიერ გაძევებული იქნენ. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯამოთქმულია მოსაზრება, რომ დევებში არაქართული ეთნიკური ერთეულის, კერძოდ, ვაინახური ეთნოსის წარმომადგენლები უნდა იგულისხმებოდნენ (თ.ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967). ასეთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას რიგი ეთნოისტორიული მონაცემების ანალიზი იძლევა. მაგრამ, ამ ვარაუდს გამორიცხავს ვაინახებში ჩაწერილი ზოგიერთი ანალოგიური გადმოცემა, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ა. გენკოს მიერ ხამხის საზოგადოებაში მოპოვებული მასალა, რომ ინგუშეთის ამ ხეობაში ოდესღაც უცხოვრიათ „დევებს" (А.Н.Генко, Из культурного прошлого ингушей. — Записки Коллегии Востоковедов, т.V,Л., 1930, с.706). ამ თვალსაზრისით საყურადღებო მასალა აქვს მოპოვებული, აგრეთვე, ისტორიკოსს ივ.წიკლაურს. თარგიმის თემის სოფელ ერგიკალთან (ხევსურულად — „არგიჯალი") არის რამდენიმე ნამოსახლარი მსხვილი, მასიური ლოდებით მშრალად ნაგები კედლებით, რომლებსაც ადგილობრივი ინგუშური მოსახლეობა დევების ნამოსახლარად მიიჩნევდა. ეთნოისტორიული ხასიათის ეს გადმოცემები ეჭვ ქვეშ აყენებენ დევების ვაინახურ წარმომავლობას. როგორღა შეიძლება დევები ვაინახები ყოფილიყვნენ, როდესაც თვით ვაინახებით დასახლებულ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში უფრო ადრე დევებს უცხოვრიათ?

ვვარაუდობთ, რომ ჩვენს მთასა და ინგუშეთში ოდესღაც მოსახლე დევები დვალები უნდა ყოფილიყვნენ. ამის მტკიცების საფუძველს,

ვფიქრობთ, იძლევა, ნ. ვოლკოვას მიერ ინგუშეთში მოპოვებული მასალა, რომ მთიელი ინგუშები დვალებს უწოდებდნენ „დევა"-ს (მრავლობით რიცხვში – „დვი"-ს -- იხ. Н.Г. Волкова, Этнонимы... с. 127). ისიც აღსანიშნავია, რომ მალხისტელებისათვის იგივე დვალები ცნობილი იყვნენ „დუვა"-ს სახელწოდებით (ნ. ვოლკოვა, გვ. 127-128).

ზემოთ მოტანილი მსჯელობა გვავარაუდებინებს იმასაც, რომ ხევსურულ გადმოცემებში მოხსენიებული კავკაზაურები (კოვკაზაურები), რომლებიც სოფ. გუდანში ცხოვრობდნენ ყველაზე დიდი სამი ხევსურული გვარის საფუძველჩამყრელი სამი ძმის აქ მოსვლამდე, ძირად დვალები იყვნენ. კოვკაზურების (იგივე კავკაზაურების) „ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებული ხალხის კავკასიანნის იგივეობის შესახებ მიუთითა გ. ჩიტაიამ (იხ. მისი ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები", ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955): „ისტორიული ცნობა და გადმოცემაში დაცული მონაცემები ვარაუდობს კავკასიან-კავკაზაურების არსებობას კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში, პირაქეთ-პირიქითში, დიდოეთიდან მოყოლებული ვიდრე სუანეთამდე" (გვ.393). გ. ჩიტაიამ ამ ძველი ეთნიკური ფენის კულტურულ-ეთნიკური კავშირის შესახებაც მიუთითა ცენტრალური კავკასიის მოსახლეობასთან (გვ. 394). ცენტრალურ კავკასიაში კი დვალეთის ეთნოისტორიული რეგიონი იყო მოთავსებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ქართლის ცხოვრების" მიხედვით „კავკასიანნი" და ვაინახთა წინაპარი დურძუკები სხვადასხვა ეთნიკური ერთეულები იყო. დაბოლოს, საყურადღებოა, რომ XIX ს-ის კამერალური აღწერის დავთარში დვალეთიდან შიდა ქართლში მიგრირებული ოსები კავკასიანებად ინოდებიან, მხოლოდ მათ შესახებაა აღნიშნული, რომ ისინი გადმოსახლდნენ კავკასიის მთებიდან.

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა და ჩამოგვყალიბებინა დასკვნა, მაგრამ მისი ქვემოთ გადატანა მოგვიხდება. ნაშრომი, ხელნაწერის სახით, კარგა ხნის დაწერილი გვქონდა, როდესაც 1992 წლის ზაფხულში დაიბეჭდა ეახ. ითონიშვილის წიგნი „აღმოსავლეთ საქართველოს მითანეთის ისტორიიდან" რომელშიც საკმაოდ დიდი ნაწილი (გვ.69-186) დვალთა ეთნიკური ისტორიის საკითხებისადმია მიძღვნილი. ავტორი მეტ-ნაკლებად მიმოიხილავს დვალებისა და დვალეთის პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომებს, შემდეგ კი გვთავაზობს საკუთარ დამოკიდებულებას (მისაღებს თუ მიუღებელს) ძირითადად დვალთის ტოპონიმების ანალიზის საფუძველზე. ვ.ითონიშვილის დასკვნით დვალები სვანურენოვანი ქართველური ტომი იყო. ის წერს: „... სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საძიებელი ენა (ე.ი. დვალური ენა - რ.თ.) უწინარეს ყოვლისა,

ქართველურ ენებს ენათესავებოდა (ხაზი ჩვენია - რ.თ.), რის კვალობაზე სრულიად კანონზომიერად იბადება აზრი ერთ-ერთ უძველეს ქართველურ ტომად დვალთა წარმოდგენის მიზანშეწონილობის შესახებ" (გვ.186). იქვე ის განაგრძობს, რომ დვალური ტოპონიმები „ძალაუნებურად აღძრავს ინტერესს დვალებში პირველ რიგში სწორედ სვანებთან ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით დაახლოებული ტომის ამოცნობის შესაძლებლობისადმი" (იქვე).

თუ ვამტკიცებთ დვალური ენის სვანურობას, მაშინ ჩვენთვის გაუგებარია ფრაზა, რომ დვალური ენა „ქართველურ ენებს ენათესავება". ალბათ, უნდა თქმულიყო, რომ დვალური ენა ერთ-ერთი ქართველური ენა იყო. დვალური ენა თუ ქართველურ ენებს ენათესავებოდა, ის არაქართველური ენა ყოფილა. ავტორი ვალდებული იყო ნაშრომში სათანადო ადგილზე აღენიშნა, რომ დვალური ენა ქართველურ ენად მიაჩნდათ სხვა ავტორებსაც. არსად ვ. ითონიშვილი არ უთითებს ვ. გამრეკელის საენციკლოპედიო სტატიას დვალების შესახებ, რომელშიც მან შეცვალა თავისი ადრინდელი შეხედულება დვალთა ვაინახური წარმომავლობის შესახებ და ისინი დასავლურ ქართულ (ზნაურ) ტომად წარმოიდგინა. დვალეთის, აგრეთვე დვალების და ოსების ურთიერთმიმართების შესახებ ასევე გვერდი აქვს ავლილი ჩვენს სტატიას („ისტორიის გამყალბებლებთან კამათს განა აზრი აქვს?") დაბეჭდილს გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში" (N3, 1991 წ.), რომელშიც ხაზგასმით გვაქვს მითითებული,რომ დვალები ქართველური (და არა ქართველურის მონათესავე) ტომი იყო და რომ ოსეთი არ მოიცავდა დვალეთს, რომ დვალეთი და ოსეთი ისტორიის გარკვეულ მონაკვეთამდე სრულიად სხვადასხვა ქვეყნები იყო. იმავე წერილში იმაზეც გვაქვს ხაზი გასმული, რომ დვალეთის ტერიტორიაზე ოსების დაფუძნება ძირითადად მოხდა ჩრდილოეთ კავკასიის (ოსეთის) ალაგირის ხეობიდან XVI საუკუნეებში, რის შემდეგაც (XVII ს-ში) მათ მოახდინეს დვალთა ეთნიკური ასიმილაცია.

წიგნის ავტორი ასევე არ იყენებს და არ უთითებს ჯ. გვასალიას მეცნიერულ სტატიას „რას გვიდასტურებს ძველქართული სახელწოდებები(შიდა ქართლი და დვალეთი "გაზ.„კომუნისტი", 9 სექტემბერი, 1990), რომელშიც გაზიარებულია ვ. გამრეკელის საენციკლოპედიო სტატიის ძირითადი დებულება დვალთა იბერიულ-კავკასიური ტომობის შესახებ. როგორც ვ. გამრეკელის, ისე ჯ.გვასალიას მოსაზრებით დვალეთში დვალთა ასიმილაციის პროცესი ოსების მიერ დასრულდა XVIII ს-ის დასაწყისისათვის, რაც ჩვენ ერთობ გადაჭარბებულად მიგვაჩნია. ოსების მიერ დვალების ასიმილაცია საკუთრივ დვალეთში უფრო ადრე XVI-XVII სს-ის მიჯნაზე უნდა დასრულებულიყო, ხოლო შიდა ქართლის მთიანეთში განსახლებული დვალებისათვის

(ქვემო დვალები, მაღრან-დვალები) გაშრეკელისა და გვასალიას მიერ შემოთავაზებული თარიღი (XVIII ს. დასაწყისი) მისაღებად მიგვაჩნია.

სანამ მოკლედ ჩამოვაყალიბებთ ჩვენს დამოკიდებულებას ვ. ითონიშვილის აღნიშნული ნაშრომის მიმართ, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ეს ავტორი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ხშირად პირველმთქმელის როლში გვევლინება და უგულვებელყოფს სხვა ავტორთა ამა თუ იმ მეცნიერულ დებულებას. მაგალითად, ის წერს: „როგორც ჩვენს ხელთ არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს თავდაპირველად ფშავი თანამედროვე უკანა ფშავის ტერიტორიას მოიცავდა და „ფშავის ჭევად" იყო წოდებული". „მიგრაციული პროცესების ძალით „ფშავის ჭევმა" მნიშვნელოვანი ტერიტორიული გაფართოება განიცადა სამხრეთის მიმართულებით, ფშავის არაგვის ხეობის საკმაოდ ვრცელი მონაკვეთის ჩაყლაპვის ბარჯზე" (გვ.109).

ამის შესახებ ჩვენ გარკვევით ვწერდით 1984 წელს დაბეჭდილ მონოგრაფიაში, რომელშიც ისტორიულ-გეოგრაფიული ფშავის ლოკალიზაციისადმი სპეციალური პარაგრაფიც კი გვაქვს მიძღვნილი (გვ. 50-55). მონოგრაფიაში დადგენილიც კი გვაქვს დრო, თუ რიდის უნდა მომხდარიყო ფშავიდან დღევანდელ ე.წ. წინაფშავში ფშაველთა მიგრაცია (XVI ს), ამ მოვლენის შესახებ აღნიშნული გვაქვს მონოგრაფიის დასკვნაშიც (გვ.124): „მთის მოსახლეობის ირგვლივ არსებული ეთნოგრაფიული მასალები მიუთითებენ, რომ ფშავი ისტორიულ-გეოგრაფიულად მოიცავდა არა დღევანდელი გაგებით ფშავს (ე.წ. წინაფშავი და უკანაფშავი), რომლის სამხრეთ საზღვრად ჟინვანს და გუდრუხს სდებენ, არამედ მხოლოდ უკანაფშავს, ფშავის არაგვის ხეობას ორწყალს ზემოთ. უკიდურეს შემთხვევაში სამხრეთით ფშავი კართანამდე და სოფელ წინკარამდე უნდა გავრცელებულიყო. დღევანდელ წინაფშავში (მაღაროკარის სასოფლო საბჭო) ფშაველები ფშავის არაგვის ხეობიდან არიან გადმოსახლებული". აქ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფრო ადრე სხვის მიერ გამოთქმული მოსაზრების მითვისებას მეცნიერებაში პლაგიატობა ჰქვია.

იმავე მონოგრაფიაში, როდესაც ვ. ითონიშვილი საუბრობს ხადის შესახებ და წერს, რომ „დროთა განმავლობაში „მთიანეთის" იდენტური შინაარსით ხმარებულმა სახელწოდება „მთიულეთმა" სწორედ ძველი ჯადისა და ცხავატის ტერიტორიაზე განიცადა დავიწროვება ამჯერად უკვე ერთი განსაზღვრული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის აღმნიშვნელი კუთხური გეოგრაფიული ტერმინის სახით, რის შედეგადაც „ჯადელნი" და „ცხავატელნიც" „მთიულებად" სახელდებას დაექვემდებარნენ" (გვ. 6), არ უთითებს იმ სათანადო ლიტერატურას, რომელიც ამ საკითხზე არსებობს. პირველ

რიგში მხედველობაში მაქვს ი. დოლიძისა და ჯ.გვასალიას ნაშრომები, რომლებმაც პირველებმა მოახდინეს ცხავატის ისტორიული თემის ლოკალიზაცია და ჩვენს ნაშრომს, რომელშიც მსჯელობა გვაქვს იმაზე, რომ დღევანდელი მთიულეთის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი მილებულია ორი ადრინდელი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის ხადისა და ცხავატის გაერთიანებით. ჩვენს ნაშრომში აღნიშნული ორი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონად — მთიულეთად ჩამოყალიბების სავარაუდო დროც (XV ს დასაწყისი) არის მოცემული (რ.თოფჩიშვილი. მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, „მაცნე", ისტორიის... სერია, 1985, N 2, გვ. 101-102), განსხვავებით ვ. ითონიშვილისეული XVIII ს-ისა.

ვ. ითონიშვილის წიგნში ასევე იგნორირებულია მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობისადმი (გვარებისადმი) მიძღვნილი ზემოთ დასახელებული ჩვენი ნაშრომი, როდესაც ის ღუდაში ოსთა დასახლების საკითხებზე საუბრობს (რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.92).

ახლა დვალების შესახებ. ის წერს: „განხილულ მონაცემებზე დაკვირვება გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ახ. წ. I-II სს-ში დვალთა ტომის ტერიტორიული დისლოკაციერების (Sic –რ.თ.) ძირითად რეგიონს ნარ-მამისონის ქვაბული (II კასრის, ჟღელის, ზროგოს, ზრამაგას, ზაჯას და ნარას ხევები) ანუ ისტორიული დვალეთის (II „ბუდე დვალეთი"-ს) მიწა-ნყალი წარმოადგენდა, თუმცა ასეთნაირი ლოკალიზაცია სრულებითაც არ უშლის ხელს იმ ვარაუდის დაწინაურებას, რომ აღნიშნულ პერიოდში დვალთა განსახლების არეალი შესაძლოა მოიცავდა ხსენებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყნის მომიჯნავე ცალკეულ მხარეებსაც (მაგ. თრუსოს, მაღრან-დვალეთს) ანუ იმ რაიონებს, რომელთაც მოგვიანებით სავსებით კანონზომიერად განიცადეს ფორმირება რამდენადმე უფრო ფართოდ გაგებული დვალეთის (II „ბუდე დვალეთი" + „თრუსო" + მაღრან-დვალეთი") შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულებად და ასევე დვალეთად სახელდებას დაექვემდებარნენ" (გვ. 78).

ასეთი დასკვნის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ხელოვნურად შექმნილია ტერმინი „ბუდე-დვალეთი". დვალეთი ქართული საისტორიო საბუთების მიხედვით არსებობდა მხოლოდ ერთი, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით „კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული" (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები... ტფ., 1919, გვ.6-7). დვალეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ზუსტი განსაზღვრება მოცემული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს, რომლის მიხედვით დვალეთი კასრის,

ელელის, ზროგოს, ზრამაგას, ზახას და ნარას ხეობებში ლოკალიზდება. სხვა დვალეთის, გარდა მაღრან-დვალეთისა, ქართული საისტორიო წყაროები არ იცნობენ. ამდენად გამორიცხულად მიგვაჩნია იმ ვარაუდის დაშვება, რომ I-II საუკუნეებში დვალები დვალეთს გარდა, განსახლებული იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთის ისეთ პროვინციებში, როგორებიცაა თრუსო და მაღრან-დვალეთი. ჯერ ერთი, აღნიშნული პერიოდისათვის (I-II სს). და მომდევნო დროშიც თრუსოსა და მთლიანად საქართველოს კუთვნილ თერგის ხეობაში ლოკალიზდება წანართა ქვეყანა. წანარები კი აქ, თერგის ხეობის სათავეში, როგორც ქართულ საისტორიო მეცნიერებაშია დადგენილი IX-X საუკუნეებამდე მკვიდრობდნენ. ამდენად, არა მარტო I-II სს-ში, არამედ მომდევნო საუკუნეებშიც გამორიცხულია დვალთა განსახლების არეალად, დვალეთს გარდა თერგის ხეობის სათავე (თრუსო) წარმოვიდგინოთ. რაც შეეხება მაღრან-დვალეთს, რომელიც დიდი ლიახვის ხეობის სათავეს მოიცავდა და XVIII-XIX სს-ის მონაცემებით (ვახუშტი, იოანე ბაგრატიონი, 1814 წლის აღწერა) ცხრა მცირე მთური სოფლისაგან შედგებოდა, არც მის შესახებ შეიძლება იმ ვარაუდის დაშვება, რომ დვალთა აქ მკვიდრობა I—II საუკუნეებში მოხდა. არც ერთი ქართული საისტორიო წყაროთი ამის გარკვევა არ ხერხდება. „მაღრან-დვალეთი" პირველად მხოლოდ XIV-XV სს. მიჯნის „ძეგლი ერისთავთაშია" ნახსენები XIV ს-ის ამბების თხრობასთან დაკავშირებით. როდის მოხდა მაღრან-დვალეთში, ანუ ლიახვის ხეობის სათავეში დვალთა გადმოსახლება და დასახლკარება, ვიმეორებთ, ამის ზუსტად გარკვევა ერთობ ჭირს და ამ პროცესის I-II საუკუნეებისადმი მიკუთვნება და შემდეგ აქსიომად გამოცხადება დიდი შეცდომაა. მაღრან-დვალეთის რეგიონი, დიდი ლიახვის ხეობაში, როგორც დვალებით დასახლებული, ადრეფეოდალურ პერიოდში რომ წარმოქმნილიყო, შეუძლებელია ეს მოვლენა არ ასახულიყო ქართულ საისტორიო წყაროებსა და სომხურ გეოგრაფიაში. მაღრან-დვალეთის მოხსენიება XIV-XV სს. მიჯნის ძეგლში სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ ის შედარებით გვიანაა წარმოქმნილი, როგორც დვალებით დასახლებული რეგიონი.

იგივეს იმეორებს ვ.ითონიშვილი უფრო გვიანდელი, VII ს-ის შესახებ: „როგორც სომხურ გეოგრაფიაში ხსენებულ ტომთა თუ ხალხთა ჩამოთვლის თანამიმდევრობაზე დაკვირვება, სათანადო გეოგრაფიული ორიენტირების გათვალისწინება და თანამედროვე ტოპონიმიურ და ეთნონიმიური მასალასთან აღნიშნული „გეოგრაფიის„ ცნობების შეპირისპირება გვაფიქრებინებს დვალთა ტომის სამოსახლო ქვეყანას VII ს-ში ისტორიული დვალეთი (II „ბუდე დვალეთი") წარმოადგენდა, თუმცა ამჯერად არაა გამორიცხული მათი იმავდროული ცხოვრების შესაძლებლობა მეზობელ მხარეებში (მაგ.

თრუსოში, დიდი ლიახვის ხეობაში და სხვა) — Sic. (გვ.82).

გასაოცარია, რომ ვ.ითონიშვილი დვალეთის, მისი სიტყვით, ისტორიული ანუ „ბუდე-დვალეთის" და სხვა დვალეთის (თრუსო + მაღრან-დვალეთი) ლოკალიზაციისა და დროის განსაზღვრისას თავისი კვლევის შედეგების გადმოცემისას ეყრდნობა არა არსებით და არა პირველხარისხოვან წყაროს (ვახუშტი ბაგრატიონი), არამედ სომხურ გეოგრაფიას და სტრაბონის მონაცემებს (რომლებიც ამ თვალსაზრისით ფაქტიურად არაფერს იძლევიან). ამასთანავე, დვალეთის ეთნოგრაფიულ რეგიონს ასეთ ფარგლებში წარმოიდგენდა ვ.გამრეკელი (ვ. გამრეკელი, დასახ. წიგნი, გვ.19-22), რის შესახებაც ვ. ითონიშვილი კრინტს არ ძრავს, თუმცა ვ. გამრეკელს, ვ. ითონიშვილისაგან განსხვავებით, საკმაო თავშეკავებით დვალეთიდან „ახალი დვალეთის" ქვეყნების წარმოქმნის პერიოდი არ განუსაზღვრავს; არ განუსაზღვრავს, იმის გამო, რომ წყარო რომელსაც ვ. გამრეკელი ეყრდნობა ამის საშუალებას არ იძლევა. ზოგად მსჯელობაში რომ არ ჩამოგვართვან, ვ. გამრკელის სიტყვების პირდაპირ ციტირებას მოვახდენ: „Двалетия помимо Нарской котловины, включала первоначально еще ущелья Трусо и Хеви и некоторую территорию севернее Нарской котловины (გვ.21). შემდეგ ვ. გამრეკელი უფრო აკონკრეტებს: „Для средевековья Вахушти различает собственно Двалетию и Двалетию в широком смысле. Собственно Двалетия это Нарская котловина с Кассарским ущельем. В широком смысле Двалетия включала в себе помимо собственно Двалетии, еще Магран-Двалетию и Трусо" (с.91). ზუსტად იგივეს იმეორებს ვ. ითონიშვილი, ოღონდ ისე, რომ პირველმთქმელის როლში თვითონ გვევლინება და არა ვ. გამრეკელი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვ. გამრეკელი, რომელმაც დვალთა ისტორიის კვლევის საქმეში ეტაპი შექმნა და მითუმეტეს, მისი იმიტატორი, ცდებიან. მართალია, ვახუშტი ბაგრატიონის წყალობით, გვეძლევა საშუალება გავარკვიოთ შიდა ქართლის მთიანეთის ისტორიის ბევრი კარდინალური საკითხი, მაგრამ, მაინც ანგარიშგასაწევია , რომ ის XVIII ს-ის ავტორია. მის დროს თერგის სათავე-თრუსო და დიდი ლიახვის სათავე მაღრან-დვალეთი (ისევე როგორც თვით დვალეთი) გაოსებული დვალებით იყო დასახლებული და ავტორმა მიიჩნია, რომ ეს ორი რეგიონიც ფართოდ გაგებულ დვალეთს წარმოადგენდა. თუმცა დვალთა დვალეთიდან მიგრაციამ დიდი ლიახვის ხეობაში (სათავეში) ტოპონიმის („დვალეთის") გადმოტანაც გამოიწვია, თან მსაზღვრელის „მაღრანი"-ს დართვით („მაღრანი" კი ჯ. გვასალიას სამართლიანი მითითებით ქართული სიტყვიდან „მაღნარნი" მომდინარეობს (ადგილი აქვს „მეტათეზისს

ნ-რ), რაც ნიშნავს „ტყიანს". „მაღრან-დვალეთი", ტყიან დვალეთს ნიშნავს). თრუსოს კი დვალთა მიგრაციამ სახელი ვერ უცვალა. იქვე გამრეკელი იმაზეც მიუთითებს, რომ ვახუშტისავე შედგენილ რუკაზე სახელწოდება დვალეთი დატანილია მხოლოდ ნარას ქვაბულსა და კასრის ხეობაზე, რაც სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია, რადგან ისტორიული დვალეთი სწორედ ეს არის და დვალთა თრუსოში და ლიახვის ხეობის სათავეში გადმოსახლება „ქვეყნის" საზღვრებს ვერ გააფართოვებდა. ისევეა მიუღებელი თრუსოსი და დიდი ლიახვის ხეობის სათავის დვალეთად მიჩნევა, როგორც ოსთა შიდა ქართლში გადმოსახლების შემდეგ, შიდა ქართლის სამხრეთ ოსეთად გამოცხადება.

როდის უნდა მომხდარიყო დვალთა გადმოსახლება თრუსოსა და დიდი ლიახვის სათავეში (მაღრან-დვალეთში)? ვფიქრობთ, ამ პროცესის IX-X საუკუნეებზე ადრე განხორციელება გამორიცხულია, რადგან ამ დროს მოხდა თერგის ხეობაში მცხოვრები წანართა ტომის ბარში (კახეთში) მიგრაცია.

მიუღებლად მიგვაჩნია დვალეთის აღსანიშნავად „ბუდე დვალეთის" დამკვიდრება, რადგან ამ ტერმინის შემოტანა გულისხმობს სხვა დვალეთის არსებობასაც. სხვა დვალეთს კი, გარდა მაღრან-დვალეთის მცირე ტერიტორიული რეგიონისა, ქართული საისტორიო წყაროები არ იცნობენ და ლიახვის ხეობის სათავეში დვალთა მიგრაცია XII-XIII სს-ში იმას არ ნიშნავს, რომ მათი განსახლების ახალი ტერიტორიები დვალეთად გამოვაცხადოთ.

ვ. ითონიშვილი თითქოსდა პირველი მეცნიერია, რომელმაც „დვალეთის" ქვეყანა გამიჯნა "ოვსეთის" ქვეყნისაგან. საამისოდ მას მოხმობილი აქვს ამ თვალსაზრისით უკვე სხვა მეცნიერების მიერ მოტანილი ქართული საისტორიო წყაროები. მეცნიერული კეთილსინდიერება კი მოითხოვდა, რომ ამის შესახებ ხაზგასმით თქმულიყო. ჩვენ, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ვ.გამრეკელის ზემოთ არაერთგზის ხსენებული მონოგრაფია დვალეთისა და დვალების შესახებ, „დვალეთი" და „ოსეთი", როგორც გეოგრაფიული ერთეულები, „დვალი" და „ოსი" კი როგორც ეთნიკური ტერმინები თავის დროზე მტკიცე მეცნიერული არგუმენტებით გამიჯნა ვახ. გამრეკელმა. მთელი მისი წიგნი ფაქტიურად ამ პრობლემის გადაწყვეტისადმია მიძღვნილი. ვ. ითონიშვილი წერს: „დვალეთის" ქვეყნის გამიჯვნა „ოვსეთი"-საგან არანაკლები წარმატებით ხერხდება ჩვენს განკარგულებაში არსებული სხვა წერილობითი მონაცემების შუქზეც" (გვ.86). მკითხველის საყურადღებოდ ვიტყვი, რომ „დვალეთის" ქვეყნისაგან „ოვსეთის" გამმიჯნავი წერილობითი მონაცემები ვ.ითონიშვილზე ადრე ვ. გამრეკელს ჰქონდა ხელთ და დიდი წარმატებითაც გადაწყვიტა ეს პრობლემა (იხ.ვ. გამრეკელის წიგნის გვ.31-32,35).

მოსალოდნელი იყო ვ. ითონიშვილი თავის წიგნში დვალების შესახებ შემოგვთავაზებდა ახლად აღმოჩენილ საისტორიო წყაროებს, საარქივო საბუთებს, რომლითაც ის ახალ სიტყვას იტყოდა მეცნიერული კვლევის ამ სფეროში.მაგრამ რა? წიგნში არაა მითითებული არც ერთი წყარო, საისტორიო საბუთი, რომელიც გამოყენებული და სათანადო მეცნიერული კომენტარებით მოცემული არ ჰქონდეს ვ. გამრეკელს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ვ. გამრეკელის წიგნი რუსულადაა დაწერილი, ვ. ითონიშვილისა — ქართულად.

მოგვყავს რამდენიმე მაგალითი. ვ. ითონიშვილი წერს: „დვალების შესახებ პირველ ცნობებს ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორთა თხზულებებში ვადასტურებთ, ასე, მაგალითად, პლინიუს უფროსის (24-79 წ.წ.) ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო ტომი ფიგურირებს თალის (Thalos) ან ვალის (Valli) სახელწოდებით (პიტიუნტის ზევით „კავკასიის მთებში ცხოვრობს სარმატული ხალხი — ეპაჰერიტები, მათ იქით კი სავრომატები. ამ უკანასკნელებთან გაიქცა მითრიდატე იმპერატორ კლაუდიუსის დროს. ის ყვებოდა, რომ მათთან (ე.ი. სავრომატებთან, ვ.ი.) მეზობლობაში სახლობენ თალები, რომლებიც აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე ვრცელდებიან... კავკასიის კარიდან გურდინიის მთებში (montes Gurdinios) ცხოვრობენ ვალები და სუაუები (უნდა იყოს სვანები, ვ.ი.)... ოქროს მომპოვებელი ტომები“), ხოლო კლავდიოს პტოლემეოსის (ახ. წ. II ს.) სახელგანთქმულ „გეოგრაფიაში“. ის ასახულია უადის (Ovaioc) ფორმით (კერავნის მთებსა და მდინარე რას შორის ცხოვრობენ ორინეები, უალები და სერბები, ხოლო კავკასიისა და კერვანის მთებს შორის ტუსკები და დიდურები“_“ — იხ.დასახ. ნაშრომი, გვ. 75-76.

ახლა ვ. გამრეკელის მონოგრაფიაში ჩავიხედოთ,» რომელსაც სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი: „ანტიკური მწერლობის ცნობები დვალების შესახებ“ („Свидетельства античных писателей о двалах — გვ. 41-63). ვ.გამრეკელი წერს: Из писателей античного мира по вопросу двалов в первую очередь следует назвать Плиния Секунда писателя Iв. н.э. (24-79 гг) и Клавдия Птолемея знаменитого географа середины II века н.э.

У обоих этих писателей упоминаются такие этнонимы: „Талы (Thalos)“, „Валлы (Valli)“, „Уалы и их живые носители. Учитывая представленную у самих же этих писателей локализацию этих имен, мы считаем возможным отождествить их с племенным именем „Двали“ грузинских хроник и летописей.

Разберемся в сведениях упомянутых античных писателей ближе. Начнем с более древнего источника.

Плений Секунд в своей высокоценимой энциклопедии „Естественная История" пишет: „В тылу его (города — Питиунта — В.Г. в Кавказских горах живет сарматский народ Епагериты, а за ним — Савроматы. К последним бежал Митридат (Боспорский, начало 40-х годов I в.н.э. — В.Г.) при императоре Клавдии, он рассказывал, что в соседстве с ними (Кавказскими савроматами — В.Г.) живут Талы (Thalos), которые с востока доходят до устья Каспийского моря, и что устье высыхает во время морского отлива" (ვ.გამრეკელი, გვ. 41-42).

ვ. ითონიშვილმა იგივე გაიმეორა, რაც გამრეკელს აქვს ნათქვამი. ოლონდ, მკითხველმა განსაჯოს, ვინ უკეთესი ფორმით. ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ერთმა ეს გააკეთა ახლა ქართულად, მეორემ კი 30 წელზე მეტი ხნის წინ რუსულად. ასეთ ქმედებას მეცნიერებაში სხვა სახელი ჰქვია, როდესაც სხვის ნათქვამს იმეორებ და ერთხელაც არ უთითებ, რომ ეს შენზე ადრე სხვას აქვს გაკეთებული და დაწერილი.

ახლა ვ.ითონიშვილის 97 — სიტყვიანი წინადადებიდან ბოლო ნაწყვეტს მოვიტან: „... ვფიქრობთ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს ახ.წ. I-II სს-ის ავტორთა ნაშრომებში ხსენებულ დვალთა ეთნიკური (თუ ეთნოგრაფიული) ინდივიდუალობის ფაქტის უყოყმანოდ აღიარებისა და მათი კავკასიური წარმომავლობის ვერსიის დომინირების საჭიროებაზე" (გვ. 79). როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, ავტორის ფიქრით, მის მიერ მოტანილი და განხილული წყაროების საფუძველზე, დვალები თავისთავადი ეთნიკური ერთეული იყო, რომლებიც კავკასიური წარმომავლობისანი იყვნენ. ახლა ვ. გამრეკელის ნაშრომიდან მოვიტანოთ ციტატა: „В результате ознакомления со сведениями античных писателей мы пришли, с одной стороны, к позитивному выводу, что со значитеельной степенью вероятия тал-валл-уалов, т.е. двалов можно причислить к аборигенно — кавказским племенам, родственным горцам Иберии и вейнахам, а с другой стороны, пришли к негативному выводу, что нет никакого основания для причисления тал-валл-уалов, т.е. двалов к пришлим аланским племенам" (გვ. 63).

ვ. ითონიშვილი: „... მართალია კონკრეტულად არაფერია ნათქვამი დვალების შესახებ„ (იგულისხმება სტრაბონის ნაშრომი) — გვ.79. „როგორც მოტანილ ამონაწერზე დაკვირვება გვაფიქრებინეს, ამჯერად დვალთა ტომი იბერიელ მთიელთა განსახლების რეგიონში იგულის-

ხმება“ (გვ.80). ახლა ვ.გამრეკელის ნაშრომიდან მოვიტანოთ ამონაწერი: „У Страбона мы не нашли ничего конкретного непосредственно относящегося именно к двалам; но поскольку двалы являлись непосредственными соседями Иберии с севера, населяли северные склоны и предгорья Кавказа, все сказанное о „народцах у Кавказа“, их принадлежности к Сарматам и родстве с горцами Иберии со значительной долей вероятия может быть распространено и на двалов...“

კითხულობ ვ. ითონიშვილის წიგნს და სრულ გაოცებას იწვევს, როგორ ახდენს ის განსვენებული მეცნიერის ვ. გამრეკელის ნაშრომის პერიფრაზირებას. გამრეკელის ნაშრომი მას არც ამ შემთხვევაში აქვს მითითებული. ალბათ მოსაბეზრებელი იქნება, როგორც ერთი, ისე მეორე ნაშრომიდან სათანადო ციტატების მოტანა, მაგრამ სიზუსტისათვის, ვფიქრობთ, ამას ვერ გავექცევით. ახლახანს დაბეჭდილი ქართული წიგნიდან: „ზემოთ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს დვალებისა და დვალეთის შესახებ კიდევ უფრო განამტკიცებს IV ს. შუა პერიოდში შედგენილი, თუმცა შედარებით უფრო ძველ წყაროებზე დაფუძნებული რომაული საგზაო რუკა — ე.წ. პეიტინგერის ტაბულა (Tabula Peutingeriana) ან კარტორიუსის რუკა, რომელზედაც ეთნონიმი „Divali“ სვანების აღმოსავლეთითაა დატანილი და დარიალის კლდეკარის დასავლეთით მდებარე, კავკასიონის ცენტრალური ნაწილის მოსახლეობას აღნიშნავს; თანაც ხსენებულ რუკაზე ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმი ირანულენოვანი სარმატებისა და ალანებისაგან გამიჯნულად ფიგურირებს, რითაც ესოდენ არქაული კარტოგრაფიული ნაღვაწის შუქზე რესტავრირებული ეთნოგრაფიული სიტუაცია, როგორც დვალეთის ქვეყნის ლოკალიზაციის, ისე სარმატულ-ალანურ ეთნიკურ მასივთან დვალთა მიმართების საკითხში შეძლებისამებრ მართებული ორიენტაციის თვალსაზრისით თითქმის ბოლომდე ემთხვევა უფრო ადრინდელი ხანის ლიტერატურის (პლინიუს უფროსი, პტოლემეიოსი) მონაცემებს საკვლევი რეგიონისა და დვალებად წოდებული მთიელების ირგვლივ (გვ. 81-82).

ამონაწერი რუსული წიგნიდან: „Третьим из наиболее ранних античных свидетельств о двалах представляется нам этноним Divali обозначенный т.н. Пейтингеровой таблице или карте Касториуса. карта именуемая Пейтингеровой таблицей возникла в середине IV в. (по определению К.Миллера в 365 г. н.э.), но составитель пользуясь более ранними источниками, для столь отдаленной области как Кавказ, отражает несомненно еще более раннюю ситуацию“(გვ.49)

„На карте середины IV в. н.э. на одной горизонтали (параллели) с аланами, сванами, сарматами и к востоку от них, указаное Divali, одновременно, южнее Divali указанные FL. Cytus, Caspiae, Mons Paruerdes, Colchi и др. Такое расположение надписей дает нам основание признать, что в Пейтингеровой таблице Divali локализовано в центре Главного Кавказского хребта. Эта локализация Divali соответствует локализации вал-уаллов Плинсия С. и Птолемея Кл., а также „двалов" грузинских и армянских источников. Поэтому мы полностью разделяем выраженное Томащеком мнение о тождестве Divali с „двали" (с.50).

როგორც ვ. გამრეკელის მონოგრაფიიდან ამონაწერი მოწმობს უფრო ადრე დვალებისა და დვალების იგივეობის შესახებ მიუთითა ტომაშეკმა. არც ამის შესახებაა ქართულ წიგნში რაიმე ნათქვამი.

სამწუხაროა, რომ ვ.ითონიშვილი ისევე კითხულობს „ძეგლის ერისთავთა"-ს ზოგიერთ ადგილს, როგორც ი. გაგლოევი. მას დვალეთად მიაჩნია (XIV საუკუნისათვის) დიდი ლიახვის ხეობა აჩაბეთიდან ზემოთ (გვ. 94). ციტატის — „მაშინ მოწუნეს და მოაოჭრნეს ყოველნი ჭევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვნეს ყოველნი ციხენი თრუსოით აჩაბეთამდის" – ახსნა ჩვენ სათანადოდ მოცემული გვქონდა ზემოთ და აქ აღარ გავიმეორებ. ვიტყვით მხოლოდ, რომ „ძეგლი ერისთავთა"-ში ლაპარაკია ცალკე დვალეთის ქვეყნისა და ცალკე დიდი ლიახვის ხეობის დარბევაზე თრუსოდან აჩაბეთამდე. ვ.ითონიშვილს მიაჩნია, რომ „ძეგლი ერისთავთა"-ს ავტორისათვის დვალეთის ქვეყანას წარმოადგენდა არა დვალეთი, ვახუშტისეული გაგებით, არამედ დიდი ლიახვის ხეობის მთა მთისწინეთი. ითონიშვილის აზრით, XIV-XV სს-თვის დვალეთი კავკასიონის ქედის გადმოლმა იყო (გვ.95). უფრო მეტიც, ვახუშტისეული ანუ ნამდვილი და ერთადერთი დვალეთი, მისი სიტყვით კი „ისტორიული დვალეთი" XIV ს-ში ეთნიკურად უკვე ოსური იყო. ამ „აზრს" მხოლოდ ის შეიძლება დავუპირისპიროთ, რომ დვალეთში ძირითადი ოსური გვარების ალაგირიდან მიგრაციის დროდ თვით ოსი ავტორების მიერ (ბ.კალოევი) XVI ს. და შემდეგი პერიოდია მიჩნეული. ავტორი ავითარებს აზრს, რომ „ძეგლი ერისთავთა" საგრძნობლად აღრმავებს ჩვენს ცოდნას დვალეთად წოდებული ქვეყნის მოცულობაზე და თვალნათლივ გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენ „წარმატებით" დაექვემდებარა ერთხანს მარტოოდენ ნარ-მამისონის ქვაბულში ლოკალიზებული ისტორიული დვალეთის (II დვალთა ფორმირების უძველესი კერა) ტერიტორიული გაფართოვების საკმაოდ ინტენსიურ პროცესს მეზობელი კუთხეების (თრუსო, დიდი

ლიახვის ხეობის მთიანი ზონა) „ჩაყლაპვის“ ხარჯზე“ (გვ.96). აქ დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ავტორი ნარმოიდგენს და თავის წარმოდგენას ქრონიკის ავტორს მიაწერს. „ძეგლი ერისთავთა“-ში შიდა ქართლის მთიანეთი არსად არაა სახელდებული დვალეთად. ვ. ითონიშვილმა დვალეთი XIV ს-თვის მხოლოდ დვალთა ტომის ფორმირების უძველეს კერად, ისტორიულ დვალეთად წარმოიდგინა. რა ლმერთი გაუწყრა ქსნის ერისთავთა ქრონიკის ავტორს, როდესაც XVIII ს-ის ავტორმა ვახუშტი ბაგრატიონმა იცოდა დვალეთის ადგილმდებარეობა? იცოდა, .რომ კავკასიონის ქედის გადმოლმა, სამხრეთით დვალეთი არ იყო, რომ შიდა ქართლის მთიანეთში, დიდი ლიახვის ხეობის სათავეში მხოლოდ ცხრა სოფლიანი მაღრან-დვალეთის რეგიონი გვქონდა. „ძეგლი ერისთავთა“-ში მხოლოდ იმაზეა საუბარი, რომ დიდი ლიახვის მთიანი მონაკვეთის ზოგიერთ სოფელში დვალები იყვნენ განსახლებული, რა თქმა უნდა, დვალეთიდან გადმოსახლებულნი და მათ განსასხვავებლად ხმარობს ტერმინებს „ქვემო დვალები“ და „შავდვალები“. არსად ძეგლში ქვემო დვალეთის, შავი დვალეთის შესახებ არაა საუბარი. უფრო მეტიც, არსად ძეგლში არაა იმის მითითება, რომ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე დვალები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ, როგორც ეს ვ. ითონიშვილს წარმოუდგენია. წიგნში მოცემულია რუკა სათაურით „ დვალთა მიგრაციის ძირითადი მიმართულებანი უძველესი დროიდან ან. ნ. XIII ს-მდე და დვალთა განსახლების არეალი XIII-XIV სს-ში“. რუკაზე იკითხება, რომ დვალთა მიგრაციას უძველესი დროიდან XV ს-მდე ჰქონდა ადგილი თრუსოში (თერგის ხეობის სათავე), დიდი ლიახვის ხეობის მთისწინეთ-მთიანეთში, რომელსაც მთლიანად მაღრან-დვალეთი აწერია. პარალელურად, თურმე, დიდი ლიახვის მთიანი ნაწილიდან (ითონიშვილისეული მაღრან-დვალეთიდან) უძველესი დროიდან მოკიდებული მიმდინარეობდა დვალთა მიგრაცია. ე.ი. დვალეთს წარმოადგენდა პატარა ლიახვის ხეობის სათავე (ენოლო) და ქსნის სათავე (ეამური). ავტორი წერს კიდევაც: „... დვალთა განსახლების არეალი პატარა ლიახვის ხეობის სათავესაც (აქ ლოკალიზებულ ქნოლოს თემსაც) მოიცავდა, რომლის მკვიდრნიც „ქნოლოელების“ სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი. საკვლევით შესაძლებელია, რომ ასევე დვალები ეკვემდებარებოდნენ ამოცნობას ქსნის ხეობის სათავეში მცხოვრებ ეამურელთა მილმაც“ (გვ.99). ეს მსჯელობაც და რუკაც მთლიანად ავტორის წარმოსახვას ეყრდნობა და არა კონკრეტულ საისტორიო წყაროებს. ჯერ ერთი, ჩვენთვის გაუგებარია წინადადება „დვალთა მიგრაციის ძირითადი მიმართულებანი უძველესი დროიდან XV ს-მდე“. რას ნიშნავს უძველესი დრო? ქვის ხანას? ბრინჯაოს ხანას?... რუკაზე რეალური მაღრან-დვალეთის ნაცვლად მოხაზულია თითქმის 10-ჯერ მეტი ტერიტორია.

არამცდაარამც „ძეგლი ერისთავთა“-თი და სხვა საისტორიო წყაროებით არ დასტურდება, რომ XV ს-თვის ქნოლოში და ჟამურში დვალური მოსახლეობა იყო, რომ არაფერი ვთქვათ უძველესი დროიდან მათი აქ მკვიდრობა-მოსახლეობის შესახებ.იგივე შეიძლება ითქვას თრუსოზე. აქ დვალები მხოლოდ X ს-ის შემდეგ შეიძლებოდა გაჩენილიყვნენ, მას შემდეგ, რაც ადგილობრივი მკვიდრი წანარები ბარში გადასახლდნენ. ყველა ეს რეგიონი (დიდი ლიახვის მთელი მთიანი ნაწილი, რომელსაც მაღრან-დვალეთთან აიგივებს, პატარა ლიახვის სათავე-ქნოლო, ქსნის სათავე-ჟამური) ვ. ითონიშვილს „დვალთა მაქსიმალური კომპაქტური განსახლების არეალად“ წარმოუდგენია XIV-XV სს-ში. ვიმეორებთ, ქსნის ერისთავთა ქრონიკაში არაა მინიშნებული, რომ XIV-xv სს-ში ჟამურში და ქნოლოში დვალებს ეცხოვრათ. ქნოლოელი ხარებას კავშირი დვალებთან იმას არ ნიშნავს, რომ ხარება და სხვა ქნოლოელები დვალები არიან. ტექსტში მხოლოდ მთის რეგიონებისათვის დამახასიათებელი სოციალური ბრძოლაა ასახული ერთმანეთთან და ქსნის ფეოდალებთან. მეტიც, დვალებს ბრძოლა აქვთ გამოცხადებული ჟამურელებთან: „და მეორესა წელსა მოუჯდეს ყოველნი დვალნი. მაშინ ბრძოლა-უყვეს ჟამურელთა და იყუნეს ბეგრის მკრეფელნი ცხრაზმელნი და მივიდეს იგიცა და ვითარცა ესმა დვალთა მისვლა ცხრაზმელთა ზარი დაეცა და გაიქცეს და შეიხუეწნეს ციხეთა ქნოლოელთა. მაშინ სთხოვდეს ჟამურელნი, ხოლო მათ არღარა მისცნეს და წარმოვიდეს და შეითრიეს ყოველი იგი მკუდარი დვალი და მოვიდეს წინაშე ერისთავისა და შეასმინეს ქნოლოელნი“ (შ.მესხია, გვ.353). განსახილველი წიგნის ავტორის ლოგიკის კვალობაზე მოტანილი ციტატა სრულაც არ ადასტურებს ჟამურელთა დვალობას.

მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, რომ ვ. ითონიშვილი აღნიშნული მოსაზრებებით ი. გაგლოევისა და ბ.კალოევის აზრებს იმეორებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დვალები სხვადასხვა ეთნოსებად წარმოუდგენიათ. ვ. ითონიშვილის წიგნში დაბეჭდილი რუკაც თითქმის იდენტურია ბ.კალოევის მონოგრაფიაში („Осетины“... გვ.67) მოთავსებული რუკისა.

ვ. ითონიშვილი თავის „გამოკვლევას“ დვალების შესახებ ძირითადად ვარაუდებსა და საკუთარ წარმოდგენებზე აგებს. მას შემოაქვს ტერმინები: „თეთრი დვალეთი (სამხრეთი, პირაქეთი დვალეთი)“, „შავი დვალეთი (ჩრდილოეთი, პირიქითი დვალეთი“) (გვ.117). ეს ტერმინები ავტორის მიერ ხელოვნურადაა შექმნილი. საისტორიო წყაროებსა და ქრონიკებში ასეთი ტერმინები არსად არ გვხვდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ „ძეგლი ერისთავთა„-ში ნახსენები არიან შავდვალნი, მაგრამ არა შავი დვალეთი. ძეგლში მინიშნებული არაა შავდვალები ვახუშტისეულ, ნამდვილ, ერთადერთ დვალეთში მკვიდ-

რობდნენ თუ შიდა ქართლის მთიანეთში, დიდი ლიახვის მთიან ნაწილში. ვ.ითონიშვილი კი დაბეჯითებით შავდვალეთს უწოდებს ვახუშტისეულ დვალეთს. ის კი არა „შავდვალეთში" („პირიქით ანუ ჩრდილოეთ დვალეთში") შეყავს თრუსოს რეგიონიც (გვ. 117). რა მონაცემებზე დაყრდნობით, წარმოუდგენელია. ავტორის ლოგიკა ასეთია: თუ არსებობდა პირიქითი და პირაქეთი ხევსურეთი, არსებობდა პირიქითი და პირაქეთი დვალეთიც. აღმოჩენად უნდა მივიჩნიოთ „ძეგლი ერისთავთაში" ნახსენები „ქვეყანა ბობოლეთაა"-ს ქვემო დვალეთის" სამოსახლო რეგიონში შეტანა. როგორც იტყვიან, ფანტაზიას საზღვარი არა აქვს, მითუმეტეს, როცა ავტორმა არ იცის წინაფშავის სოფელი მალარო დვალეთის რომელ რეგიონს მიაკუთვნოს (გვ.118).

ამ შემთხვევაშიც ავტორი ორიგინალური არაა. ის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ოსი მეცნიერის გ.თოგოშვილის ნააზრევს, რომელიც მთელი შიდა ქართლის მთიანეთს „ქვემო დვალეთს„ უწოდებდა (გ. თოგოშვილი, 1959, გვ.221). ოღონდ, ვ.ითონიშვილი მკითხველს აქაც გარკვეულად უმალავს წინამორბედი მეცნიერის ნააზრევს. ოს მეცნიერს მიზანი ჰქონდა. აი, რა მიზნები აქვს ქართველ ავტორს, როდესაც ის უკრიტიკოდ და მიუთითებლად იმეორებს სხვის „ნააზრევს" ჩვენთვის გაუგებარია.

ამდენად, წიგნის ავტორის მიზანია დვალეთის რეგიონის საზღვრები გააფართოვოს შიდა ქართლის მთიანეთის სხვადასხვა რეგიონების ხარჯზე. ავტორი საკუთარ წარმოსახვას და ფანტაზიას რეალურ მოვლენად ასაღებს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დვალეთი იყო იქ, სადაც ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა, სადაც ივ. ჯავახიშვილი უთითებდა: დვალეთი „კავკასიონის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შორის არის მოქცეული". კავკასიონის ქედს გადმოლმა დვალეთი არ ყოფილა. გვქონდა მხოლოდ მაღრან-დვალეთის პატარა რეგიონი დიდი ლიახვის სათავეში, რომელიც შედარებით გვიანდელი წარმონაქმნი იყო დვალეთიდან მოსახლეობის მიგრაციის შედეგად. ამის შესახებაა მითითებული თითქმის ყველა ქართულ წყარსა და საისტორიო საბუთში. მათ აქ აღარ გავიმეორებთ. ოღონდ 1503 წლის წიგნიდან მოვიტანთ ნაწყვეტს („წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადასახადზე"): „ამას გარეთ სხუა მრავალი მტერობა გუიყაკით და ვერსით საჯამაგიროდ ვერ გაგეპარენით, ამისი ღონე ვერ დავდევით რომ გზა გუეშოვნა. ასი სუანი **დვალეთისაკენ** გავიპარენით, კახეთს საჯამაგიროდ წავედით. მის წასვლა ვერ შეგუიტყევით, და მერე შინისაკენ რომ შემოვიქეცით, იმავ **დვალეთზედ** წამოვედით — დაგუხუდით **გლოლას** და **ქიორას** შუაზედან და მოგუიჭირეთ ჭელთა, დაგუძარცუეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბედ გაუშუით, სხვა ყუელა ტყუედ წაგუასხით, ჩვენის

შეხსენებისათვის ვიტყვით, რომ თერგის ხეობაში (ისტორიულ წანარეთში) XIV ს-სათვის გამოიყოფა სამი რეგიონი („ქვეყანა"): თრუსო, მნა და ხევი. საკამათო არაა, რომ ამ დროისათვის თრუსოში დვალები არიან დასახლკარებული, ხევში — მოხევეები. ვინ ცხოვრობდა მნაში? ქსნის ერისთავთა ქრონიკის ზემოთ მოტანილმა ადგილმა გამოატანინა გ.თოგოშვილს დასკვნა, რომ მნაველები ოსები იყვნენ. ის წერდა: „ძეგლი მნაველთა ეთნიკურ კუთვნილებაზე სიტყვას არ სძრავს, მაგრამ მასში დაცულ ონომასტიკურ მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ფარეჯან, ამსაჯან, სუნლუ, ბალათარ), ცხადი გახდება, რომ ისინი ოსები არიან (გ. თოგოშვილი , საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან — უძველესი დროიდან XIV ს-ის დაძლევამდე თბ., 1958, გვ.219). იგივე გაიზიარა ვ. გამრეკელმა (გვ.120-121). ვ.ითონიშვილს ჰგონია, რომ ძეგლში ჩამოთვლილი მნაველთა სახელები (სუნლუ, ფარეჯან, ამსაჯან, ბალათარ) ალან-ოსური იერსახისაა (გვ.169). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავტორს მოყავს იმის საილუსტრაციო მასალა, რომ მსგავსი სახელები საქართველოს მთიანეთის სხვა პროვინციებშიც იყო გავრცელებული. ჩვენი მხრივ დავაძენთ, რომ არცერთი ეს სახელი ალან-ოსური არაა. ისინი ძირითადად მონგოლური სახელებია, რომლებიც გავრცელდა ყველა იმ ხალხში, სადაც მათ ფეხი დადგეს და ვის მეზობლადაც ისინი ცხოვრობდნენ, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ანთროპონიმების გავრცელებისათვის. სახელი „ამსაჯან" ანუ „ავსაჯან" ბოლო დრომდე ხევში გავრცელებული იყო და ამ ფუძესახელზე გვარიც გვაქვს ავსაჯანაშვილი (ძველად ავსაჯანიაური). ქართველ ხალხში ასევე გავრცელებული სახელი იყო „სანლური" (იგივე „სონლული"). გვაქვს გვარი სონლულაშვილი (უფრო ადრე სონლულიძე). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში თუ ჩავიხედავთ, „სონლული" საშუალო სიდიდის მტაცებელი ფრინველია, შევარდენთა ოჯახისა. ახლა „ფარეჯანის" შესახებ. „ფარეჯანი" იგივეა, რაც „ფარანჯომი". საქართველოში კი ამ სახელით მეფეც გვყავდა, მირვან I -ის ძე (ქც. I, გვ. 28-29). „ფარეჯანი" თუშეთში ბოლო დრომდე გავრცელებული სახელი იყო (გ.ბოჭორიძე, თუშეთი, თბ., 1993). „ბალათარიც" არ იყო უცხო ქართული საკუთარ სახელთა სამყაროსათვის. ბოლო დრომდე ხევსურეთში „ბალათერა" გავრცელებული სახელი იყო. ვ.აბაევის მითითებით საკუთარი სახელი „ბალათარ" (ბაყათარ) თურქულ-მონგოლური მოდგმის ხალხებიდანაა გავრცელებული ისევე, როგორც რუსული სიტყვა ბოგატირი". (В.И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I.М.-Л. 1958. с. 246). თუ ჩავიხედავთ სვანეთის საისტორიო საბუთებში, ვნახავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სახელები გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ამ რეგიონშიც.

შეხსენებისათვის ვიტყვით, რომ თერგის ხეობაში (ისტორიულ წანარეთში) XIV ს-სათვის გამოიყოფა სამი რეგიონი („ქვეყანა"): თრუსო, მნა და ხევი. საკამათო არაა, რომ ამ დროისათვის თრუსოში დვალები არიან დასახლკარებული, ხევში – მოხევეები. ვინ ცხოვრობდა მნაში? ქსნის ერისთავთა ქრონიკის ზემოთ მოტანილმა ადგილმა გამოატანინა გ.თოგოშვილს დასკვნა, რომ მნაველები ოსები იყვნენ. ის წერდა: „ძეგლი მნაველთა ეთნიკურ კუთვნილებაზე სიტყვას არ სძრავს, მაგრამ მასში დაცულ ონომასტიკურ მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ფარეჯან, ამსაჯან, სუნლუ, ბალათარ), ცხადი გახდება, რომ ისინი ოსები არიან (გ. თოგოშვილი , საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან — უძველესი დროიდან XIV ს-ის დამლევამდე თბ., 1958, გვ.219). იგივე გაიზიარა ვ. გამრეკელმა (გვ.120-121). ვ.ითონიშვილს ჰგონია, რომ ძეგლში ჩამოთვლილი მნაველთა სახელები (სუნლუ, ფარეჯან, ამსაჯან, ბალათარ) ალან-ოსური იერსახისაა (გვ.169). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავტორს მოყავს იშის საილუსტრაციო მასალა, რომ მსგავსი სახელები საქართველოს მთიანეთის სხვა პროვინციებშიც იყო გავრცელებული. ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ არცერთი ეს სახელი ალან-ოსური არაა. ისინი ძირითადად მონგოლური სახელებია, რომლებიც გავრცელდა ყველა იმ ხალხში, სადაც მათ ფეხი დადგეს და ვის მეზობლადაც ისინი ცხოვრობდნენ, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ანთროპონიმების გავრცელებისათვის. სახელი „ამსაჯან" ანუ „ავსაჯან" ბოლო დრომდე ხევში გავრცელებული იყო და ამ ფუძესახელზე გვარიც გვაქვს ავსაჯანაშვილი (ძველად ავსაჯანიაური). ქართველ ხალხში ასევე გავრცელებული სახელი იყო „სანლური" (იგივე „სონლული"). გვაქვს გვარი სონლულაშვილი (უფრო ადრე სონლულიძე). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში თუ ჩავიხედავთ, „სონლული" საშუალო სიდიდის მტაცებელი ფრინველია, შევარდენთა ოჯახისა. ახლა „ფარეჯანის" შესახებ. „ფარეჯანი" იგივეა, რაც „ფარანჯომი". საქართველოში კი ამ სახელით მეფეც გვყავდა, მირვან I -ის ძე (ქც. I, გვ. 28-29). „ფარეჯანი" თუშეთში ბოლო დრომდე გავრცელებული სახელი იყო (გ.ბოჭორიძე, თუშეთი, თბ., 1993). „ბალათარიც" არ იყო უცხო ქართული საკუთარ სახელთა სამყაროსათვის. ბოლო დრომდე ხევსურეთში „ბალათერა" გავრცელებული სახელი იყო. ვ.აბაევის მითითებით საკუთარი სახელი „ბალათარ" (ბაყათარ) თურქულ-მონგოლური მოდგმის ხალხებიდანაა გავრცელებული ისევე, როგორც რუსული სიტყვა ბოგატირი". (**В.И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I.М.-Л. 1958, с. 246**). თუ ჩავიხედავთ სვანეთის საისტორიო საბუთებში, ვნახავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სახელები გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ამ რეგიონშიც.

მაგალითად, XIV ს.II ნახევრის საბუთში „დაწერილი ერთობილთა ლაპილელთა“ მოწმედ დასახელებულია „ამსაჯან შაურეგიანი“ (სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ვ. სილოგავას გამოცემა, თბ., 1986, გვ.134). XIV ს-ის I ნახ. საბუთში მოხსენიებული არიან **ამსაჯან** და **სანლურ** იოსელიანები (იქვე, გვ.181). XV-XVI სს-ის დაწერილში — სანლურ ჩარკვიანი (იქვე, გვ.213), XVII-XVIII სს. დეუდარიანთა სახლის მოსახსენებელში „ბაღვათურ დეუდარიანი“ (გვ. 287). ასე, რომ ამ სახელების მიხედვით მნაველთა ოსობის მტკიცებას არავითარი საფუძველი არა აქვს. ასევე გამორიცხულია მნაველების დვალობა, როგორც ამას ზოგიერთი სხვა ავტორი ფიქრობს. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით ეს გამორიცხულია. გამორიცხულია, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფის ხალხი (თრუსოელები და მნაველები) ასე დაპირისპირებულნი ყოფილიყვნენ ერთმანეთისადმი. ისინი ერთმანეთის მტრები არიან. თრუსოელები ეხვეწებიან ვირშელ ერისთავს, რომ დაეხმაროს მტრების, მნაველების წინააღმდეგ. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით მნის „ქვეყანა“ ეთნოგრაფიულად ხევის „ქვეყნის“ თითქმის მსგავსი და ანალოგიურია. მნაველების დახმარება მოხევეებს გადაუწყვეტიათ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოხევეები თანამოძმედ ეხმარებოდნენ. როდესაც ამას ვამბობთ, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ „გერგეტის მატიანე“-ს მიხედვით მნაველები ისევე ეყმობოდნენ ხევის საერთო სალოცავს — გერგეტის სამებას, როგორც მოხევეები. მნაველების ოსობას გამორიცხავს (და მათ მოხევეობას ადასტურებს) 1439 წლის საბუთში ამ სოფელში აბიაურთა გვარის მკვიდრობა. მნაველი აბიაური, ალექსანდრე მეფის ბრძანებით, ხევმა მძევლად მისცა გერგეტის საყდრიშვილებს (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991, გვ.56). მნაშივე, „გერგეტის მატიანე„-ს მიხედვით მკვიდრობდნენ ბადაისძეები (ქართველები), რომელთა შთამომავალნი (ბადაშვილები) დღეს ხევის სოფ. ხურთისში ცხოვრობენ.

ვ. ითონიშვილის მიხედვით კი მნაველები იმ ოსთა ნაწილს წარმოადგენენ, რომლებმაც XIV ს-ში ქართლის ზოგიერთი ადგილი დაიპყრეს: „მნა (ისევე როგორც გორი) ალან-ოსთა მიერ დროებით „დაპყრობილ“ ერთ-ერთ ალაგად შეიძლება ვიგულოთ“ (გვ.72). ისტორიულ მეცნიერებაში, როდესაც წყაროების, საბუთების ადგილს წარმოსახვა იკავებს, ის უკვე ისტორიული მეცნიერება არაა.

ვ.ითონიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ „ძეგლი ერისთავთა„-ს თანახმად XIV-XV სს-ში ცხრაზმის ერისთავები და **ქართველი მეფეები** (ხაზი ჩვენია —რ.თ.) აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ დვალების წინააღმდეგაც“ (გვ. 172). „ძეგლი ერისთავთა“-ს თუ კარგად წავიკითხავთ, აშკარაა, რომ დვალების წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებენ მხოლოდ ქსნელი ფეოდალები. მასში მეფეთა ბრძოლის კვალი არ ჩანს დვალების წინააღმდეგ. პირიქით, დვალები სხვა

მთიელებთან ერთად მეფის გარშემო იბრძვიან ცხრაზმის ხევის ფეოდალთა წინააღმდეგ: „მაშინ მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თჳსი და თათარნი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასავე ჴევსა შალვაჲს საერისთავოსა და **ჩამოსხნა დვალნი** და ჴადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქუემონი და დაწუეს და მოაოჴრეს ყოველი ცხრაზმის ხევი...“ (შ. მესხია, გვ. 247). ჯ.გვასალიას სამართლიანი შენიშვნით, ქსნის ერისთავთა ბრძოლა დვალების (და სხვა მთიელთა წინააღმდეგ) ესაა ბრძოლა დვალთა ქვეყნის სოციალური დამორჩილებისათვის, ბრძოლა თავისუფალ მეთემეთა და ფეოდალთა შორის (ჯ.გვასალია, ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, სიგს. ტ. VI, თბ., 1982, გვ.40). სამეფო ხელისუფლების დასუსტებისთანავე ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთი საგამგეო ტერიტორიების გაფართოებას. ამ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლება ფეოდალის მხარეს არასოდეს დაიკავებდა, რადგან განაპირა მთის თავისუფალი მეთემეებით დასახლებული ქვეყნები მეფის საგამგეოს წარმოადგენდა. ფეოდალები კი ამ „ქვეყნების„ დამორჩილებას ცდილობდნენ. ასეთსავე ბრძოლებს ჰქონდა ადგილი არაგვის ერისთავების მხრივ, როდესაც ისინი ასევე თავისუფალი მეთემეებით დასახლებული ფშავ-ხევსურეთის დამორჩილებას ცდილობდნენ.

კიდევ ერთ ციტატას მოვიტან ვ.ითონიშვილის წიგნიდან: „სამაგიეროდ დვალური ენის პროდუქტად საგულვებელი ძირძველი ტოპონიმიური ნომენკლატურა დამაჯერებლად ლაპარაკობს ქართველურ ენებთან (უწინარეს ყოვლისა კი სვანურთან) ძველი დვალურის ნათესაობის დაშვების სასარგებლოდ...“ (გვ.167). ვ.ითონიშვილის მიხედვით არსებობდა ძველი დვალური ენა (ე.ი. ახალი დვალურიც). საინტერესოა, რა მონაცემებზე დაყრდნობით?

ასეთია ვ.ითონიშვილის წიგნის ავ ... აქ კინაღამ წამცდა და „ავ-კარგი“ დავწერე. ვ.ითონიშვილის ნაშრომის შესახებ კიდევ ბევრი უარყოფითი რამ შეიძლება ითქვას. მასში არ შეინიშნება რაიმე სიახლე, თუ არ ჩავთვლით დვალეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის ზოგიერთი ტოპონიმის საეჭვო ეტიმოლოგიზირებას. როდესაც ამა თუ იმ პრობლემაზე ახალი მონოგრაფია იწერება (თუმცა ავტორი დვალების შესახებ მის „ნაკვლევს“ მონოგრაფიას არ უწოდებს და მომავალში ამ საკითხზე ახალი მონოგრაფიის დაწერას გვპირდება) და, მით უმეტეს, იბეჭდება, მასში ახალი სიტყვა უნდა იყოს ნათქვამი, სამეცნიერო მიმოქცევაში უნდა შემოიტანოს ახალი წყაროები, საისტორიო დოკუმენტები, მიიღოს ახალი დასკვნები. 31 წლით ადრე ამ საკითხზე გამოცემულ ვ. გამრეკელის მონოგრაფიას ეს ახალი წიგნი ვერაფრით ვერ ამეტებს, პირიქით, ის უკან გადადგმული ნაბიჯია. ის არ იყენებს არც ერთ სხვა ახალ წყაროს. იმეორებს

ყველა იმ წყაროსა და საისტორიო საბუთს, რასაც ვ. გამრეკელი იყენებდა, ახდენს მისი სიტყვების პერიფრაზირებას და საისტორიო მეცნიერებაში დვალების შესახებ პირველმოქმელის როლში გვევლინება. ამასთანავე, წინამორბედ ავტორს ხშირად აგდებით და მეორე — მესამე ხარისხოვან ამბებთან დაკავშირებით უთითებს. განსხვავება ისაა, რომ ვ.ითონიშვილმა დვალები სვანურენოვან ტომად წარმოადგინა, გამრეკელს კი თავის მონოგრაფიაში ისინი ვაინახებად მიაჩნდა. წინა თაობის ისტორიკოსის დიდი დამსახურება ის იყო,რომ მან ეტაპი შექმნა დვალეთისა და დვალების ისტორიისა და ეთნოისტორიის კვლევის სფეროში. რაც მთავარია, მან არაერთი ქართული და არაქართული საისტორიო წყაროს მოშველიებით აჩვენა, რომ დვალები არ იყვნენ ალან-ოსური ტომისანი (თუმცა დვალების არაოსობაზე ადრე ნათქვამი ჰქონდათ ვ.აბაევს, გ.თოგოშვილს, დ.გვრიტიშვილს). მაგრამ, როგორც ჩანს, ვ.გამრეკელი სიცოცხლის ბოლომდე ფიქრობდა დვალეთისა და დვალების შესახებ; ჩანს ბევრი რამ ახლიდან გაანალიზა და ქართულ ენციკლოპედიაში დვალების შესახებ დაბეჭდილ ნარკვევში მათი ზანურობის შესახებ მიუთითა. სხვათაშორის, ვ.გამრეკელმა დვალურში ზანიზმების შესახებ მიუთითა ჯერ კიდევ ადრე, 1958 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში. მან მოიტანა ერთი ათეული მაგალითი დღევანდელ ოსურსა და ზანურს შორის მსგავსი ონომასტიკური ერთეულების არსებობის შესახებ. ისიც აღნიშნა, რომ საკუთრივ დვალეთის ტოპონიმია განმეორებულია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ვ.გამრეკელი, დვალეთის ტოპონიმიკის ანალიზისათვის, — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ.შრომები, ტ. IV ნაკვ.I, 1958, გვ.67). ვ.გამრეკელის აზრით, დვალეთსა და სამხრეთ ოსებში და სამეგრელო-გურიაში მსგავსი ონომასტიკური ერთეულების „საერთოობა წარმოადგენს სუბსტრატულ ფაქტებს, საერთო პირველადი ნიადაგიდან მომდინარე ფაქტებს". მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ახალი წელთაღრიცხვის საუკუნეების მანძილზე უშუალო ურთიერთობა მეგრელებსა და დვალებს შორის გამორიცხულია. ამიტომ ონომასტიკის საერთოობა ვერ აიხსნება ურთიერთგავლენით. ეს საერთოობა ვერ აიხსნება მოქმედი ქართულის გავლენით, რადგან ქართულ ენაში მათი პარალელური ფორმები არ მოიძებნება. აქედან გამომდინარე ვ. გამრეკელი ფრთხილად ასკვნიდა, რომ „ზემო მოყვანილი ფაქტები (და მოსაზრებები) იმის მთქმელია, რომ დვალთა და მეგრულ-ზანურ სამყაროს შორის კავშირის შესაძლებლობა არ უნდა იქნეს გამორიცხული და მეტიც, ისინი ასეთი კავშირის შესაძლებლობას გვავარაუდებინებენ" (გვ.69). „ამრიგად, ვლინდება ძაფები,რომლებიც თითქოს მიუთითებენ ოსეთის (ე.ი. დვალეთისაც) ძველი მოსახლეობის კავშირზე კოლხეთთან" (იქვე). სამწუხაროდ, ვ. გამრეკელის მონოგრაფიაში მისმა ამ დასკვნამ

შემდეგი განვითარება ვერ ჰპოვა.

ვ.ითონიშვილი კი ყოველივე ამას მკითხველს უმალავს. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ დვალების ქართველური ტომობის შესახებ თვითონ მოგვევლინოს პირველმთქმელად. ისიც უნდა ითქვას, რომ მას იმდენად დიდი მისწრაფება აქვს უცხოური სიტყვებისადმი, რომ ხშირად მათ უადგილოდაც ხმარობს. ყველა ყველა და ტერმინ „დისლოცირებული"-ს ხალხების, ტომების მიმართ ხმარება ჩვენთვის ნამდვილად აღმოჩენაა (მაგალითები: „წანარების, თუშების, სვანოკოლხების დისლოცირების არეალის" — გვ.79; „რაც შეეხება ალანებს, დიგორებს და აშ-დიგორებს, მათი კომპაქტური დისლოცირების ალაგებად ისტორიული დვალეთის — ჩრდილოეთით.." გვ.82; „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დისლოცირებული ერთ-ერთი ტომის დონეზე" — გვ.178-179; დვალეთის ქვეყანა... „მოიცავდა და კასრის კარით იმიჯნებოდა ჩრდილო კავკასიის ბარში დისლოცირებული ირანულ-ენოვანი ეთნიკური მასივის სამხრეთით ლოკალიზებული მთისწინეთისა და მთის რეგიონებისაგან" —გვ.181).

ასეთია ვ.ითანიშვილის „სკრუპულოზური" კვლევის შედეგები, როგორც ის თავის „ნაკვლევს" უწოდებს. საოცარია, რომ აქამდე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ჯერ არ შემხვედრია ავტორი, რომელიც თავის ნაშრომს „სკრუპულოზური ანალიზის" ნაკვლევად მიიჩნევდა. ავტორს არ ეუხერხულება საკუთარი ნაღვაწის მიმართ ასეთი ტერმინების ხმარება. ის საკუთარ წიგნს თავადვე აძლევს შეფასებას. ვფიქრობთ, აქ შემდეგი კომენტარის გაკეთება ზედმეტია.

ამრიგად, დვალეთი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია (ისტორიულ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხე) იყო. დვალეთი გეოგრაფიულად კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ივ.ჯავახიშვილის სიტყვით, დვალეთი კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა იყო მოქცეული.

XIX ს-ის **50**-იანი წლების დასასრულამდე დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო თავისი ექვსი პატარა ხეობით. ეს ხეობები იყო: კასრის ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო და ზახა.

დვალეთი იყო რა საქართველოს განუყოფელი და ორგანული ნაწილი, ისტორიულად ამ პროვინციიდან (ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებიდან) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხდებოდა მოსახლეობის, როგორც გაჟონვითი (ინდივიდუალური), ისე ჯგუფური გადასახლებანი. დვალთა შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, რაჭასა და იმერეთში მიგრაციის დამადასტურებელია არაერთი ტოპონიმი და ანთროპონიმი.

დვალების მიგრაციამ განსაკუთრებით დაამჩნია კვალი შიდა ქართლის მთიანეთს. დვალთა შიდა ქართლის მთიანეთში გადმოსახ-

ლებამ აქ მათი კომპაქტური დასახლებების რეგიონები შექმნა. ესენია თერგის ხეობაში „თრუსო“ და დიდი ლიახვის ხეობის სათავეში -„მაღრან-დვალეთი“. თრუსოც და მაღრან-დვალეთიც მცირე მთური ტერიტორიული ერთეულები იყო. X ს-მდე თრუსო წანარეთის ერთი ნაწილი იყო და აქ წანართა ქართველური ტომი მკვიდრობდა. X ს-ის შემდეგ თერგის ხეობის სათავეში (თრუსოში) და დიდი ლიახვის სათავეში (მაღრან-დვალეთში) განხორციელდა დვალთა ჯგუფური გადმოსახლება.„მაღრან-დვალეთის“ რეგიონი, როგორც დვალებით დასახლებული კუთხე დიდი ლიახვის სათავეში შედარებით გვიანდელი წარმონაქმნი რომ არის, ამას ადასტურებს მისი მოუხსენიებლობა ადრინდელ ქართულ საისტორიო წყაროებში. ის პირველად ნახსენებია XIV-XV სს მიჯნის ქრონიკაში „ძეგლი ერისთავთა“ XIII ს-ის ამბებთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ დვალების დიდი ლიახვის სათავეში მიგრაციამ დვალთა კომპაქტური დასახლების რეგიონი წარმოქმნა და იმის გამო, რომ დვალეთი არ მოიცავდა შიდა ქართლის მთიანეთს, ქართულმა სინამდვილემ, დვალეთისაგან განსხვავებით (და განსასხვავებლად) შექმნა ეთნოგრაფიული კუთხე „მაღრან-დვალეთის“ სახელწოდებით. ზოგიერთ ავტორს მაღრან-დვალეთი დიდ რეგიონად წარმოუდგენია, რომელშიც დიდი ლიახვის ხეობის მთელი მთიანეთი შეყავთ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. მაღრან-დვალეთი დიდი ლიახვის ხეობის უკიდურეს სათავეს მოიცავდა. მასში სულ ცხრა თემ-სოფელი შედიოდა.

ზუსტად ამ ტერიტორიულ ფარგლებში აღგვიწერს მაღრან-დვალეთს ვახუშტი ბაგრატიონი. ქართველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ დიდი ლიახვის ხეობაში დასავლეთის მიმართულებით მაღრან-დვალეთი მთავრდებოდა იქ, სადაც დიდ ლიახვს მისი მარჯვენა შენაკადი ების ხევი უერთდებოდა, ისე, რომ ეს ხევი მაღრან-დვალეთში არ შედიოდა. ალბათ, უკეთესი იქნება ბატონიშვილის ნაშრომიდან ვრცელი ამონაწერი მოვიტანოთ მაღრან-დვალეთის შესახებ: „ხოლო კვალად ქნოლოს (ქნოლო პატარა ლიახვის სათავეში არსებული მცირე „ქვეყანა“ იყო -რ.თ.) ჩრდილოთ კერძო არს მთა დიდი კავკასი. ამ კავკასის ჩრდილოთკენ არს **მაღრან-დვალეთი,** და იმზღვრების ეს მაღრან-დვალეთი: აღმოსავლეთით, კავკასით მთიულეთსა და მაღრან-დვალეთს შუათითა, სამხრით, კავკასით ქნოლო-მაღრან-დვალეთის შორისით (აშკარაა, რომ პატარა ლიახვის სათავე — ქნოლო მაღრან-დვალეთში არ შედიოდა. მაღრან-დვალეთის სამხრეთი საზღვარი დიდი და პატარა ლიახვების წყალგამყოფ ქედზე გადიოდა -რ.თ.), ჩრდილოთ კავკასით და მთითა უმდაბლესითა, თრსუსო-ზახასა და მაღრან-დვალეთის შორისით, **დასავლით მთით ჩამოსულით კავკასიდამ ებასა და მაღრან-დვალეთის შორისით** (ხაზი ჩვენია -რ.თ.). აქ მაღრან-დვალეთს გამოსდის დიდი ლიახვი თრუსოს

და ზახის კავკასსა, და მის სამხრეთს და დასავლეთს შუა. **და არს მაღრან-დვალეთი სამ ჯუობა...** (ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი, ქართლი, გამოცემა მ.ჯანაშვილისა, ტფ. 1895, გვ.121-122). „კვალად ლიახვს ერთვის ბეას ზეით, სამხრიდამ მშხლების ჭევი, და გამოსდის გერის მთას. და ამას ზეით არს მაღრან-დვალეთი" (ვახუშტი, იგივე გამოცემა, გვ. 134). მართლაც, დიდი ლიახვის ხეობა მის სათავეში სამი სხვადასხვა ხევის ერთობლიობას წარმოადგენს. აი, ეს იყო მაღრან-დვალეთი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით, დიდი ლიახვის ხეობის მიმართულებით ჟბის (დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადი), და მშხლების (დიდი ლიახვის მარცხენა შენაკადი) ხევებამდეც არ ვრცელდებოდა. ზუსტად იგივეა ასახული ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზეც. ვახუშტის მიერ მაღრან-დვალეთი გამოხაზულია როგორც ძალიან პატარა „ქვეყანა". რუკის მიხედვითაც ის დიდი ლიახვის ხეობის სათავის სამ სანყის ხევს მოიცავდა. რუკაზე იკითხება, რომ სანამ დიდი ლიახვი მის სათავეში დასავლეთიდან სამხრეთისაკენ შემოუხვევს მარჯვენა მხრიდან, კავკასიონის მთავარი ქედიდან გამომდინარე, კიდევ ორი ხევი უერთდება. ესენია ჟბისა და როკის ხევები. ისინი მაღრან-დვალეთში არ შედიოდნენ. მაღრან-დვალეთს, ვახუშტის რუკის მიხედვით, ჩრდილოეთიდან უშუალოდ საზღვრავდა კავკასიონის მთავარი ქედი. ქედის იქით, ჩრდილოეთიდან მაღრან-დვალეთს დვალეთის ზახას ხეობა ესაზღვრებოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — თრუსო (თერგის სათავე). აღმოსავლეთიდან მაღრან-დვალეთს ესაზღვრება ის მთები, საიდანაც სათავეს იღებს მთიულეთის (თეთრი) არაგვი. მაღრან-დვალეთის სამხრეთით მთებს გამოსდის პატარა ლიახვი.

დვალეთის ზახას ხეობა ჩრდილოეთით უშუალოდ ესაზღვრება და უკავშირდება ქურთაულისა (დასავლეთ მხარეზე) და თაგურის (აღმოსავლეთ მხარეზე) ხეობებს. ასეთივე კავშირი აქვს თაგურისა და ქურთათის ხეობებთან თრუსოს. საერთოდ, დიდი ლიახვის, თერგის და ზახას ხეობები მთათა ერთ კომპლექსს გამოსდის.

მაღრან-დვალეთის ფართო გეოგრაფიულ რეგიონად წარმოდგენას, ალბათ, ერთგვარად ხელი შეუწყო ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს გამოცემულმა ისტორიულმა რუკამ, რომელზედაც მაღრან-დვალეთი მოიცავს მთელი დიდი ლიახვის მთიან ნაწილს, თუმცა ზოგიერთი ჩვენი ავტორისაგან განსხვავებით, აღნიშნული რუკის მაღრან-დვალეთი ძალიან დაშორებულია ქნოლოსა (პატარა ლიახვის სათავე) და ფამურისაგან (ქსნის სათავე). შედარებით ზუსტადაა მაღრან-დვალეთის რეგიონი (მხარე) დატანილი ჯ.გვასალიასა (**Дж. Гвасалиа, Историческая география Восточной Грузии — Шида Картли, Тб.1991, схема N 5, б**) და კ. ხარაძის რუკებზე. თუმცა, ამ უკანასკნელთან მაინც არის ერთგვარი

უზუსტობა, როდესაც ჟბის ხევი მაღრან-დვალეთში შეიტანა (კ.ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია — შიდა ქართლი, თბ. 1992 წ. თანდართული რუკა).

სხვათაშორის, სწორედ მაღრან-დვალეთის შესახებ წერდა ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბართა შინა კაცნი შემცირებულან". ვახუშტიმ სპეციალურად გაუსვა ხაზი ლიახვის ხეობის სათავეში (მაღრან-დვალეთში) მოსახლეობის ეთნიკური ცვლის პროცესს. მის დროს კომპაქტური ოსური დასახლება მაღრან-დვალეთში გვქონდა. იგულისხმება, რომ მაღრან-დვალეთში ოსთა მოსვლამდე თუ ქართული მოსახლეობა იყო, იყო ქართული მოსახლეობა დიდი ლიახვის დანარჩენ მთიან ნაწილშიც, რადგან ოსთა დასახლება შიდა ქართლის მთიანეთში სწორედ მაღრან-დვალეთიდან დაიწყო. ვახუშტისავე აღნიშნულ ციტატიდან ისიც ჩანს, რომ დვალები ქართველური ტომი იყო, რომლებიც ოსთა მოსვლამდე მაღრან-დვალეთში მკვიდრობდნენ. ამავე დროს, მაღრან-დვალეთში მოსახლე ეს დვალები ენობრივად, კულტურულად სრულიად ქართიზებული იყვნენ („...პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი...„).

შეცდომაა დიდი ლიახვის ხეობის მთელი მთა-მთისწინეთის დვალეთად სახელდება. XIII ს-ის შემდეგ (მას შემდეგ, რაც დვალებს ჩრდილოეთიდან ოსები აწვებიან) დვალები დიდი ლიახვის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც, დიდი ლიახვის შენაკად ხეობებშიც განსახლდნენ. დვალთა ამ სპორადულ განსახლებას დიდი ლიახვის ხეობაში სხვა ეთნოგეოგრაფიული რეგიონების (მსგავსად მაღრან-დვალეთისა) წარმოქმნა არ გამოუწვევია. დიდი ლიახვის ხეობის დვალეთთან მოსაზღვრე ნაწილში დასახლებულ დვალებს „ძეგლი ერისთავთა" „ქვემო დვალებს" უწოდებს. არც ერთი ქართული საისტორიო წყარო და საბუთი „ქვემო დვალეთის" რეგიონს არ იცნობს. ამდენად, არ შეესაბამება სინამდვილეს დვალეთში მთელი დიდი ლიახვის მთა-მთისწინეთის შეყვანა. ასევე მიუღებლია და ხელოვნურია დვალეთის დაყოფა საკუთრივ დვალეთად და დვალეთად (ფართე გაგებით). არ არსებობდა ქვემო დვალეთი (ანუ თეთრი დვალეთი, სამხრეთი დვალეთი, პირაქეთი დვალეთი). ამდენადვე შეცდომაა თვით დვალეთისათვის ჩრდილოეთი დვალეთის (ანუ შავი დვალეთის, ანუ პირიქითი დვალეთის) სახელდება. ანტიმეცნიერულია და არავითარ წყაროს არ ეყრდნობა პატარა ლიახვის სათავის (ქნოლო) და ქსნის სათავის (ჟამურის) დვალეთად მიჩნევა.

დვალეთი, რომელიც კულტურულად, რელიგიურად ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, ეთნიკურადაც ქართულ-ქართველური იყო.

დვალები არ ყოფილან არც ოსები და არც ვაინახები. დვალები ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო. დვალეთი ისეთივე მთიანი, განაპირა, თავისუფალი მეთემეებით დასახლებული რეგიონი იყო საქართველოს მთიანეთისა, როგორც ფხოვი, თუშეთი, ხადა, ცხავატი, ცხრაზმა... საქართველოს სამეფო ხელისუფლება უფრო ანხორციელებდა თავის კონტროლს დვალეთზე, ვიდრე საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ სხვა პროვინციაზე. დ.მუსხელიშვილის დასკვნით, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა პროვინციებში, დვალეთშიც ქართული კულტურა და წერა-კითხვა ფართოდ იყო გავრცელებული ძველთაგანვე. დვალეთი ორგანულადაა შერწყმული ქართულ კულტურულ სამყაროს ვახტანგ გორგასლის დროიდან და უფრო ადრეც. XI სს-ის მიჯნაზე დვალეთში იგება ქართული ეკლესიები. ფართოდ აქვს ფესვები გადგმული ქართულ მწიგნობრობას, რასაც მოწმობს ნიკოლოზ დვალის ბიოგრაფია (დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, „მაცნე" ისტორიის... სერია, N 3, 1992, გვ.17-18). დ.მუსხელიშვილი აგრძელებს: „ცხადია ნიკოლოზი „ნათესავად დვალი" რეალურ-ისტორიულად ისეთივე ქართველია, როგორც ყველა ის ქართველი კალიგრაფები, იოანე,მიქელ, სტეფანე და გიორგი დვალები, რომლებიც XI-XIII სს-ში აქტიურად მონაწილეობდნენ პალესტინის ქართულ სავანეებში ქართული კულტურის სარბიელზე" (იქვე).

არაა გასაზიარებელი მოსაზრება, რომ დვალები სვანურენოვანი ტომი იყო. როგორც დვალეთში, ისე მის მოსაზღვრე შიდა ქართლის მთიანეთში არის ისეთი ტოპონიმები, რომლებიც იხსნება სამივე ქართველური ენის (ქართული, მეგრული, სვანური) საშუალებით. დვალეთში დადასტურებული ანთროპონიმების დიდი ნაწილი სამეგრელოში გავრცელებული სახელების ანალოგიური იყო (თუმცა შეინიშნება სვანეთისათვის დამახასიათებელი ანთროპონიმებიც), რაც გვაძლევს უფრო იმის მტკიცების საფუძველს, **რომ დვალები ზანებთან ახლოს მდგომი ტომი იყო. თუმცა ისინი ზანების (მეგრელების) სრულ ასლს როდი წარმოადგენდნენ. ჩვენი ვარაუდით, ისინი ზანებსა და სვანებს შორის მდგომი ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო და ლაპარაკობდნენ დამოუკიდებელ, ერთ-ერთ (ან გადაშენებულ) ქართველურ ენაზე, რომელსაც ყველაზე მეტი საერთო ზანურთან (მეგრულთან) ჰქონდა.**

ჩვენს ამ დასკვნას დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ საფუძვლიანს ხდის, აგრეთვე, ვ.აბაევის გამოკვლევა „მეგრელიზმები ოსურში" (იხ. მისი „Осетинский язык и фольклор,I, М-Л., 1949, გვ.323-330). ავტორი მიუთითებს ოსურ ენაში კარგად მარკირებული ზანური ელემენტების არსებობის შესახებ, რაც, მისი აზრით, ალან-ოსების კოლხიდასთან ძველი კავშირების დამადასტურებელია

(გვ.328). აღვნიშნავთ, რომ ალან-ოსებისა და ზანების კავშირი ძველ დროს, როგორც ეს აბაევს წარმოუდგენია, გამორიცხულია. რანაირად უნდა განხორციელებულიყო ეს კავშირები ძველ დროს (როგორც აბაევი აღნიშნავს XIV ს-მდე), როდესაც მონგოლთა შემოსევებამდე ოსები კავკასიის მთებში არ ცხოვრობდნენ და მათ ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი გაერთიანება მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში ჰქონდათ შექმნილი? უშუალო კავშირი ალან-ოსებსა და მეგრელებს არ უნდა ჰქონოდათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი. არავითარი საფუძველი არ აქვს ვ.აბაევის განცხადებას, რომ „წარსულში ოსებისა და მეგრელების მეზობლობა ემყარება რეალურ გეოგრაფიულ და ისტორიულ ნიადაგს“ (გვ.329), მითუმეტეს, როდესაც იმავე ავტორს გამორიცხულად მიაჩნია ოსურში მეგრელიზ-მების ნასესხეობა. ვ.აბაევი ოსურში მეგრელიზმებს მიაკუთვნებს იმ ეთნო-ენობრივ სუბსტრატს, რომლის ბაზაზეც მიმდინარეობდა ოსური ენისა და ხალხის ფორმირება (გვ.329). ოსი ავტორის ეს დასკვნა კი მხარს უჭერს ჩვენს დასკვნას, რომ ოსურში ზანური ენის ელემენტები მხოლოდ დვალური ენიდან უნდა იყოს შესული მას შემდეგ, რაც მოსულმა ირანულენოვანმა ოსებმა ადგილობრივი კავკასიური და ქართველური ტომის — დვალების ასიმილაცია მოახდინეს XVI ს. ჩვენი აზრით, ზანურთან ახლოს მდგომი დვალური ენიდან უნდა მიიღო ოსურ ენას „ჩ“ და „ც“ თანხმოვნების მონაცვლეობა. ცნობილია, რომ მეგრულშიც და ოსურშიც ეს ორი თანხმოვანი ერთმანეთს ენაცვლება. დვალები რომ ზანებთან ახლოს მდგომი ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო, აშკარად ჩანს არქეოლოგიური მონაცემე-ბითაც. ცნობილია, რომ კოლხური და ყობანური კულტურების მსგავსებას მიუთითებდა არაერთი მეცნიერი. ჯ.გვასალიას მოსაზრე-ბით კოლხური და ყობანური კულტურები წარმოადგენს ერთიანი არქეოლოგიური და ეთნიკური კულტურის განშტოებებს. მასვე მიაჩნია, რომ ეს იყო შედეგი გვიანბრინჯაოს ხანაში ჩრდილოეთის ქვეყნებზე სამხრეთული კულტურის ტალღის გავლენის, რაც აგრეთვე გულის-ხმობდა ამ მიმართულებით ეთნიკური მასების გადანაცვლებასაც (ჯ.გვასალია, რას გვიდასტურებს ძველქართული სახელწოდებანი, „კომუნისტი“,9/IX -90 წ.). ჯ.გვასალია იმასაც აღნიშნავს, რომ „ვ.გამრეკელის უკანასკნელი თვალსაზრისი დვალებზე, როგორც ერთ-ერთ ზანურ (მეგრულ) ტომებზე, ძალიან ახლოსაა ჭეშმარიტე-ბასთან. ამას მხარს უჭერს ლიახვის სათავეებისა და ისტორიული დვალეთის ტოპონიმია და დვალების ისტორიულ ქვეყანაში გავრცე-ლებული გვიანბრინჯაოს არქეოლოგიური კულტურის ე.წ. ყობანური კულტურის გენეტიკური სიახლოვე კოლხურ კულტურასთან“ (ჯ.გვა-სალია, შიდა ქართლი — ეთნიკური გეოგრაფია, “ახალგაზრდა

ივერიელი", N 14, 5/II -91). დვალების ვაინახური სამყაროსადმი კუთვნილებას ისიც გამორიცხავს, რომ ოსურ ენაში, ვ.აბაევის გამოკვლევით, თითქმის არ შეინიშნება ჩაჩნური და ინგუშური სუბსტრატი. ოსურის კავკასიურ სუბსტრატში ვ.აბაევი მეგრულის გარდა მნიშვნელოვან როლს აკუთვნებდა ჩერქეზულს და მეორე ქართველურ ენას — სვანურს, თუმცა ამ უკანასკნელი ენის მხოლოდ მცირე დანაშრევებზე ლაპარაკობს ოსურში.

ისტორიული ვითარების კვალობაზე დვალთა ქართველური ტომი გადაშენდა. მათი დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიფანტა. ადგილზე დარჩენილი მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კი ოსთა დვალეთში მოწოლის, მიგრაციისა და დასახლკარების შედეგად გაოსდა. გაოსდნენ იმიტომ, რომ დვალები, როგორც უმცირესნი, უმრავლეს ოსურ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში აღმოჩნდნენ. დვალები გაოსდნენ იმიტომაც, რომ დაშლილ, დასუსტებულ საქართველოს მისი პერიფერიული „ქვეყანა" ყურადღების მიღმა დარჩა. ამასთანავე ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში ასეთი ეთნიკური ცვლილება რაიმე საშიშროებას როდი ქმნიდა. დვალეთში მიგრირებულმა ოსებმა ადგილობრივი ქართველური ტომის („დვალი-თუალი") თვითსახელწოდება მიიღეს.

დვალთა გაოსების პროცესი ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნიკური ასიმილაციის პროცესი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (რამდენიმე თაობის მანძილზე) მიმდინარეობდა და ის ძირითადად განხორციელდა XVI-XVII სს. მიჯნაზე ქართული წყაროებით, XVII ს-ის მეორე ნახევრისათვის დვალთა გაოსება უკვე ფაქტია. თუXVII ს-ის წინარე პერიოდის ყველა ქართული საისტორიო წყარო და საბუთი აშკარად მიჯნავდა ერთმანეთისაგან დვალთა და ოსთა ეთნიკურ ერთეულებს, დვალეთისა და ოსეთის ქვეყნებს, ამ დროიდან უკვე შეიმჩნევა ტენდენცია, პარალელი გაავლონ დვალეთსა და ოსეთს შორის, ოსებსა და დვალებს შორის. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი. ვახუშტი, რომელიც XVII ს-მდე მკაცრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან ოსებსა და დვალებს, დვალეთსა და ოსეთს, XVII ს-ის მეორე ნახევარში უფრო სწორედ ვახტანგ VI-ის (შაჰნავაზის) (1658-1675) დროის ამბების თხრობისას დვალებით დასახლებული „ქვეყანა" მის მიერ უკვე ოსეთადაა მიჩნეული: „მერმე არლარა მოსცეს დუალთა მეფესა ბეგარანი. ამისთვს მივიდა ქრცხინვალს შესვლად ოსეთად. მსმენელნი დუალნი შეშინდნენ და მოერთუნენ თავნი მათნი ქრცხინვალს, მისცეს ბეგარანი და დაემორჩილნენ, ვითარცა პირველ" (გვ.455). უფრო გამოკვეთილად მიიჩნევს დვალეთს ოსეთის „ქვეყნის" შემადგენელ ნაწილად ვახუშტი 1711 წლის ამბების თხრობისას: „... კუალად აღიმჭედრა სპითა შესლვად ოსეთს და შევიდა და შემუსრნა პ~ კოშკნი, მოწვა და

მოსტყუევნა ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ელელის ჭევი და გარდმოვლო კედელსა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული ქ~სა ჩ~ღია, ქართ. ტ~ეთ, დაიპყრა დუალეთი და დასდვა ხარკნი და გორს მდგომი იშუებდა სხვსა განმზრახი" (გვ.491). თუმცა, ზოგიერთი, ისტორიული ტრადიციით, კვლავ მიჯნავდა და ანსხვავებდა ერთმანეთისაგან დვალეთისა და ოსეთის ქვეყნებს. ამის მაგალითია ციტატა არჩილიანიდან.არჩილ მეფე წერდა: **„...და დვალეთს გარდმოველ,** დედოფალი იქ დავაყენე და მე იქივ იმერეთს ჩავედი და რვას თვეს ჩხერს ვიყავ და **ისევ დვალეთს ნამოვედი, და იქედამ ოსეთს ფაიქომში გადმოველ,** და ერთს წელიწადს იქ ვიდექ". მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ეს ამბავი 1680 წელს მოხდა. დვალთა ეთნიკური რაობის შეცვლა ანუ გაოსება მოხდა, როგორც თვით დვალეთში, ისე დვალებით განსახლებულ შიდა ქართლის მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში (თრუსო, მაღრან-დვალეთი და მაღრან-დვალეთის მიმდებარე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ნაწილის ზოგიერთი დასახლებული პუნქტი).

II. ოსთა საქართველოში მიგრაციის ისტორიოგრაფია

ოსთა საქართველოში მიგრაციას არაერთმა მკვლევარმა მიაქცია ყურადღება. ეს ავტორები შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ: ქართველები,ოსები და არაქართველები და არაოსები. თუმცა ასეთი დაყოფა მხოლოდ პირობითია, რადგან ზოგიერთ ქართველ ავტორსაც ეს პროცესი ერთობ მრუდედ ჰქონდა წარმოდგენილი. ზოგიერთ არაქართველთან კი მნიშვნელოვანი მონაცემებია ოსების საქართველოში გადმოსახლების შესახებ.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ავტორების უმეტესობა, რომლებიც საქართველოში ოსთა ჩამოსახლების საკითხს შეეხნენ, თითქმის არ ითვალისწინებენ მათი ჩამოსახლებისა და განსახლების ეტაპებს, ბევრს ის ერთდროული აქტი ჰგონია, როგორც დროის, ისე ტერიტორიის თვალსაზრისით.

ვ.პფაფი სთვლიდა, რომ ოსები საქართველოში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ (В.Б. Пфаф, Материалы для древней истории Осетии, „Сборник сведении о кавказских горцах, IV, Тифлис, 1870), თუმცა ავტორს ამის დამადასტურებელი არც ერთი საისტორიო წყარო, საბუთი არ მოაქვს. ოსთა საქართველოში ჩამოსახლებისა და განსახლების საკითხისადმი ასეთი აგდებული დამოკიდებულება სხვა მრავალ მკვლევარსაც გადაედო.

გეოგრაფი სენ -მარტენი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ოსთა გადმოსახლებას ძველი წელთაღრიცხვის 215 წლით ათარიღებდა (З.Н.Ванеев, К Вопросу о времени заселения Юго-Осетии, — „Изв. Юго-Осетинского научно-исследовательского ин-та, III, Сталинири, 1936, с.271).

XIX ს-ის II ნახევრის ავტორი დ.ლავროვი ოსთა საქართველოში გადმოსახლების თარიღად ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნეს ასახელებდა (Д. Лавров, Заметки об Осетии и осетинах, „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа", вып.III, Тифлис, 1883).

ოსი ავტორი გ. კოკიევი და ბ.სკიტსკი ოსების კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მიგრაციას ჰუნთა შემოსევას , ე.ი. ა.წ. IV ს. უკავშირებენ (Г.А. Кокиев, Очерки по истории Осетии, ч.I, Владикавказ, 1926, с.22; Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа с древнейших времен до 1867 г., Дзауджикау, 1947, с.5-6, 8). თუ უკანასკნელის აზრით, ოსთა გადმოსახლება ხდებოდა ცალკეული ტალღებით, ე.ი. მუდმივი პროცესი იყო და მან მასობრივი ხასიათი მიიღო XIII ს-ში მონღოლთა შემოსევების შემდეგ, პირველი

თამარ მეფის დროს ქართველთა მიერ „სამხრეთ ოსეთის“ მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაპყრობაზე დაპარაკობს (გვ.22). ეს ავტორი იმასაც ამბობს,რომ სომხურ გეოგრაფიაში ოსები დვალების სახელით მოიხსენებიანო (იქვე).

ე. პჩელინა ოსების სამხრეთით გადმოსახლებას VI-VII სს. ვარაუდობდა. ეს პროცესი ახალი ძალით განახლდა მონგოლთა შემოსევების შემდეგო (Сб. „Юго-Осетия“, I, Тифлис, 1924, с.238). სამწუხაროა, რომ ქართველი ავტორიც გ.ახვლედიანი შესაძლებლად თვლიდა დაახლოებით VII ს-დან, დვალთა სახით ოსთა სამხრეთით გადმოსახლებას (გ. ახვლედიანი, ოსური ენის ისტორიისათვის, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, V, 1925, გვ. 319).

ზემოთ ჩამოთლილ ყველა ავტორს ერთი რამ აერთიანებთ. ისინი არ იცნობენ ქართულ საისტორიო წყაროებს და ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ასახელებენ საქართველოში ოსთა ჩამოსახლების ამა თუ იმ თარიღს. ქართული საისტორიო წყაროები კი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ძირითადი და ერთადერთი წყაროა ოსთა ისტორიისა და, მითუმეტეს, საქართველოში მათი მიგრაციის შესასწავლად. როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული ავტორების ყველა მოსაზრება, ოსთა სამხრეთით მიგრაციის შესახებ, მხოლოდ ვარაუდებსა და რაღაც არაპირდაპირ მინაცემებზეა აგებული. როგორც გ. თოგოშვილი შენიშნავდა, ბ. სკიტსკის შეხედულება გაზიარებული ყოფილა ოსი ისტორიკოსების მიერ. ოსეთის ისტორიის მაკეტში აღნიშნულია, რომ „ჰუნთა შემოსევის დროიდან ალანთა ნაწილი გადავიდა ცენტრალური კავკასიის სამხრეთ კალთებზე. ესენი არიან თანამედროვე სამხრეთ ოსების შორული წინაპრები.სამხრეთ კალთებზე, IV ს-ში ოსებით დასახლებული ტერიტორია, XIII ს-ში დაცარიელდა, რადგან სამხრეთელი ოსები ველებზე დაეშვნენ. ჩრდილოეთიდან შემდეგ ამ ადგილებზე სხვები გადმოვიდნენ“ (გ.თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), სტალინირი, 1958, გვ.175-176). ისტორიკოსთა ფანტაზიას საზღვარი არა ჰქონდა. ავტორებს ჯერ ხომ უნდა მოეტანათ IV ს-ში საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა გადმოსახლების და ამასთანავე კომპაქტური მოსახლეობის დამადასტურებელი საისტორიო წყაროები, შემდეგ მათი აქ ხანგრძლივი ცხოვრების ამსახველი მასალა, ბოლოს მთიანი ზოლიდან ბარში დაშვებისა და XIII ს-ში ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსთა ახალი ტალღების მიგრაციის შესაბამისი საბუთები? ნუთუ IV ს-დან საქართველოში (მთა-მთისწინეთში) მცხოვრებმა ოსებმა ვერავითარი კვალი ვერ დაამჩნიეს მატერიალური კულტურის ვერც ერთ სფეროს? ანდა IV ს-ში გადმოსახლებული და შემდეგ XIII ს-ში

ქართლის ველებზე დაშვებული ოსები რანაირი შორეული წინაპრები იყვნენ, მონგოლთა მოწოლის შემდეგ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადმოსახლებული ოსებისა?

დაახლოებით იგივე აზრია გატარებული ოსი ისტორიკოსის ზ. ვანეევის ნაშრომში, რომელიც სპეციალურად ოსების „სამხრეთ ოსეთში" (ე.ი. შიდა ქართლში) დასახლების პრობლემისადმია მიძღვნილი. ზ. ვანეევის აზრით, ოსები გადმოდიოდნენ რა სამხრეთით, ისინი ესახლებოდნენ არა მარტო მთებში, არამედ ეშვებოდნენ ბარშიც, სადაც ისინი სწრაფად ასიმილირდებოდნენ, რის დამადასტურებელიც არის თურმე გაქართველებული ოსების გვარ-სახელები (З. Ванеев. К вопросу о времени заселения Юго-Осетии. „Известия Юго-Осетинского научно-исследовательского ин-та, вып. III, Ст-ри, 1936, с.271). ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ გვარსახელები ამ მხრივ ვერც ერთ მკვლევარს ვერ გამოადგება, თანაც IV-XIII სს-ში ჩამოსახლებული ოსების შთამომავალთა საძებნელად. ასეთ ძველ გვარსახელებს, ჯერ ერთი, ჩვენამდე არ მოულწეევია და მეორე, გვარსახელთა ერთნაირი ფუძეები ამის დამადასტურებელი არაა. ერთნაირი, მსგავსი ანთროპონიმები მრავალ ხალხში (მითუმეტეს, კავკასიის ხალხებში) არსებობდა, რაც სხვადასხვა ხალხში იწვევდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთნაირფუძიანი გვარსახელების წარმოქმნას. ამავე დროს, იმასაც უნდა გაესვას ხაზი,რომ ასეთი ანთროპონიმები ოსებში ქართველთაგან იყო შესული და არა პირიქით (ამასთან დაკავშირებით იხ. ჩვენი სტატიები გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში" 1990 წ. N 3-4, 1991 წ.N3, 1991 წ. N22).

ზ. ვანეევი კითხვას სვამდა: როდის გადმოსახლდნენ „სამხრეთ ოსეთში" თანამედროვე სამხრეთელი ოსების წინაპრები და ითვლებიან თუ არა ისინი ძველი სამხრეთელი ოსების შთამომავლებად? (გვ.272). იქვე პასუხობდა, რომ დრო, როდის გადმოსახლდნენ თანამედროვე ოსები „სამხრეთ ოსეთში" შესაძლებელია განვსაზღვროთ მიახლოებითი სიზუსტით. ზ. ვანეევი ამასთანავე აღნიშნავდა, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ უწინდელი სამხრეთელი ოსების შთამომავლებს, არამედ სამხრეთში გადმოსახლდნენ გვიანდელ დროს. ეს უკანასკნელნი „სამხრეთ ოსეთში" მას შემდეგ გადასახლდნენ, რაც ეს მთიანი ქვეყანა დატოვა ადრინდელმა მოსახლეობამ და ჩასახლდნენ საქართველოს ბარშიო (გვ.273). საყურადღებოა, რომ ზ. ვანეევს შემოაქვს ახალი ტერმინი „უწინდელი ოსები" („прежние осетины"). როგორც ჩანს, ზ. ვანეევი ერთგვარ უხერხულობას გრძნობდა, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები ყველა საბუთის მიხედვით არ იყვნენ ადრინდელი გადმოსახლებულები. სამაგიეროდ, შემოიტანა „უწინდელი ოსების" ცნება, თუმცა სხვა ისტორიკოსები-

საგან განსხვავებით, მან „უწინდელი“ და შემდეგდროინდელი ოსები ერთმანეთს ვერ დაუკავშირა. აღინიშნა, რომ პირველთა საქართველოს მთიდან ბარში ჩასახლების შემდეგ მოხდა ახალი ტალღების გადმოსვლა ჩრდილოეთ კავკასიიდან ისე, რომ ამ ორ ტალღას ერთმანეთთან შეხების წერტილები არ ჰქონია. ხაზგასასმელია, რომ ზ. ვანეევს „უწინდელი სამხრეთელი ოსების“ ბარში დაშვება-ჩასახლების და მათი გაქართველების ვერც ერთი საისტორიო წყარო ან საბუთი ვერ მოაქვს, ზოგიერთი მსგავსი გვარსახელის გარდა.

საერთოდ, ვფიქრობთ, ზ. ვანეევის ნაშრომზე ცოტა ვრცლად შეჩერება ღირს, რადგან სწორედ ამ ნაშრომშია ჩადებული ის მონაცემები, რომლითაც ზუსტად შეიძლება განისაზღვროს შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა გადმოსახლების დრო, თუმცა ავტორი ამ მასალასაც საკუთარ ინტერპრეტაციას, ანალიზს უკეთებს და ცდილობს მისი თანამემამულეების საქართველოში გადმოსახლების დრო რაც შეიძლება დააძველოს. ზ.ვანეევს მოაქვს მეტად ორიგინალური გადმოცემები თითოეული ოსური გვარის შიდა ქართლის მთიანეთში დასახლების შესახებ. არა მარტო ოსებში, არამედ ქართველ მთიელებშიც სულ ცოტა ხნის წინ დაგითვლიდნენ თავიანთი წინაპრების 10-15 თაობას. კარგა ხანია აღიარებულია, რომ გვართა ისტორიის ამსახველი გენიალოგიური გადმოცემები ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება. ასეთი გადმოცემების სანდოობის შესახებ მიუთითებდა ალ.რობაქიძე: „ბალხში შემონახული გენიალოგიები გარკვეულ ნაწილში და მათი კრიტიკული შემოწმების პირობებში ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთ საინტერესო წყაროს წარმოადგენს (ა.რობაქიძე, მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე — „კავკასიის ეთნოგრაფიის კრებული,ტ.III, თბ., 1975, გვ.75). ისიც აღიარებულია, რომ გადმოცემების განსაკუთრებული სახე, რომელსაც „ანდრეზს“ უწოდებენ, რეალურ სინამდვილეში მომხდარი ფაქტის კონსტანტაციაა (რ.ხარაძე, ხევსურული ანდრეზი, როგორც ხალხური სამართლის წყარო, „ანალები“ — ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1947). სწორედ ანდრეზების ჯგუფს მიეკუთვნება მთაში დაცული გადმოცემები ამა თუ იმ გვარის სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. გადმოცემების, გენიალოგიების მთაში მაღალ დონეზე შემონახულობას განაპირობებდა მთისათვის დამახასიათებელი სოციალური სისტემა (რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ასეთ გადმოცემებს და უფრო მეტად მცირდება ასეთი გადმოცემების სანდოობა). ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა გადმოცემა-გენიალოგიებს დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმამდელი საზოგადოებისათვის. ა. გურევიჩს თუ დავიმოწმებთ, „Варвары проявляли напряженный интерес к генеалогиям и родовым сказаниям. Это не просто естественный интерес к прошлому,

он прежде всего имел практическое значения (А.Я.Гуревич. Индивид и общества в варварских государствах. — Проблемы истории докапиталистических обществ. кн. I. М., 1968, с.415).

დავუბრუნდეთ ზ. ვანეევის ნაშრომს. ეყრდნობა რა საგვარეულო გადმოცემებს, ვანეევი მიდის დასკვნამდე, რომ თანამედროვე სამხრეთელი ოსები „სამხრეთ ოსეთში" ცხოვრობენ 4-5 საუკუნეა, ე.ი. ისინი აქ გადმოსახლებულან XV-XVI სს-ში (ზ.ვანეევი, გვ. 271-273). ავტორის მიერ მოპოვებული მასალით, შიდა ქართლის მთაში განსახლებული ძირითადი ოსური გვარების უმეტესობა გადმოსახლების შემდეგ 10 თაობას ითვლის (გვ. 273). გამონაკლისი ყოფილა მხოლოდ ორი გვარი, გაგლოევებისა და ბეგიზოვებისა, რომელთაგანაც პირველნი გადმოსახლების შემდეგ 12 თაობას, მეორენი კი 16 თაობას ითვლიან, ზ. ვანეევი ერთ საუკუნეში სამ თაობას ანგარიშობს და, როგორც აღვნიშნეთ, მისი გამოანგარიშებით სამხრეთში ოსები 4-5 საუკუნის ნინ გადმოსახლებულან, ე.ი. XV-XVI სს-ში. მაგრამ, ცნობილია, რომ ერთ საუკუნეში თავსდება არა 3, არამედ 4 თაობა; ერთი თაობა მოიცავდა 25 წელს, მითუმეტეს, რომ ოსებში მამაკაცის საქორწინო ასაკი 20-25 წელს შორის მერყეობდა. გამოდის, რომ სამხრეთით ჩრდილოეთიდან ოსების მიგრაცია ორნახევარი-სამი საუკუნის ნინ, ე.ი. XVII ს-ში, უფრო სწორედ XVII ს-ის II ნახევარში განხორციელდა. ამდენად, ზ. ვანეევის ნაშრომს ჩვენთვის ერთ-ერთი პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება ოსთა შიდა ქართლის მთაში გადმოსახლების დათარიღების საქმეში. ამასთანავე, ზ. ვანეევის ნაშრომში იმ მასალასაც ვხვდებით, რომლის მიხედვით ირკვევა, ესა თუ ის ოსური გვარი შიდა ქართლის მთაში ჩრდილოეთ კავკასიის რომელი ხეობიდან, თუ სოფლიდან გადმოსახლდა (გვ. 275).

ოსთა საქართველოში მიგრაციას შეეხო ვ. აბაევიც. მისი პოზიტიური მეცნიერული მხარეა ის, რომ გამოყო ოსთა შიდა ქართლში მიგრაციის ეტაპები დროისა და ტერიტორიის თვალსაზრისით. ვ. აბაევის აზრით, ოსების მიერ ჯავისა და კუდაროს რაიონებში დასახლება და, მითუმეტეს, დვალეთში, უნდა მივაკუთვნოთ საკმაოდ დაშორებულ ეპოქას; იგი მას რამდენიმე საუკუნით იქით ენევა. ქსნის ხეობაში კი ოსთა დასახლკარებას გვიანი პერიოდით განსაზღვრავს: „Если заселение осетинами джавского и кударского районок, а тем более туальского следует относить к достаточно отдаленной эпохе, отодвигая его на несколько столетий, то нельзя того же сказать о ксанском. И исторические и языковые факты подтверждают, что поселение ксанских осетин в теперешних местах по Ксанскому ущелью произошло не так давно, примерно в последнее 200 лет.

Они выселялись, гонимые малоземельем и нищетой, из различных высокогорных районов Северной и Южной Осетии и принесли с собой мешанину говоров и наречий"./В.И.Абаев, Осетинский язык и фольклор. М., 1949, с.501/.

მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ, რომ ოს მეცნიერებს აბაევის ზემოთ მოტანილი ციტატა სამეცნიერო მიმოქცევაში არ შემოაქვთ.

ყველაზე დიდი უზუსტობა და არამეცნიერულობა აბასიათებს ეთნოგრაფ ბ.კალოევის ნაშრომს (Осетины, М.1971), რომელსაც აქვს პრეტენზია შეაჯამოს ოსთა საქართველოში მიგრაციის შესახებ არსებული ლიტერატურა. ისევე როგორც სხვა ოს მეცნიერებს, კალოევსაც დვალები ოსური ტომი ჰგონია. ის არ სჯერდება გვიანდელ მოვლენებს და ცდილობს უფრო სიღრმეში შეიჭრას. კალოევით, არამარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ ამიერკავკასიაში დღევანდელი ოსების წინაპრები — სკვითები ძვ.წ. VII ს-ში შეჭრილან (გვ.19-20). ეს ავტორი იქამდე მივიდა, რომ თურმე ყობანური კულტურის ძეგლებში (ძვ.წ. VIIს.) შეინიშნება სკვითური კულტურის ელემენტები (გვ.20). ამ თეზისის აბსურდულობა დამაჯერებლად აჩვენა ნ. აფხაზავამ სათანადო არქეოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით (ნ. აფხაზავა, ალანები და საქართველო, თბ., 1991 წ. გვ. 49). კალოევის მიხედვით, აი, ასე, ძველი წელთაღრიცხვის VII ს-დან მოყოლებული საქართველოში ოსები სკვითებისა და ალანების სახით მკვიდრობენ და მას შემდეგ აქ მათ საკუთარ ტერიტორიაზე არაერთი მიგრაციული ტალღა განახორციელეს. უფრო დაბლობში ჩასულები უთავისუფლებდნენ თანამემამულეებს დასასახლებელ ტერიტორიებს, თვითონ კი აგრესორი ქართველებისაგან ასიმილირდებოდნენ. კალოევი იზიარებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს ოსთა სამხრეთით გადმოსახლების შესახებ IV ს-ში, მონგოლთა შემოსევების შემდეგ XIII ს-ში, შემდეგ XIV-XV სს-ში და ბოლოს XVIII ს-ში (გვ.23-69). თუმცა კალოევი ვერ მალავს იმ ეთნოგრაფიულ მასალას, რომ ცენტრალურ ოსეთში (რომელშიც შეჰყავთ დვალეთი, ლიახვის ხეობის მთიანი ნაწილი, თრუსო და კობის ქვაბული) ოსების გადმოსახლება ძირითადად მოხდა ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებიდან (თაგაური, ქურთაული, ალაგირი). ისევე როგორც ვანეევის მიხედვით, კალოევის მონაცემებითაც დვალეთში, ლიახვის ხეობის ზემო წელში და თრუსოში ოსთა ძირითადი გვარების დასახლების შემდეგ 10 თაობას ითვლიან. ამავე დროს, ცდილობს დასახელოს რამდენიმე ადგილობრივი გვარი, როგორც დვალეთში, ისე შიდა ქართლის მთიანეთში, რომლებიც ადგილობრივი ოსური წარმოშობისანი არიანო და რომელთა გაქართველება ქართველებმა ვერ მოახერხესო. რამდენიმე ასეთი გვარის დასახელება მის წისქვილზე ვერ ასხამს წყალს,

რადგან ესენი სწორედ ადგილობრივი ძველი ქართული გვარებია, რომლებიც ოსურ ეთნიკურ გარემოში გაოსდნენ. კალოევის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე მისი ჩრდილოეთი ნერტილიდან დაწყებული სამხრეთი ნერტილით დამთავრებული IV-IX სს არქეოლოგიური ძეგლები ოსების წინაპარი ალანების საკუთრებაა (გვ.26). „სამხრეთ ოსეთის" ალანებით დასახლება, თურმე დასტურდება ძველი არქიტექტურული ძეგლების სიუხვით, რომლებიც გვხვდება კუდაროში, მდ. ფანას ხეობის რამდენიმე სოფელში, აგრეთვე, პატარა და დიდი ლიახვის ხეობათა სათავეში, ქსანზე და არაგვზე. ამ ძეგლებს ჰჩელინა V-VII სს-ით ათარიღებსო (გვ.26).

კალოევის მეზღვაპრეობას საზღვარი არა აქვს. ის აგრძელებს, რომ ალანების მიერ „მთიანი ოსეთის" დასახლება დასტურდება ბევრ სოფელში ძველი სასაფლაოების არსებობითო, რომლებიც, გადმოცემით, ლეგენდარულ ხალხს ცარციატებს ეკუთვნითო. ასეთი ძეგლები გვხვდება არა მარტო სამხრეთ ოსეთის მაღალმთიანეთში (სოფლები: ედისი, ჩელიატი (ქართულად კელიათი), არამედ მთისწინა სოფლებშიცო (სოფ.ხვნე), რაც გვაძლევს იმის საშუალებას, ალანების სამხრეთში დასახლება შუა საუკუნეებით დავათარიღოთო (გვ.26).

კალოევს თუ მივყვებით, 1395 წელს თემურ-ლენგს ოსები გაუნადგურებია არაგვისა (ღუდა) და თერგის (თრუსო) ხეობებში, აგრეთვე, კობის ქვაბულში (გვ.30). მონგოლი დამპყრობლების გამანადგურებელმა შემოსევებმა უაღრესად შეამცირეს ალან-ოსებით განსახლებული ტერიტორია. გადარჩენილი ნაწილი შევიდა მთებში, სადაც მათი მონათესავე ტომები ცხოვრობდნენო. ბევრი ოსი ამ დროისათვის გადავიდა კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე, სადაც ცხოვრობდნენ მათი მონათესავე ალანური ტომებიო (გვ.31). აი, ასეთია კალოევის „ლოგიკა", ძვ.წ. VII ს-დან მოყოლებული ოსები (სკვითები, ალანები) მუდმივად გადადიოდნენ საცხოვრებლად კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე.

აქ ერთი რამეც უნდა აღინიშნოს: როგორც კალოევი, ისე სხვა ოსი ავტორები შაქსიმალურად ცდილობენ არ იხმარონ სიტყვა „საქართველო". ისინი საუბრობენ ოსთა განსახლების შესახებ მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე, ამიერკავკასიაში. მათი ლოგიკით ეს ტერიტორიები ხომ საქართველო არ იყო. ის ოდითგანვე „სამხრეთ ოსეთი" იყო, რომელიც მიტაცებული ჰქონდათ ქართველ ფეოდალებს.

ზემოთაც აღვნიშნეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ კალოევის წიგნში აურაცხელი და ჩვენთვის მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალაა, რომელიც საქართველოში, შიდა ქართლში განსახლებული ოსური გვარების ფორმირებას, მათ ჩრდილოეთიდან მიგრაციას შეეხება გვიან შუა საუკუნეებში. ეს მასალა, ალბათ, სათანადო ადგილზე ქვემოთ გვექნება მოტანილი.

კალოევის მიხედვით, ალან-ოსების ცენტრალურ ოსეთში მკვიდრობას ადასტურებს რიგი ქრისტიანული ძეგლები, კერძოდ, ზრუგის ტაძარი, რომელიც X-XI სს-ით თარიღდებაო (გვ.53). ისტორიული სამართლიანობის ალბათ სხვანაირ გაუკუღმართებას ვერ წარმოიდგენს კაცი. კალოევს აქ, მაგალითად, მოაქვს დვალეთის ერთ-ერთი ქრისტიანული ძეგლი, რომელიც, თურმე, მთიელთა, ამ შემთხვევაში, ალან-ოსთა შემოქმედების ნაყოფი ყოფილა. ჯერ ერთი, დვალები ალან-ოსური ტომი არ ყოფილა, ისინი ქართველური ტომისანი იყვნენ. დვალეთი ქართლის სამეფოს შექმნის დღიდან საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი იყო, სადაც ქრისტიანობა საქართველოს გზით ვრცელდებოდა და შესაბამისად ქრისტიანული ძეგლებიც ქართულ ძეგლებს წარმოადგენს თავისი არქიტექტურითა და ქართული წარწერებითაც. მკითხველთა შეცდომაში შეყვანის მიზნით, კალოევი სალოცავის — „რეკომის" შესახებ სხვათაშორის აღნიშნავს, რომ „... о значении Цейского ущелья в развитии осетино-грузинских связей с глубокой древности свидетельствует также и грузинская надпись на колоколе, хранившемся в святилище „Реком" (გვ.48). ტექსტი იმ კონტექსტშია მოცემული, თითქოს რეკომში ოსური წარწერები გვქონდეს და მათთან ერთად ერთი ქართულიც.

ნაშრომის ვრცელ მონაკვეთში კალოევი ცდილობს გააბათილოს ვ. გამრეკელის გამოკვლევის ძირითადი დებულება, რომ დვალები და ოსები სხვადასხვა ხალხია, რომ დვალები სხვა ტომი იყო, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ოსურ ეთნოსთან და რომ დვალები გვიან შუა საუკუნეებში ოსთაგან იქნენ ასიმილირებული. მისი ეს მცდელობა მხოლოდ მცდელობად რჩება. ვერც ერთი არგუმენტი ვერ მოაქვს, რომ ვ.გამრეკელის დამაჯერებელი მტკიცებანი გააბათილოს. კალოევის ნაშრომი სიყალბეთა გვირგვინს წარმოადგენს. მაგალითად, იმავე დვალებთან დაკავშირებით მკითხველი შეჰყავს შეცდომაში, რომ ვითომ „Первое упоминание о туалах, как об одном из племен алан-осетин, встречается в „Армянской географии„ (გვ. 53). აღვნიშნავთ, რომ სომხურ გეოგრაფიაში მხოლოდ დვალების („დუალქ„-ის ფორმით) შესახებაა ცნობა მოცემული და მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ არაფერია თქმული.

კალოევის მიხედვით, თრუსოსა და კობის ქვაბულში, რომლებიც მას ცენტრალურ ოსეთში შეყავს, მონგოლებამდე პერიოდში ალან-ოსები ცხოვრობდნენ (გვ.58), რის დამადასტურებელი ცნობები გაგვაჩნია თურმე რამდენიმე ქართულ წერილობით წყაროში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქსნის ერისთავთა ქრონიკაო. ქსნის ერისთავთა ქრონიკაში მხოლოდ და მხოლოდ იმის

საპირისპიროს ვკითხულობთ, რასაც კალოევი „ამტკიცებს". „ძეგლი ერისთავთაში" ერთმანეთისადმი მკვეთრადაა დაპირისპირებული ოსეთი და დვალეთი, დვალი და ოსი. ხაზი ესმის დვალისა და ოსის სხვადასხვაობას. ისიც აღნიშნულია, რომ ოსთა ქვეყანა დვალთა ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობდა. კალოევი იმასაც წერს, რომ თურმე მისი ზემოთ თქულის დამადასტურებელია მის მიერვე 1957 წელს თრუსოს ხეობაში ძველი სასაფლაოს მახლობლად ნაპოვნი სირიულ-ნესტორიანული წარწერა. ეს წარწერა თურმე შედგენილია ირონულ დიალექტზე, რომელიც გაშიფრა და 1326 წლით დაათარიღა ტურჩანინოვმა (Sic) — გვ.58.

კალოევი იქამდეც კი მიდის და არაქართველ მკითხველს თვალს უბამს, როცა წიგნის 59-ე გვერდზე ბეჭდავს საფლავის ქვის ფოტოს, რომელიც თრუსოს სოფ. შუა ტისშია ნაპოვნი. ქვაზე ქართული წარწერაა ამოკვეთილი. მკითხველს ის ამას არ აუწყებს და ასე ასაღებს მას ოსური კულტურის ძეგლად.

კალოევის მიხედვით, შუა საუკუნეებში ალან-ოსებს უკვე დაკავებული ჰქონდათ კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთის მთელი მაღალმთიანი და საშუალო ზოლი (გვ.60). იგი აღნიშნავს, რომ აბაევის თანახმად, ტოპონიმებს „ქართული სახე" აქვთ მხოლოდ „სამხრეთ ოსეთის" დაბლობ ნაწილში; თუმცა იმას ვერ გაურბის, რომ „მთიან სამხრეთ ოსეთში" ტოპონიმების დიდი ნაწილი ვერ იხსნება ვერც ქართული და ვერც ოსური ენებით" (გვ.60).

მივყვეთ კალოევის წიგნს: XIV-XV სს-ში, როცა ყაბარდოელი ფეოდალების მოწოლით, ალან-ოსები იძულებული იყვნენ საბოლოოდ დაეტოვებინათ ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთი და ბარი და შესულიყვნენ მთებში, დაიწყო ახალი და უკანასკნელი მასობრივი გადასვლა ოსებისა სამხრეთშიო. ნაწილობრივი მიგრაცია ოსებისა აქ გრძელდებოდა XVIII ს-ის შუა ხანებამდეო.

კალოევი წერს, რომ „სამხრეთის ოსების" ჩამოყალიბების ერთი მსხვილი რეგიონი იყო დიდი ლიახვის აუზი, სადაც მოსახლეობდნენ ყველაზე მრავალრიცხოვანი ოსური გვარებიო. ასახელებს ცხოვრებოვს, გაგლოევებს, სანაკოევებს, ხარებოვებს, ხუბულოვებს. ჩამოთვლილი გვარები ამ ადგილების პირველ მოსახლენი იყვნენო და მათი აქ დასახლების დრო ათეულობით თაობით განისაზღვრებაო, რაც ხშირად წერილობითი წყაროებითაც დასტურდებაო. ასე, მაგალითად, ხარებაშვილი (ე.ი. ხარებოვიო) და ცხოვრებაშვილი (ე.ი. ცხოვრებოვიო) იხსენიებიან ერთ ქართულ დოკუმენტში, რომელიც 1672 წლით თარიღდებაო. უფრო მეტიცო, ხარებაშვილების გვარის საფუძველ-ჩამყრელი -ხარება იხსენიება, ისევე როგორც ბიბილურებისა -ბიბილა, „ძეგლი ერისთავთაში"-ო, რაც მიუთითებს მათ მიკუთვნებულობას ძირძველ ალანურ მოსახლეობასთანო (გვ.60). ამ უაზრობის გარ-

ჩევით, მკითხველის გადაღლა არ ღირს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ორი გვარი (ხარებაშვილი და ცხოვრებაშვილი) შიდა ქართლის ძველი მკვიდრი გვარები არიან, რომლებიც გვიან პერიოდში ოსურ ეთნიკურ გარემოში გაოსდნენ და ორივე გვარს საფუძვლად სწორედ ქართული სახელი უდევს და არა ოსური, რაც მათ ქართულ წარმომავლობაზე მიუთითებს. „ძეგლი ერისთავთაში" ნახსენები ხარება როგორ შეიძლება დაბეჯითებით ხარებაშვილების (მითუმეტეს, ხარებოვების) წინაპრად ჩათვალოს? ეს ქართული სახელი ხომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არაერთს ერქვა. ჩვენი აზრით, პატარა ლიახვის ხეობის სათავეში — ქნოლოში ხარებას ხსენება სწორედ იმ პერიოდში იქ ქართველთა მკვიდრობის მიმანიშნებელია. რაც შეეხება გაგლოევის გვარს, ვანეევის მიხედვით, ეს გვარი ლიახვის ხეობის ძირძველი ადგილობრივი მკვიდრი გვარი კი არა, 10 თაობის წინ ალაგირიდან მიგრირებული გვარია და ერთ-ერთი პირველმოსახლე მიგრანტი გვარი იყო დიდი ლიახვის ხეობაში. რაც შეეხება სანაკოევებს, ისინი გაგლოევების განაყარი, შტონაყარი გვარია (იხ. З.Н. Ванеев, Из истории родового быта в Юго-Осетии, Тб., 1955, с.42).

კალოევი აგრძელებს, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ფორმირების ერთ-ერთი ძველი ცენტრი იყო კუდარო მდინარე ჯეჯორის ხეობაში. მისი მოსახლეობა, თითქმის ყველა ძირითადი გვარი დვალეთიდან (მამისონიდან) გადმოსახლდა XV-XVI სს-შიო. კუდაროს, ადრინდელი მოსახლეობაც, რა თქმა უნდა, ოსური, საქართველოს ბარში გადასახლდაო (გვ.63). დავსძენთ, რომ, მართალია, კუდაროში ოსები დვალეთის გზით არიან მიგრირებული, მაგრამ არა XV-XVI სს-ში, არამედ უფრო გვიან, XVIII ს-ის დასაწყისში. საინტერესოა, კუდაროში ადრე თუ ოსური მოსახლეობა იყო, საიდან გაჩნდა აქ ოიკონიმები „ნაკრეფა", „ნადარბაზევი"...? როგორც ვხედავთ კალოევის მეზღაპრეობას საზღვარი არა აქვს.

კალოევი წერს, რომ „სამხრეთ ოსეთის" ყველაზე გვიანდელი მოსახლენი არიან ე.წ. ქსნელი ოსები, რომლებიც ცხოვრობდნენ მეჯუდისა და ლეხურას ხეობებში (???). ამასთანავე, ქსნის ხეობა ოსებით დასახლებული იყო მონღოლებამდე პერიოდშიო (გვ.63). აღნიშნულის დამადასტურებელი, თურმე, ქსნის ერისთავების ოსური წარმოშობაა. ქსნის ხეობის ეს პირველმოსახლენი გვიან გადასახლდნენ რა ბარში, გაითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაშიო. კალოევი აქ მკითხველს უმალავს აბაევის თეზისს, რომ ოსები ქსნის ხეობაში ყველაზე გვიან, 200 წლის წინ არიან გადმოსახლებულნიო. უმალავს, რა თქმა უნდა, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებას, რომელშიც ხაზგასმით მითითებულია, რომ ქსნის ხეობაზეც და შიდა ქართლის სხვა ხეობათა მთიან ნაწილში ოსთა მოსვლამდე ქართველი გლეხები ცხოვრობდნენ, რომლებიც ბარში ჩასახლდნენ.

კალოევი წერს, რომ XVIII ს-ში დაიწყო საქართველოს მთისწინეთში ოსთა დასახლებების შექმნა. აღნიშნავს, რომ XVIII ს-ში „სამხრეთ ოსეთში“ წარმოიშვა რამდენიმე მთისწინა სოფელი — რუსთავი, ყორნისი, წნელისი (გვ.64). კვადრატულ ფრჩხილში უთითებს დოკუმენტს. ამ საბუთში კი სულ სხვა რამ წერია: თავადი ფალავანდიშვილი იჭერს მთიელ ოსს ჩიბირაშვილს და მის ძმას, რომლებიც მეკობრეობდნენ. მდინარე მავდასთან ჩიბირაშვილებს მოუკლავთ ფალავანდიშვილის კაცები ატოცელი აბრამიშვილები. აი, ეს ჩიბირაშვილები გარკვეული ხნის შემდეგ ფალავანდიშვილს უვარდებიან ხელში. ჩიბირაშვილები სისხლის გადასახადს ვერ იხდიან, გარდა ოთხი ხარისა, რომლებიც მოკლულის სასარგებლოდ უნდა გადაეხადათ. მათ არა აქვთ არავითარი საშუალება კანონით გათვალისწინებული გადასახადის გადახდისა და ამის სანაცვლოდ ჩობა მეუღლით და მისი ძმა აპა და დედა მათი ფალავანდიშვილს ყმა გლეხებად უდგებიან (История Осетии в документах и материалах. Составили Г.Тогошвили и И. Цховребов, т. I, Цх. 1962, с. 151). ნუთუ ეს დოკუმენტი იმის დამადასტურებელია, რომ XVIII ს-ში ფრონეების ხეობის აღნიშნულ სოფლებში ოსური მოსახლეობა დაფუძნდა? მეორე დოკუმენტში, რომელსაც ასევე უთითებს კალოევი, ლაპარაკია იმაზე, რომ სოფ. ყორნისში ხერხეულიძეს ყავდა ორი ტყვე ოსი, რომელიც დავითაშვილების იმერელმა მოიპარა და გაყიდა (იქვე, გვ.193).

კალოევი თითქმის ყველა გვერდზე იმეორებს იმას, რომ „მთიანი სამხრეთ ოსეთიდან“ მოსახლეობის მთისწინა ზოლში გადასახლება მიმდინარეობდა შეუწყვეტლივ მრავალი საუკუნის განმავლობაში, დაწყებული მონგოლთა შემოსევებიდან. ცხოვრობდნენ რა, ასე, ხანგრძლივი დროით, ქართველებს შორის, ოსები გაითქვიფნენ მათ შორისო. მაგრამ, სადაც ოსები დასახლდნენ კომპაქტური ჯგუფებით, მათ შეინარჩუნეს თავიანთი ენა და თვითმყოფადობაო. ასეთ რაიონებს მიაკუთვნებს დუშეთის, გორის, ბორჯომის, ქარელის, ახმეტის რაიონებს, სადაც რიგი ოსური სოფლები წარმოიშვა XVII-XVIII სს-შიო (გვ.66). დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სრული ტყუილია. აღნიშნულ რაიონებში ოსური მოსახლეობა მხოლოდ XIX ს-ის შუა ხანებიდან გაჩნდა, ახმეტის რ-ში კი XX ს-ის დასაწყისიდან.

ყველაზე გასაოცარი კალოევის წიგნში არის 67-ე გვერდზე მოთავსებული რუკა, რომლის სათაურია „ოსური ტომების განსახლება მონგოლთა შემოსევების შემდეგ“. რა თქმა უნდა, აქ დვალები (თუალები) ოსურ ტომადაა მიჩნეული, რომლებსაც XIII ს-მდე ეკავათ თურმე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მთა და მთისწინეთი, თრუსო კობის ჩათვლით და ხევის თერგის ხეობის მარცხენა ნაწილი. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ დვალების ოსურ ტომად გამოცხადება

აბსურდია, XIII ს-მდე დვალებს არასდროს არ სჭერიათ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დიდი ნაწილი. ისინი, როგორც ცნობილია, განსახლებული იყვნენ კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ მხარეზე, იმ ტერიტორიაზე რომელიც საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა ყოველთვის. დღეს კი ჩრდილოეთ ოსეთს აქვს მიკუთვნებული.

რუკაზე იკითხება, რომ თუალები (დვალები) „სამხრეთ ოსეთის“ დანარჩენ ტერიტორიაზე, ბარის ზოლში XIII-XIX სს-ში განსახლებულან. წიგნის ავტორი აიგივებს დვალებსა და სამხრეთელ ოსებს ერთმანეთთან, იმეორებს სკიტსკის და სხვათა შეცდომებს, რომ „სამხრეთ ოსებს“ ძველად, თურმე ვახუშტის გეოგრაფიის მიხედვით, დვალეთი ერქვა. იმავე რუკით, დვალებით ანუ, კალოევის გაგებით, „სამხრეთელი ოსებით“ იყო დასახლებული მდ. არაგვის სათავე (ღუდა) XIII ს-მდე.

კალოევის მიერ უმართებულოდ ნათქვამი, რომ ოსები ჰუნთა შემოსევების შემდეგ IV ს-ში სახლდებიან კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, უკვე მტკიცე დოგმად იქცა ოსი ისტორიკოსებისათვის. ბევრი მათგანი უთითებს კალოევის წიგნის სათანადო გვერდებს, თითქოს უკანასკნელს წყაროების შესწავლის შედეგად ჰქონდა ეს დასკვნა მიღებული. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ისტორიკოსი ბ.ბერიოზოვი, რომელსაც ეკუთვნის მონოგრაფია ოსთა მთიდან დაბლობში ჩასახლების შესახებ (Б.П.Берозов, Переселение осетин с гор на плоскость XVIII-XX вв. Орджоникидзе, 1980). ბ.ბერიოზოვი წერს: „К моменту окончательного покорения алан, то есть к XV веку, плотность населения достигла такой степени, что северные склоны гор не могли вмещать всех, кто бежал от татаро-монгольских завоевателей. Земельная теснота, рост населения вынуждали осетин переходить Главный Кавказский хребет и спускаться на его южные склоны. Эти места были освоены осетинскими племенами еще в древности, в эпоху гуннского нашествия (IV в.), но к XIII веку они опустели в результате переселения осетин в долины на эти опустевшие места и стали переходить поселенцы с севера“ (с.17).

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ბ. ბერიოზოვის აღნიშნული მონოგრაფიის შესახებ. წიგნში კარგადაა ნაჩვენები, რომ მონგოლთა შემოსევების შემდეგ ოსთა გადარჩენილი ნაწილები კავკასიის მთებს შეეფარნენ. პირველი ასეთი შესახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მოხდა ჩინგის ხანის შემოსევების შემდეგ XIII ს-ის 20-30 -იან წლებში. უკანასკნელი და საბოლოო შერეკვა მოხდა XIV ს-ის ბოლოსა და XV ს-ის დასაწყისში. XV ს-დან ჩრდილოეთ კავკასიის ბარის

ზოლში ოსური დასახლებები საბოლოოდ აღმოიფხვრა. მიუხედავად იმისა, რომ საისტორიო წყაროებით, ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შეხიზვნა-დამკვიდრება მოხდა XIII-XIV-XV საუკუნეებში, ოსი ისტორიკოსები, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, წერენ, რომ ოსთა მიგრაცია კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზეც თანადროულად მიმდინარეობდა და აქ მათ დასასახლებელ ადგილებს IV ს-დან გადმოსახლებული ოსები უთმობდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, საქართველოს ბარში გადადიოდნენ საცხოვრებლად.

ბ.ბერეზოვს ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის ველებიდან მთებში დასახლკარების შესახებ მოყავს XV ს-ის იტალიელი მოგზაურის ბარბაროს სიტყვები: „Народ сей(аланы-ясы) исповедовавший христианскую веру, был истреблен и выгнан из жилищ своих" (Иосафат Б. Путешествие по Тану. „Библиотека иностранных писателей о России", т.V,Спб., 1836,с.6)". ბერეზოვს შემდეგ მოყავს ციტატა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომიდან: „Во время походов чингисовых ханов, — писал он, — разорились и опустошились города и строения их, и царство овсов превратилось мтаварство — княжество, и овсы стали убегать внутрь Кавказа, а большая часть страны их превратились в пустыню, и с тех пор овсетия (т.е. плоскостная часть — Б.Б.), стала называться Черкесией или Кабардо"".

ეს ამონაწერი ბერეზოვის წიგნიდან მოვიტანეთ იმიტომ, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ შეაქვს ვახუშტის ნაშრომში ერთგვარი რევიზია მას. ვახუშტის გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ ოსეთი ჩრდილოეთ კავკასიის ბარში იყო და სწორედ მათი მთებში შემოსვლის შემდეგ მთიან ქვეყანას ოსეთი ეწოდა და მათ მიერ დატოვებულს ჩერქეზეთი და ყაბარდო. ბერეზოვი კი ვახუშტის ოსეთს განმარტებას აძლევს, რომ ვითომ მას საუბარი აქვს ოსეთის ერთ, ბარის ნაწილზე, ბარის ოსეთზე. ეს ყველაფერი კეთდება იმიტომ, რომ მკითხველი დააჯერონ XIII ს-ზე ადრეულ პერიოდში მთიანი ოსეთის არსებობაზე. ის კი არა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ოსი ავტორების მტკიცებით, ოსეთი იყო დვალეთის ტერიტორიაც და ისინი IV ს-დან განსახლებული იყვნენ საქართველოს მთიანეთშიც.

ბერეზოვი წერს: „Проезжавший в 1253-1255 гг. через Аланию посол французского короля к монгольским ханам Вильгем Де Рубрук тоже отмечал, что аланы не были окончательно покорены в результате походов Батыя, что живущие в горах алан „все еще борются против татар" (с.11). ამ წინადადებით ბერეზოვს უნდა აჩვენოს, რომ XIII ს-ში მთის

ოსური მოსახლეობა იბრძოდა თათრების წინააღმდეგ. მაგრამ მას ავიწყდება თქვას, რომ ეს ის ოსური მოსახლეობაა მთაში მცხოვრები, რომლებიც ცოტა ხნის წინ თათრებს ველებიდან გამოექცნენ და მთებში შეიხიზნენ. ბეროზოვი აღნიშნავს, რომ თემურ-ლენგამდე მტერი ისე ღრმად ვერ შედიოდა კავკასიის მთების სიღრმეში. თემურის რაზმებმა მიაღწიეს მთის ყველაზე ღრმა ხეობებსო. თუ ჩაუკვირდებით, აშკარაა, რომ სწორედ ამ პერიოდის შემდეგ, XV ს-დან იწყება ოსთა დვალეთში შეჭრა და დამკვიდრება. ბეროზოვს სურს წარმოადგინოს, რომ მთიანი ოსეთი უაღრესად გადამეტსახელებული იყო. მაგრამ ათჯერ გადამეტსახელებულს როგორ უნდა ერჩინა თავისი მოსახლეობა? მთას ხომ შეუძლია გამოკვებოს მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა? XVI ს-ში დვალეთში დასახლებული და გამრავლებული ოსები XVII ს-დან იწყებენ საქართველოს მთიანეთში შემოღწევას და ამ პერიოდიდან ხდება მათი თანდათანობითი რეალური დასახლება ჩვენს მთაში.

ბეროზოვის წიგნიდან ისიც კარგად ირკვევა, რომ ბარიდან ჩრდილოეთ კავკასიის მთაში შეხიზნულმა ოსებმა თან წაიღეს ტოპონიმები, სოფლის სახელები. დასახელებული აქვს არაერთი მაგალითი. ამ მაგალითების მოტანის შემდეგ აშკარაა, რომ არავითარი მთიანი ოსეთი XIII ს-მდე არ არსებობდა. აშკარაა, რომ მთაში ბარიდან იძულებით ასახლებულ ოსებს ადგილზე მცირე რაოდენობით, ან საერთოდ არ ხვდებოდათ მოსახლეობა. სხვა შემთხვევაში გამორიცხულია ბარიდან მთაში, ძველი საცხოვრისიდან ახალ საცხოვრისში ტოპონიმების გადატანა. მთის დასახლებულ სოფლებში რომ შესულიყვნენ ოსები, ისინი აქ თავიანთი ბარის სოფლის სახელწოდებებს ველარ შეიტანდნენ.

საყურადღებოა, რომ მოსახლეობის კონცენტრაცია მთის ყველა რეგიონში ერთნაირი არ ყოფილა (გვ.17). ყველაზე ძალიან დასახლკარებულა დიგორისა და ალაგირის ხეობები. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ მჭიდროდ დასახლებული ალაგირის ხეობიდან ხდება დვალეთისა და შიდა ქართლის მაღალმთიანეთის დასახლება.

უკანასკნელ ხანს თავი გამოიჩინა რ.ძატიატმა (Р.Г. Дзаттиаты, Раннесредневековский могильник в сел. Едыс, СА, № 2, 1986; იხ. აგრეთვე, ჟურნალი „Природа", N 10, 1986), რომელიც „შეეცადა" არქეოლოგიური მასალით დაეძველებინა ოსთა ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთში გადმოსახლება. ის წერდა: „Таким образом проникновение алан-осетин в Закавказье (не военный поход, а оседание) происходит не в XV-XVII вв. а даже не а XIII-XIV вв. а намного раньше, в VI-VII вв". (გვ.208). ძატიატის აღნიშნული ანტიმეცნიერული დებულება არქეოლოგიური მონაცემებით სათანა-

დოდ უარყო ნ. აფხაზავამ (ნ.აფხაზავა, დასახ.წიგნი, გვ.36-40). ამიტომ მასზე ჩვენ საერთოდ აღარ შევჩერდებით.

ოს მეცნიერთაგან შედარებით მეცნიერული ნაკვლევი ოსთა საქართველოში მიგრაციის შესახებ ეკუთვნის გ. თოგოშვილს (იხ.მისი „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან — უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე", სტალინირი, 1958. შემდეგში: გ.თოგოშვილი,1958); „საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს; თბ.,1969 (შემდეგში: გ.თოგოშვილი, 1969); „ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ„, თბ., 1977 — შემდეგში:გ. თოგოშვილი, 1977). სხვა ოსი მეცნიერებისაგან განსხვავებით, ის სწორედ ოსთა საქართველოში, შიდა ქართლში მიგრაციის შესახებ საუბრობს და არა ალანების, ალან-ოსების ამიერკავკასიაში, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მიგრაციის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, სხვა ოს ავტორებს აქვთ ტენდენცია მკითხველს აჩვენონ, რომ ოსები საქართველოში კი არ მიგრირდებოდნენ, არამედ ამიერკავკასიაში, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში", რომელიც შემდეგ ქართველმა ფეოდალებმა დაიპყრეს და საქართველოს შეუერთეს. გ. თოგოშვილს არ უძებნია საქართველოში ოსთა მიგრაცია და მათი აქ კომპაქტური მკვიდრობა ძვ. წ. სხვადასხვა პერიოდში, ახ.წ. IV,VI-VII სს-ში, რამეთუ ამის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი, წერილობით წყარო, მატერიალური კულტურის ნაშთი არ არსებობს. გ. თოგოშვილისათვის ასევე უცხო იყო ოსი ავტორებისათვის დამახასიათებელი აკვიატებული აზრის — დვალებისა და ოსების იგივეობა. თუმცა მას ეს საკითხი, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ცნობების უქონლობის გამო, გადაუწყვეტელი ეგონა (გ.თოგოშვილი, 1958, გვ. 179). მაგრამ გ. თოგოშვილმა მაინც, არარსებულ მასალებზე დაყრდნობით, არამეცნიერულად წარმოიდგინა საქართველოში ოსთა მიგრაციისა და მათი საქართველოში განსახლების საკითხები.

გ. თოგოშვილი დიდ ადგილს უთმობს საქართველოში ოსთა ჩამოსახლების საკითხებს და იგი შიდა ქართლში ოსთა კომპაქტური დასახლებების შექმნას მონგოლთა შემოსევას, XIII-XV სს. უკავშირებს, თუმცა მის მიერ ამ თვალსაზრისით მოხმობილი საისტორიო საბუთებით ეს არ მტკიცდება. ამ თარიღის დადებაში, მართლები რომ ვიყოთ, გ.თოგოშვილს ხელი შეუწყვეს თავად ქართველმა ისტორიკოსებმა (ნ.ბერძენიშვილი, დ.გურიტიშვილი), რომლებსაც ეს საკითხი სპეციალურად არ უკვლევიათ და ზოგადად, ვარაუდით, დასახეს ოსთა საქართველოში მიგრაცია მონგოლთა შემოსევის პერიოდისათვის. მონგოლთა შემოსევების შემდეგ, XIII-XIV სს-ში ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში შემოსვლა ფაქტია, მაგრამ მაშინვე მათი

საქართველოს მთიანეთში დასახლება შეცდომაა და ამის დამადასტურებელი არც ერთი საისტორიო წყარო არ გაგვაჩნია.

გ. თოგოშვილის ლოგიკის გასარკვევად საჭიროდ მიგვაჩნია მის მთელ რიგ მსჯელობებზე დანურილებით შევჩერდეთ. ავტორი არ იზიარებს ვახუშტის ცნობას ოსთა კავკასიის მთებში მონგოლთა შემოსევების შემდეგ დამკვიდრების შესახებ. ეს პროცესი მხოლოდ დვალეთის მიმართ მიაჩნია სწორედ: „ვახუშტის ცნობა, რომლითაც კავკასიის ჩრდილოეთ ხეობებში ოსთა დამკვიდრება მონგოლთა შემოსევის შემდეგ პერიოდში ხდება, სწორია საკუთრივ დვალეთის მიმართ და არა თაგაურის, ქურთაულის, ვალაგირის და დიგორის ხეობათა მიმართ. მონგოლთა შემოსევას მოჰყვა ოსების არდონის ხეობით ნარ-მამისონის რაიონში, სადაც შედის ნარის, ზრუგის, ზახის და სხვა ხეობები, და იქიდან უფრო სამხრეთით გადმოსვლა“ (გვ.182). ვახუშტი წერს იმას, რის დაჯერებაც გ.თოგოშვილს არ უნდა. ის ხაზს უსვამს, რომ „XIII-XIV სს. მთიანეთის ჩრდილოეთ კალთებსა და ხეობებში ოსების დამკვიდრება არ შეესაბამება სინამდვილეს. თუ ამ პერიოდში ოსთა რომელიმე ახალ ტერიტორიაზე დამკვიდრებაზე ვილაპარაკებთ, მასში უნდა ვიგულისხმოთ ქართლის მთიანეთისა და ბარის ზოგიერთი რაიონი“ (გ. თოგოშვილი, 1958, გვ.183). თოგოშვილის მიხედვით, მხოლოდ ქართლის მთიანეთში კი არა, ბარის ზოგიერთ რაიონში ოსთა დასახლკარება XIII ს-ში მომხდარა, თუმცა რაიმე დამამტკიცებელი საისტორიო წყარო ავტორს აქ არ მოაქვს. ზოგიერთი სხვა ოსი ავტორივით, მასაც ისტორიული მეცნიერება დაუსაბუთებელი დებულებების ქაღალზე გადატანა ჰგონია. საისტორიო წყაროებით კი აშკარაა, რომ ოსების ჩრდილოეთ კავკასიის ველებიდან მთებში შეჭრა მოხდა მონგოლთა შემოსევების შემდეგ. მართალია, ამ პერიოდში, ისინი მცირე ჯგუფებად ცდილობენ საქართველოს კუთვნილი დვალეთის ტერიტორიაზე დამკვიდრებსაც,მაგრამ ისინი ამ ცდებს ვერ ანხორციელებენ (იხ. „ძეგლი ერისთავთა“). ოსთა დვალეთის ტერიტორიაზე შეჭრა-დამკვიდრება კი უშუალოდ დაკავშირებულია XIV-XV სს.მიჯნაზე (1395 და 1400 წლებში) ოსეთში თემურ-ლენგის შეჭრასთან. მთელი XIII ს-ის მეორე ნახევრისა და XIV ს-ის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან ოსები მუდმივ დაწოლას ახდენენ დვალეთზე და დვალები გადმოდიან ქედის სამხრეთით, შიდა ქართლის მთიანეთში. საისტორიო წყაროების სრული ანალიზი ჭეშმარიტებად აქცევს იმ აზრს, რომ სწორედ XIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIV ს-ში შეამზადეს ოსებმა ნიადაგი დვალეთში დასასახლებლად, რადგან მათი ინტენსიური მოწოლის შედეგად დვალები ესახლებიან არა მარტო შიდა ქართლის მთიანეთში, არამედ მცირე ჯგუფების სახით იფანტებიან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის ზოლში, ქვემო ქართლში, იმერეთსა და რაჭაში. ხოლო ადგილზე

დარჩენილი ნაწილი უკვე XVI ს-დან ექცევა ოსთა გარემოცვაში და XVII ს-დან იწყება ოსების მიერ მათი ასიმილირება.

რა საბუთი აქვს გ.თოგოშვილს ამტკიცოს საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა კომპაქტური დასახლებების გაჩენა XIII ს-დან? მისთვის ამის დამადასტურებელი ისტორიული წყაროა „ქართლის ცხოვრების" დავით-ულუს (1243-1269) დროინდელი ცნობა: „გამოვიდეს ბერქას ყაინისაგან ლტოლვილნი ოსნი, დედაკაცი საკვირველნი, სახელით ლიმაჩავ და მან მოიტანნა შვლნი მცირენი... პირმშო ფარეჯან და **უმრნამესი** ბაყათარ და სხუანი თავადნი მრავალნი. გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფეს წინაშე. ხოლო მან პატივითა ისტუმრნა და წარავლინა ყაენს ულოს წინაშე. და ყაენმან შეიწყნარა ფრიად და უბოძა ხარაჯა, მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განიჩინნა და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინა. ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე დმანისსა და სხუანი — ჟინოვანს" (იხ.ჟამთააღმწერელი ასწლოვანი მატიანე, რ.კიკნაძის გამოცემა, თბ., 1987, გვ.136). ცნობიდან აშკარაა, რომ ოსთა სამ ჯგუფს თბილისში, ჟინვანსა და დმანისში საქართველოში შემოსული დამპყრობლები მონგოლები ასახლებენ იმ პირობით, რომ ისინი მათ ლაშქრობებში მიიღებდნენ მონაწილეობას („მოლაშქრედ და თანამბრძოლელად გაიჩინა") და არა ადგილზე დაემკვიდრნენ სამუდამოდ. ასეც რომ ყოფილიყო, საქართველოს სამ სხვადასხვა პუნქტში ოსთა სამი სხვადასხვა ჯგუფის შენდეგი მოუხსენიებლობა, იმას მოასწავებს, რომ ისინი ქართველ ხალხს შეერწყნენ, შეერევნენ და ამ წყაროს მიხედვით ოსური მუდმივი დასახლებების გაჩენის მტკიცება საქართველოში და, მითუმეტეს, შიდა ქართლში სრული ნონსენსია.

გ.თოგოშვილი ზემოთ აღნიშნულ საისტორიო ცნობას შემდეგ კომენტარს უკეთებს: „აღნიშნული ფაქტი ქართულ წერილობით წყაროებში დადასტურებული ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე დიდ ჯგუფად დასახლების პირველი მაგალითია„ (გ.თოგოშვილი, 1958, გვ.197). საერთოდ, ამ ფაქტის და თუნდაც 853 წელს ბულა თურქის მიერ დმანისში ასი კომლი ოსის დასახლება, ოსთა საქართველოში კომპაქტური მოსახლეობის შესახებ ვერავითარ ამინდს ვერ ქმნის. ჯერ ერთი, მათ მონგოლთა სასარგებლოდ ლაშქრობებში მონაწილეობა ევალებოდათ, მეორე, არ გაგვაჩნია რაიმე წყარო მათი საქართველოში დარჩენის შესახებ და მესამე, რა თქმა უნდა, ეს ჯგუფები ქართულ ეთნიკურ სამყაროში ორი-სამი თაობის შემდეგ სრულ ასიმილაციას განიცდიდნენ. მეოთხე, და მთავარი, არც თბილისი, არც ჟინვანი და არც დმანისი არ შედის იმ რეგიონში, სადაც გვიან ფეოდალურ პერიოდში კომპაქტური ოსური დასახლებები შეიქმნა და რომელიც ხელოვნურად „სამხრეთ ოსეთად" იქნა სახელდებული.

გ. თოგოშვილი ზოგად განცხადებასაც აკეთებს და ასკვნის, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ამ დიდი პარტიის დასახლების შემდეგ მათი მონაწილეობა საქართველოს ისტორიის ასპარეზზე გაცილებით ფართო ხასიათს იღებს (გ.თოგოშვილი, 1958, გვ.197). რა თქმა უნდა, ზოგადი ფრაზებით ისტორია არ იწერება.

გ. თოგოშვილისათვის საქართველოში XIII ს-დან ოსთა დამკვიდრება-დასახლების კიდევ ერთ ფაქტს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების" XIII ს-ის დასასრულის შემდეგი ცნობა: „ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა იწყეს ოვსთა ოჯრებად ჯოცად და რბევად და ტყეენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყეენეს და თჳსად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა, ჰამადას, წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა, და მრავალგზის შეებნეს ქალაქსა შინა, მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი სრულიად. და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიდამე გარდმოუშვეს საბლითა კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმა, ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი, განასხნა და აღფხურნა" (ჟამთააღმწერელი, გვ. 189).

ქართულ საისტორიო წყაროში აშკარად წერია, რომ მონგოლთა წაქეზებით, საქართველოში შემოსული ოსთა საბრძოლო რაზმები აოხრებდნენ, არბევდნენ ქართლს, ატყევებდნენ ქართველებს, დაიპყრეს ქალაქი გორი. ქართველებმა ოსებს ბრძოლა გამოუცხადეს. ოსები დახმარებისათვის თათარ-მონგოლებს მიმართავენ. თითქმის ოცდაათი წელი გრძელდებოდა მონგოლთაგან მხარდაჭერილი და შეგულიანებული ოსების ქართლში ნავარდი, რასაც XIV ს-ის 20-იან წლებში გიორგი ბრწყინვალემ საბოლოოდ მოუღო ბოლო. ჟამთააღმწერელი ხომ წერს, რომ გიორგი ბრწყინვალემ ისინი განასხნა (ე.ი. საქართველოდან გაყარა) და აღფხურნა (ე.ი. ამოწყვიტა).

მე არ მესმის როგორ შეიძლებოდა, ჟამთააღმწერლის ზემოთ მოყვანილი ციტატის შემდეგ, ისტორიკოსს დასკვნა გაეკეთებინა, რომ „ამრიგად, XIII ს. შუა ხანებიდან ხდება ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლება" (გ.თოგოშვილი, 1958, გვ.199).

გ.თოგოშვილი ჟამთააღმწერლის ზემოთ მოყვანილ ცნობას ისე წარმოადგენს, თითქოს საქართველოში შემოსული ოსების მახვილი მიმართული იყო ქართველი მიწათმფლობელი არისტოკრატიის წინააღმდეგ. თანაც, თურმე, თოგოშვილის წარმოდგენით, მეფე ამ ბრძოლაში ოსებს თანაუგრძნობდა (გვ.199). თოგოშვილს ისე გამოჰყავს, თითქოს ოსები საქართველოში ქართველ გლეხთა ფეოდალებისაგან გამათავისუფლებლები იყვნენ. ყოველივე ეს მარქსისტული

ისტორიოგრაფიის წარყვნის კლასიკურ ნიმუშად მიგვაჩნია. ფეოდალებთან ოსების წინააღმდეგობა თურმე იმიტომ ხდებოდა, რომ ეს უკანასკნელნი მათ მიწებზე სახლდებოდნენ (გვ.201). კი მაგრამ, ქართველ ფეოდალთა მიწებზე ქართველი გლეხები არ ისხდნენ? ისინი არ ვიწროვდებოდნენ ოსთა მხრივ? ქართველ ფეოდალებს მიწის მუშაკი თუ აკლდა, მაშინ ისინი ხომ თავად შეუწყობდნენ ხელს ოსებს მათ მიწებზე რომ დასახლებულიყვნენ, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. მაგრამ, წყაროდან აშკარაა, რომ ოსთა მიზანი ქართლში დამკვიდრება, მიწისმუშაკობა კი არა, არამედ ძარცვა-გლეჯა იყო მათი მიზანი, როგორც ფეოდალის, ისე გლეხისა. სწორედ ამიტომაც, როცა ქართველებმა ძალა მოიკრიბეს და მონგოლთაგანაც ისეთი მხარდაჭერა ვერ მიიღეს ოსთა ბანდებმა, ისინი ამოწყვეტილი და გაყრილი იქნენ საქართველოდან.

ეამთააღმწერლის მიხედვით, ოსების XIII-XIV სს. მიჯნაზე საქართველოში ჩამოსახლებაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ ბაყათარის ხელმძღვანელობით გორში დაბანაკებული ოსი რაზმების მიერ ქართლის რბევა-აოხრებაზე. აბა, სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ისტორიკოსის სიტყვები: „და ვინათგან მეფე დავით არ მიენდო თათართა, ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა. ამისთვს იშლებოდა ქუეყანა ქართლისა. და მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო და აოჯრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო ჭირი დიდი მკვდრთა ქართლისათა" (ეამთ.გვ.210). მოტანილი ციტატიდან აშკარაა, რომ თათარ-მონგოლთა მიერ შეგულიანებული ოსები ბაყათარის მეთაურობით, საქართველოს აოხრებდნენ, აზნაურებს მამულებს ართმევდნენ, რის გამოც ყველა ქართლში მცხოვრები იყო დიდ ჭირსა და გაჭირვებაში. თოგოშვილის მიხედვით კი ოსები მხოლოდ მიწათმფლობელებს უპირისპირდებოდნენ. ოსები თუ ქართლის დასაპყრობად და აქ საბოლოოდ დასამკვიდრებლად არ იყვნენ შემოსული, მაშ როგორ უნდა გავიგოთ ეამთააღმწერლის სიტყვები: „იყო ჭირი დიდი მკვდრთა ქართლისათა", „ბაყათარ აოჯრებდა ქუეყანათა და ჯოცთა კაცთა" (ეამთააღმწერელი, გვ.211).

გ. თოგოშვილი აღნიშნავდა, რომ „ბაყათარი მოხერხებით ახორციელებდა თავის ძირითად მიზანს — ოსთათვის მტკიცე დასასახლებელი ბაზის შექმნას ქართლში" (გ.თოგოშვილი,1958, გვ.203). ჩვენის მხრით დავსძენთ, რომ ოსებისა და მათი მეთაურის ბაყათარის ეს სურვილი არ განხორციელებულა.

გ. თოგოშვილს ოსთა საქართველოში ადრე დანყებული მიგრაცია-დამკვიდრების ერთი რგოლი ჰგონია „ძველი ერისთავთა"-ს ცნობა ქსნის ერისთავთა ოსური წარმომავლობის შესახებ. ძეგლის ცნობით, XIIIს-ში (ალბათ, მეორე ნახევარში) ოსების ერთი მცირე ჯგუფი

(70 კაცი) ცდილობს დვალეთში დამკვიდრებას, მაგრამ დვალებს არ სურთ მათ „ქვეყანაში" არსებული სოციალური ურთიერთობების დარღვევა და მცირე ხნის შემდეგ მათ შიდა ქართლის მთიანეთისაკენ (ისროლისხევი) გამოაძევებენ (ოსთა ქვეყანაში მიმდინარე შინაბრძოლების შემდეგ მათ აღარ ძალუძთ საშობლოში დაბრუნება).

ქრონიკის ცნობა, რომ ოსთა სამშობლოში დამარცხებული ფეოდალური არისტოკრატიის რამდენიმე წარმომადგენლის 70 მონით (და არა ოჯახით) გადმოსვლა სინამდვილესაც რომ შეესაბამებოდეს, მიგრანტთა ეს რაოდენობა არაფერს ნიშნავს, რადგან ეს 70 მონა ოჯახებით არ გადმოსახლებულა და ცოტა ხნის შემდეგ, რა თქმა უნდა, ისინი და მათი შთამომავალნი (თუ რა თქმა უნდა, ისინი ყავდათ) მჭიდროდ დასახლებულ ქართულ ეთნიკურ გარემოში გაითქვიფებოდნენ. ასე, რომ ამ ძეგლის მიხედვითაც არ შეიძლება ვილაპარაკოთ შიდა ქართლის მთიანეთში (ისროლისხევში) ოსური ახალშენების შექმნის შესახებ.

გ. თოგოშვილი არ ეთანხმება ვახუშტი ბაგრატიონს დვალეთის ლოკალიზაციის საკითხში. ვახუშტი ბაგრატიონით დვალეთი მოიცავდა ტერიტორიას კავკასიის მთავარი ქედისა და პირიქითელ ქედს შუა მოთავსებულს, მდ. (ნ)არდონის სათავეში, ე.წ. ნარ-მამისონის ტაფობში.ვახუშტის მიხედვით, „დვალეთი განიყოფების ხევებად: კასრისხევად, ზრამაგად, ეღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად". სწორედ კასრის ხევზე გადიოდა საზღვარი საქართველოსა და ოსეთს შორის. თოგოშვილი ისევ ვარაუდებით იფარგლება და წერს: „მაგრამ დვალეთის ტერიტორიის შემოფარგვლა ჩამოთვლილი ხეობებით სწორი არ იქნებოდა. მასში შედის ქვემო დვალეთი, რომელიც „ძეგლი ერისთავთა"-ს ცნობით მოიცავს კოშკს, თლის, მუღისველს, ზღუბერს (თანამედროვე ზღუბირი), როკს (ყველა ისინი დიდი ლიახვის ზემო დინებაზეა). დვალეთშივე შედის მაღრან-დვალეთი, რომელიც იმავე ძეგლით შემდეგი თემებისაგან შედგება: სოსხო, წუბენისხევი, ხოჯა, წაჲ" (გ.თოგოშვილი, 1958, გვ.221). დავსძენთ, რომ ეს არის საისტორიო წყაროსადმი უნდობლობის გამოჩენის კლასიკური მაგალითი. ავტორი ცდილობს რევიზია გაუკეთოს ვახუშტი ბაგრატიონს. ასე რომ ვ.ითონიშვილი ამ საკითხში ორიგინალურიც სრულიადაც არაა. იგი სიტყვა-სიტყვით იმეორებს გ. თოგოშვილის მცდარ თეზას. ისტორიული დვალეთის ტერიტორიის გავრცელება დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე სხვა მიზანს ისახავს. მათ, ვისაც ამოჩემებული აქვთ დვალთა და ოსთა იგივეობა, ამტკიცონ საქართველოს ჩრდილოეთში ოსთა ოდინდელი მკვიდრობა. შევნიშვნავთ, რომ „ძეგლი ერისთავთა„-ში ლაპარაკია არა „ქვემო დვალეთზე", არამედ „ქვემო დვალებზე",რომლებიც, სწორედ ამ დროისათვის ოსთა ჩრდილოეთიდან მოწოლის შედეგად მიგრირებული იყვნენ ქედის

სამხრეთ მაღალმთიანეთში.

სწორი არაა გ. თოგოშვილი, როდესაც წერს, რომ „XIV საუკუნისათვის ქსნის ერისთავთა ქრონიკის ცნობით, დვალთა მთელი რიგი თემებისა ერისთავებმა მორჩილებაში მოიყვანეს. **ამ დვალებში ოსებს უკვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ" (ხაზი ჩვენია — რ.თ.). (გ.თოგოშვილი, 1958, გვ.221). რანაირად ეკავათ დვალებში ოსებს XIV ს-ში უკვე მნიშვნელოვანი ადგილი ჩვენთვის გაუგებარია. XIII ს-ის ბოლოს ხომ იმავე „ძეგლი ერისთავთა"-ს მიხედვით, დვალებმა ოსები საკუთარი ტერიტორიიდან გამოაძევეს. რა ასე მალე მოვიდა უკვე XIV ს-ის დასაწყისში დვალეთში ოსთა ახალი ტალღა და მშვიდობიანად დაემკვიდრა აქ? ავტორს სხვა მიზანი აქვს. ამ წარმოსახვით მას უნდა დაამტკიცოს, რომ არა მარტო დვალეთში, არამედ შიდა ქართლის მთა-მთისწინეთში XIV ს-დან ოსები იყვნენ დამკვიდრებული. მისი წარმოსახვით ხომ დვალეთი მხოლოდ ნარას ქვაბულში არ იყო და მთელი დ-ლიახვის ხეობის მთა-მთისწინეთს, თრუსოს, კუდაროს, ქსნის სათავეს მოიცავდა.**

გ. თოგოშვილის აზრით (რა თქმა უნდა, აბსურდულის) ოსთა ქართლის რაიონებში დამკვიდრებას წინააღმდეგობას უწევდნენ მხოლოდ ქართველი მიწათმფლობელები, ფეოდალები. მაგრამ ისინი მაინც ახერხებდნენ აქ დამკვიდრებას ქვეყანაში შექმნილი საერთო მდგომარეობის ხელსაყრელობის გამო (შინაური არეულობა, ქართველი მშრომელი მოსახლეობის კეთილგანწყობილება ოსებისადმი) — გვ.222. ცინიზმისა და ულოგიკობის ამაზე დიდი მაგალითის მოტანა ალბათ წარმოუდგენელია.

ჟამთააღმწერლის ცნობით, გიორგი ბრწყინვალემ არა მარტო დაამარცხა და საქართველოდან გაყარა ოსები, არამედ მას არ დასჯერდა, გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში და იქაც გაწყვიტა ისინი: „შემუსრნა კავკასიასა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილა, მოხარკე ჰყუა ყოველნი იგინი და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინაიდგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრა." ამრიგად, XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალემ გადაწყვიტა ოსთა საკითხი, საქართველოდან გაყარა რა მძარცველები, ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადავიდა, ბუნაგში გაუსწორდა და მშვიდობა დაამყარა ქართლში, იმიტომ, რომ გადმოსასვლელი გზები ჩაუკეტა და აღკვეთა საქართველოში მათი მიგრაციის თვითნებური პროცესი. ეს გადმოსასვლელი გზები, როგორც ცნობილია, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ერთი იყო დარიალი და მეორე კასრის კარი, რომლითაც ოსები ძირითადად ცდილობდნენ საქართველოში შემოჭრა-დამკვიდრებას. კასრის-კარი ტერიტორიულად დვალეთის ჩრდილოეთ ნაწილში იყო. იგი იყო საზღვარი საქართველოსა და ოსეთს შორის.

გ. თოგოშვილი მკითხველს თვალში ნაცარს აყრის და ეუბნება, რომ „გიორგი ბრწყინვალეს (1314-1346) მიზანი იყო საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოსადმი ოსების დამორჩილება. **ამ ღონისძიებებს შედეგად არ მოპყოლია ოსთა განდევნა საქართველოს ტერიტორიიდან და ოსეთში გაძევება**" (ხაზი ჩვენია -რ.თ.). კი მაგრამ რას ნიშნავს მემატიანის ნათქვამი, რომ გიორგი ბრწყინვალემ „განასახნა და აღფხურნა„ ოსები? „მეფემან განასხნა ძლიერებითა თვისითა"?

გ. თოგოშვილის მიხედვით, „გიორგი ბრწყინვალეს სამხედრო ღონისძიებათა შედეგად ოსთა ძირითადი მასა შეჩერებულ იქნა ყოფილი დვალეთის ტერიტორიაზე დიდი ლიახვის ხეობის სათავეში, აგრეთვე, ნარ-მამისონის ტაფობში"(გვ.223). ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ გიორგი ბრწყინვალეს ოსები არ შეუჩერებია არც დიდი ლიახვის ხეობის სათავეში, არც დვალეთში, არც დიდი ლიახვის ხეობის სათავეა ყოფილი დვალეთის ტერიტორია. გიორგი მეფემ ოსები დვალეთიდან ჩრდილოეთით გადარეკა. საქართველოსათვის ჩრდილოეთით ჩამკეტი კარი დვალეთსა და დიდი ლიახვის ხეობაში კი არ მდებარეობდა, არამედ დვალეთის ჩრდილოეთ ნერტილში, კასრის ხეობაში. ეს იყო კასრის-კარი. გ.თოგოშვილს მიაჩნია, რომ „ამ ადგილებში (ე.ი. ნარ-მამისონის ქვაბულში და ლიახვის ხეობაში) მცხოვრები დვალები ოსთაგან ასიმილირდებიან და თანდათან თავის ეთნიკურ ინდივიდუალობას კარგავენ" (გვ.223). ეს პროცესი დვალეთში არა გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს, არამედ შედარებით გვიან (XV-XVI ს-დან) დაიწყო, როდესაც საქართველოს ერთიანი სამეფო დაიშალა და დაქუცმაცებულ სამეფოებს აღარ შეეძლოთ, კონტროლი დაეწესებინათ ქვეყნის განაპირა მხარეებზე. მითუმეტეს, გამორიცხულია დვალთა ოსთაგან ასიმილაცია დიდი ლიახვის ხეობაში არა მარტო XIV, არამედ XV-XVI სს-შიც. ყველა საისტორიო საბუთით ოსების დვალეთში დამკვიდრება მოხდა თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ, როდესაც საბოლოოდ აღმოიფხვრა ოსური ეთნოსი ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა და ბარის ზოლში, როდესაც თემურ-ლენგმა საქართველოს მთიანეთის ქართული მოსახლეობაც გაანადგურა და როდესაც გადარჩენილ დვალთა ნაწილი ჯერ შიდა ქართლის მთიანეთში ეფუძნება და შემდეგ ბარის სხვადასხვა რაიონებში იფანტება.

თავისი შინაარსით ანტიმეცნიერულია გ.თოგოშვილის დასკვნა, რომ „გიორგი ბრწყინვალეს მეფობის ჟამს (XIV ს. პირველი ნახევარი) გადმოსახლებული ოსები საქართველოს სახელმწიფოში შევიდნენ. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი ოსური მოსახლეობა შეიქმნა, მაგრამ ოსთა შემდგომი გადმოსახლების პროცესი არც შემდეგში შეწყვეტილა. ამიერიდან ოსები ჩრდილო კავკასიიდან

კი აღარ გადმოდიან ქართლის ბარში, არამედ საქართველოს მთიანეთის რაიონებიდან" (გ. თოგოშვილი, 1958,გვ.224). ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ შიდა ქართლის ტერიტორიაზე მუდმივი ოსური მოსახლეობა გიორგი ბრწყინვალეს დროს არ შექმნილა. ამ დროისათვის ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ დვალთა მიგრაციაზე დვალეთიდან დიდი ლიახვის სათავეში, რომელთა მიგრაციასაც ჩრდილოეთიდან ოსთა თავდასხმები აპირობებდა. რაც ყველაზე მთავარია, ოსები შიდა ქართლის მთაში XIV ს-ში იმდენად იყვნენ დამკვიდრებულნი, რომ ამ დროიდან შენყდა მათი ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლება და ქართლის ბარში ოსთა მიგრაცია თურმე საქართველოს მთიანი ზოლიდან ხდებოდა. თოგოშვილის დასკვნით, ოსთა საქართველოს ბარში მიგრაცია XIV ს-დან ხდება. საინტერესოა, რომელ წყაროზე დაყრდნობით ქმნის ავტორი ასეთ თეორიებს? ასეთი წყარო არ არსებობს.

გ. თოგოშვილის დასკვნა ასეთია: „ამრიგად, XIII-XIV ს.ს. საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა კომპაქტური ოსური მოსახლეობა, საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე სამხრეთ ოსურ მოსახლეობას" (გვ.225). ვფიქრობთ, ამ დასკვნის აბსურდულობა ზემოთ, სათანადო მასალებით, ნაჩვენები იქნა.

საქართველოში ოსთა განსახლების საკითხებს დიდი ადგილი დაუთმო გ.თოგოშვილმა წიგნში „საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. „თბ., 1969. ამ წიგნში გ. თოგოშვილი იმეორებს თავის პირველ წიგნში გამოთქმულ თეზისებს, რომ ოსები საქართველოს ტერიტორიაზე XIII ს-ის 60-80-იანი წლებიდან სახლობენო (გვ.7). იქვე განაგრძობს, რომ XIII-XIV სს-ში ქართლის მთიანეთში ოსების მოსახლეობას ადასტურებსო XIV ს-ის 90-იან წლებში თემურ-ლენგის მიერ შეპყრობილი ბაგრატ მეფის თქმული: „უკეთუ გნებავს მოქცევა მათი სჯულისა თქუენისა ზედა, აწ მომეც სიმრავლენი სპათა თქუენთანი და წარვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა და მოვხადო კაცთა მყოფთა მთის ადგილისათა: მთიულთა, ოსთა, დვალთა, სვანთა, აფხაზთა და ყოველთავე მუნ მყოფთა და მე დავარწმუნებ რჯულსა თქუენსა" (ბ.ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940, გვ.12-13). წყაროს ამ ცნობიდან გამოყავს გ.თოგოშვილს, რომ XIII-XIV სს-ში საქართველოში ოსური მოსახლეობა იყო. თანაც, არ დაგვავიწყდეს, მოვლენები ეხება XIV ს-ის 90-იან წლებს. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ XIV ს-ის პირველ ნახევარში გიორგი ბრწყინვალემ გაყარა რა ოსები საქართველოდან, ის ოსეთშიც გადავიდა და ხარკი დაადო მათ, ე.ი. აღნიშნული დროისათვის ოსები საქართველოს ყმადნაფიცებად, მოხარკეებად ითვლებოდნენ და სწორედ ამიტომ არიან ისინი ნახსენები ბერი ეგნატაშვილთან. ამავე დროს, XVIII ს-ის დასაწყისის ყველა ავტორს ვერ მოვთხოვთ წარმოიდგინოს მისი

დროისაგან განსხვავებული ეთნიკური სურათი. XVIII ს-ის დასაწ-ყისში კი დვალეთშიც და შიდა ქართლის მთიანეთშიც ოსები იყვნენ განსახლებული. ბერი ეგნატაშვილთან ყურადღებას იქცევს სხვა რამ: XVIII ს-ის დასაწყისის ავტორი ცალ-ცალკე ასახელებს ოსებსა და დვალებს. გასარკვევია, ის მართლაც XIV ს-ის დასასრულის ეთნიკურ სურათს ასახავს, თუ მის დროს დვალთა ეთნიკური ასიმილაცია ოსების მიერ დასრულებული არ იყო. ერთი რამ კი ცხადი და აშკარაა, რომ ამ წყაროში დვალები და ოსები დაპირისპირებული არიან ერთმანეთთან. ისინი სხვადასხვა ეთნოსებად არიან წარმოდ-გენილი, რაც დვალთა და ოსთა იგივეობის მომხრე ავტორთა წისქვილზე როდი ასხავს წყალს.

გ. თოგოშვილი წერს: „სამეხრანბატონო შინაპოლიტიკური ბრძო-ლის ინტერესების ბაზაზე წარმოიშვა. იგი როგორც სამხედრო ერთეული, თავიდანვე მოიცავდა არაგვისა და ქსნის საერისთავოებს, სადაც ამ დროს მრავლად იყო ოსური მოსახლეობა. ეს გარემოება აძლიერებდა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში ოსთა მონაწილეობის მასშტაბს" (გ.თოგოშვილი, 1969, გვ.103). ავტორი აქ საუბრობს XVI ს-ის დასაწყისზე. აღვნიშნავთ, რომ ამ დროისათვის არც ქსნის ხეობაში და, მითუმეტეს, არც არაგვის ხეობაში ოსები არ ცხოვრობდნენ. აქ ალარ გავიმეორებ აბაევის ციტატას, რომ ოსები ქსნის ხეობაში (ისიც მის სათავეში — ჟამურში) სულ 200 წლის გადმოსახლებულები არიან. არაგვის ხეობაში ოსების მკვიდრობის შესახებ არაფერს გვამცნობს ვახუშტი ბაგრატიონი. XVIII ს-ის დასასრულის მონაცემებით არაგვის ხეობაში (თეთრი არაგვის ანუ მთიულეთის არაგვის ხეობაში) ოსები მხოლოდ მის სათავეში ღუდაში მოსახლეობდნენ (იხ. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ.35). ვახუშტის დროს კი არსად არაგვის ხეობაში (ღუდაშიც) ოსები არ იყვნენ. ამდენად, არა მარტო ამ შემთხვევაში, არამედ სხვა ავტორებთანაც გაოცებას იწვევს ის, რაც ისინი არაგვის ოსების შესახებ ლაპარაკობენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არაგვის ერისთავებს XVIII ს-ში ოსი ყმები სხვა ტერიტორიაზე, არაგვის ხეობის გარეთ ყავდათ, თრუსოში და დვალეთში.

სწორი არაა გ. თოგოშვილის შემდეგი ნათქვამიც: „ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ოსები გიორგი საკაძის გამგებლობაში აღმოჩნდნენ" (გ.თოგოშვილი, 1969, გვ.105). აღვნიშ-ნავთ, რომ ვახუშტისთან მხოლოდ ხაზი ესმის გიორგი საკაძის მოურავობას ტფილისში, ცხინვალსა და დვალეთში. ლაპარაკია იმაზე, რომ გ. საკაძე იყო ქალაქების თბილისისა და ცხინვალის და დიდი ტერიტორიული ერთეულის — დვალეთის მოურავი. როგორც ვიცით, დვალეთი მთავარი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთითაა. საინტერესოა, რატომ გამოაქვს გ. თოგოშვილს დასკვნა, რომ კავკასიონის სამხრეთ

კალთებზე მცხოვრები ოსები გიორგი სააკაძის გამგებლობაში აღმოჩნდნენ? ანდა XVII ს-ის დასაწყისში იყვნენ კია ოსები განსახლებული შიდა ქართლის მთელ მთიანეთში? ფაქტია, რომ ამ საუკუნის შუა ხანებში ჯავაში ჯერ კიდევ არ იყო ოსური მოსახლეობა. გ. თოგოშვილი კი მკითხველს აჯერებს, რომ ცხინვალი და დვალეთი მოიცავდა დიდი ლიახვის მთელ აუზს, ამ დროს უპირატესად ოსური მოსახლეობით დასახლებულს (გვ.105). აქედან გ.თოგოშვილს კიდევ ერთი ახალი დასკვნა გამოაქვს, რომ „სააკაძის სწრაფ აღზევება-გაძლიერებაში დიდი ლიახვის აუზის მის გამგებლობაში მოქცევამ გადამწყვეტი როლი შეასრულა“ (გვ.105). აქედან კიდევ ერთი დასკვნა გ. თოგოშვილისა, რომ „სამხრეთელი ოსებიც ქართველი ხალხის მხარდამხარ აქტიურად მონაწილეობდნენ ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ“ (გვ.106).

გ. თოგოშვილს თუ დავუჯერებთ, დიდი ლიახვის ხეობა გ. სააკაძის გამგებლობაში შედიოდა, საინტერესოა, რაღას წარმოადგენდნენ იმ დროს ლიახვის ხეობის მფლობელები მაჩაბელები? მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ XVII ს-ში დიდი ლიახვის ხეობა სამეფო, სახასო იყო. მოურავები კი მხოლოდ სამეფო, სახასო ტერიტორიებზე ინიშნებოდნენ, როგორიც იყო იმ დროისათვის დიდი ლიახვის ხეობის (ბარის) ერთი პუნქტი, ქალაქი ცხინვალი და კავკასიონის ქედს იქით მდებარე საქართველოს სამეფოს მუდმივი შემადგენელი ნაწილი — დვალეთი. გ.სააკაძე რომ დიდი ლიახვის ხეობის მოურავი არ იყო და რომ მხოლოდ მის საგამგეოში ჩრდილოეთით მდებარე დვალეთი შედიოდა იქიდანაც ჩანს, რომ „კვალად ჟამთა ამათ არ მოსცეს დვალთა ბეგარა მოურავსა, გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა, მოსრნა ურჩნი და ჰყვა კვალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ.434).

გ. თოგოშვილი ფრონეს ხეობის სოფ. ყორნისს XVIII ს-ში ოსებით დასახლებულად წარმოგვიდგენს (გვ.129).

გ. თოგოშვილის მიხედვით, ქართლის ბარში ოსთა განსახლების პროცესი განსაკუთრებით აქტიურდება XVII-XVIII საუკუნეებში (გვ.165), რის დამადასტურებლადაც მოყავს XVII ს-ის პირველი ნახევრის ივანე და ზაქარიას მიერ ქუაბულ და ზაზა მაჩაბლებისათვის მოცემული ნასყიდობის წიგნი, რომელშიც ნათქვამია, რომ „ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომ კაცის ნაშენები ალარა იყო-რა. ზემო ჯავას ძიგანიძის მამული მისითა სასაფლაოთა, საჯნავითა, სათიბითა, წყლითა, საწისქუილოთა, მთითა და ბარითა, მისისა ნასყიდის ვენაჯითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა. ძიგანაძე, მისი მემკვიდრე, დაკარგული იყო და ფასი იმისიც ავიღეთ. აწ მოგვიყიდია ჩუენი მკუიდრი მამული შემოუცილებელი ყოვლის

მებატონისაგან, ვერც ბატონი ჩუენი შემოგეცილოს და ვერც სხვა... ასეთს დროს მოგყიდეთ, რომე ორგან სამგან დედამ შვილი შეჭამა, კაცმა ცოლი გაყიდის და თავათ დარჩის. ჩუენ თვით ასრე დაგვემართა, რომე ათის სულის ჯალაბისაგან ხუთის მეტი აღარ მორჩა. ჩუენის მკუიდრის მამულის ნავაჭრი ფასი მივასწარით და ლუთით დავრჩით. ღმერთმან დაგიმადლოს, რომე ჩუენი მკუიდრი მამული იყიდეთ და დაგუარჩინეთ, თვარემ სრულებით ამოვსწყდებოდით. ან ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. ვინც ამ ნასყიდობას შემოგვეცილოს, რისხვამცა ღმერთი... ამისი მონამენი არიან ეფენიაშვილი მოძღვარი სვიმონ, გურჯიშვილი ლომი" (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ.364).

გ. თოგოშვილი ამ საბუთის შესახებ სიტყვა-სიტყვით წერს: „საბუთი მრავალმხრივაა საინტერესო. იგი ადასტურებს დიდი ლიახვის შუა დინებაზე ოსთა მოსახლეობას. ზემო ჯავა ოხრდება. ამას ემატება საშინელი შიმშილი, რომელმაც სულ გაუკაცურა მხარე. ბევრი ამოწყდა, ზოგმაც მკვიდრი მამულის გაყიდვის გზით არსებობა კი შეინარჩუნა, მაგრამ მძიმე ფეოდალური დამოკიდებულების უღელში გაჰყო თავი. ასეთ პირობებში მაჩაბლების ფეოდალური გვარი, რომლის აღზევება სწორედ მაშინ მიმდინარეობს, სარგებლობს სხვა ნვრილი ფეოდალებისა თუ მინათმფლობელების მძიმე მდგომარეობით და ჩალის ფასად ხელთ იგდებს ამოწყვეტილ მამულებს. მაგრამ მარტო ყიდვა არ იყო მაჩაბლების მიერ აღნიშნული ადგილების ხელში ჩაგდების ერთადერთი გზა. ადგილი ჰქონდა აშკარა მიტაცებასაც" (გ.თოგოშვილი, 1969, გვ.166).

გ.თოგოშვილს საბუთის არასწორი ნაკითხვითა და გაყალბებით არასწორად აქვს ფაქტები წარმოდგენილი. საბუთი სულაც არ ადასტურებს დიდი ლიახვის მთიან ნაწილში XVII ს-ში ოსური მოსახლეობის არსებობას. საბუთიდან აშკარაა, რომ ზემო ჯავაში ამოწყდა ქართული მოსახლეობა ოსთა თავდასხმებისაგან. აშკარაა, ოსთა თავდასხმებს, მეკობრეობას, ლაშქრობებს იმდენად ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, რომ კაციშვილი აღარ დარჩენილა. ზემო ჯავაში, სადაც „კაცის ნაშენები აღარა იყო რა" ერთი მემამულე, მეორე მემამულე მაჩაბელს მიჰყიდის ამოწყვეტილი ქართველის ძიგანიძის მამულს.

გ.თოგოშვილმა აღნიშნული საბუთი, ი.ცხოვრებოვთან ერთად, ტენდენციური ნაკითხვით თარგმნა და შეიტანა დოკუმენტების კრებულში „История Осетии в документах и материалах, том I, Цхинвали, 1962, გვ. 103-104: „Вымерла Верхняя Джава и не стало там осетин..." ყალბად ნათარგმნი ეს დოკუმენტი კი შეტანილ იქნა რუსულენოვან სამეცნიერო ნაშრომებში. მაგალითად

სათვის შეიძლება დავასახელოთ ეთნოგრაფ ნ.ვოლკოვას წიგნი (Н.Г.Волкова, Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII — начале XX века, М., 1974, с.132). ამ ავტორსაც, აღნიშნული ქართული საბუთის არასწორად ნათარგმნი რუსული ტექსტის საფუძველზე, გამოაქვს დასკვნა, რომ „Судя по тексту приведенного документа, заселение осетинами Верхней Джавы в 20-50-х годах XVII в. было второй миграционной волной осетин с Северного Кавказа" (დასახელებული წიგნი, გვ.132). სამწუხაროდ, ქართული ტექსტის გაუთვალისწინებლად, რუსული არასწორი თარგმანის მიხედვით შემოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში აღნიშნული საბუთი ნ. ბრეგაძემაც: „В купчой относимой к периоду 1621-1650 гг., указано, что в Земо Джава вымерли все осетины и не осталось там признака людские жизни" (Н.А. Брегадзе, К вопросу об этническом составе населения Грузии в XVIII в. — „Кавказский этнографический сборник", VI, М. 1971, с.242).

უკანასკნელ ხანს დოკუმენტის სრული ადექვატური რუსული თარგმანი შემოგვთავაზა ჯ. გვასალიამ: „...Книгу и знак дали мы Чо ... тиа(?) Иванэ и Захарий и наши Сыновья Шермазан, Индо, Гарсеван и Арджабан вам, Мачабели, патронам Куабулу и Заалу, их братьям и будущему поколению дома вашего. Вымерла Верхняя Джава и опустошена (буквально: обезлюдена) осетинами, Будет тому свидиителем сам бог, так вымерла, что никаких признаков людской жизни там не было. Продали тебе в Верхней Джаве имения, принадлежащи Дзаганидзе... (Дж. Гвасалия, К вопросу переселения осетин в Картли — „Библиотека общества Руставели", Тб., 1990), с.32-33). სხვათაშორის, აღნიშნული საბუთის ყალბად თარგმნისა და ტენდენციურად გაგების შესახებ პირველად ჯ.გვასალიამ მიუთითა თავის საკანდიდატო დისერტაციაში, რომელშიც აღნიშნა, რომ „საბუთში საუბარია ზემო ჯავის მოსახლეობის ამოწყვეტაზე ოსების მიერ" (გვ.46). სამწუხაროდ, ჯ.გვასალიას ეს სამართლიანი შენიშვნა მის ნაბეჭდ ნაშრომში არ იქნა ასახული.

ამ ერთი საბუთის ორი სხვადასხვა თარგმანის (ერთი ყალბის და მეორის ნამდვილის) მოტანა გარკვეულ ადგილამდე კიდევ იმიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ ვნახოთ გვარის წაკითხვის, რუსულად გადატანის ტენდენციურობა. თოგოშვილისა და ცხოვრებოვის თარგმანშია „Дзиганидзевых" ჯ.გვასალიასაში — Дзиганадзе".

ამრიგად, ვისაც ქართული ენა ესმის, ამ საბუთის გაგება მხოლოდ

ერთგვაროვნად შეიძლება და არა ისე, ვის როგორ აწყობს. იმისათვის მაინც გაეწიათ ანგარიში, რომ საბუთში მოხსენიებული ზემო ჯავაში მოსახლე ძიგანიძე ქართველია. მადლობა ღმერთს, ამ ძირის ოსური გვარი არ არსებობს, თორემ მტკიცება ძიგანიძის ოსობის შესახებ არ აგვცდებოდა. როგორც ჩანს, ოსთა მოწოლის შედეგად ლიახვის ხეობიდან აყრილი ძიგანიძეები ზემო იმერეთში გადასახლდნენ. ისინი დღეს ზედა საქარას ცხოვრობენ. სხვათაშორის, საბუთიდან ისიც ირკვევა, რომ ოსთა სამხრეთისაკენ მიგრაცია არც თუ ისე მშვიდობიანი იყო. ქართული საისტორიო საბუთებით შესაძლებლობა გვეძლევა გავარკვიოთ, თუ რომელი ქართული გვარებით იყო დასახლებული ლიახვის ხეობა. მაგ.,XVI ს-ის II ნახევრის ერთი საბუთით ჯავის მცხოვრებთა შორის დასახელებული ერიან გარაყანიძენი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I,თბ., 1991, გვ.601).

განხილულ საბუთთან ერთად თოგოშვილსა და ცხოვრებოვს კრებულში შეტანილი აქვთ ისეთი ქართული საისტორიო საბუთების თარგმანები, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ოსებთან და ოსეთის ისტორიასთან. საკმარისია შემდგენლებს ენახათ საბუთი, რომლებშიც, ვთქვათ, ნახსენებია გვარები: ხარებაშვილი, ცხოვრებაშვილი, თედიაშვილი, მარგიშვილი... ისინი ოსებად და ოსების ისტორიის ამსახველ საბუთებად მიუჩნევიათ. ამასთანავე, დოკუმენტებს უკეთებენ გასაოცარ სათაურებს, რომ მკითხველი დააჯერონ 1720 წელს „სამხრეთ ოსეთის" არსებობაში. მაგალითად: „1720 г. апреля 15. — Дарственная грамота царя Щахнаваза дворянам Мревлишвили: Отию, Оману, Барзиму и Дмитрию о пожаловании им имения в **Юго-Осетии** (ხაზი ჩემია — რ.თ.) — გვ.111. არ უნდა იყოს კრებულში შეტანილი საბუთები N 13 (გვ.105), N22 (გვ.III), N27 (გვ.113-114), N81 (გვ.149), N113 (გვ.174), N 126 (გვ.182-183), N 136 (გვ.189). 1797 წლით დათარიღებულ ამ უკანასკნელ დოკუმენტში ნახსენებია ბერუა ზახორიდან" (ზახორი ლეხურას ხეობის სოფელია): „Его высочеству докладываю следующее: когда из-за вражеского нашествия мои предки выселились из Захори, я лишился своего имения. Теперь я живу в Хелтубани..." ოსების ისტორიას ეს საბუთი მხოლოდ იმ თვალსაზრისით გამოადგება, რომ ოსთა თავდასხმების გამო შეკიწროვებული ქართველები სტოვებდნენ მამა-პაპათა საცხოვრებელს და სხვაგან გადადიოდნენ.

იმდენ ვარაუდებს, რაც გ.თოგოშვილის წიგნებშია, იშვიათად წააწყდება კაცი. მაგალითად, II წიგნის 177-ე გვერდზე ის საუბრობს 1470 წლის ერთ ცნობილ დოკუმენტზე, რომლითაც ქვენიფნეველი ლარგვისის მონასტერს უბოძებს სოფლებს ივრეთს, ჰერედას, ქურთას. ეს სოფლები, გუჯარის მიხედვით, ახლად გაშენებული სოფლებია

გარედან მოყვანილი მოსახლეობით.გ.თოგოშვილიც არ აყოვნებს და ასკვნის: „ასეთი დასახლება სნორედ ოსების ხარჯზე უნდა მოხდარიყო"-ო.

გ.თოგოშვილი წერს „XIV ს-დან საერისთავოს ტერიტორიაზე ოსთა მოსახლეობა უკვე მასობრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ოსები ქსნის საერისთავოს და საერთოდ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების აქტიურ მონაწილეებად ვალიაროთ". აი, ასეთი ვარაუდებითაა გ. თოგოშვილის მიერ ოსთა ისტორია შეთხზული. მას არ სჭირდება არც ერთი საისტორიო წყარო და საბუთი იმისათვის, რომ ქსნის ხეობაში და საერისთავოს ტერიტორიაზე XIV ს-ში ოსთა მჭიდრო მოსახლეობა და თანაც მათი საქართველოს პოლიტიკური პერიპეტიებში აქტიური მონაწილეობა რომ აღიაროს.

გ.თოგოშვილი წერს: „ძეგლი ერისთავთას„ ცნობით, თრუსო ერთ-ერთი პირველი რაიონთაგანია, სადაც ოსები ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადმოსახლების საწყის სტადიაზევე დამკვიდრნენ" (გ. თოგოშვილი, 1969, გვ.188). ჩანს, თოგოშვილს ძველი ქართული საბუთების თავისებური წაკითხვა ჰქონდა. ქრონიკაში მსგავსი არაფერია ფიქსირებული. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პეფაფის და ნ. ვოლკოვას მონაცემებით, თრუსო მართლაცაა იმ პირველ რეგიონთაგანი საქართველოს მთიანეთში, სადაც ოსები სახლდებიან, ოღონდ არა „ძეგლი ერისთავთას" შედგენის დროისათვის (XIV ს-ში) არამედ, უფრო გვიან, XVII ს-ში.

ვარაუდების ლოგიკა „შეუვალი" აქვს თოგოშვილს: „მოყვანილ ცნობებში ხაზგასმული მითითება არაგვის ერისთავთა ოსური წარმოშობის შესახებ, განსაზღვრული აზრით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არაგვის აუზში მათ გაბატონებას წინ უსწრებდა ოსური მოსახლეობის გაჩენა ამ ადგილებში, რომელთაც მხარი უნდა დაეჭირათ ვანათელი აზნაურების ბრძოლისათვის" (გ.თ. — 1969, გვ.192.) ვფიქრობთ, კომენტარის გარეშეც აშკარაა, რომ ასეთ უსაფუძვლო მსჯელობებს ისტორიულ მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს.

გ.თოგოშვილი თავის ორსავე წიგნში ქართლში ოსთა დიდი ჯგუფების მიგრაციისა და დასახლებების შექმნის შესახებ ლაპარაკობს. მაგრამ უხერხულობა რომ დაფაროს და მოსთხოვონ საბუთი ასეთი ინტენსიური გადმოსახლებების შესახებ, ოსური დასახლებების შექმნის შესახებ, ერთგვარად თავს იზღვევს და წერს: „შეიძლება დავუშვათ, რომ საქართველოში XIII-XIV სს. გადმოსახლებული ოსები გაქართველდნენ და შეერწყნენ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ქართველი ფეოდალებისადმი დამორჩილების გზით" (გ.თ. — 1969, გვ.203). საკითხავია, ოსების ინტენსიური მიგრაცია თუ ხდებოდა XIII-XIV სს-ში და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" ისინი თუ კომპაქტურ

ოსურ დასახლებებს ქმნიდნენ, როგორლა ქართველდებოდნენ? თოგოშვილი და სხვა ოსი ისტორიკოსები ცდილობენ, რომ ერთეული ფაქტები ოსთა საქართველოში მიგრაციისა XVIII ს-მდე, ოსთა მასობრივ მიგრაციად წარმოგვიდგინონ.

მცირე ხნით უნდა შევჩერდეთ ეთნოგრაფ ნ.ვოლკოვას დამოკიდებულებაზე საქართველოში ოსთა მიგრაციისადმი. ამ საკითხისადმი მას სპეციალური ნაშრომი არ მიუძღვნია. თავის მონოგრაფიაში (Н.Г. Волкова, Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII начале XX века, М.,1974). ნ.ვოლკოვამ ოსთა განსახლების,ისტორიული დემოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის საკითხებიც შეისწავლა. პარალელურად შეეხო ოსების ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში მიგრაციის ფაქტებსაც. ის ძირითადად მიმოიხილავს სხვადასხვა ავტორთა შეხედულებებს ოსების საქართველოში გადმოსახლეობის შესახებ. როგორც ჩანს, იზიარებს აზრს, ოსების საქართველოში XVI-XVII სს-ში ჩამოსახლების შესახებ, თუმცა მიაჩნია, რომ ოსთა ცალკეული მრავალრიცხოვანი ჯგუფების გადმოსახლება დასახელებულ დროზე ადრეც ხდებოდა. „Многочисленные факты переселения отдельных групп осетин ранее этого времени сообщают грузинские источники" (გვ.131). ავტორი იზიარებს კალოევისა და ლაზარაშვილის მოსაზრებებს, რომ ადრე გადმოსახლებულები განსახლდნენ საქართველოს ბარის რაიონებში და XVIII ს-ში ძირითადად შეერწყნენ ქართველებს (გვ.131). ნ.ვოლკოვა, როდესაც ოსთა მრავალრიცხოვანი ცალკეული ჯგუფების საქართველოში მიგრაციის შესახებ მსჯელობს, ეყრდნობა ზემოთ არაერთგზის დასახელებულ წიგნს „История Осетии в документах и материалах... მაგალითად გვ.85,103 და სხვ. ჩავიხედოთ ამ წიგნის დასახელებულ გვერდებზე. 85-ე გვერდზე იწყება „ძეგლი ერისთავთა"-ს ბეჭდვა, რომელშიც საუბარია ოსთა მეფის დამარცხებული შვილებისა და მათი 70 მონის ჯერ დვალეთში და შემდეგ დვალეთიდან საქართველოში გადმოსვლაზე. 103-ე გვერდზე ორი საბუთია დაბეჭდილი. ერთია დვალეთში მცხოვრები ჩანთაძისა და თეგაძისადმი მეფე როსტომისაგან მიცემული სიგელი. მეორე საბუთი კი ზემოთ ნახსენები XVII ს-ის პირველი ნახევრის დოკუმენტია, რომელიც არასწორად და ყალბად თარგმნეს თოგოშვილმა და ცხოვრებოვმა. ნათელია, რომ მითითებული მასალების მიხედვით, XVI-XVII სს-ში საქართველოში მრავალრიცხოვანი ოსური ჯგუფების გადმოსახლების შესახებ ვერ ვისაუბრებთ.

ნ.ვოლკოვა იზიარებს მოსაზრებას XIII-XIV სს-დან საქართველოში ოსთა მიგრაციის შესახებ: „Начиная с XIII-XIV вв., когда осетины в результате политических событий той исторической

эпохы оказались запретыми в горных ущельях, земли на Южных склонах Главного Кавказского хребта в течение нескольких веков были почти единственным местом поселения осетинского народа за пределами родины..." (გვ. 132). აქ ავტორი როდი მოექცა ოსი ავტორების გავლენაში. მოტანილ ციტატაში, მართალია, თქმულია, რომ ოსები XIII-XIV სს-დან სახლდებიან საქართველოში (რაც, რა თქმა უნდა, ფაქტებს არ ეყრდნობა), მაგრამ ისიც ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ჩრდილოეთ კავკასიაა ოსთა სამშობლო. ნ.ვოლკოვა იყენებს რა ოსების მიერ ტენდენციურად ნათარგმნ საბუთს („ამონყდა ზემო ჯავა ოსთაგან...") ასკვნის: „Судя по тексту, приведенного документа, заселение осетинами Верхней Джавы в 20-50-х годах XVII в. было второй миграционной волной осетин с Северного Кавказа" (გვ. 132).

ნ. ვოლკოვა მიმოიხილავს საქართველოში ოსთა განსახლების ადგილებს XVII ს-ში. ის ასეთ ტერიტორიებს შორის ასახელებს სამუხრანოს, რაზედაც უთითებს ზემოთ ნახსენები დოკუმენტების კრებულის შესავალ წერილს (გვ.18). სამუხრანოში არცერთი ოსური სოფელი არა აქვს მითითებული არც ვახუშტი ბაგრატიონს და არც იოანე ბაგრატიონს.

ნ.ვოლკოვა ხაზს უსვამს, რომ „Многочисленные исторические предания осетинского народа подтверждают данные письменных источников о миграциях осетин на южные склоны хребта. Факты, сообщаемые этими преданиями, показывают, что хронологические рамки подобных переселений, для некоторых районов представлявших, видимо, вторую волну миграции, охватывают 3-5 поколений. Большинство ныне живущих в Кударском ущелье осетинских фамилий, как свидетельствуют полевые материалы, — потомки переселенцев из Алагирского ущелья (селения Цей, Бад и др.) и Туалты (селение Тиб, Нар, а также Заккинское и Мамисонское ущелья)"... (с.133).

ნ. ვოლკოვა აგრძელებს: „Переселение осетин в долину р.Ксани, по мнению Б.А.Калоева, относится приблизительно к XVIII в. судя по полевым материалам, 3-5 поколений назад дзымирские осетины (ე.ი. ცამურელი ოსები-რ.თ.) начали переселяться в Лехурское ущелье и равнино предгорные районий (с. 134-135). აქ, რა თქმა უნდა, კალოევის თეზისს, რომ ქსნის ხეობის ბარში ოსები სახლდებიან XVIII ს-ში ნ. ვოლკოვას ეთნოგრაფიული მასალა არ თანხვდება, რადგან ქსნის ხეობის სათავიდან (ცამურიდან) ოსთა ლეხურას ხეობაში ჩასახლება 3-5 თაობის წინ განხორციელებულა. 3-5 თაობა კი XIX ს-ის მეორე

ნახევრიდან XX ს-ის დასაწყისამდე პერიოდია. საყურადღებოა, რომ ნ.ვოლკოვა არც ვახუშტი ბაგრატიონს იმოწმებს, რომელიც წერდა, რომ საქართველოს მთიანეთის იმ ადგილებში, სადაც ეხლა ოსები ცხოვრობენ, ადრე ქართველი გლხები ცხოვრობდნენ. საერთოდ, ვინც ვახუშტის ნაშრომს იცნობს, როგორ შეიძლება მათ ოსთა საქართველოში მიგრაციის სხვადასხვა ტალღებზე ილაპარაკონ?

ერთობ „ორიგინალური" მოსაზრებები გამოთქვა ნ.ვოლკოვამ ქსნის ხეობაში ოსთა გადმოსახლებისა და მათი აქ ქართველთაგან ასიმილაციის შესახებ. ის წერს, რომ ოსთა ჯგუფები, რომლებიც გადმოსახლდნენ დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, საუკუნეთა განმავლობაში ეშვებოდნენ საქართველოს მთისწინა და ბარის ოლქებში. ისინი თანდათან კარგავდნენ თავიანთ ტრადიციებს, მშობლიურ ენას, ეთნიკურ თვითშეგნებასო. ახლანდელ დროსო, აგრძელებს ნ.ვოლკოვა, ქსნის ხეობის მთისწინეთ-ბარში ოსთა ცალკეული ჯგუფები შეერწყნენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასო. ისინი თავს თვლიან ქართველებად, ლაპარაკობენ ქართულ ენაზე და ერთადერთი, რაც აკავშირებთ მათ ოსურ ეთნოსთან, ესაა თავიანთი წარმოშობის შეგნება (აღიარება), რომელიც შემონახულია მიგრანტთა ხსოვნაში (იხ. Н.Г. Волкова. Миграции и этнокультурная адаптация горцев в условиях равнинного Кавказа (XIX-XX вв) —„Расы и народы" № 18, с.118-119). ჩვენის მხრივ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი არაივითარი მასალა არ არსებობს. მართალია, ვერავინ უარყოფს ქართველ ხალხში სხვა ეთნოსთა შემოსახლება-ასიმილაციის შემთხვევებს, მაგრამ ოსთა ცალკეული ჯგუფების საქართველოს მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია, საუკუნეების განმავლობაში, და, თანაც ქსნის ხეობაში, არ ხდებოდა. ჩვენ, ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, შესწავლილი გვაქვს ქსნის ხეობის მთაში, მთისწინეთსა და ბარში განსახლებული ქართული გვარები და ნ. ვოლკოვას აღნიშნულ მოსაზრებებს (რომელიც არავითარ საისტორიო და ეთნოგრაფიულ წყაროებს არ ეყრდნობა) ვერაფრით ვერ დავეთანხმებით. ქსნის ხეობაში მცხოვრები ქართული გვარები თავისი სადაურობა-წარმომავლობით ქართველები არიან. აქ მხოლოდ ერთადერთი ქართული გვარია ხურიშვილებისა (სოფ.ცხავატი), რომლებიც წარმომავლობით ოსები არიან და მესისხლეობის გამო XIX ს-ის დასაწყისში თრუსოდან გადმოსახლებულან.

ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესვლას, დვალებისა და ოსების ურთიერთმიმართებას ნ.ვოლკოვა შეეხო სხვა მონოგრაფიაშიც (Н.Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с.100-121). ავტორი გამორიცხავს VII-VIII

საუკუნეებამდე ოსების ჩრდილოეთ კავკასიის მაღალმთიანეთში (და მათ შორის, დვალეთში) ბინადრობას (გვ.116). ამ დროიდან გულისხმობს ის დვალთა ასიმილაციას ალან-ოსების მიერ. აქ მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას, რომ საისტორიო წყაროების კარგ მცოდნე მეცნიერს, რატომღაც ავიწყდება სათანადო ქართული საისტორიო წყაროების მოხმობა,რომლებითაც აშკარაა, რომ დვალეთში ოსები საკმაოდ გვიან (XV საუკუნის შემდეგ) იწყებენ დამკვიდრებას და დვალეთში დარჩენილ დვალთა ასიმილაციაც და შესაბამისად ადგილობრივი ტომის — დვალების სახელწოდების მიკუთვნებაც ოსთა მიერ ამ პერიოდიდან ხდება.

ოსთა საქართველოში მიგრაციის საკითხებს ქართველ ისტორიკოსთაგან სპეციალურად შეეხნენ დ.გვრიტიშვილი, ვ. გამრეკელი, გ.ლაზარაშვილი, ჯ. გვასალია, ნ. აფხაზავა, მ. დუმბაძე...

ქრონოლოგიურად, ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთაგან, ოსთა საქართველოში ჩამოსახლებას და დვალთა ეთნიკური ვინაობის საკითხს პირველად დ.გვირიტიშვილი შეეხო (იხ.მისი „დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის", — „მიმომხილველი", I, ოთ., 1949, გვ.109-121). დ.გვრიტიშვილმა ოსების საქართველოში ჩამოსახლება XIII-XIV საუკუნეებიდან იგულისხმა. მისთვისაც ამ პროცესის დაწყების და აღნიშნული ქრონოლოგიის განსაზღვრის საქმეში მთავარ წყაროს წარმოადგენდა მონგოლთა მხარდაჭერით ოსთა შეიარაღებული რაზმების საქართველოში შემოჭრა. დ.გვრიტიშვილის სტატიის მეცნიერული ღირებულება იმაშია, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ და უარყო მათი ოსებთან იგივეობა. ისინი არ მიიჩნია ოსურ ტომად.

გ.ლაზარაშვილი პირველი იყო, რომელმაც, გაიზიარა რა ოსთა საქართველოში მიგრაცია XIII-XIV სს-ში, აღნიშნა, რომ მას აქვს ორი მხარეო. ერთია ჩრდილოეთიდან სამხრეთში მიგრაციული პროცესები, რომელსაც უსათუოდ ჰქონდა ადგილი ძველი დროიდან და მეორე, მუდმივი ოსური დასახლებების შექმნა დღევანდელი „სამხრეთ ოსეთის„ ტერიტორიაზეო.

გ.ლაზარაშვილი წერდა: „...вопрос о переселении осетин в Грузию, приходится различать две его стороны. Одно дело — миграционные процессы с севера на юг, которые несомненно, имели место еще в глубокой древности, а другое — образование постоянного осетинского населения на территории нынешней Юго-Осетинской Автономной области. Кроме того, нельзя говорить о территории Юго-Осетии в целом, тут, безусловно, надо разграничивать вопросы о

наличии осетинского населения в ту или иную эпоху в горной части, в верховьях Лиахви и в предгорной, а тем более равнинной частях. Вот такого-то четкого разграничения нет, к сожалению, в работах этих ученых" (Г.Р.Лазарашвили. О времени переселения осетин в Грузию, СЭ, N 2, 1966, с.102).

მიუხედავად იმისა, რომ გ.ლაზარაშვილი არ გამორიცხავს უფრო ადრე XIII-XIV და XV-XVI საუკუნეებში საქართველოში ოსთა გადმოსახლების ფაქტებს, მას მაინც მიაჩნია, რომ მათი ძირითადი ნაწილის მიგრაცია და საქართველოში დამკვიდრება მოხდა XVI-XVII და XVIII საუკუნეებში (გვ.107). თავისი ამ დასკვნით ის ფაქტიურად პასუხობს ნაშრომის დასაწყისში დასმულ კითხვას ოსების საქართველოში გადმოსახლების ორი მხარის შესახებ. მას მიაჩნია, რომ XVI-XVII და XVIII საუკუნეებში ოსთა ძირითადი კომპაქტური ჯგუფების მოსვლამდეც, XIII-XIV საუკუნეებშიც იყო მათი მიგრაცია, მაგრამ მას რაიმე მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია იმდროინდელი საქართველოს ეთნიკური ნაირსახეობის შექმნაში. ლაზარაშვილი წერს: „...а более ранние переселенцы в разное время, мелкими группами спускались в равнинные районы Грузии и здесь сливались с грузинами" (გვ.107). ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მას ისევ და ისევ რამდენიმე გვარის შესახებ მაგალითი მოჰყავს და ასახელებს ცხოვრებაშვილებს, თედიაშვილებს, ხეთაგურებს, კაზიშვილებს და სხვ. რაც ვფიქრობთ ვერაფერი მაგალითია, იმის გამო, რომ გვარების ფუძეების მიხედვით ძველად მიმდინარე (და თანაც XIII-XIV სს-ში) მიგრაციული პროცესებისა და ეთნიკური ისტორიის კვლევა ერთობ სათუოა. ცხოვრებაშვილის მაგალითი მხოლოდ პირიქით პროცესის დასამტკიცებლად შეიძლება გამოგვადგეს. „ცხოვრება" ქართველ ხალხში უძველესი დროიდან გავრცელებული მამაკაცის სახელი იყო. კაზიშვილის (ყაზიშვილის) გვარს არც ოსური და არც ქართული ფუძე არა აქვს. მამაკაცის თურქული სახელი „კაზი" თავისუფლად შეიძლებოდა გავრცელებულიყო როგორც ქართველ, ისე ოს ხალხში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და გვარებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილიყო. იგივე შეიძლება ითქვას ხეთაგურის გვარის შესახებ. შესწავლილია და დადგენილია, რომ ქართველ ხეთაგურებს საერთო არაფერი აქვთ ოს ხეთაგუროვებთან. ამავე დროს, ოსი ხეთაგუროვების გვარი წარმოშობილია საკმაოდ გვიან (XVI ს-ში), ყაბარდოდან ნარაში ვინმე ხეთაგის გადმოსახლების შედეგად.

სამწუხაროდ, ლაზარაშვილს დვალები ოსები ჰგონია: „Верховьях Лиахви, в так называемой Магран-Дналети и, возможно, в

примыкающих к ней с востока и запада районах предки осетины-двали жили с древнейших времен. Судить об их численности источники не позволяют, но учитывая природные условия и ограниченность пространства, можно думать, что она невелика" (გვ.108). ასევე საკამათოა ლაზარაშვილის აზრი დვალების უძველესი დროიდან ლიახვის ხეობაში მკვიდრობის შესახებ. ლაზარაშვილს იმაში კი უნდა დავეთანხმოთ, რომ დვალთა რაოდენობა დიდი არ იქნებოდა, რადგან, ცნობილია, რომ მთის ვიწრო და მწირი ხეობები მოსახლეობის მხოლოდ გარკვეულ რაოდენობას იტევდა.

გ. ლაზარაშვილის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, ის, რომ მან, XVIII ს-ის საისტორიო მონაცემების მიხედვით, გაავლო ოსთა განსახლების ხაზი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შიდა ქართლის მთიანეთის რეგიონებს მოიცავდა. ესაა: თრუსო (ანუ თერგის ხეობის სათავე) — ქსნის ხეობის სათავე —ანრისხევი და გერი (ორივე პატარა ლიახვზე) — სვერი და გუფთა (მდ. დიდ ლიახვზე) — ყვირილის სათავე — კუდარო (გვ.108). გ. ლაზარაშვილის მიერ გავლებული ეს ხაზი, ოსთა განსახლებისა, მთელი XVIII ს-ის განმავლობაში უცვლელი დარჩა. ოღონდ აქ ავტორს ძნელია დაეთანხმო აღნიშნული დროისათვის, ოსთა ყვირილის ხეობის სათავეში, ღურშევში მოსახლეობის შესახებ. დაკვირვებული მკითხველისათვის არც ის უნდა იყოს შეუმჩნეველი, რომ გ. ლაზარაშვილის მიერ საქართველოში განსახლებულ ოსთა ხაზში საერთოდ შეტანილი არაა ფრონეების ხეობა (ე.წ.ზნაურის რაიონი), მეჯუდასა და ლეხურის ხეობები. მეცნიერი სწორია, რადგან ამ ხეობებში XVIII ს-ში ოსთა მკვიდრობის დამადასტურებელი მონაცემები არ არსებობს.

გ.ლაზარაშვილმა ოსთა საქართველოში განსახლების საკითხში სხვა, მეცნიერულად სწორი დასკვნაც შემოგვთავაზა. XIX ს-ში მიმდინარეობდა საქართველოს მთიანი რაიონებიდან ოსთა მიგრაცია მთისწინა და ბარის რაიონებში. ისიც სწორია, რომ „В XIX в. выходцы в основном из ущелья большого Лиахви заселяются долины трех Проне, т.е. территория нынешного Знаурского района..." (გვ.109).

ასე, თანდათან წინ მიდიოდა ქართველ მეცნიერთა მხრივ საქართველოში ოსთა მიგრაციის შესწავლის საქმე. ოსთა მიგრაციისა და დვალთა ეთნიკური ვინაობის შესახებ ქართულ მეცნიერებაში შემდეგი ეტაპი იყო ვ. გამრეკელის მონოგრაფიული გამოკვლევა „Двалы и Двалетия (вI-XV вв н.э.), Тб., 1961. ვ.გამრეკელმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ცენტრალურ კავკასიაში ისტორიულად მკვიდრი ტომი — დვალები არ იყო ოსური ტომი, ისინი არ იყვნენ ოსების უშუალო წინაპრები, რომ დვალები იბერიულ-კავკა-

სიური და ქართული კულტურის მატარებელი ტომი იყო. დამაჯერებლად უარყო, საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, რომ ოსებისა და დვალების გაიგივება არის დიდი შეცდომა და რომ დვალეთი არ მოიცავდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას, როგორც ეს ზოგ ოს და არაოს მკვლევარს წარმოუდგენია. ვ.გამრეკელმა სხვადასხვა ხასიათის საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით აჩვენა, რომ დვალეთი (კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ეს ქვეყანა) ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკლესიური თვალსაზრისით. მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ XIII ს-ის შუა ხანებიდან დვალთა შევიწროვებას იწყებენ ჩრდილოეთ კავკასიის ველებიდან მონგოლთა მიერ მთებში შემორეკილი ოსები, რასაც მოჰყვა მათ მიერ ადგილობრივი დვალების ასიმილაცია, ჩვენი ვარაუდით, ეს პროცესი, რა თქმა უნდა, აქ ერთჯერად არ განხორციელდებოდა. ის ხანგრძლივი პროცესი იყო და განხორციელდა მხოლოდ გიორგი ბრწყინვალეს გარდაცვალების და ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ. დამაჯერებელია, რომ დვალებმა ოსთაგან ასიმილაცია შედარებით გვიან განიცადეს კავკასიონის ქედის სამხრეთით: „В Магран-Двалети двалы сохраняются, как особая этническая общность, еще до XV в., о чем несомненно свидетельствует „Памятник Эриставов" и Фома Мецопский" (გვ.143). აქედან გამომდინარე ვ. გამრეკელი თვლის, რომ ოსთა კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთით გადმოსვლის პროცესი იწყება XV ს-ის შუა ხანებიდან, თანადროულად ხორციელდება დვალების უფრო დაბლობში ჩამოსვლა, სადაც ისინი საბოლოოდ შეერწყნენ ქართველებს (გვ.143). დვალების ნაწილი, რომელიც დარჩენილი იყო ლიახვის ხეობასა და კუდაროში, გვიან შეერწყა ოსებსო. გამომდინარე იქიდან, რომ XVI ს. უკანასკნელი მეოთხედი და XVII ს-ის პირველი მეოთხედი ყველაზე კრიტიკული იყო ქართველი ხალხის ისტორიასა და ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოს სახელმწიფოსათვის, ამ პერიოდში ოსების გადაადგილებას ჩრდილოეთიდან სამხრეთით უნდა მიეღნია გადამწყვეტი წარმატებისათვისო და ამ პერიოდიდან დვალები, როგორც განსაკუთრებული ეთნიკური ერთობა ნყვეტენ არსებობასო (გვ. 143). ე.ი. ოსების ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადმოსვლა, დასახლკარება იწყება XV ს-ის შუა ხანებიდან. თუმცა მიაჩნია, რომ ეს პროცესი ძირითადად განხორციელდა შედარებით გვიან, XVI ს-ის ბოლოსა და XVII-ის დასაწყისში. ამდენად, გაკვირვებას იწვევს გ. ლაზარაშვილის სტატიის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში იმის აღნიშვნა, რომ თურმე ვ. გამრეკელი სხვა ავტორებთან ერთად ოსთა საქართველოში მიგრაციას XIII-XIV სს-ში განხორციელებულად თვლიდა (გვ.102).

საქართველოში, უფრო სწორედ ქართლის მთიანეთში, ოსური ახალშენების საკითხს ეძღვნება მცირე მონაკვეთი საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომში (თბ., 1973, გვ.429-432), რომლის ავტორია მ. დუმბაძე. ხაზი აქვს გასმული, რომ ოსური ახალშენები ქართლის მთიანეთში (მდინარეების: ჯეჯორის, დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, არაგვის სათავეებში) საბოლოოდ ჩამოყალიბდა XVIII ს-ის პირველ მესამედში. აქ ერთგვარი შესწორება შეიძლება მხოლოდ არაგვის ხეობის მიმართ შევიტანოთ. ვახუშტის დროს, არაგვის სათავეში (ლუდაში) ოსები ჯერ არ ისხდნენ. ნარკვევებში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ XIII ს-ში მონგოლთა მხარდაჭერით ქართლში (გორში) შემოჭრილი ოსები XIV ს-ის დამდეგს გიორგი ბრწყინვალემ საქართველოდან განდევნა, რის შემდეგაც „ქართულ წყაროებში ოსთა კომპაქტური მასები დიდხანს არ იხსენიებიან" (გვ.429). მ.დუმბაძის აზრით, „ქართლის მთიანეთში, თანამედროვე სამხრეთ ოსეთის რაიონებში, ოსური კომპაქტური მოსახლეობა წარმოიშვა არა ერთდროული ჩამოსახლების შედეგად, არამედ თანდათანობით, XVI-XVIII საუკუნეთა განმავლობაში, როდესაც საქართველოსა და ცენტრალური კავკასიონის მთის რაიონებში თავისებური სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, მიგრაციული მოვლენებისადმი ხელშემწყობი ვითარება შეიქმნა" (გვ.429). ხაზი აქვს გასმული იმას, რომ ოსთა ჩამოსახლება — დამკვიდრება მშვიდობიანი პროცესი როდი იყო (გვ.431): „ფეოდალიზაციის გზაზე მდგარ ოსთა ზედაფენის ინიციატივით ქართლის სოფლებზე თავდასხმები ეწყობოდა და ამ გზითაც იკავებდნენ ისინი დასახლებულ ადგილებს" (გვ.431).

მ. დუმბაძე წერს: „ოსური ახალშენების წარმოქმნას ქართლის მთიანეთში XVI საუკუნეში უნდა ჰქონოდა ადგილი. ამ დათარიღებას რამდენადმე მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ჩვენს განკარგულებაში არსებულ წერილობით წყაროებში ოსთა მეტნაკლებად შესამჩნევი დასახლება — 200-მდე სული — XVII ს.დამდეგისათვის ჩანს. ამის შესახებ „ადმოგვცემს საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩი მ.ი. ტატიშჩევი (1604-1615), რომლის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზახა და მაღრან-დვალეთი (დიდი ლიახვის სათავე) მაშინ უკვე დასახლებული იყო ოსთა მიერ" (გვ.431).

აქ შევნიშნავთ, რომ ზახა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით, დვალეთში არსებული რეგიონია. ზახაში (საერთოდ დვალეთში) ოსთა მკვიდრობა XVI ს-ში უკვე ფაქტია სხვა წყაროებითაც. რაც შეეხება მაღრან-დვალეთს, ოსური მოსახლეობის გაჩენა აქ, თრუსოსთან ერთად XVIIს. მოხდა მ. დუმბაძის მიერ მითითებულ წიგნში (С.А. Белокуров, Сношения России с Кавказом, М., 1889. с.508) არაა საუბარი არც ზახასა და არც მაღრან-დვალეთზე. ტექსტში კონკრეტულად წერია: „И архиепископъ и царевы

ближние люди говорили о том, что людей мало; а оставить бы людей больше того. Да они ж осломъ говорили, что меже Черкеские и юрьевы царевы земли есть горские люди, словут Осинцы, всего их человекъ з 200; и те люди Карталинским людем чинят тесноту, тайоно приходя, побивают и грабят, — и на тех бы людей с Терки государевы воеводы рат послали и Черкесом на нихъ итти велели. И только то место очиститца, — и дорога будет из их Карталинской земли к государстве отчине х Кабардинской земле прямая и просторная".

აქ მხოლოდ ერთ რამეს დავსძენთ, რომ ოსთა განსახლების ადგილში არამც და არამც არ უნდა იგულისხმებოდეს არც მაღრან-დვალეთი (დიდი ლიახვის სათავე) და არც ზახა (დვალეთის ერთ-ერთი ხეობა), რადგან ეს რეგიონები, როგორც ისტორიული თვალსაზრისით, ისე XVII საუკუნის დასაწყისში და შემდგომაც საქართველოს სამეფოს უშუალო შემადგენელი ნაწილები იყო. რუსი ელჩის ტექსტში კი საუბარია ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ჩერქეზებსა და ქართველ მეფეთა მიწებს შორის. დვალეთსა და მაღრან-დვალეთზე რომ იყოს საუბარი, უდავოდ აღნიშნული იქნებოდა, რომ ოსები ცხოვრობენ ქართველი მეფის კუთვნილ ჩრდილო, განაპირა ტერიტორიებზეო. დასკვნა ერთია, რომ XVI ს-ის ბოლოსა და XVII -ის დასაწყისში ოსები ჯერ კიდევ არ იყვნენ დასახლებული საქართველოს იმ დროინდელ მიწა-წყალზე. რუსი ელჩის-ტატიშჩევის ზემოთ მოტანილი ციტატა მხოლოდ ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა.

შიდა ქართლის ეთნიკური გეოგრაფიის პრობლემასა და აქედან გამომდინარე აქ ოსთა მიგრაციის საკითხებს შეეხო ჯ.გვასალია (იხ. მისი „აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები — შიდა ქართლი", თბ., 1983, გვ.164-172, „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის". — ჟურნ. „მაცნე", ისტორიის... სერია, გვ. 7-15; „Историческая география Восточной Грузии — Шида Картли", Тб., 1991,с. 154-167; „К вопросу переселения осетин в Картли. — „Библиотека общества Руставели", 1990, с.29-39). ჯ.გვასალიას აზრით, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა ხასიათის წერილობით მონაცემებს, „შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მნიშვნელოვანი ინფილტრაციის პროცესს ადრეულ საუკუნეებში არ უნდა ჰქონოდა ადგილი. იგი გვიანი შუასაუკუნეების მანძილზე ხდებოდა" (ჯ.გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს.. გვ.170). „XVIII ს-ის შუა წლები უნდა იქნეს მიჩნეული ქართლში ოსთა მნიშვნელოვანი ჩამოსახლების ხანად" (იქვე). ჯ.გვასალია მიუთითებს იმ ხეობებსა და ხეობათა მფის

სოფლებს, სადაც ვახუშტის დროს ოსური მოსახლეობა მკვიდრობდა. გიულდენშტედტზე დამოწმებით კი ჯ.გვასალია წერს, რომ „ლიახვის ხეობის ზემო წელზე XVIII ს-ის 70-იან წლებში ოსებთან ერთად ცხოვრობდნენ ქართველებიც“ (გვ.171). ჯ. გვასალია იმავე თავში მიმოიხილავს შიდა ქართლის ტოპონიმებსაც, რომლებიც ძირითადად ქართველური ენების საშუალებით იხსნებიან. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჯ.გვასალიას ნაკლევი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლების შესახებ, ყველაზე ახლოსაა სინამდვილესთან.

ფართე ხასიათის წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური მონაცემების, ტოპონიმების საფუძველზე ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის არაერთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო ნ. აფხაზავა მონოგრაფიაში „ალანები და საქართველო“, თბ., 1991. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ოსთა საქართველოში მიგრაციის საკითხებსაც. აფხაზავას დასკვნით დვალეთი და ოსეთი სხვადასხვა ქვეყნებია; დვალები ეთნიკურად ოსები არ იყვნენ და ალანთაგან დვალებმა ასიმილაცია მხოლოდ XIV-XV სს-ში განიცადეს (გვ.61). ალან-ოსების მიერ დვალების ასიმილაცია შედარებით გვიან განხორციელდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ძირითადი ოსური გვარების დვალეთში მიგრაცია XV ს-ში დაიწყო და განსაკუთრებით განხორციელდა XVI ს-ში, ნ. აფხაზავას შემოთავაზებული თარიღი არა ნაკლებ ერთი საუკუნით აქეთაა გადმოსაწევი.

ნ. აფხაზავას სამართლიანი დასკვნით, „საქართველოს (ქართლის სამეფო, კოლხეთ-ლაზიკა) ურთიერთობა I-IX სს-ში ალანებთან არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ქართველ-ოსთა ურთიერთობა, იგი ქართველ-ალანთა ურთიერთობაა“ (გვ.65). შემდეგი დასკვნა: „უძველესი დროიდანვე ქართლის სამეფოში შემოდიოდა დვალეთი. წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური ფაქტების და ენათმეცნიერული მონაცემებით (ტოპონიმიკა და სხვ.) დვალეთი ადრე, განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეთა დასაწყისშიც (XIV-XV სს) ქართული ქვეყანაა, როგორც პოლიტიკურ-კულტურულად, ისე ეთნიკურადაც“ (გვ.65). ნ.აფხაზავასვე დასკვნით „ოსთა მიერ დვალთა ასიმილაცია და ქართლის მთიანეთში შემოჭრა ხდება XVI-XVII სს-ში. მანამ XIV-XV სს-მდე ოსებს ჩრდილო ოსეთის მთიანეთის უმეტესიც კი არ ჰქონდათ ათვისებული (თაგაური, ქურთაული, ალაგირი) (გვ.65). ვფიქრობთ, ავტორს ამ თეზისის დამადასტურებელი დამატებითი მასალა უნდა მოეტანა.

ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის ველებსა და მთებში განსახლების, საქართველოში გადმოსახლების საკითხზეა ყურადღება გამახვილებული მოსკოვში 1988 წელს დასტამბულ კოლექტიურ ნაშრომში „**История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIIIв.**“ სანამ ამ წიგნში მოცემულ ოსთა საქართველოში

მიგრაციის საკითხებს შევეხებით, მიმოვიხილავთ ალან-ოსთა კავკასიაში განსახლებისა და მათი ეთნიკურ ერთეულად ჩამოყალიბების მომენტებს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოსი მეცნიერები ყობანურ არქეოლოგიურ კულტურას ალან-ოსთა შემოქმედებით კუთვნილებად მიიჩნევენ. აღნიშნულ წიგნში კი გარკვევით არის მითითებული, რომ ყობანური კულტურა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის კუთვნილებას წარმოადგენდა (გვ.74).

წიგნში გარკვევითაა საუბარი იმაზე, რომ ირანულენოვანი სარმატული ტომების კულტურის ფორმირება ხდება ძვ. წ. IV ს-ში ჩრდილოეთ კასპიისპირეთის სტეპებში. ძვ.წ.III ს-ში სამხრეთ ურალისპირეთში იქმნება აორსთა ტომის ძლიერი კავშირი. აორსებმა გატეხეს მონათესავე ქვემო ვოლგველი სარმატების წინააღმდეგობა და მათ კავკასიის მიმართულებით დაიხევინეს (გვ.78). კოლექტიურ ნაშრომში იმაზეც არის საუბარი, რომ სტრაბონის დროს, აორსები კასპიისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილში ფლობდნენ ვრცელ ტერიტორიას (გვ.79). ხაზი ესმის, რომ იმავე პერიოდში კავკასიის მთებში მცხოვრებ გვიანყობანურ კულტურის ტომებს არაფერი ჰქონდათ საერთო კავკასიის მთისწინეთსა და ბარში მცხოვრებ სარმატებთან (გვ.82).

ყოველივე ეს ჩვენთვის იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ მავანი და მავანი ოსი მეცნიერები უძველესი დროიდანვე მიუთითებენ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში ოსთა ბინადრობის შესახებ.სინამდვილე კი ისაა, რომ ოსების წინაპარი ირანულენოვანი ტომები აღნიშნული დროისათვის საერთოდ არ ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, სადაც მხოლოდ სხვადასხვა იბერიულ-კავკასიური ტომის წარმომადგენლები მკვიდრობდნენ. ალან-ოსთა წინაპრებს აღნიშნული დროისათვის მუდმივი ბინადრობის ადგილი არ ჰქონდათ და ისინი კასპიისპირა ჩრდილო-დასავლეთ სტეპებში მომთაბარეობდნენ. ასე, რომ საქართველოში ოსთა გადმოსახლება ახალი წელთაღრიცხვის წინარე ხანაში მხოლოდ ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება.

წიგნში ხაზგასმულია, რომ ალანები კავკასიის სტეპებში ჩვენი ერის დასაწყისიდან ჩნდებიან (გვ.85). მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, ალანები შუა აზიური წარმოშობისანი არიან. ნაწილი კი მათ აორსთა ტომიდან გამოსულებად თვლის (იქვე). ანტიკური ავტორების თანახმად, ახალი წელთაღრიცხვისათვის ალანები დონისპირეთში, დუნაისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის ველებში მომთაბარეობდნენ. ალანებმა სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში და მთისწინა ზოლში ჩამოიწიეს მხოლოდ IV ს-ის 70-იან წლებში, ჰუნთა გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ აქამდე ისინი მომთაბარეობდნენ კასპიისპირეთისა და კავკასიისწინა სტეპებში, დონის დაბლობში (გვ.94).

წიგნში მითითებულია, რომ V-VI სს-ში ჩრდილოეთ კავკასიის

მთიანი ზოლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ადგილობრივი კავკასიური ტომები (გვ.95). ასე, რომ დასახელებული წიგნის მიხედვით, ოსთა წინაპარი ირანულენოვანი ტომები არც VI ს-ში ცხოვრობდნენ კავკასიის მთიანეთში.118-ე გვერდზე მოთავსებულ რუკა-სქემაზე VI-VII სს.ალანები დატანილი არიან თერგის მარცხნივ (იქ, სადაც ის ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ შეუხვევს), ჩრდილოეთ კავკასიის ბარში.

კოლექტიური ნაშრომის ავტორთა აზრით, ალანების თანდათანობით სამხრეთისკენ, ჩრდილოეთ კავკასიის მთებში წამონევა დასტურდება კატაკომბური სამაროვნების მიხედვით (გვ.123). ჩრდილოეთ ოსეთის მთიანი ხეობები, აგრეთვე, ბალყარეთი, ყარაჩაი ალანების მიერ ათვისებული იქნა X საუკუნისთვისო (გვ.123-:„;). ისევე როგორც მთისწინეთში, აქაც ალანები შედიან ღრმა და ხანგრძლივ კონტაქტში მთიანი კავკასიის ავტოქტონურ ტომებთან. მოსულისა და დამხვდურის, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ურთიერთშერევით აღნიშნული დროისათვის საბოლოოდ დასრულდა ოსური ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბებაო (გვ.124). ვფიქრობთ, რომ მხოლოდ არქეოლოგიური მასალის გამოყენება ოსური ეთნოსის ჩამოყალიბების შესასწავლად მთლად გამართლებული არაა. ავტორები არ იცნობენ და არ იყენებენ ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომს, რომელშიც ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესვლის დროდ XIII-XIV საუკუნეებია დასახელებული. დავსძენთ, რომ X ს-ში ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესახლების მხოლოდ სპორადული ფაქტების შესახებ შეიძლება ლაპარაკი. საერთოდ ოსური ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბება კავკასიის მთებში მოხდა უფრო გვიან, XVI ს-ში, მას შემდეგ, რაც ირანულენოვანმა ტომებმა საბოლოოდ მოახდინეს ცენტრალური კავკასიის მთებში მოსახლე ქართველური ტომების დვალების ასიმილაცია.

წიგნის 207-ე გვერდზე მითითებულია, რომ XIII ს-ში შეიმჩნევა ოს გადმოსახლებულთა ინტენსიური ნაკადი ნარას ქვაბულსა (ე.ი. დვალეთსა) და დიდი ლიახვის სათავეშიო (უთითებენ ვ.გამრეკელის ავტორეფერატს). ამასთანავე მიაჩნიათ, რომ მთიან ოსეთში იმ დროს ოსები უკვე მკვიდრად ცხოვრობდნენო. აღვნიშნავთ, რომ ქართული საისტორიო წყაროებით, ნარას ქვაბულსა (დვალეთსა) და დიდი ლიახვის სათავეშიც ოსთა მიგრაცია გამორიცხულია. ეს რეგიონები იმ დროისათვის არც მთიან ოსეთს ეკუთვნოდა და არც ოსები ცხოვრობდნენ აქ. პირიქით, აღნიშნული დროისათვის დვალეთი და დიდი ლიახვის ხეობის სათავეც ინტენსიურად იყო ჩაბმული ქართული კულტურის შექმნის პროცესში. არამარტო პოლიტიკურად და სოციალურად, არამედ ეთნიკურად და კულტურულადაც ეს კუთხეები ტიპიური ქართული მთური რეგიონები იყო.

წიგნის 253 -ე გვერდზე გასაოცარი რამ წერია. თურმე ოსეთის თრუსოს ხეობაში ნაპოვნია საფლავის ჯვარი XIV ს-ისა ოსურ ენაზე სირიულ-ნესტორიანული ანბანით. ჯერ ერთი, თრუსო ოსეთის ხეობა კი არა საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და არის. მეორეც, სირიულ-ნესტორიანული ანბანით შესრულებული ტექსტის შინაარს ავტორი არ გვამცნობს. ვერც გვამცნობდა, რადგან ასეთი რამ არ არსებობს. ავტორი არ უთითებს წყაროს. მაგრამ აშკარაა, რომ იგი მოტანილია კალოევის წიგნიდან. კალოევს თავისი წიგნის 59-ე გვერდზე მოაქვს ფოტოსურათი თრუსოს სოფ. შუატისში ნაპოვნი XIV ს-ის საფლავის ქვისა, რომელზედაც, გამადიდებელი შუშის გარეშეც, კარგად ჩანს, რომ ქართული წარწერაა. ასეთი ნაყალბევით ქმნიდნენ ოსები თავიანთ ისტორიას და სხვათა კულტურის შემოქმედებას საკუთრად აცხადებდნენ.

ავტორის აზრით, XIV ს-ში ოსები ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილად იქცნენო (გვ.264). ეს მტკიცებაც აბსურდულია. პირიქით, ამ დროს საქართველოში შემოჭრილი ოსთა რაზმები გიორგი ბრწყინვალემ გაასახლა საქართველოდან და საქართველოში შემოსასელელი გზებიც მტკიცედ გადაუკეტა. წიგნის ავტორი კი საწინააღმდეგოს გადმოგვცემს, თურმე გადმოსახლებული ოსები გიორგი ბრწყინვალეს თავისი ხელისუფლებისათვის დაუქვემდებარებია.

ცალკე უნდა აღინიშნოს მ. დუმბაძის, ბ.ლომინაძის და მ. ლორთქიფანიძის ნაშრომი „К истории Нагорной Картли в V-XVIII вв. (იხ. კრებული: „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში", თბ., 1983, გვ.154-171). ამ ნაშრომში მითითებულია, რომ XIII ს-ში მონგოლთა მხარდაჭერით ქართლში მოთარეშე ოსები ჩრდილოეთიდან მოსული მიგრანტები კი არ არიან, არამედ დარუბანდის გზით მოსული მონგოლთა დაქირავებული რაზმები. ავტორები, სამართლიანად, ოსთა ქართლის მთიანეთში დასახლებას XVII საუკუნეს უკავშირებენ (გვ.171).

საქართველოში ოსთა ჩამოსახლების საკითხებს შეეხო ლ.ზურაბაშვილი მონოგრაფიაში „ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში", თბ.1989 წ. წიგნში სათანადოდაა გამოყენებული ყველა ის ნაშრომი, რომელიც საქართველოში ოსთა მიგრაციისადმი და ქართულ-ოსური ურთიერთობისადმია მიძღვნილი. ხაზგასმულია, რომ ქართველ ხალხს ყოველთვის ჰქონდა ურთიერთობა მის ჩრდილოეთით, კავკასიის ველებში მოსახლე ოსებთან, სადაც მათ ადრეკლასობრივი სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. როგორც სხვა ადრეკლასობრივი სახელმწიფოს წარმომადგენლებიც, ოსებიც მეკობრეობით ცხოვრობდნენ და ამ მიზნით არაერთგზის შემოულწევიათ საქართველოში. ლ.ზურაბაშვილის დასკვნით, ინტენსიური გახდა ქართულ-

ოსური ურთიერთობები XIII ს-დან, მას შემდეგ, რაც ისინი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დამკვიდრდნენ და ქართველთა მეზობლები გახდნენ. სწორია, რომ მონგოლთა ბატონობის პირობებში ოსთა მხრივ „იყო ჭირი და დიდი მკჯდრთა ქართლისათა" და რომ ეს ჭირი გამოიხატებოდა იმაში, რომ მათ ჰქონდათ სურვილი ქართულ მიწაზე დასახლებისა, თუმცა გარკვეულ პერიოდამდე (სანამ საქართველოს ჯერ კიდევ ამისი ძალი შესწევდა) ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ქვეყნის მესვეურებს უხდებოდათ მათი „განხსმა და აღფხურვნა".

მონოგრაფიაში ხაზგასულია და მის ავტორს არ შეიძლება დაეთანხმო, რომ ოსთა საქართველოში მიგრაცია გვიანი შუასაუკუნეების პერიოდში აუცილებლად უნდა განხილულ იქნას იმ კომპლექსთან კავშირში, როგორებიც იყო საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობა და, აქედან გამომდინარე ეკონომიკური დაქვეითება და კავკასიელი მთიელების საერთო ჩამოწოლა. ლ.ზურაბაშვილი იზიარებს ახალ, მეცნიერულად დასაბუთებულ მოსაზრებებს ოსთა საქართველოში XVIII ს-დან ინტენსიური გადმოსახლების შესახებ. არაა გასაზიარებელი მონოგრაფიის მე-19 გვერდზე თქმული, რომ XVIII ს-ის პირველ მესამედში ოსური ახალშენები საბოლოოდ ჩამოყალიბდა არაგვის ხეობაში .

ქართველ ავტორთაგან ზოგიერთმა, ისე რომ საკითხი არ უკვლევია, გაიზიარა დებულება ოსთა საქართველოში მიგრაციის დაწყების შესახებ XIV ს-დან (გ. ჯალაბაძე, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში. — „შიდა ქართლი", თბ., 1987, გვ.17). თუმცა ამ ნაშრომში პირველადაა შენიშნული სხვა რეალური ფაქტი. ესაა ოსურ ეთნიკურ სამყაროში ქართველთა გაოსების ფაქტები. გ.ჯალაბაძე წერს: „დვალური მოსახლეობა ოსური დაფენების ქვეშ მოექცა. ოსური დაფენების ქვეშ მოექცა ადგილზე მოსახლე ქართველობა, რომელთაც ოსებისაგან შეისწავლეს სალაპარაკო ენა და გადმოიღეს მათი ზნე-ჩვეულებანი. ეს პროცესი დაიწყო XIV ს-დან და დღემდე გრძელდება„ (გვ.17-18).

ქსნის ხეობის შესახებ გ.ჯალაბაძე წერს: „XIII-XIVსაუკუნეებიდან ქსნის ხეობის ზედა წელში ოსური მოსახლეობა ემკვიდრება. ისინი ჯერ თრუსოს ხეობის ზედა წელში სახლდებიან, ხოლო შემდეგ თანდათან დაბლა ეშვებიან. მაგრამ, როგორც ჩანს, ოსების დაბლა დაშვებას ქსნის ხეობაში აქტიური ხასიათი არ ჰქონია. ამის დამამტკიცებელი საბუთია 1774-1781 წლებში ჩატარებული ქსნის საერისთავოს აღწერა. ძირითადი მასა მოსახლეობისა მაინც იქ, სადაც ოსები შემოვიდნენ, ქართველობდა და ქართველობაზე იდგა" (გ.ჯალაბაძე, ქსნის ხეობის მოსახლეობა, — კრ.: „ქსნის ხეობა", თბ., 1975, გვ.11). დავსძენთ, რომ გ. ჯალაბაძე ფაქტიურად იზიარებს შიდა ქართლში ოსთა მიგრაციის დაწყებას XIII-XIV სს-ით. ვგონებ, ამ

თარიღის უსაფუძვლობა ზემოთ ნაჩვენები გვქონდა. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ქსნის ხეობის შესახებ. აქ, ალბათ, საკმარისია ვ.აბაევის ნათქვამი გავიხსენოთ, რომ ოსები ქსნის ხეობაში ყველაზე გვიან, 200 წლის წინ დასახლკარდნენ.

გ.ჯალაბაძე ეყრდნობა ს.მაკალათიას და ასკვნის, რომ ლეხურას ხეობის სოფ. ზახორში ოსები მხოლოდ XVIII ს-ის ბოლოს გაჩნდნენო (ს.მაკალათია, ლეხურას ხეობა, 1964, გვ.47). დავსძენთ, რომ ლეხურას ხეობაში პირველი ოსური მოსახლეობა გაჩნდა მხოლოდ XIX ს-ის დასაწყისში სოფ.ქვიტკირში და ეს მდგომარეობა აქ თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე გაგრძელდა. ვერ დავეთანხმებით ავტორს, როცა წერს, რომ „ქარჩოხის ზედა წელზე ეამურის მიდამოებში და ცალკეული ხევების სათავეებში მოსახლეობდა დვალური მოდგმის ხალხი. XIII-XIV საუკუნეებიდან ქსნის ზედა წელის ხეობის მიდამოებში ოსეთიდან შემოსული მოსახლეობა ჩნდება, რომელიც ადვილად ემკვიდრება დვალებთან ერთად და მიმდინარეობს მოსული ელემენტის დაფენება" (გ.ჯალაბაძე, გვ.14). ამ მოსაზრების დამადასტურებელი რაიმე საისტორიო წყარო არ არსებობს. ქსნის ზედა წელი (ეამური, ქარჩოხი) არასოდეს შედიოდა დვალეთში და არცერთი საისტორიო წყაროთი ამ რეგიონში დვალებს არ უცხოვრიათ, მითუმეტეს, აქ დვალთა და ოსთა ურთიერთშერწყმაზე (თანაც XIII-XIV ს-დან) ლაპარაკი ზედმეტია.

ნ.ბრეგაძე წერდა: „...обитание осетин в Грузии XVII в. —бесспорный факт. В исторической литературе установлено, что ране начатый процесс переселения осетин в Грузию и основания ими грузинских земель продолжался и в XVII в." (ნ.ბრეგაძე, ზემოთ დასახ. ნაშრომი, გვ. 249). ამრიგად, ნ. ბრეგაძე იზიარებს ოსთა შიდა ქართლში მიგრაციას XVII საუკუნეზე ადრე პერიოდში. ოსთა საქართველოში მიგრაციაზე მსჯელობისას ის ძირითადად კალოევის ნაშრომს ეყრდნობა.

ოსთა ჩასახლებას დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, კუდაროში (მდ.ჯეჯორის სათავეში) ეძღვნება გ.ჩიქოვანის ნაშრომი „ოსთა ჩასახლება დასავლეთ საქართველოში„ (ხელნაწერი). ავტორი მიმოიხილავს კუდაროში ოსთა დასახლების შესახებ არსებულ მცირე სამეცნიერო ლიტერატურას (თ. ბერაძის აზრით, ეს პროცესი აქ XVI-XVII სს-ში განხორციელდა, კალოევის აზრით, XV-XVI საუკუნეებში) და საკუთარ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ „ჩვენ მიერ ჩაწერილი გადმოცემები და გენიალოგიები მე-18 საუკუნის იქით არ მიდის " (ხელნაწერი ნაშრომის გვ.18). კუდაროელები დვალეთიდან (მამისონი, იგივე ეღელის ხეობიდან), გადმოსახლებული ოსები არიან.

სამწუხაროდ, ოსთა კავკასიის მთიანეთსა და მათი სამხრეთით მიგრაციის (XIII-XIV ს-დან) გ.თოგოშვილისეული ვერსიაა გაზიარებული 1992 წლის 23 ივნისს „Свободная грузия" - ში (N 80) გამოქვეყნებულ კოლექტიურ წერილში. ამ წერილის ავტორთა აზრით, ოსთა ქართლის მთისწინეთსა და ბარში მიგრაცია XVII-XVIII საუკუნეებს ემთხვევა: „Предки осетин — аланы (потомки скифо — сарматских племен, появившихся на Северном Кавказе в VIII-VII вв. до н.э.) в IX-XIII вв. имели сильное раннефеодальное государство (осетинское гос-во), конец которому положили нашествия монгол-татар (XIII в.) и Тимура (XIV в.). Осетины, вытесненные с северо-кавказской равнины в узкие и бесплодные ущелья Кавказского хребта, постепенно стали проникать на его южные склоны, высокогорную часть Центральной Грузии откуда в XVII-XVIII вв. начали спускаться и расселяться в предгорной и равнинной зоне на северной окраине Шида Картли (Внутренняя Картли), во владениях грузинских феодалов — в основном арагвских и ксанских эриставов, князей Мачабели".

„ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები" — ასეთია ნ.ლომოურის ნაშრომის სათაური, რომელიც ამ სფეროში შესრულებულ ნაშრომთაგან ყველაზე ახალია (ჟურნალი „ცისკარი", N 5, 1992). დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნ. ლომოურის ეს ნაშრომი ოსთა მიგრაციის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს შორის ყველაზე ობიექტურად ასახავს იმ პროცესს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში მიმდინარეობდა. დასაწყისში ავტორი ხაზს უსვამს, რომ ქართული წყაროების „ოვსები" არ არიან იდენტური ძველ რომაულ-ბიზანტიური პირველ წყაროებში დამოწმებული ალანების, რომ ოსები ალანების უშუალო ჩამომავლები არ არიან. აღნიშნულია, რომ IV ს-ის შუა ხანებამდე ალანები ჩრდილოეთ კავკასიის აზოვისა და დონისპირა ველებზე სახლობდნენ. ისინი სარმატული წარმომავლობის ირანულენოვან ტომს წარმოადგენდნენ, რომლებიც ადრე შუა აზიის სტეპებში მომთაბარეობდნენ (გვ. 105). IV ს-ის შუა ხანებში ალანებს თავს დაესხნენ ჰუნების თურქული ტომები. ალანები განადგურებულ იქნენ. გაძარჩენილი ალანების ერთი ნაწილი შეუერთდა ჰუნებს, შეერწყა მათ და მათთან ერთად „ხალხთა დიდ გადასახლებაში", დასავლეთ ევროპისაკენ, მიიღო მონაწილეობა. ალანთა მეორე, საკმაოდ მცირე ნაწილი დარჩა ჩრდილოეთ კავკასიაში და კავკასიონის მთისწინა ველებზე სამხრეთისაკენ ჩამოიწია. კავკასიონის მთისწინა ველებზე ჩამოწეული ირანულენოვანი ალანები შეერწყნენ ადგილობრივ კავკასიურ მოსახ-

ლეობას, რის შემდეგაც, ფაქტიურად, ახალი ეთნიკური ერთეული წარმოიქმნა, რომლებიც ენობრივად ირანელები და ანთროპოლოგიურად კავკასიელები არიან. ნ.ლომოური ასკვნის, რომ ამ ორი, მოსული ირანული და ადგილობრივი კავკასიური, ხალხების შერწყმის შედეგად წარმოშობილ ახალ ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენენ ოსები (გვ.105). ნ. ლომოურს იმიტომ დასჭირდა მეცნიერებაში ჭეშმარიტებად მიჩნეული ამ აქსიომის გახსენება, რომ იგი ოსთა საქართველოში მიგრაციის საკითხებთანაცაა უშუალოდ დაკავშირებული.

ნ. ლომოური გვახსენებს მთელ რიგ ავტორთა დასკვნებს, რომ ოსების ეთნოგენეზი დაიწყო V-VI სს-ის შემდეგ და დასრულდა X-XII სს-ში, სრულიად მისაღებია მეცნიერის დასკვნა, რომ „ალანებისა და ოსების გაიგივება კატეგორიულად გაუმართლებელია. მეცნიერულად, ასევე, მცდარია ოსების ალანების პირდაპირ და უშუალო მემკვიდრეებად გამოცხადება" (გვ.106).

ნ. ლომოური აღნიშნავს, რომ გარკვეული აზრით, ალანები ოსთა წინაპრებია (მათი ეთნოგენეზისის ერთ-ერთი კომპონენტია) და ოსი ისტორიკოსების საპირისპიროდ განმარტავს, რომ „აბსოლუტურად დაუსაბუთებელია თვით ალანთა საქართველოს, კერძოდ, ქართლის ტერიტორიაზე რაიმე დროს განსახლების მტკიცება" (გვ. 106). ავტორი ალან-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით იზიარებს არქეოლოგ ნ.აფხაზავას დასკვნას, რომ „X საუკუნემდე ალანები არამცთუ უთრივ საქართველოს, საერთოდ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზეც ჩანან" (გვ.107).

სრულიად სამართლიანია ნ. ლომოური, როცა წერს: „ამგვარი ყალბი „ანალიზის" ფონზე უკვე სავსებით უცნაურია (რომ არ ვთქვათ, აღმაშფოთებელი) რ.ძათიათის დასკვნა: „ამგვარად, ალან-ოსთა ამიერკავკასიაში შემოღნევა (არა სამხედრო ლაშქრობები, არამედ აქ დასახლება -„оседание") ხდება არა XV-XVII სს-ში და არც XIII-XVI არამედ გაცილებით ადრე, VI-VII სს-ში" (გვ. 108). ქართველი მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ „არც წერილობითი წყაროები, არც არქეოლოგიური მასალა არ იძლევა არავითარ საფუძველს, I-VIII საუკუნეებში ქართლში ალანთა მეტ-ნაკლებად კომპაქტური ჩამოსახლება და აქ დამკვიდრება ვივარაუდოთ" (გვ.108).

დამაჯერებლადაა უარყოფილი ნ. ლომოურის მიერ XIII ს-ში საქართველოში ოსთა ჩამოსახლების მტკიცება : „XIII საუკუნეში ქართლში შემოსული ოსთა ჯგუფი, რომელიც აქ ათწლეულების მანძილზე მონღოლთა არსებითად საპოლიციო, დამსჯელ ძალას წარმოადგენდა, XIV ს-ის დასაწყისში გიორგი ბრწყინვალის მიერ პირწმინდად გაძევებულ იქნა საქართველოს საზღვრებიდან და მათ აქ შემობრუნების გზებიც ჩაეკეტათ. ამდენად, ყოველგვარ საფუძველს კარგავს მტკიცება, რომ XIII-XIV საუკუნეებიდან მოყოლებული

ოსები უკვე ქართლის ტერიტორიაზე სახლობენ. ამ დროს მათი აქ შემოსვლა ხანმოკლე, თანაც არც თუ სახელოვანი ეპიზოდი იყო ოსთა ერთი მცირე ნაწილის ისტორიაში" (გვ.III-112).

ნ. ლომოურის დასკვნით, მხოლოდ „XVII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება პირველი ოსური სოფლები" (გვ.112). აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ ოსთა დასახლება უფრო ადრე, XIV ს-ში მოხდა საქართველოს იმ ისტორიულ ოლქსა და პროვინციაში, რომელსაც დვალეთი ეწოდებოდა (გვ.112). ამავე პერიოდს (XIV ს) მიაწერს დვალთა დვალეთიდან მიგრაციას კავკასიონის ქედს გადმოლმა (გვ.112). ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ დვალთა კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსახლება მხოლოდ XIV ს-ში არ მოხდა. ისინი შიდა ქართლის მაღალმთიანეთში, დიდი ლიახვის სათავეში განსახლებული ჩანან XIII ს-შიც (იხ. „ძეგლი ერისთავთა"). იმასაც დავსძენთ, რომ საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩანს, რომ დვალეთში ოსთა დაფუძნება ძირითადად XVI სს-ში განხორციელდა და გაოსების პროცესიც დვალეთში დარჩენილი დვალებისა სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა.

ნ. ლომოურის დასკვნით, XVII ს-მდე კავკასიონის ქედის გადმოლმა ოსური დასახლებები „არც ერთი და არანაირი წყაროთი არ არის დადასტურებული" (გვ.113). XVII ს-ში კი ისინი მხოლოდ დიდი ლიახვისა და თერგის სათავეებთან ცხოვრობდნენო. „XVII საუკუნის განმავლობაში და XVIII საუკუნეშიც ოსებს ქართლში ეკავათ მხოლოდ მდინარეების დიდი და პატარა ლიახვების, მეჯუდის, ლეხურის, ქსნის და თერგის სათავეები. არაგვის ხეობაში არ არის დადასტურებული არც ერთი ოსური სოფელი. როგორც ირკვევა, XVIII ს-ის 30-იან წლებში შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები არ არსებობდა„ (გვ.113). იქვე მეცნიერი აღნიშნავს, რომ აღნიშნული დროისათვის „ოსური მოსახლეობა შედარებით კომპაქტურია ლიახვის ზედა წელზე, ხოლო მეჯუდის, ლეხურისა და ქსნის ხეობათა სათავეებში სპორადული, ე.ი. აქაურ ქართულ სოფლებშია გაფანტული" (გვ.113). აქ ავტორი ეყრდნობა ჯ. გვასალიას „მაცნეში" (N 3,1990) დაბეჭდილი სტატიას. ჩვენ არ გაგვაჩნია მასალები, ვახუშტის დროს, მეჯუდას, ლეხურასა და ქსნის ხეობების ქართულ სოფლებში ოსების მკვიდრობა-მოსახლეობის შესახებ. ქსნის ხეობაში XVIII ს-ის 30-იან წლებში ოსებს უკავიათ მხოლოდ მისი სათავე (ჟამური), 9 მთური სოფლით და ჭურთის ხეობის სათავეში — სამი სოფელი. მეჯუდას ხეობის სათავეში ერთი ოსის სოფელი იყო, ისრიელის ხევში — 2. ლეხურას ხეობაში ერთი ოსური სოფელი ჩნდება XVIII-XIX სს. მიჯნაზე.

ნ. ლომოური იზიარებს ჩვენს დასკვნას, რომ ოსები საქართველოს მთისწინეთსა და ბარში ჩამოდიან მხოლოდ XIX ს-ის დასაწყისიდან და მათი ბარში ფართო განსახლება ხდება XIX ს-ის მეორე ნახევარში.

ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს შორის ყველაზე ახალია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში („Этнографическое обозрение", N 3, 1993) დაბეჭდილი გ.ნულაიას სტატია „Осетины в контексте истории Грузии (Домонгольский период)". მიმოიხილავს რა ქართულ და უცხოურ წყაროებს, ავტორი ასკვნის, რომ მონგოლებამდე პერიოდში საქართველოში ოსთა კომპაქტური დასახლებები არ იყო. გ. ნულაიას სიტყვით, დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოსებმა დასახლება დაიწყეს არა უადრეს XIV ს-სა,სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან შეთხელდა მონგოლებთან ბრძოლით (გვ.93). მარალია გ.ნულაია, როდესაც წერს, რომ, ქართული და სომხური წყაროების მონაცემებით მხარის (იგულისხმება გვიან შიდა ქართლის ოსეთით დასახლებული რეგიონი, უფრო ზუსტად დიდი ლიახვის ხეობა -რ.თ.) ტოპონიმია, ქართული ტოპონარმომქმნელი ფორმანტებით, ქართულია, მაგრამ ძნელია მას დაეთანხმო იმაში, რომ უკვე მონგოლების შემდგომ მოხდა აჩაბეთის ტერიტორიაზე, ცხინვალიდან დასავლეთით, ოსური მოსახლეობის ფორმირება თვითმყოფადი ეთნიკულტურული ერთობის ყველა ნიშნით (იქვე). გ.ნულაიას ეს მოსაზრება შეიძლება ითქვას, რომ უდავო კრიტიკას იმსახურებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ზუსტად არაა დაკონკრეტებული დრო — „მონგოლების შემდგომი პერიოდი". მონგოლების შემდგომ პერიოდში შეიძლება მკითხველმა დროის სხვადასხვა მონაკვეთი იგულისხმოს. მაგრამ, როგორც კონტექსტიდან ჩანს, ავტორი ოსთა საქართველოში მიგრაციისა და კომპაქტური ოსური დასახლებების შექმნას XIV ს. უკავშირებს. ავტორის მიერ შემოთავაზებულმა ამ თარიღმა ჩვენში ერთგვარი გაოცება გამოიწვია, რადგან, როგორც ცნობილია, იგი ქართული საისტორიო წყაროების კარგ მცოდნედ ითვლება და როგორც სტატიის დასაწყისში თვითონაც აღნიშნავს, ოსების ისტორიის შესასწავლად ერთადერთი მნიშვნელოვანი წყარო ქართული საისტორიო წყაროებია და მოაქვს კიდევაც ვს. ფ. მილერის ნაშრომებიდან სათანადო ამონაწერები (გვ.83). ყველაზე დიდად გასაოცარი კი ისაა, რომ, როდესაც გ. ნულაია საუბრობს ოსთა შიდა ქართლში მონგოლთა შემდგომ პერიოდში მიგრაციისა და კომპაქტური ოსური დასახლებების შექმნის შესახებ, ის უთითებს ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომს (ქართლის ცხოვრება, ტ.IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1973, გვ.370-371). დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია შეამოწმოს და ნახავს, რომ ქართველ ისტორიკოსს მსგავსი რამ არ უნერია არა მარტო 370-371 გვერდებზე, არამედ არსად.

გ.წულაიას შეეშალა, როდესაც ის ოსთა ცხინვალის დასავლეთით დასახლკარებაზე საუბრობს. საუბარი უნდა იყოს არა ოსთა ცხინვალის დასავლეთით, არამედ ჩრდილოეთით დასახლებაზე.

არ შეიძლება უკრიტიკოდ დავეთანხმოთ გ.წულაიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ I ს. მეფე ადერკის მიერ ქართლის ორ ნაწილად (მტკვრის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად) გაყოფა და შესაბამისად აქ მისი ორი ძის — ბარტომისა და ქართამის მეფეებად დასმა (იხ.ქართლის ცხოვრება, I, გვ.43), თურმე განპირობებული იყო იმით, რომ ქართლის ეს ორი მხარე ეკონომიკური და ეთნიკური განვითარების დონით ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდა (გვ.84). აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე წყარო მას მითითებული არა აქვს. რაც შეეხება სტრაბონის ნაშრომის ირიბად მითითებას, ესეც ვერ შველის საქმეს. სტრაბონი არსად ლაპარაკობს იმაზე, რომ მტკვრის მარჯვენა ნაპირისა და მარცხენა ნაპირის ქართლი ეკონომიკური და ეთნიკური განვითარებით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან (ისტორიკოსებისათვის ცნობილია, რომ სტრაბონი მხოლოდ მთიანი იბერიის ერთგვარ განსხვავებულობაზე ლაპარაკობს ბარის იბერიისაგან). თავი რომ დავანებოთ ეკონომიკურ განვითარების სხვადასხვაობაზე საუბარს, საინტერესოა, ეთნიკური განვითარების სხვადასხვაობაში რას გულისხმობს ავტორი? როგორც მისი მსჯელობიდან ჩანს, იმ დროის ქართლის (იბერიის) ერთ ნაწილში არაქართული ეთნოსი ჭარბობდა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გ. წულაიას ეს მტკიცება ვერავითარ მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს და ამდენი ვარაუდის მეცნიერულ აქსიომად გამოცხადება ისტორიულ მეცნიერებას წინ ვერ სწევს.

ამრიგად, ასეთია ისტორიოგრაფია ოსთა საქართველოში ჩამოსახლება-დასახლკარების შესახებ. როგორც ნაჩვენები იყო, ოსების საქართველოში ჩამოსახლება, თუ არ ჩავთვლით უკანასკნელ ხანს დაბეჭდილ ქართველ ისტორიკოსთა რამდენიმე ნაშრომს, ძირითადად ვარაუდებსა და წარმოდგენებს, სურვილებს ეყრდნობა. ავტორთა დიდი ნაწილი არ ითვალისწინებდა ქართულ საისტორიო წყაროებსა და საბუთებს, ანდა, თუ ითვალისწინებდა, ისინი ხშირ შემთხვევებში ტენდენციურად და არასწორად იკითხებოდა არაქართველი ისტორიკოსების მიერ. ქართული წყაროებისა და მათ კრიტიკული ანალიზის გარეშე ოსთა საქართველოში მიგრაციის შესწავლა წარმოუდგენელია. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ქართული წყაროების, საბუთების გარეშე ვერ დაიწერებოდა ის მოკლე ისტორიაც, რომელიც ოსებს ამჯერად გააჩნიათ.

ისტორიოგრაფიული მიმოხილვის დასასრულს მხოლოდ იმას

ვიტყვით, რომ ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ობიექტური სურათი მოცემულია ქართველი ისტორიკოსების: ვ.გამრეკელის, მ.დუმბაძის, ნ.აფხაზავას, ჯ.გვასალიას, ნ.ლომოურის ნაშრომებში, რომელთაგან განსაკუთრებული სიახლითა და მისაღები დებულებებით უკანასკნელი სამი ავტორი გამოირჩევა.

III. ოსთა საქართველოში მიგრაციის ისტორია

მივყვეთ თანამიმდევრობით. როგორც ზემოთ გვქონდა ნათქვამი, უკანასკნელ ხანს ზოგიერთი ოსი ისტორიკოსი და არქეოლოგი ოსების საქართველოში მიგრაციის უძველესი დროიდანვე დამტკიცებას „ცდილობს" არქეოლოგიური მასალით. უნდა შევნიშნოთ, რომ მხოლოდ არქეოლოგიური მასალით ხალხთა ეთნიკური ისტორიისა და ეთნოისტორიული საკითხების კვლევა ერთობ სათუოა, თუ ის შემაგრებული არ არის სათანადო სხვა საისტორიო მონაცემებით (წერილობითი წყაროები). ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს დღევანდელი ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში აღმოჩენილი ე.წ. „ყობანური კულტურა" ოსი ანდა მათი წინაპარი ალანების კულტურად წარმოიდგინოს. ცნობილია, რომ ყობანურ კულტურას ეს სახელწოდება მიეკუთვნა იმიტომ, რომ ის პირველად აღმოჩნდა ჩრდილოეთ ოსეთში (ყობანში) და არა იმიტომ, რომ ის დღევანდელ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსთა წინაპრების შემოქმედებაა. ცნობილია, რომ ყობანურ კულტურასთან ძალიან დიდ სიახლოვესა და მსგავსებას იჩენ ს კოლხური კულტურა. ასე, რომ არქეოლოგიური კულტურა პირველად კოლხეთში რომ აღმოჩენილიყო, რა თქმა უნდა, მას საერთოდ სხვა სახელი ეწოდებოდა და არა „ყობანური". ამასთანავე, და ყველა საისტორიო მონაცემებით, ყობანური კულტურის შექმნისა და მის მომდევნო ეპოქებშიც, ოსთა წინაპრები კავკასიის მთებში არ ცხოვრობდნენ. აღნიშნული დროისათვის ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ველებშიც კი არ იყვნენ განსახლებულნი. ყობანური კულტურა კი ადგილობრივი კავკასიური ტომების შემოქმედებაა. ყობანური კულტურის (რომელიც გავრცელებული იყო ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში) ქრონოლოგია ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით შემოიფარგლება. ყობანური კულტურის სამარხეული კომპლექსები პირველად აღმოჩნდა ჩრდილოეთ კავკასიის სოფ. ყობანში **1869** წელს. მალალმთიან ზონაში მიცვალებულები ქვაყუთებში არიან დაკრძალული, მთისწინა ზოლში — ქვებით შემოწყობილ ორმოსამარხში. ბევრი არქეოლოგი თვლის, რომ ყობანური და კოლხური კულტურები ერთგვაროვანია (ბ.კუფტინი) და რომ ყობანური კულტურის ცენტრი კოლხეთია (ა.იესენი, ი.მეშჩანინოვი, მ.ივაშენკო, ლ.მუსხელიშვილი). არცერთი საისტორიო წყაროთი არ მტკიცდება, რომ ირანულენოვანი ტომები პირველი ათასწლეულის I ნახევარში კავკასიის მთიანეთში ცხოვრობდნენ. ცნობილია, რომ დღევანდელ ოსთა წინაპრებად მიჩნეული ალანები მხოლოდ ძვ.წ. I ს-დან დასახლდნენ აზოვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის ველებში, დნეპრის ქვემო წელსა და სამხრეთ ურალს შორის. ასე, რომ არა

მარტო I ათასწლეულის I ნახევარში, არამედ ძვ.წ.I საუკუნეშიც კი გამორიცხულია ოსთა წინაპარ ე.წ. ალანების ჩრდილოეთ კავკასიის მთა-მთისწინეთში მკვიდრობა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ოსი ისტორიკოსი ცდილობს დაამტკიცოს ალანების ცენტრალური კავკასიის მთიან ნაწილში მკვიდრობა, მათი ეს ცდები მხოლოდ სურვილს წარმოადგენს (ი.გაგლოითი, გ.თოგოშვილი. ამ უკანასკნელის წიგნი, 1958, გვ.37), რადგან კონკრეტული საისტორიო მასალით ეს არ მტკიცდება.

ზოგიერთი არქეოლოგი ალანთა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დამკვიდრებას VI ს-დან ვარაუდობს (ვინოგრადოვი; მოგვაქვს ნ.აფხაზავას ნაშრომიდან, გვ.21-22). ნ.აფხაზავამ სათანადო არქეოლოგიურ და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით აჩვენა, რომ არავითარი კავშირი არა აქვთ ალან-ოსებს ყობანურ კულტურასთან, რომ ალან-ოსები აქ გვიან არიან მოსული, ყობანური კულტურა კი ადგილობრივ კავკასიელთა შემოქმედებაა (გვ.22).

ოსი ავტორები „ცდილობენ", რომ ოსთა წინაპრების მკვიდრობა ჩრდილოეთ კავკასიის ველებსა და მთებში პარალელურად წარმოიდგინონ, რის დამტკიცებასაც ვერ ახერხებენ. თავიანთი ხალხის ისტორიის მრავალ ასპექტს ისინი თხზავენ. ვარაუდები კი ნამდვილ ისტორიას არ წარმოადგენს. მონგოლთა შემოსევებამდე ოსთა წინაპრების ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა და მთის ზოლში მკვიდრობა გამორიცხულია. ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ მოიტანს იმის დამამტკიცებელ მასალას, რომ ალან-ოსები XIII ს-მდე კავკასიის მთა-მთისწინეთში ცხოვრობდნენ. ცენტრალური კავკასიის მთა-მთისწინეთი აღნიშნულ პერიოდამდე ადგილობრივი კავკასიური ტომებით, ძირითადად ვაინახებით იყო დასახლებული. მის გარკვეულ მონაკვეთში — დვალეთში ქართველური ტომები მკვიდრობდნენ. სწორედ აქ, ჩრდილოეთ კავკასიის მთა-მთისწინეთში ირანულენოვანი ოსების შემოსვლით მოხდა მათი შერევა კავკასიელებთან და მოსულთა მიერ ადგილობრივთა ასიმილაცია. აღნიშნულ პერიოდში ალანების ჩრდილოეთ კავკასიის მთა-მთისწინეთში შემოსახლებით ჩამოყალიბდა ოსი ხალხი. მონგოლთა თავდასხმებს გადარჩენილი ალან-ოსების ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შეხიზვნა კარგადაა ნაჩვენები თვით ოს ავტორებთან (იხ. П.Б. Берозов, Переселение осетин с гор на плоскость XVIII-XX вв. 1980, с. 8-16). XIII ს-ში მონგოლთა ურდოების გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ ალან-ოსების დიდი ნაწილი ამოწყვეტილი იქნა, ნაწილი ევროპისაკენ (ბალკანეთი, უნგრეთი) გაიფანტა და მხოლოდ მცირე ნაწილი შევიდა კავკასიის მთებში. ოსთა წინაპრების კავკასიის მთებში შეხიზვნა ერთჯერადი პროცესი არ ყოფილა. გადარჩენილი ნაწილი საბოლოოდ დამკვიდრდა კავკასიის მთებში XIV ს-ის ბოლოსა და XV ს-ის დასაწყისში

(ბერიზოვი, გვ.8). უმჯობესია ვახუშტი ბაგრატიონს მოკუსმინოთ: „სახელი ესენი ეწოდნენ ანუ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყაენთა მოსვლისა, ბათო ყაენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოკრნა, **ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა, და ინოდნენ სახელითა მათითა ქეობანი.** ესენი ესრეთ, ვითარცა, აჩენს გუარნი მათნი, რამეთუ უწარჩინებულესნი გვარით არიან ოვსნი, და გუარიანი ოვსთანი ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქეზიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახელიძე. **ხოლო შემდგომად მოოკრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიათა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად"** (ვახუშტი, გვ.633-634).

„ხოლო მოსვლასა თათართასა ჩინგიზ ყაენთაგან, და უმეტეს ბათოსა, და ორხანისაგან მოისრნენ და მოოკრდნენ ქალაქნი, და შენობანი მათნი, და მეფობა ოვსთა იქმნა მთავრობად, და შემოივლტოდნენ ოვსნი ამ კავკასიათა შ ~ ა, და უმეტესად, უდაბნო იქმნენ, ვ ~ ა არს დღეს ჩერქეზი. და კ ~ დ შ ~ დ მოსვლისა ლანქთემურისა და აღებისა კონსტანტინეპოლისა, ემძლავრენ ოვსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანქთემურის ელნი მაპმადიანნი, და შემოივლტოდნენ კავკასიასა შ ~ ა, და დაიპყრეს კავკასთა ნათესავნი, რ ~ ლ არიან დუალნი, და ოვსეთს მიერით ეწოდა ჩერქეზი, ანუ ყაბარდო..." (ვახუშტი,გვ.654-655).

ამრიგად , ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესვლა ერთჯერადი პროცესი არ ყოფილა. წერილობითი წყაროებით ოსთა ბარიდან მთებში შესვლა თუ ახ.წ. XIII-XIV სს-ით თარიღდება, არქეოლოგები ამ პროცესს ცოტა სიღრმეში ვარაუდობენ. როგორც ცნობილია, 370 წელს დონისპირეთში, აზოვისპირეთში და ჩრდილოეთ კავკასიის ველებში მომთაბარე ალანები განადგურებულ იქნენ. გადარჩენილი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ დაიძრა. არქეოლოგიური მონაცემებით, ამ დროიდან, ჩრდილოეთ კავკასიის სიღრმისაკენ (მთისწინა ველებში) დასახლებული ალანები საბოლოოდ გადადიან ბინადარ ცხოვრებაზე. არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი ყველა კატაკომბური სამაროვანი თარიღდება V-X სს-ით. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ამ დროის ზდება ალანთა შეჭრა ცენტრალური კავკასიის მთისწინა და მთიან ზოლში (მაგალითად, კუზნეცოვი — В.А. Кузнецов, Аланские племена Северного Кавказа, МИА. ст. 117-118. მოტანილი გვაქვს ნ. აფხაზავა-ნაშრომიდან). სხვა არქეოლოგები უფრო აზუსტებენ ამ პროცესის ქრონოლოგიას. კოვალევსკაიას მონაცემებით, VI-VII სს-ში ალანური სამაროვნები პიატიგორსკის მიდამოებში და მთისწინეთში დომინირებს და მხოლოდ VIII-IX სს-ში ჩნდება მთიანეთში (ნ.აფხაზავა, გვ.27).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი ოსი მეცნიერი ოსთა არა

მარტო ჩრდილეოთ კავკასიის მთებში, არამედ საქართველოს მთიანეთში მიგრაციას ჰუნთა შემოსევას უკავშირებდა; ვარაუდობდა და შემდეგ ამ ვარაუდს აქსიომის სახეს აძლევდა (კალოევი). საისტორიო წყაროებს რომ თავი დავანებოთ, არც ძველი წელთაღრიცხვით და ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ოსთა მკვიდრობის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალაც კი არ არსებობს არა მარტო კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, არამედ მის ჩრდილოეთ ფერდობებზეც.

თუმცა ოსი მეცნიერები არ ცხრებიან და ახალ-ახალ თარიღებს გვთავაზობენ. ერთი-ერთი ასეთია არქეოლოგი რ.ძათიათი, რომელმაც საქართველოს მთიანეთში ოსთა წინაპრების-ალანების მკვიდრობის ფაქტი VI-VII სს-დან „დაადასტურა". ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. აქამდე მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო ისტორიაში ცნობილი ალანთა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე — კოდორის ხეობაში ექსპანსიისა (დ. მუსხელიშვილი). დ. მუსხელიშვილი წერს: „... ალან-ოხთა ექსპანსიას ოდესღაც კოდორის სათავეებში ჰქონია ადგილი, ამას თეოდოსი განგრელის გარდა სრულიად სხვა წყაროებიც მოწმობს. კერძოდ, ამის მოწმობა უნდა იყოს კოდორის სათავეში, მდ.კლიჩის და მდინარე საკენის შესართავთან არსებული სოფელი „ალანდა" (დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II,თბ., 1980, გვ.). ოღონდ, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ აქ საუბარია ალანთა .დასავლეთ საქართველოს მცირე მონაკვეთზე (აფხაზეთის ერთი ხეობის სათავეში) შემოღნევა-ექსპანსიის ერთ მცირე ეპიზოდზე და არა მათ მასიურ განფენაზე საერთოდ დასავლეთ საქართველოში და თუგინდ მთლიანად კოდორის ხეობაში. ასეთი მცირე შეღნევა-ექსპანსიები ერთი ხალხისა მეორე ხალხში ერთი და ორი როდი იცის მსოფლიო ისტორიამ. ისიც ცნობილია, რომ ასეთი ექსპანსიები ქვეყნის ეთნიკურ რუკას როდი ცვლიდა. ასე მოხდა კოდორის ხეობაშიც. სხვა ეთნიკურ გარემოში აქ შემოღწეულმა ალანთა მცირე ჯგუფმა ეთნიკურად სახე როდი უცვალა კოდორის ხეობას. მოსული ალანთა ეთნიკური ერთეული, როგორც ტოპონიმზე დაკვირვება გვიჩვენებს, ადგილზე დარჩა და ასიმილირებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ შემდეგზეც: მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სწორედ აქ, კოდორის სათავეებში, უნდა მომხდარიყო ენობრივი ურთიერთგავლენა ალანურისა და მეგრულ-სვანურისა (აფხაზავა, გვ.29), რაზედაც, თავის დროზე ვ.აბაევი უსვამდა ხაზს. ვ.აბაევს ასეთი კონტაქტების ხანად მეგრულისა და ალანურისა მიაჩნდა XIV ს-მდე პერიოდი (ვ.აბაევი, 1949, გვ.323-330). ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ერთი, მხრივ ალანურისა და, მეორე მხრივ, მეგრულ-სვანურის ენობრივი კონტაქტების გეოგრაფიულ არედ

კოდორის ხეობის მიჩნევას. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კოდორის ხეობაში შემოღწეულმა ალანთა მცირე ნაწილმა ეთნიკური ასიმილაცია განიცადა და შემოღწეული ეთნოსის მცირე ნაწილი რაიმე მნიშვნელოვან ენობრივ გავლენას ვერ მოახდენდა ვრცელ სვანურ და მეგრულ ენობრივ სამყაროზე. მეორე, ენობრივი კონტაქტების გავლენა დიდია მეგრულისა და სვანურისა ოსურზე. მოსული და ასიმილირებული ეთნიკური ერთეული ალანურ-ოსურ სამყაროში ვერ შეიტანდა მეგრულისა და სვანურის ენობრივ ელემენტებს. ჩვენი აზრით, მეგრულ-სვანური ენებისა და ოსურის ენობრივი კონტაქტები უნდა განხორციელებულიყო ცენტრალურ კავკასიაში დვალეთში, სადაც XV-XVI საუკუნეებში შემოსულმა ოსურმა ეთნიკურმა ერთეულმა ბევრი რამ შეითვისა დვალური ენიდან. დვალები კი, როგორც აღვნიშნეთ, დასავლურქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო. ოსურს ასევე კონტაქტები უნდა ჰქონოდა სვანურთან მთიანი რაჭის მეშვეობით. მთიანი რაჭა კი, როგორც ცნობილია, XV ს-მდე სვანებით იყო დასახლებული-გლოლა-ჭიორა-ღები კი უშუალოდ დაკავშირებულია დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის და ისტორიული დვალეთის ეღელეს ხეობასთან. ეს კონტაქტები მთიან რაჭას დიგორთანაც ჰქონდა.

დავუბრუნდეთ ისევ ახალ თარიღს, ალანთა შიდა ქართლის მთიანეთში VI-VII სს-ში დასახლების შესახებ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძათიათი თავისი ნააზრევის გამოქვეყნებისას მხოლოდ სამეცნიერო პუბლიკაციით როდი დაკმაყოფილდა. მან მრავალტირაჟიანი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „Природа"-ს ფურცლებიდანაც ამცნო მკითხველს თავისი ნააზრევი („Тайны городища царциатов", „Природа", N10, 1986). ძათიათზე ადრე, არქეოლოგიური მასალის აღნიშნული თვალსაზრისით გამოყენება სცადა ბ.ტეხოვმაც (Б.В. Техов, Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971),რომელმაც დიდი ლიახვის ხეობაში (სოფ. სტრიფაზში) გათხრილი I-VIII სს. სამაროვნები ოს ტომებს დაუკავშირა, ჯერ მხოლოდ სოფლის სახელის მიხედვით და შემდეგ ზოგიერთი არქეოლოგიური სამეცნიერო ნაშრომის დამახინჯებული ციტირებით, რაზედაც კარგად მიუთითა არქეოლოგმა ნ.აფხაზავამ (გვ.31). ნ. აფხაზავა წერს: „ამდენად ბ.ტეხოვის მითითება გ.ლომთათიძის ნაშრომზე არაზუსტი და შეცდომაში შემყვანია. უნდა ითქვას, რომ მის მიერ გამოქვეყნებული I-VIII საუკუნეთა 80-ზე მეტი სამარხიდან გამომდინარე აბსოლუტური უმრავლესობა ინფორმაციისა (ისტორიული ინფორმაციისა) ადგილობრივ, წმინდა იბერიულ „სოფლურ კულურაზე" მიგვითითებს. მათში უცხო ელემენტები იშვიათია და ისინი საერთო სურათს ოდნავადაც ვერ ცვლიან. მაგ., ერთ-ერთი

„Кувшинчик аланского типа". მართლაც, ასეთი ჭურჭელი დამახასიათებელია „ალანური კულტურის" აღმოსავლური ვარიანტისათვის. რაგრამ განა შეიძლება ერთი (ან თუნდაც 10) ჭურჭლით მთელი მხარის ეთნიკურ კუთვნილებაზე საუბარი? რუთხასა და კუმბულთაში აღმოჩენილია IV ს-ის „მსხლისებური" ნაპრიალები ქართული ჭურჭელი (3 ცალი). შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ მათ მიხედვით იქ ქართველთა არსებობა? ავტორის მიხედვით, ერთ-ერთ ინდივიდს თავის ქალა ხელოვნურად ჰქონდა დეფორმირებული. ასეთი ცალკეული შემთხვევები ცნობილია სხვა ქართული ძეგლებიდანაც. წილკნის აკლდამა, ქვემო ალევი, ნაბაღრევი, ალაიანი, სანთაში, არის მინგეჩაურშიც. ბ.ტეხოვი მას ალანთა ეთნიკურ ნიშნად მიიჩნევს" (გვ.34). ნ.აფხაზავას ბ.ტეხოვის მოსაზრების გასაბათილებლად სხვა არაერთი არქეოლოგიური მონაცემებიც მოყავს და ასკვნის, რომ „ყველა ნიშნით სტრიფაზის სამაროვანი შესანიშნავი ქართული ძეგლია. იგი ასახავს I-VIII საუკუნეთა ქართლის მთის სოფლის ცხოვრებას. რაც მთავარია, იგი ერთი ეთნიკური კოლექტივის დანატოვარია, რომლის აქ ყოფნა უწყვეტია თითქმის 8 საუკუნის მანძილზე" (გვ.36).

ახლა ზემოთ ხსენებულ ძათიათის ნაშრომზე. გადმოგცემთ ჟურნალ „Природа"-ში გამოქვეყნებული ტექსტის შინაარსს. ძათიათის აზრით, ოსთა ამიერკავკასიაში (მიაქციეთ ყურადღება! არა, საქართველოში. ის და ბევრი სხვაც სპეციალურად არ ხმარობენ ტერმინ „საქართველოს") მიგრაცია ფაქტია, მაგრამ როდის? რატომ? ამის შესახებ წერილობითი წყაროები თურმე დუმან. ამის გამო ის (ძათიათი) მიმართავს არქეოლოგიურ მასალას. ესაა ლიახვის ხეობის სათავეში, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მდებარე სოფ.ედისში აღმოჩენილი შუა საუკუნეების ნაქალაქარი, ე.ნ. „ცარციათების ქალაქი". ედისის სამაროვანში მოპოვებული მონეტები მას ათარიღებენ VI ს-ის ბოლოთი და VII ს-ის დასაწყისით. ძათიათით, დაკრძალვის წესი, სამარხის მოწყობილობა და მათში ნაპოვნი საგნები არაა დამახასიათებელი ამიერკავკასიისათვის და ყველაფერს ამას ანალოგია ჰქონია ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ვრცელ ტერიტორიაზე ადრეულ შუა საუკუნეებში ცხოვრობდნენ ტომები, რომლებიც ძველ რომაულ და სომხურ წყაროებში ცნობილი არიან ალანების სახელწოდებით. ალანები კი დღევანდელი ოსების წინაპრები არიანო. ედისის სამაროვანია ეთნიკური მიკუთვნებულობის დადგენისათვის ძათიათისათვის განმსაზღვრელია ის, რომ ალანურ სამაროვნებში ხშირად პოულობენ დეფორმირებული თავის ქალებს. ხუთი ასეთი დეფორმირებული თავის ქალა მას უპოვნია ედისის სამაროვანში. აქედან გამომდინარე ასკვნის, რომ ედისის სამაროვანი ალანთა დანატოვარია. მაგრამ, ხომ შეიძლება ძათიათს ვინმე შეედავოს: რამ აიძულა

სტეპებში მცხოვრები ალანები დაეკავებინათ ცენტრალური კავკასიის მაღალმთიანეთის მწირი და ცხოვრებისათვის მძიმე ტერიტორია? **(დავაკვირდეთ, ძათიათი აღიარებს, რომ VI-VII სს. ალანები ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში არ ცხოვრობენ. ისინი „სტეპნიაკები" არიან და მხოლოდ მთისწინეთსა და ბარში მოსახლეობენ!).** სამაროვანი თუ დათარიღდებოდა IV-V საუკუნეებით, მაშინ ვივარაუდებდით, რომ ალანები ამ ადგილებში მოვიდნენ, რათა ჰუნთა თავდასხმებისაგან დაიცვან თავი. მაგრამ საუბარია VI-VII საუკუნეებზეო, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე განსაკუთრებული ცვლილებები არ ხდებოდაო. ძათიათი გამოსავალს პოულობს, ვარაუდის დაშვება ხომ შეიძლება და შემდეგ ამ ვარაუდის აქსიომად, ჭეშმარიტებად გამოცხადება. ის ასკვნის: „Вполне вероятно, что аланы были наняты или приглашены нести зонную службу на трассе торгового и военного пути. Селение Еднс, кстати, находится у перевала Куласан..."ალანები კი სპარსელების მიერ ყოფილან დაქირავებული სამხედრო სამსახურისათვის. სწორედ ამ დროს საქართველოში სასანიდების ხელისუფლბამ მიაღწია უმაღლეს აყვავებასო. VII ს-ის დასაწყისში საქართველომ გადაიგდო სასანიდების უღელი და მოიპოვა დამოუკიდებლობაო. ამ დროს შეწყდა ედისის სამაროვანში ალანთა დაკრძალვა. ალანები ამის შემდეგ საქართველოს ბარში დაეშვნენ, თუ ჩრდილოეთ კავკასიაში უკან გადასახლდნენ, ამას მომავალი კვლევა-ძიება დაადგენსო. საბოლოოდ ასკვნის, რომ „Можно утверждать, что первое проникновение алан-предков современных осетин в Закавказье произошло не в XIII-XIV вв., как это до сих пор считалось, а значительно раньше в VI-VIIвв".

ამრიგად, ძათიათის მტკიცებით, ალანთა (ოსების წინაპართა) საქართველოში შემოღწევა (შემოსვლა) მოხდა VI-VII საუკუნეებში. შიდა ქართლის მაღალმთიანეთში ალან-ოსებს VI-VII სს-ში შექმნილი პქონდათ მუდმივი დასახლება, თუმცა თვით, ძათიათის აღნიშვნით, ეს მუდმივი დასახლება მოშლილა.

ძათიათის მსჯელობის შესახებ ისევ არქეოლოგს და ისევ ნ.აფხაზავას მოვუსმინოთ: „თუ მას (ედისში მოპოვებულ არქეოლოგიურ მონაპოვარს -რ.თ.) თავის ადგილს მოვუძებნით და ადრე შუასაუკუნეების ქართლის ნივთიერ კულტურას შევადარებთ, მივიღებთ სრულიად შებრუნებულ სურათს. იგი იდენტურია ქართლური მასალისა (ურბნისი, მცხეთა, რუსთავი და სხვა) და არა ჩრდილოეთკავკასიურისა. ეს ითქმის, როგორც გლიპტიკაზე, ისე მშვილდსაკინძებზე, საკინძებზე, ბეჭდებზე, ქამრის დეტალებზე, საყურეებზე და სხვ. სხვათა შორის, ამაზ მეტყველებს მის მიერ მითითებული

ანალოგიებიც, რომელთა შორის უმეტესად ქართული ძეგლებია დასახელებული. სხვანაირად შეუძლებელი იყო, რადგან ერთადერთი აქ აღმოჩენილი ნივთი, რომელსაც ქართულ მასალაში ანალოგი არ მოეძებნება (ყოველ შემთხვევაში, პირადად ჩემთვის ცნობილია) არის ბინის ფურცელი (Бакал-каркезиулс) — სკოლიოში: „ანალოგები არც ჩრდ.კავკასიაშია. რომც იყოს, ნათელია, ადგილობრივი ნაწარმი არ იქნება. საინტერესოა, რომ თვით დაკრძალვის წესის ელემენტებით ედისის სამაროვანი ფაქტიურად ქრისტიანულია. სამარხი ორმოები მოგრძო ოთხკუთხაა, დამბრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. მიცვალებულები თავით ყოველთვის დასავლეთით წვანან და კარგად დაფიქსირებულ შემთხვევებში გაშოტილადაც კი. ამასთან სამარხები კოლექტიურია. იგი სრულიად შეესაბამება დაკრძალვის წესს, გაბატონებულს V-VII სს. იბერიაში. მონაცემები დაკრძალვის წესისა შესაძლოა მატერიალური დადასტურება იყოს იმ ცნობისა, რომ დავით გარეჯელის მონაფეები„ „... რომელიმე მათგანი კახეთის საზღვართა მიწართ მიიწვიეს, ხოლო სხვანი მთის კერძოთ დუალეთისა მკვიდრთა მიმართ". ეს ხდება VI ს-ის შუა წლებში და ამ მხრივაც მას სრულიად შეესატყვისება ედისის სამაროვანის მონაცემები. აღსანიშნავია, რომ იმავე წელს გამოცემულ სტატიაში (ჟურნალი „პრიროდა", N 10, 1986, გვ. 78) ჯატიევი უბრალოდ ტყუის, რომ თითქოს „დაკრძალვის წესი, სამარხის მონყობილობა და მათში აღმოჩენილი მრავალი ნივთი არაა დამახასიათებელი ამიერკავკასიისათვის. შემდეგი ტყუილი ისაა, რომ ჯატიევმა იცის ალამურობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი კატაკომბური სამარხი (ყოველ შემთხვევაში, ამ დროის, V-VII სს.), ედისში კი ორმოსამარხები გაკვლეს. ჯატიევი ამის მიზეზად ქვია გრუნტს ასახელებს; ქვაში ძნელი იყო კატაკომბების გამოკვეთა. ჩრდილო კავკასიაში სწორედ ადრეულ შუასაუკუნეებში, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული კლდის კატაკომბები. ამრიგად, გრუნტის „ხარისხი" არაფერ შუაშია. უბრალოდ, ედისის სამაროვანზე ქრისტიანი ქართველები განისვენებენ, წინაპრები XIV ს-ის დიდი მოლვაწის ნიკოლოზ დვალისა, რომელთა „გაალანება" სურს ძათიათის ნებისმიერი ხერხებით" (ნ.აფხაზავა, გვ.37-39).

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია. ვერც ერთი ოსი არქეოლოგი, ვერანაირი არქეოლოგიური მასალით, ვერ ადასტურებს საქართველოში (ისინი რომ დაბეჯითებით „ზაკავკაზიეს" უწოდებენ) ალანთა (ოსთა) გადმოსახლებისა, შეჭიოლწვის, თუ დამკვიდრების ფაქტებს მთელი ადრე შუა საუკუნეების მანძილზე. ასე, რომ, აღნიშნულ პერიოდში, საქართველოს ტერიტორიაზე ალანთა ჩამოსახლება არ მომხდარა. შიდა ქართლის მთიანეთი ყველა წერილობითი წყაროთი და არქეოლოგიური მასალით ქართველი მთიელებით იყო დასახლებული. ოსთა რაიმე მნიშვნელოვანი მასის საქართველოში შემოსას-

ვლელად ქართულ სახელმწიფოს მტკიცედ ჰქონდა ჩაკეტილი დარიალისა და კასრის კარები, რომლებიც (ორივე) კავკასიონის მთავარიქედის გადაღმა არსებულ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობდა.

აღნიშნულ დროს ოსები, მართალია, იხსენიებიან ქართულ საისტორიო წყაროებში, მაგრამ არა როგორც ჩვენში შემოსულ-დასახლებულები, არამედ ხან სამხედრო მოკავშირეები და ხანაც ძარცვაგლეჯის მიზნით შემოსულები. მაგალითად, ძვ. წ. IIIს-ში ქართლის მეფე ფარნავაზს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ოსებთან. ფარნავაზს აზოს განდევნაში ეხმარებიან „ოვსნი და ლეკნი" (ქც. I, გვ.23, სინ.ტ.I, გვ.462). ლეონტი მროველი ქართველთა ოსებთან ურთიერთობის შესახებ მიუთითებს ფარნავაზის ძე საურმაგის დროს. საურმაგ მეფეს, როცა ქართლის ერისთავები 'განუდგნენ, „მაშინ საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა, მამისა დისწულსა მისსა, და ითხოვა შეწევნა. ხოლო იგი სიხარულით წარვიდა შუელად მისა, და საურმაგ შეიკრიბა დურძუკეთიცა, და წარმოემართა ქართველთა ზედა. და ვერვინ წინააღუდგა მას. და დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილი მისნი" (ქც.I, გვ.27). ქართლის ცხოვრების მიხედვით, აშკარაა, რომ საურმაგი თავის ხელისუფლებას იბრუნებს უცხო ლაშქარზე დაყრდნობით. ეს უცხო ლაშქარი კი წყაროს მიხედვით ოსებისა და დურძუკებისაგან შედგებოდა. წყაროდან ისიც ჩანს, რომ ამ ბძოლაში გადამწყვეტი სიტყვა დურძუკებს უთქვამთ, რის სანაცვლოდაც საურმაგი მათ საქართველოს მთიანეთში ასახლებს: „ხოლო ტყუენვასა მას ხაზართასა ყოველნივე მშჯდობით დარჩოილ იყვნეს, სიმაგრისაგან ქვეყნისა, და ვერღარა იტევდა დურძუკეთი. მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი..." (ქც.I, დგ.27).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მეფე საურმაგს საომარ ოპერაციებში დურძუკებთან ერთად, ოსებიც ეხმარებოდნენ, ქართველი მემატიანე საქართველოს მთიანეთში მხოლოდ დურძუკთა გადმოსახლების შესახებ ლაპარაკობს და იმასაც აღნიშნავს, რომ მათი ქვეყანა მჭიდროდ დასახლებული იყო („... და ველარა იტევდა დურძუკეთი").

ჩვენი აზრით, „ქართლის ცხოვრებაში" ფიქსირებული ეს ცნობა, დურძუკთა საქართველოს მთიანეთში გადმოსახლების შესახებ სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს და ჩვენი მთის რეგიონებში ზოგიერთი ვაინახური ტოპონიმის არსებობა ამის გამოძახილი უნდა იყოს. გადმოსახლებული დურძუკნი, ფაქტია, რომ ქართულ ეთნიკურ-კულტურულ სამყაროში მალე იქნენ ასიმილირებულნი. ასე, რომ ლეონტი მროველი არაფერს გვაუწყებს საქართველოში, საურმაგის დროს,

ოსთა მიგრაციის შესახებ. იმ დროის ქართლთან მათი ურთიერთობა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით გამოიხატებოდა.

ლეონტი მროველის შემდეგი ცნობა, ოსების შესახებ, ისევ მათ სამხედრო მოკავშირეობას შეეხება ქართლთან I ს-ის 70-80-იან წლებში. ამ დროს ქართლი ორად იყო გაყოფილი, სადაც ორი მეფე, აზორკი და არმაზელი, მეფობდა. მათ სომხების მიერ მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად მოუხმეს ოსებსა და ლეკებს: „მაშინ ამათ მეფეთა ქართლისათა აზორკ და არმაზელ მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა, და გარდმოიყვანეს ოვსთა მეფენი, ძმანი გოლიათნი, სახელით ბაზუკ და აბაზუკ, სპითა ოვსეთისათა. და მათ გარდმოიტანნეს თანა ჰჭანიკნი და ჯიქნი. და გარდმოვიდა მეფე ლეკთა და გარდმოიტანნა დურძუკნი და დიდონი". (ქც. I, გვ.45). ქართველთა და მთიელთა ეს ლაშქარი სომხეთში შეიჭრა და ააოხრეს მისი რამდენიმე პროვინცია (შირაქი, ვანანდი, დაშტი...). გამარჯვებულები დიდი ნადავლით დაბრუნდნენ და კამბეჩოვანში, მდ.იორზე დაიბანაკეს. აქ დაბანაკებულ ქართველთა და მთიელთა გამარჯვებულ ლაშქარს დაეწია სომეხთა მეფე სამბატი. სომხებმა გაიმარჯვეს და ოსთა ორივე მეფე მოკლეს. მთიელები გაიქცეს (ქც, I, გვ.45-47; სინ.I, გვ.518).

აქ ერთ რამეს უნდა გაესვას ხაზი, რომ ჩრდილოეთ კავკასიელებსა და მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის ველებში მცხოვრებ ოსებსა და სხვებს, ქართველთა და სომეხთა შორის დავაში, სრულიადაც არ ჰქონდათ პოლიტიკური მიზნები. ქართლის მესვეურნი სომეხთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩრდილოეთ კავკასიელებს ქირაობდნენ, რადგან ამ უკანასკნელთა თავის რჩენის ერთ-ერთი საშუალება ომებში მონაწილეობა და ლაშქრობა იყო. ლეონტი მროველიც ხომ ამბობს: „აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ და აღივსეს ყოველითვე ხუასტაგითა". გ.თოგოშვილი წერდა: „... ალან-ოსები თავის გამორჩენის დროიდანვე ამიერკავკასიის მდიდარი ქვეყნების მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ. მათ აქ აინტერესებთ ნადავლი, ტყვეები, ქირა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. იბერია თავისი ხელსაყრელი მდებარეობით, — გადმოსასვლელი გზების მის ხელში არსებობით, აარგებლობს და არამარტო იზღვევს თავს ალანთა მოულოდნელი შემოჭრისაგან, არამედ მათ მახვილს თავის მტრების წინააღმდეგ მიმართავს " (გ.თოგოშვილი, 1959, გვ.74).

თუ მივყვებით „ქართლის ცხოვრებას", ჩანს, რომ ცოტა ხნის შემდეგ, II ს-ის დასასრულს, მეფე ამაზასპის დროს ქართველთა ურთიერთობა იცვლება. ოსები ქართლს ესხმიან თავს: „ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქუელისა. და ამისსა მეფობასა გარდმოვიდნენ ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა.ხოლო ვერ იგრძნა ამაზასპ მეფემან გარდმოსვლა ოვსთა ვიდრე გარდმოვლამდე მთის. მოვიდეს ოვსნი და დადგეს ლიახუსა

ზედა რვა· დღე განსუენებამდე და არა სადა განვიდა მარბიელი, რამეთუ ქალაქისა მცხეთისა შემუსვრად მოსრულ იყვნეს" (ქც. I,გვ.55). ოსები დამარცხებულ იქნენ: „და სხუათაცა ბუმბერაზთა ამაზასპიხა მოკლნეს ბუმბერაზნი მრავალნი ოვსთანი; და დასდვეს დიდი ვნება ოვსთა ზედა". „და განვიდა და დაესხა ოვსთა, განთიადისა ჟამსა, მჯედრითა და ქუეთითა ყოვლითა, სძლია და აოტა ბანაკი მათი, და მოკლა მეფე ოვსთა, და მოსრნა ყოველი სიმრავლე მათი" (ქც. გვ.56).

ამრიგად, ამაზასპის დროს ქართლში შემოჭრილი ოსები მარცხდებიან და არა მარტო მარცხდებიან, მათი ხელმეორედ შემოჭრის თავიდან ასაცილებლად ამაზასპი ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის და იქაც უსწორდება მათ: „და წელსა მეორესა მოირთო ძალი სომხითით, და შეკრიბა სპანი თჳსნი ყოველნი, და გარდავიდა ოვსეთს და ვერ-ვინ წინაღუდგა და მოტყუენა ოვსნი, და მოვიდა შინ გამარჯჳებული" (ქც. გვ.57). ქართლის ძარცვის შემდეგი სურვილი ოსებს ამაზასპმა ამით მოუსპო. ოსეთში მისი ლაშქრობა და გამარჯჳებული დაბრუნება, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელი გზების საგულდაგულო ჩაკეტვასაც გულისხმობდა.

ოსები შემდეგაც აგრძელებენ იგივე პოლიტიკას. მირიან მეფის დროსაც შემოსევიან ქართლს. ლეონტი მროველი წერს: „ხოლო ვიდრეღა მირიან ჯერეთ იყო მუნ, გარდმოვიდეს ოვსთა ფერეშ და კავტია და განრყუნეს ქართლი. ხოლო მირიან გარეს-გარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუენა ოვსეთი და მოუნია ხაზარეთამდი, და გარდამოვლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა" (ქც.I, გვ.67-68).

V ს-ში, ვახტანგ გორგასლის მცირეწლოვნობის დროსაც, დაულაშქრავთ ოსებს ქართლი: „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდმოვდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ, ვიდრე ხუნანამდე, და მოაოჭრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს,თჳნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს და ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი რომელ დაურჩეს წარუტყუენველად ჴევნი ქართლისანი, კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი, ჩავლეს რანისა და მოვაკანისა, წარტყუენეს იგიცა და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თჳთ გზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯჳებულნი" (ქც.I, გვ. 145-146).

ამრიგად, აშკარაა, ქართლს შეეპარება თუ არა რაიმე სისუსტე (ამ შემთხვევაში ვახტანგი მცირეწლოვანი იყო), ოსები მაშინვე გადმოდიან სამეკობროდ და სალაშქროდ. ქართლში გადმოსასვლელი ორი უშუალო გზის მტკიცედ ჩაკეტვის შემთხვევაში, ისინი ახლა დარუბანდის გზით სარგებლობენ. ქართლის მეფე არც ამჯერად დარჩა ვალში. ვახტანგი დარიალის კარით ოსეთში გადადის და

მდინარე თერგზე შეებრძოლა ოსთა ლაშქარს. ჯერ თარხან ხაზარს ამარცხებს და შემდეგ ბაყათარს კლავს, „მაშინ იძლივნეს ოვსნი და ივლტოდა ბანაკი მათი. მოისრნეს და ტყუე იქმნნეს, ხოლო უმრავლესი მეოტი ოვსთა მათგანი ცოცხალ შეიპყრეს უკმოჴსნისათჳს ტყუეთასა რომელნი წარტყუვნულ იყვნეს პირველ ოვსთაგან ქართველნი. ვითარ უკმოიქცეს დევნისაგან, და დაიბანაკეს ბანაკსავე თჳსსა: სამ დღე განისუენეს და შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ და მერმე განიბნივეს ტყუენვად ოვსეთისა, შემუსრნეს ქალაქნი მათნი, და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხჳ“ (ქც., I, გვ.156).

ჯუანშერის მიხედვით, ოსეთიდან ვახტანგ გორგასალი ლაშქრობს მის მეზობელ პაჭანიკეთსა და ჯიქეთში. რის შემდეგაც „და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკჳდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (გვ.157). უკან მობრუნებული ვახტანგი ისევ ოსეთში შემოივლის. ვახტანგი ოსებს 30 ათასს ტყვეს უბრუნებს. სამაგიეროდ, ოსები უბრუნებენ მის დას. დაიხსნა ოსებისაგან 6 წლის წინ წაყვანილი ქართველი ტყვეები. ვახტანგმა მტკიცედ ჩაკეტა ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალი დარიალის კარები: „ხოლო დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალისად უწოდეთ. და აღაშენა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგინი მთეულნი. არა ხელენიფების გამოვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაღთა თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“ (ქც. I, გვ.156).

აქედან მოყოლებული, ქართულ წყაროებში, ოსთა მოხსენიება კარგა ხანს წყდება. აშკარაა, რომ ვახტანგმა ისე დასაჯა ქართლში ლაშქრობის მსურველი ოსები და ისე ჩაუკეტა საქართველოში შემოსასვლელი კარები,რომ მათ კარგა ხანს ალარ გასჩენიათ სურვილი კავკასიონის ქედის სამხრეთით გადმოსვლისა და საქართველოს დალაშქვრისა.

შემდეგი ცნობა, ქართულ წყაროებში, ოსების შესახებ IX ს-ის შუა ხანებს ეკუთვნის. 853 წელს ბუღა თურქს ოსები ქვემო ქართლში, დმანისში დაუსახლებია. „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს: „დარიალანით გადმოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი და დასხნა იგინი დმანისს, და ენება ზაფხულის შესლვა ოვსეთად“ (ქც.I, გვ.256-257). ამრიგად, არაბ დამპყრობელს, ბუღა თურქს 853 წელს ოსების ასი ოჯახი დაუსახლებია დმანისში. წყაროებში არ ჩანს ოსთა ასი ოჯახი სამუდამოდ დაეფუძნა თუ არა ქვემო ქართლში. ფაქტი ერთია, რომ ესაა პირველი ცნობა საქართველოში ოსთა შემოსვლა-დასახლების შესახებ. ქვემო ქართლში, ბუღა თურქის მიერ დასახლებული ოსები, რა თქმა უნდა, ოსთა ტერიტორიულ ეთნიკურ დასახლებას ვერ შექმნიდნენ. ისინი მცირე ხანში ასიმილირებული იქნენ ქართველთა მიერ. ამ ფაქტით არ შეიძლება მსჯელობა საქართველოში ოსთა მიგრაციის დაწყების შესახებ, მითუმეტეს,

ბიდა ქართლში ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე.

IX ს-დან მონგოლთა შემოსევამდე ქართულ-ოსურ ურთიერთობაში რაიმე გართულება არ მომხდარა. ქართული წყაროები ხშირად მიუთითებენ ორმხრივ სამეფო დინასტიურ ქორწინებებზე. სამწუხაროდ, ისტორიკოსთა ერთი ნაწილი საქართველოში ოსთა შემოსახლებას მონგოლთა ლაშქრობებს უკავშირებს, თუმცა მათ ამის შესახებ რაიმე კონკრეტული ფაქტი და საისტორიო საბუთი, წყარო არ გააჩნიათ. რადგან ოსები XIII ს-ში, მონგოლთა შემოსევების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის დიგორის, ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის ხეობებში შევიდნენ, ისტორიკოსთა ერთმა ნაწილმა ივარაუდა, რომ პარალელურად ისინი, ამავე დროს, საქართველოს მთიანეთშიც უნდა დასახლებულიყვნენ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამის დამადასტურებელი წყარო არ არსებობს.

მონგოლთა შემოსევის საწყის ეტაპზე, ქართველები ცდილობენ მონგოლთა წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიელთა და, მათ შორის, ოსთა გამოყენებასაც.მაგალითად, ჯალალედინის მეორე შემოსევის დროს ოსები და დურძუკები ამ მიზნით გადმოუყვანია რუსუდანს: „განუხნა კარნი დარიალისანი და გარდმოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი...“ (ჟამთააღმწერელი, გვ.67).

XIV-XV სს-ის მიჯნაზე ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მცხოვრები ოსები საბოლოოდ იქნენ განადგურებული თემურ-ლენგის მიერ (1395 და 1400 წლები). ამ დროიდან, როგორც ცნობილია, გადარჩენილი ოსები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ (ყირიმი, უნგრეთი, ბალკანეთი). ამავე დროს, ისინი საბოლოოდ შედიან კავკასიის ვიწრო ხეობებში, რის შესახებაც გარკვევით წერენ ქართული საისტორიო წყაროები (მაგალითად, ვახუშტი). ამავე დროიდან, დაკარგეს რა არსებობისათვის საჭირო მნიშვნელოვანი ტერიტორიები, ოსთა სხვადასხვა რაზმები, მონგოლთა მხარდაჭერით, ცდილობენ საქართველოში დამკვიდრებას. ამ მხრივ, საყურადღებოა, ჟამთააღმწერლის ცნობა, რომ დავით ულუს დროს (1243-1269) ისინი დარუბანდის გზით გადმდიან საქართველოში და ესახლებიან თბილისს, ჟინვანსა და დმანისში. წყაროში ეკითხულობთ: „ამა ჟამთა გარდმოვიდეს ბერქას ყაენისაგან ლტოლვილნი ოვსნი, დედაკაცი საკჳრეველი, სახელით ლიმაჩავ, და მან მოიტანნა შვილნი მცირენი, ნათესავითა ახასარ-ფაკაიანნი, პირმშო ფარეჯან და უმრწმესი ბაყათარ, და სხუანი თავადნი მრავალნი. გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფეს წინაშე. ხოლო მან პატივითა ისტუმრნა და წარავლინა ყაენს ულუს წინაშე. და ყაენმან შეიწყნარა ფრიად და უბოძა ხარაჯა, მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განაჩინნა და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინა. ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე — დმანისს და სხუანი — ჟინოვანს“ (ჟამთააღმწერელი გვ.136).

ზოგიერთ ისტორიკოსს ოსთა ნაწილების თბილისში, დმანისსა და ჟინვანში მონგოლთა მიერ XIII ს-ის 60-იან წლებში „დასხმა“ ოსთა საქართველოში იმ დროს მიგრაციის აღმნიშვნელ და დამადასტურებელ ფაქტად მიაჩნია. ამ ფაქტის ასე განზოგადება კი არ შეიძლება, რადგან ასეთი გადასვლა მოსახლეობის მცირე ჯგუფებისა ერთი ქვეყნიდან მეორეში სხვაგანაც არაერთი იყო და ისინი ქვეყნების ეთნიკურ მდგომარეობაზე რაიმე გავლენას არ ახდენდნენ. ასევე არ მოუხდენია რაიმე გავლენა ოსთა მცირე ნაწილების მოსვლას საქართველოს სამ სხვადასხვა ქალაქში. ბულა-თურქის დროს მოსული ოსების (853 წ.) მსგავსად, ეს ოსებიც, დროთა განმავლობაში, ასიმილირებულ იქნენ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიერ. ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოსთა ამ მცირერიცხოვანი რაზმების დაფუძნება XIII ს-ის 60-იან წლებში შიდა ქართლში არ მომხდარა, სადაც გვიან (XVII ს-ის მეორე ნახევრიდან) კომპაქტური ოსური დასახლებები შეიქმნა.

მონგოლთა მიერ თავისი სამშობლოდან აყრილი და მონგოლთავე სამსახურში ჩამდგარი ოსთა დიდი ჯგუფი, მონგოლთა მხარდაჭერით, ცდილობს ქართლში სამოსახლო ტერიტორიების მოპოვებას. ოსთა ამ ბრძოლას ქართლში სათავეში უდგას ბაყათარი. ჟამთააღმწერელი წერს: „ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა იწყეს ოვსთა ოჯრებად, ჭოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თჳსად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა, ჰამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა, და მრავალგზის შეებნეს ქალაქსა შინა, მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი სრულიად. და ვითარცა მისჭირდა ოვსთა, ციხიდამე გარდმოუშვეს საბლითა კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმა ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი. და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი, განასხნა და აღფხურნა“ (ჟამთააღმწერელი, გვ.189). მანამ გიორგი ოსებს ამოწყვეტდა და საქართველოდან გაყრიდა, იქამდე „და ვინათგან მეფე დავით (დავით VIII, 1293-1311) არა მიენდო თათართა, ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა. ამისთჳს იშლებოდა ქუეყანა ქართლისა. და მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო და აოჯრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო ჭირი დიდი მკჳდრთა ქართლისათა“ (ჟამთააღმწერელი, გვ.210).

ახლა ვრცელ ამონაწერს მოვიტან საქართველოს ისტორიის ნარკვევებიდან: „ოს ფეოდალთა მოძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევა, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაიწყო, მიზნად ისახავდა შინაური მშვიდობის უზრუნველყოფასა და შემცირებული

ქართული მიწისმფლობელობის აღდგენას (სქოლიოში: ოსებს, როგორც ვიცით, საქართველოს ტერიტორიაზე მტკიცედ ჰქონდათ დაკავებული ქართლის ვაკეში გორი და სხვა მიდამოები. მათი მეკობრული თარეშიც არცთუ იშვიათად არღვევდა მოსახლეობის უშიშროებას). გიორგიმ, ჟამთააღმწერლის სიტყვით, „განასხნა და აღფხურნა“ ოვსნი, წაართვა მათ „ციხენი“ და დაბები“, რომლებიც „დაეპყრათ ადგილ-ადგილ“. ბრძოლა მეტად სასტიკი და ძნელი გამოდგა. ერთი ახლო თანამედროვის ცნობით, ოს ფეოდალთა გაძევებას გორიდან სამი წელიწადი მოანდომებია. ბრძოლებში ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე მონაწილეობდა მთის მოსახლეობაც: „ცხრაზმის“ (ქსნის) საერისთავოს ლაშქარი (ვირშელ ერისთავის მეთაურობით) და „მთიულნი არაგვისანი“ ჩრდილოეთიდან მშვიდობის გარანტიის მიზნით გიორგის იმიერკავკასიაზე გადმოსასვლელი გზებიც მტკიცედ დაუჭერია“ (სინ.III, გვ.626). აქვე ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებიც უნდა დავიმოწმოთ: „ხოლო მძლავრობდნენ ოვსნი ქართლს და დაეპყრათ ადგილ ადგილთა დაბნები და ციხენი. ამან მეფემან (გიორგი ბრწყინვალემ __ რ.თ.) განასხნა ძლიერებითა თჳსითა და წარუხუნა ციხენი და დაბნები. მერმე შევიდა და შემუსრნა კავკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი იგინი და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინაითგან გზანი ყოველნი თჳთ დაიპყრნა“ (ქართლის ცხოვრება,ტ.IV, გვ.256).

„ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, შიდა ქართლის მთიანეთში, ისროლისხევში, XIII ს-ში ოსეთიდან მოვიდნენ ოსთა მეფის უმცროსი ძმის შვილები — როსტომ, ბიბილაი და წითლოსანი „სამეოცდაათი მონითა კეთილითა“. თუ ქსნის ერისთავთა ქრონიკა მართალია, ქსნის ერისთავთა წინაპრების ოსეთიდან 70 მონით მოსვლის შესახებ, ხაზგასასმელია ის, რომ ეს 70 მონა-მებრძოლი ოჯახებით არ მოსულა. ისე, რომ 70 მონა-მებრძოლი კომპაქტურადაც რომ დასახლებულიყო, ისინი მხოლოდ ერთი სოფლის კონტინგენტს წარმოადგენდნენ და ხეობის ერთგვაროვან ეთნიკურ სახეს რაიმე ცვილებას ვერ დაამჩნევდნენ.„ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით ისიც აშკარად ჩანს, რომ XIII ს-ში არა მარტო შიდა ქართლის მთიანეთში, არამედ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარეზეც (დვალეთში) ოსები ჯერ დასახლკარებულნი არ იყვნენ. დვალებმა,როგორც მათთვის უცხონი, ოსები თავიანთი ქვეყნიდან გამოყარეს.

ამრიგად, XIV ს-ში ოსთა რაზმები, რომლებიც სამ ათეულ წელს იბრძოდნენ საქართველოში დასასახლებლად, საბოლოოდ დამარცხებული და განდევნილი იქნენ საქართველოდან. ასე, რომ XIV ს-ში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და, მითუმეტეს, შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა დასახლებები არ გვქონდა.

გ.თოგოშვილის მიხედვით, XIII-XIV სს-ში ოსთა სამოსახლო

ტერიტორიები, შიდა ქართლის მდინარე ლიახვის გარდა იყო თრუსოშიც. მისი აზრით, დვალეთის სამოსახლო ტერიტორიაზე თრუსოში ოსები XIV საუკუნის დასაწყისში აღწევენ (გ. თოგოშვილი — 1959, გვ.219) და ნაწილობრივ მკვიდრდებიან მნაში. გ.თოგოშვილს მნაში, ოსთა მკვიდრობის დამადასტურებლად მიაჩნია „ძეგლი ერისთავთა"-ში მოხსენიებული მნაველთა სახელები (ფარეჯან, ამსაჯან, სუნლუ, ბალათარ), რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ზოგიერთმა ქართველმა ავტორმაც (ვ.ითონიშვილი) გაიზიარა. ამ ნონსენსის შესახებ ზემოთ გვქონდა ნათქვამი და აქ აღარ გავიმეორებ.

როგორც აღვნიშნეთ, XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346) საბოლოოდ განდევნა ოსები საქართველოდან და შემოსასვლელი კარებებიც მტკიცედ გადაურაზმა. როდის შეიძლებოდა ოსებს გამოერღვიათ დარიალისა და უმეტესად კასრის კარი და სამხრეთისაკენ დაეწყოთ მოძრაობა? ვფიქრობთ, ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლისა და მათი დასუსტების შემდეგ. ერთიანი საქართველო კი დაიშალა XV ს-ის ბოლოს. ასე, რომ არც XV ს-ში არ შეიძლება საქართველოში ოსთა მიგრაციის შესახებ ვისაუბროთ. არ არსებობს არავითარი ფაქტი (ამ ფაქტის ამსახველი რაიმე საისტორიო წყარო ან საბუთი). სად და როდის უნდა გაჩენილიყო პირველი ოსური დასახლებები საქართველოში? პირველად ისინი დვალეთში (საქართველოს პირიქით პროვინციაში) უნდა გამოჩენილიყვნენ XV ს-ში. ძირითადად კი დვალეთში ოსთა განსახლება XVI ს-ში განხორციელდა ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის ხეობიდან. XV ს-ში შიდა ქართლის მაღალ-მთიანეთში ოსები საერთოდ არ ჩანან. ისინი ამ დროს ჩრდილოეთით მდებარე დვალეთის ტერიტორიის ათვისებას იწყებენ. პფაფის მონაცემებით, ერთ-ერთი პირველი რეგიონი, სადაც ოსები ქურთათის ხეობიდან ესახლებიან დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, ესაა თრუსო. თრუსოში ოსების დასახლება ხდება XVII ს-ის დასაწყისში. ფაქტია, რომ XVII ს-ის პირველ ნახევარში ქართლის სამეფო კვლავ მტკიცე კონტროლს ახორციელებს დვალეთის პროვინციაზე. აქ შეიძლება გავიხსენოთ გიორგი საკაძის დვალეთის მოურავად დანიშვნა და მისი ლაშქრობა პირიქით. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები დასახლებას იწყებენ მხოლოდ XVII ს-ის შუა ხანებიდან. ოსთა შიდა ქართლის მთიანეთში დასახლების შესახებ საუკეთესო წყაროა გადმოცემები ოსური გვარების წარმომავლობისა და აქ დასახლკარების შესახებ. როგორც ზემოთაც ითქვა, თითოეულ ოსურ გვარში დაცულია გადმოცემა, რომ მათი წინაპრები საქართველოს მთიანეთში გადმოსახლებული არიან 10-12 თაობის წინ. ისინი აქ ძირითადად მოსული არიან დვალეთის გზით, ალაგირის ხეობიდან. 10-12 თაობა კი გამოთვლით XVII ს-ის მეორე ნახევარზე იქით არ მიდის (იხ.З.Н. Ванеев, Из истории

родового быта в Юго-Осетии, Тб., 1955, გვ.79).

ზემოთ მოტანილი გვქონდა საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩის მ.ი. ტატიშჩევის (1604-1615) ჩანაწერი, რომ ჩერქეზებსა და საქართველოს შორის არსებობს 200 სულიანი მცირე ოსური დასახლება, რომლებიც ქართლს ძარცვავენ და გზაზე მიმოსვლის საშუალებას არ აძლევენ. ჩვენი ვარაუდით, აქ უნდა იგულისხმებოდეს დვალეთის ერთ-ერთი რეგიონი, რომელიც ამ დროისათვის უკვე ოსებით იყო დასახლებული. ე.ი. XVII ს-ის დასაწყისში ოსებს დვალების ასიმილაცია უკვე დამთავრებული ჰქონდათ. შიდა ქართლის მთიანეთში XVII ს-ის დასაწყისში რომ ოსური მოსახლეობა ყოფილიყო, რუსი ელჩი ამასაც აღნიშნავდა და მხოლოდ იმას არ გაუსვამდა ხაზს, რომ ქართლსა და ჩერქეზეთს შორის 200 სულიანი ოსური დასახლებაა, საიდანაც ხდება ქართლის ძარცვაო.

მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XVII ს-ის მიწურულისა და XVIII ს-ის დამდეგის თხზულებაში — ბესარიონ ქართლის კათალიკოზის „მარტვილობა ლუარსაბ მეფისა"-ში. ...ვტორი, რომელიც ლუარსაბის წამების პერიოდს (1620წ.) ახასიათებს, აგრეთვე, საუბრობს ქართლის ჩრდილოეთის საზღვართან შექმნილ ვითარებაზე. ბესარიონ ქართლის კათალიკოზი იხსენიებს „მახლობელთა ჩუენთა მთიულთა ოვსთა", რომლებიც „დამკვიდრებულ იყვნეს მახლობლად ჩუენსა" (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს.ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ.408). „მარტვილობიდან" ჩანს, რომ ოსები იბრძოდნენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის და უპირისპირდებოდნენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას. მ.დუმბაძის აზრით, ეს ცნობა ეხმაურება ტატიშჩევის ზემოთ აღნიშნულ გადმოცემას და ქართლში ოსური ახალშენების წარმოქმნას ადასტურებს (სინ.,IV, გვ.431).

ზემოთ ვისაუბრეთ XVII ს-ის პირველი ნახევრის ერთი ნასყიდობის სიგელის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ სოფელ ზემო ჯავაში ქართული მოსახლეობა ამოწყდა და სხვაგან გაიფანტა ოსთა ლაშქრობების, მეკობრეობის შედეგად. XVII ს-ის შუა ხანებისათვის ქართული მოსახლეობისაგან დაცლილ ზემო ჯავაში ოსური მოსახლეობა ჯერ კიდევ არ იყო (დოკუმენტი... I, გვ.364). **XVII ს. II ნახევარში რომ დაინყო დიდი ლიახვის მთაში ოსების დაფუძნება ოსეთიდან და მათ აქ დასახლკარებას ხელს რომ უწყობდნენ ქართველი მეფეები, ჩანს მეფე როსტომის (1633-1658) ერთი საბუთიდან, რომლითაც ის მოხელეებს უბრძანებს, რომ ოსეთიდან აყრილი და ჯავას ზემოთ დასახლებული ვინმე ხონთქრისა და მისი შვილის ხაჩისათვის არაფერი დაეშავებინათ და თუ ვინმე კვლავ ჩამოსახლდებოდა ოსეთიდან, არც მისთვის შეეშალათ ხელი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი,I, თბ., გვ.352).**

XVIII ს-ის იტალიელის დიონეზი კარლის ცნობით, ოსები განცალკევებით ცხოვრობდნენ ტყეებში და ნადირობდნენ დათვებსა და სხვა ცხოველებზე (დიონეზი კარლი, თბილისის აღწერა. საქართველოსა და კავკასიის ისტორიის მასალები. გამ.29, თბ., 1951, გვ.17). ე.ი. აშკარაა, რომ შიდა ქართლის მთიანეთში XVII ს-ის ბოლოს დასახლებულ ოსებს ჯერ არ ჰქონდათ შექმნილი სასოფლო დასახლებანი და ისინი ჯერ არც სამიწათმოქმედო მეურნეობას მისდევდნენ. კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით გადმოსახლებული ოსები თავდაპირველად განცალკევებით ტყეებში ცხოვრობდნენ.

ამრიგად, ოსების საქართველოს ტერიტორიულ ფარგლებში დასახლება პირველად დვალეთში — კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარეზე მოხდა. რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს საზღვრებში ოსები XVII ს. I ნახევარში ესახლებიან თერგის ზემო წელში (თრუსოში). და დიდი ლიახვის სათავეში (მაღრან-დვალეთში). შემდეგ ისინი თანდათანობით მოიწევენ სამხრეთისაკენ. ამასთანავე, გზას იკაფავენ ძალით. საყურადღებოა, რომ XVII ს-ის პირველ ნახევარში ისინი ზემო ჯავაშიც კი არ იყვნენ დამკვიდრებული. ამ დროისათვის აქ ხდება ადგილობრივი ქართული მოსახლეობის დევნა და შევიწროება. გამუდმებული თავდასხმებისაგან შეწუხებული ქართველი მოსახლეობა ქართლის ბარისაკენ და საქართველოს სხვა პროვინციებისაკენ (მაგალითად, იმერეთი) იფანტება. მხოლოდ ქართული მოსახლეობის ამოწყვეტისა და სხვაგან გადასახლების შემდეგ, XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ლიახვის ხეობის მთელ მთიან ნაწილს ოსები იკავებენ. როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მიგრაცია ძირითადად ხდება დვალეთიდან, თუმცა უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის ოსური ხეობებიდანაც (მაგალითად, ალაგირიდან) არა ერთი გვარია გადმოსახლებული.

შემდეგი ეტაპი ოსთა განსახლებისა შიდა ქართლის მთიანეთში არის პატარა ლიახვის მთიანი ზოლი. აქ ოსების დამკვიდრება ძირითადად ხდება XVII-XVIII ს-ის მიჯნაზე დიდი ლიახვის ხეობიდან.

XVIII ს-ის პირველ ათეულ წლებში ოსთა საქართველოს მთებში განსახლების სრული სურათი მოცემული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს.ძირითადი ტექსტის გარდა, ამ მხრივ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ნაშრომზე თანდართული სია საქართველოს სოფლებისა და მის მიერვე შედგენილი რუკები. რუკებზე, ოსებით დასახლებული სოფლები, ვახუშტის განსაკუთრებული ნიშნით, 8-ით აქვს გამოსახული.

საქართველოს მთლიანი ეთნიკური სურათი XVIII ს-ის 30-იან წლებისათვის ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა. ამ მხრივ მისი თხზულება მნიშვნელოვანი პირველწყაროა, რომელსაც ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს.ვახუშტიმ ოსთა განსახლების სურათი

მოგვცა არამარტო საქართველოში, არამედ მათ ისტორიულ სამშობლოშიც (ჩრდილოეთ კავკასიაში). ვახუშტიმ დაგვიხატა არა მხოლოდ მის დროინდელი ოსთა განსახლების ადგილები, არამედ მათი ადგილგადანაცვლებისა და კავკასიის მთებში მცხოვრებ ადგილობრივ ტომებთან — დვალებთან შერევისა და ასიმილაციის სურათები.

ვახუშტი წერს: „არამედ დუალეთიცა განიყოფების ჴევ-ჴევად და იწოდების ჴევნი ესრეთ: კასრის ჴევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად. ხოლო რომელნი დაშთნენ მეფეთა ოვსთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი, და სახელნი ესენი ეწოდნენ ანუ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყეენთა მოსვლისა, ბათო ყეენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოჴრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა და იწოდნენ სახელითა მათითა ჴეობანი ესენი ესრეთ...“ (ქც. IV, გვ.633-634). „ხოლო შემდგომად მოოჴრებისა ოვსეთისა და შემოსლვისა მთისა კავკასიასა შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდოდ, და კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად, რამეთუ აწცა გუარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხუათა უგუაროთა კუალად დვალადვე“ (იქვე, გვ.634). „ხ~ მოსლვასა თათართასა ჩინგიზ ყაენთაგან, და უმეტეს ბათოსა, და ორბანისაგან მოისრნენ და მოოჴრდნენ ქალაქი, და შენობანი მათნი და მეფობა ოვსთა იქმნა მთავრობად, და შემოივლტოდნენ ოვსნი ამ კავკასიათა შ~ა, და უმეტესად უდაბნო იქმნენ, ვ~ა არს დღეს ჩერქეზი. და კ~დ შ~დ მოსლვისა ლანგ-თემურისა და აღებისა კონსტანტინეპოლისა, ემძლავრნენ ოვსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანქთემურის ელნი მაჰმადიანნი, და შემოივლტოდნენ კავკასიასა შ~ა, და დაიპყრეს კავკასიათა ნათესავნი, რ~ლ არიან დუალნი, და ოვსეთს მიერით ეწოდა ჩერქეზი, ანუ ყაბარდო...“ (გვ. 654-655).

ვრცელი ამონაწერის განმარტება საჭირო არაა, მაგრამ ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას,რომ ვახუშტი ბაგრატიონმა საოცარი სიზუსტით დაგვიხატა სურათი „ოსთა თავდაპირველი განსახლებისა და შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შემოსვლა-დამკვიდრებისა. ვახუშტიმ აღნიშნა რომ დვალეთი, რომელიც 6 ხევისაგან შედგება და რომელშიც დღეს (ე.ი. მის დროს) ოსები მკვიდრობდნენ, ისტორიული ოსეთი არაა, რომ დვალეთში მოსულმა ოსებმა მოახდინეს აქ მცხოვრები ადგილობრივი კავკასიური ტომის ასიმილაცია და მოსულნიც იწოდნენ დვალებად. ის ხშირად დვალეთში მცხოვრებ ოსებსა და გაოსებულ დვალებს ერთი ტერმინით „ოსნი-დვალნი“ მოიხსენიებს. აღნიშნავს, რომ დვალეთში დამკვიდრებულმა ოსებმა მიიღეს დამხვდური ეთნიკური ერთობის — დვალთა სახელწოდება. ქართველი ისტორიკოსი იმასაც აღნიშნავს, რომ

ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში (ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი) ოსები მოსული არიან და აღნიშნავს, რომ მათი აქ შემოსვლა-დასახლება ხდება მონგოლთა შემოსევების შემდეგ, კერძოდ, ეს პროცესი დაკავშირებულია ჩინგის ყაენის, ბათო ყაენის და თემურ-ლენგის გამანადგურებელ შემოსევებ ი, ე.ი. პროცესი ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესვლისა თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა (XIII-XIV სს). უფრო მეტიც, ვახუშტის მიხედვით, ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესვლა XV ს-ის შუა ხანებში, ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ (1453 წ.) დასრულდა. ხაზი აქვს გასმული, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ოსურ ხეობებს სახელი მიგრანტმა ოსებმა უწოდეს, თან გადმოიტანეს კავკასიის ველებში არსებული ტოპონიმების სახელწოდებანი. ხაზი აქვს გასმული, რომ ოსთა კავკასიის ველებიდან მთებში დასახლკარებას შედეგად მოჰყვა ის, რომ მათი ნასოფლარ-ნამოსახლარები ჩერქეზებმა (ყაბარდოელებმა) დაიკავეს და ოსეთს ამის შემდეგ ეწოდა ჩერქეზეთი (ყაბარდო). თავის მხრივ, მიგრანტმა ოსებმა მათ ახალ საცხოვრის ტერიტორიას (ჩრდილოეთ კავკასიის მთები) ოსეთი უწოდეს. თუმცა, ოსებით დასახლებულ ცენტრალური კავკასიის ერთ რეგიონს — დვალეთს კვლავ შერჩა თავისი ადრინდელი სახელწოდება და მოსულ მიგრანტ ოსებს დვალთა სახელი მიეკუთვნათ.

ვახუშტი მიგვანიშნებს მის დროინდელ საქართველოში ოსთა განსახლების ადგილებს. იძლევა დვალეთის ზუსტ ლოკალიზაციას; აღნიშნავს დვალთა განსახლების ადგილებს დვალეთს გარეთ (დიდი ლიახვის სათავე — მაღრან-დვალეთი, თერგის სათავე - თრუსო). როდესაც საუბრობს ოსთა სარწმუნოებაზე, წერს: „სარწმუნოებით არიან ძუელად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი, და უფროს დვალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი...“ (გვ. 638). ე.ი. ვახუშტი ოსებისაგან დვალებს ერთგვარად გამოყოფს. ხაზს უსვამს, რომ ძველი ქრისტიანები და ნიქოზელის სამწყსოში შემავალნი უფრო დვალები, დვალთა შთამომავლები არიანო. ვახუშტის არც ენობრივი ასიმილაცია გამორჩენია მხედველობიდან, როცა წერს, რომ „ენა აქუთ ძუელი, დუალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად“ (გვ. 638). ე.ი. დვალური და ოსური ენები სხვადასხვა ენებია, დვალებს აქვთ ძველი, დვალური ენაო, ახლა კი საკუთარ ენად ოსური მიაჩნიათო. ვახუშტის ციტატა ჩვენ ისე გვესმის, რომ მის დროს, დვალები კიდევ ლაპარაკობდნენ დვალურზე (ალბათ, მცირე ნაწილი). ის აღნიშნავს, რომ „ენა აქუთ ძუელი, დუალური...“ ვახუშტი ზმნას („აქუთ“) აწმყო და არა წარსულ დროში ხმარობს. XVIII ს-ის დასაწყისში დვალეთსა და დვალეთს გარეთ (თრუსო, მაღრან-დვალეთი, ების, როკის და ქეშელთის

ხეობები) მცხოვრებ დვალებს კვლავ ჰქონდათ ძველი ენა, დვალური ენა შერჩენილი, თუმცა ოსურ ენას უკვე საკუთარ ენად, შეიძლება ითქვას, წამყვან ენად მიიჩნევდნენ.

ვახუშტი ბაგრატიონი დვალეთის ერთ-ერთი ხევის — კასრის ხევის შესახებ წერს: „ხოლო ვალაგირისა ანუ ფაიქომის დასავლით არს კასრის ჯეობა, რომელი ინოდების აწცა დუალეთად" (გვ.644). წინადადებიდან აშკარაა, რომ კასრის ხეობა ეხლაც დვალეთად იწოდება, მიუხედავად აქ ოსთა დასახლკარებისა და დვალთა ოსებად ქცევისა. ქართველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ დვალეთის კასრის ხეობა, თავისი კარით, იყო ჩამკეტი, რათა აქ არ შემოსულიყვნენ ოსები: „და არს ჯეობა კასრისა, კასრის კარიდამ ჩერქეზის მთამდე, შენობიან-დაბნებიანი: ხოლო კასრის კარი არს ქუემო ზრამაგას ქუეით, სად მოვიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა, და გლოლისა და ამის შორის კავკასიის ჩამოსულის კლდითა. **და არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ. თჳნიერ მათსა ოვსნი.** და არს ჯეობა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი" (გვ.644-645).

ვახუშტის თხზულებას თუ მივყვებით, ამოვიკითხავთ, რომ დვალეთის ზრამაგის ხევის სათავიდან ზეკარის გადასასვლელით ჩავდივართ დიდი ლიახვის ხეობაში, ქართლში: „კუალად ამ ზრამაგის — ჯევის სათავიდან გარდავალს ზეკარაზედ გზა ქართლს დიდ-ლიახუზე" (გვ.647). სწორედ ამ ზეკარის გადასასვლელით ისარგებლა გიორგი სააკაძემ, როცა ის დვალეთში გადავიდა თავისი ჯარით (ქც.IV, გვ.434).

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების მიხედვით ჩანს, რომ მისი დროისათვის თრუსოში, მაღრან-დვალეთში და საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში (დიდი ლიახვის ზემო წელი და მისი შენაკადი ხევები, პატარა ლიახვის მთიანი მონაკვეთი, ქსნის ხეობის სათავე — უამური და მდ. ჯეჯორის სათავე — კუდარო) მცხოვრები ოსები არიან დვალეთიდან გადმოსახლებული გაოსებული დვალები: **„და კუალად დიდი ლიახჳსა, პატარა ლიახჳსა, ქსნის ჯევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დუალეთიდან გარდასულნი,** რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც მონათესავე ურთიერთთა" (გვ.648).

სხვა საისტორიო წყაროებიდან („ძეგლი ერისთავთა") ირკვევა, რომ დვალები საქართველოს მთიანეთის ზემოთ აღნიშნულ ზოგიერთ რეგიონში (მაღრან-დვალეთი, დიდი ლიახვის სათავის სხვა მიმდებარე შენაკადი ხეობები, თრუსო) უფრო ადრე დასახლდნენ, ვიდრე მათ ოსები შეერეოდნენ. უ.ი. ოსებმა დვალთა ასიმილაცია საკუთრივ დვალეთს გარდა, მოახდინეს იქაც, სადაც ისინი ოსთა გადმოსახლე-

ბამდე განსახლებული იყვნენ.

ვახუშტის დროს (XVIII ს. 30-იან წლები) ოსები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებულნი იყვნენ თერგია ხეობის სათავეში - თრუსოში. ის წერს, რომ თრუსოში „მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი" (გვ.357).

ეამურის - ქსნის ხეობის სათავის შესახებ: „ხოლო ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ეამური. აწ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალს ეამურსა არს ციხე, ბერციხედ წოდებული, კსანსა ზედა და კლდესა ზედა მდომარე" (გვ.360). ვახუშტი ხაზს უსვამს, რომ ოსები ეამურში მის დროს ცხოვრობენ („აწ მსახლობელნი არიან ოსნი"); ადრე, რა თქმა უნდა, არ ცხოვრობდნენ. ეამურში ოსები რომ ახალი დასახლებულნი იყვნენ, ამას რეგიონის ოიკონიმია (სოფლის სახელებიც მოწმობს). ამ შემთხვევაში ვახუშტისავე ხსენებული „ბერციხეც" შეიძლება დავიმოწმოთ. ვახუშტი იმაზედაც უსვამს ხაზს, რომ ეამურის მეზობელ მთიან რეგიონებში (ქსნის ხეობაში) ქართული მოსახლეობა მკვიდრობდა: „ამასა ზინა (ჭურთის ხეობაში — რ.თ.) მოსახლენი არიან სარწმუნოებით ქართველნი, ეგრეთვე კსნის-ჭევისა და ცხრაზმისა. მოსავლით არს ჭურთა, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი. კაცნი და ქალნი ამ სამთა ხეობათანი, ვითარცა დავსნერეთ მთიულნი, მათნი მიმსგავსებულნი...„ (გვ. 360).

ვახუშტი ბაგრატიონი მიმოიხილავს პატარა ლიახვის ხეობაზე ოსთა განსახლების ადგილებს. ოსები ამ ხეობაში ვანათს ზევით მკვიდრობდნენ. აღნიშნავს, რომ ვანათთან პატარა ლიახვს ერთვის მშხლების მთებიდან გამომდინარე გერის ხევი, რომელზედაც ოსები მკვიდრობენ („ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი" - გვ.362). ოსებს უცხოვრიათ პატარა ლიახვის მარცხენა შენაკად ფოტრისის ხევის სოფ. შუაცხვირშიც. ფოტრისის ხევი კი ვანათის, საცხენისის და ბელოთის ზევით ერთვის პატარა ლიახვს („შუაცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი" გვ.362). ფოტრისის ხევის ზევით მდებარეობს აწერის — ხევი, რომელიც ქართველების სოფელი იყო (მასში მკვიდრობდნენ ქართველი მთიელები: ასკილაშვილები, ინაურები, მარიამიძეები, ფოსურები, დადოლაშვილები, ვაზაგაშვილები). აწერის ხევის ზევით კი ოსები მკვიდრობდნენ: „არამედ აწრის — ჭევს ზეით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად" (გვ.363).

ვახუშტის შემდეგ თხრობას დიდი ლიახვის ხეობის სათავეში, მაღრან-დვალეთში გადავყავართ: „აქ მაღრან-დვალეთს გამოსდის დიდი ლიახვი თრუსისა და ზაბის კავკასსა, და დის სამხრეთს — დასავლეთს შუა. და არს მაღრან-დვალეთი სამ — ჭეობა, მოსავლით, ვითარცა ამ მჭრის მთის ადგილნი დავსნერეთ. მსახლობელნი არიან ოსნი" (გვ.363). დიდი ლიახვის სათავის მაღრან-დვალეთის შესახებ ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსნერეთ ამ

ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან" (გვ.363-364). ასე ასახა ისტორიკოსმა ეთნოისტორიული პროცესი შიდა ქართლის მთიანეთში, ლიახვის ხეობის სათავეში. ერთი, ადგილობრივი, ქართული ეთნოსი საცხოვრებელ ადგილს იუმჯობესებს. მთიელი ქართველები ბარში ჯგუფურად ეშვებიან, ქართველის ნაოხარ და ნასოფლარ ადგილს იკავებენ ბარში. სამაგიეროდ, ჩრდილოეთიდან სხვა, არაქართული ეთნოსი მოდის და ქართველ მთიელთა ნასახლარებში ეფუძნება. სამწუხაროდ, ვახუშტის ამ სიტყვების მითითება-გამოყენება ოს ისტორიკოსებს ავიწყდებათ.

ვახუშტი შემდეგ აღწერს მეჯუდასა და ლეხურას (რეხულას) ხეობებს. მაგრამ აქ არსად არ უთითებს არაქართული, ოსური მოსახლეობის მკვიდრობაზე. ხოლო, როდესაც ნიქოზის შესახებ საუბრობს, აღნიშნავს რომ **აქ „ზის დღესაც, მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა"** (გვ. 370). ქართველი ისტორიკოსი კვლავ და არაერთხელ აღნიშნავს, რომ დვალეთს ახლა, მის დროს (XVIII ს-ის დასაწყისი) ოსეთი ეწოდებოდა. ვახუშტი გვამცნობს დიდი ლიახვის ხეობაში ოსთა განსახლების უკიდურეს სამხრეთ პუნქტს. ეს პუნქტი მდებარეობდა იქ, სადაც ლიახვის ხეობაში მთა იწყებოდა. „არამედ სუერის ზეით რომელი ლიახვს ხეობა აღვსნერეთ, არს უვენახო, უხილო; მსახლობელნი არიან ოსნი დვალნი"(გვ.372).

ვახუშტისეულ ტექსტს ადასტურებს მისივე რუკები, რომლებზედაც ოსური სოფელი 8-ით აქვს აღნიშნული. ახლა მისი სოფლების სიაშიც ჩავიხედოთ. თრუსოში ვახუშტი რვა ოსურ სოფელს უთითებს, ოლონდ მათ სახელებს არ ასახელებს. ამ რვა სოფელში ის არ გულისხმობს შევარდენს, ოქროყანას, მნას... XVIII ს-ის აღწერის მასალების მიხედვით, აშკარაა, რომ მნაში ქართველები ცხოვრობდნენ. რვა ოსური სოფელი აქვს მითითებული თრუსოში XVIII ს-ის დასასრულის ავტორს იოანე ბაგრატიონსაც (იხილე და შეადარე: ვახუშტი, თ.ლომოურისა და ნ.ბერძენიშვილის გამოცემა, გვ. 220; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ.ენუქიძისა და გ.ბედოშვილის გამოცემა, გვ.35). 1776 და 1780 წლების მონაცემებით ეს სოფლები იყო: თეფე (იგივე რეში, რესი? ი. ჭყონიას „სიტყვის კონის" მიხედვით ძველ ქართულში „რეში" დიდ წვიმას, თავსხმას აღნიშნავდა), გიმარა, ჩოჩოლა (იგივე ყაყიდური), ხუცურა (იგივე ყარათკავი), დენცე, ქვ. დენცე, საოტი და ჯახაგორი. ამას გარდა, უშუალოდ ხევის ტერიტორიაზე კიდევ ორი ოსური სოფელი იყო. XVIII ს-ის დასასრულს ხევში კიდევ ერთი ოსური სოფელი — კობი ჩნდება

(ი.ბაგრატიონი, გვ.35). თერგის ხეობაში, XVIIIს-ის უკანასკნელ მეოთხედში, ოსებმა კიდევ ორი ახალი სოფელი (აბანო, ქეთრისი) შეექმნეს და თრუაის რვა ოსური სოფელი ათად აქციეს.

ქსნის ხეობაში ოსები განსახლებულნი იყვნენ მის სათავეში — ჟამურში, სადაც მათ „თ" (9) სოფელი ჰქონდათ (1814 წლის აღწერით ეს სოფლები იყო: გორგა, ბაგინი, ნავისხევი, თოგოანთკარი, ვაკესოფელი, სოფელციხე, ხიტიანთსოფელი, წინსოფელი, ჯავათკარი. 1814 წელს ჟამურში სულ 112 კომლი ოსი მკვიდრობდა. საშუალოდ სოფელში 12 კომლზე მეტი). ჭურთის ხეობაში ცხრა სოფლიდან ექვსი ქართული იყო: და სამი — ოსური. ეს არის და ეს. ვახუშტის სოფელთა სიაში ქსნის ხეობაზე ოსის სხვა სოფელი არაა მითითებული. დანარჩენი სოფლები ყველა ქართული იყო. ქსნის ხეობის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ქართველობის დამადასტურებელია XVIII ს-ის (1774 და 1781 წლების) აღწერია დავთრებიც. ქსნის ხეობაში, როგორც ტ.ბაბაევი აღნიშნავდა, ოსთა გადმოსახლება ძალიან გვიან მოხდა. მათი მიგრაცია აქ ლიახვის ხეობიდან 200 წელს ითვლისო. მაგრამ, თუ შევადარებთ ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბაგრატიონის სიებს, ე.ი. XVIII ს-ის 30-იან წლებისა და XVIII ს-ის დასასრულისა, დიდ სხვაობას ვნახავთ. XVIII ს-ის განმავლობაში, ქსნის ხეობაში ოსები სხვა პუნქტებშიც დასახლებულან. მათ უფრო დაბლობისაკენ ჩამოუნაცვლიათ. ვახუშტის დროინდელი სამი ოსის სოფელი მდ. ჭურთაზე, რვა სოფლად იქცა. ქართველებმა კი დაიკლეს და ექვსი ქართული სოფლის მაგივრად ორი სოფელი დარჩა (ი. ბაგრატიონი, გვ.37). ეს ცვლილება ძირითადად XVIII ს-ის 80-იანი წლების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ის ქართული გვარები, რომლებიც აქ მკვიდრობდნენ 1774 და 1781 წლების აღწერებით, XIXს-ის დასაწყისში ჭურთაზე აღარ არიან და მათ განსახლებულებს ვხვდებით ქართლ-კახეთის სხვადასხვა სოფელში.

ი.ბაგრატიონის მიხედვით, XVIII ს-ის ბოლოს, ალევის ხეობაში სამი ოსური სოფელი წარმოქმნილა (გვ.36), ალევის ხეობის სათავეში (საფერშეთში) - ორი. იოანე ბაგრატიონს ქსნის ხეობაში ახალი ოსური სოფელი მითითებული აქვს იფნევს, ერთი სოფელიც ცხრანყაროსა და ლოგოშეთს შორის. ახალი ოსური სოფელი იყო ძაბოეთიც, მუჯუხიც; ერთი ოსური სოფელი წარმოქმნილა ქარჩოხშიც.

XVIII ს-ის დასასრულს ერთი ოსური სოფელი წარმოქმნილა ლეხურას ხეობაში.XIX ს-ის 10-იან წლებში ლეხურას ხეობაში მხოლოდ ერთი ქართული სოფელი იყო ხეობის სათავეში (ქოლოთი) და ერთიც — ოსური (ქვითკირი). დანარჩენი სოფლები ნასოფლარებად იყო ქცეული. ზემოთ ჩვენ მოტანილი გვქონდა სათანადო საბუთი, რომლის მიხედვით აშკარა იყო, რომ ლეხურას ხეობის ქართული მოსახლეობისაგან დაცლა განაპირობა ოსების ხშირმა

თავდასხმებმა.

ისროლისხევში ვახუშტი ორ ოსურ სოფელს უთითებს. ქართული სოფელი აქ ამ დროს 7 იყო. ეს ორი ოსური სოფელი ხეობის სათავეში ტბა და აშატური უნდა ყოფილიყო. ისროლისხევი, როგორც ცნობილია, მეჯუდის ხეობის შენაკადი ხევია. თვით მეჯუდას ხეობაში, ვახუშტის დროს, ერთი ოსური სოფელი იყო მის სათავეში, ანდა სოფელთა უმეტესობა ნასოფლარებად იყო ქცეული. საყურადღებოა, რომ XVIII ს-ის ბოლოს, მეჯუდას ხეობაზე ოსთა ადრინდელი ერთი სოფელი ხუთ სოფლად იქცა.

პატარა ლიახვის ხეობაზე, ვახუშტის დროს, სუფთა ქართული სოფლები იყო: საცხენისი, ედემქალაქი, ბელოთი, აწერის ხევი. აწერის ხევის ზემოთ, მთაში კი XVIII ს-ის პირველი მეოთხედისათვის, ოსები მკვიდრობდნენ (ვახუშტიც წერდა: რომ „... არამედ აწერის ჭევს ზეით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად„): ზონკარში, შუა-ცხვირში, სიათაში, გნასურში, ინაურში (აქ უკვე აღარც ერთი ქართველი ინაური ალარ იყო ამ დროს), ჩაბარუხეთში, ნიფორში, შამბიანში და ქნოლოში. ოსები ცხოვრობდნენ 1814 წლის აღწერით პატარა ლიახვის ხეობის სოფ. ფაჩურში, სადაც, როგორც საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ფაჩურის გვარის ქართველები მკვიდრობდნენ. ისინი ბარის სოფ. ტყვიავში გადასახლებულან და ფაჩურის გვარი ქარელის გვარით შეუცვლიათ. ტყვიაველი ქარელების ადრინდელი გვარი - ფაჩური ფიქსირებულია 1886 წლის საოჯახო სიებში (სცსსა, ფ.254, ანან.3, საქ. N 1724).პატარა ლიახვის ხეობის სათავეში, ქნოლოში უცხოვრიათ დღეს სოფ. მეჯვრისხევში მოსახლე ბეგიაშვილებს. ბეგიაშვილების ქნოლოდან აყრის ერთ-ერთი მიზეზი ოსების თავდასხმები ყოფილა. ბეგიაშვილები ქნოლოდან მეჯუდას ხეობის სოფ. ბიყარში გადმოსახლებულან. ბიყარიდან ისევ ოსების თავდასხმების გამო მეჯვრისხევს გადმოუნაცვლებიათ. იოანე ბაგრატიონი XVIII ს-ის ბოლოს პატარა ლიახვის ხეობის შესახებ წერს: „ამასვე მიეწერება პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა" (გვ.38). ე.ი. პატარა ლიახვის ხეობა მის ზემოთ წელშიც XVIII ს-ის ბოლოს ჯერ კიდევ ნახევრად ქართული იყო. იმავე პატარა ლიახვის ხეობაზე, სავახტანგოში ოსური სოფლები იყო ვანათის ზემოთ: მარალეთი, შურიული, ყლარცვი, მეფარეთი და გერი.

დიდი ლიახვის ხეობაში, ვახუშტის დროს, ოსებით იყო დასახლებული მაღრან-დვალეთი (სულ 9 სოფელი) და სოფლები სვერს ჩრდილოეთით (სვერს ზემოთ).დიდი ლიახვის ხეობაში ეს სოფლები იყო: გუფთა, ხოსო, პატარა ჯავა, ქეშელთა, სხლები, ჯავა, ხვნე, მუგუთი, კოშკა, ენბა და როკა. (ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ „ენბა" მეგრული ენის საშუალებით იხსნება. იგივე შეიძლება ითქვას

„როკ"-ის შესახებაც. სამეგრელოში, კერძოდ, დღევანდელი ჩხორონწყუს რაიონში არაერთგზის გვხვდება ტოპონიმები: „როკონა", „როკი სკური", „როკნარი" — იხ. გ.ელიავა და სხვ., ჩხორონწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ.,1993. სამცხეში გვქონდა სოფელი „როკეთი", იმერეთში — „როკითი". სულხან-საბას განმარტებით **„როკი** ხის შტოს ძირი"-ა. ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა დღესაც სამეგრელოში. იმერეთში და გურიაშიც კი ის ხმელი შტოს, ხმელი ჯირკის, ტოტის, მაგარი სარის აღმნიშვნელია (იხ.ალ.ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984). აქვე ოსური სოფელი იყო მშხლები, რომელიც მაღრან-დვალეთის სოფლებთან ერთად ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდა. იოანე ბაგრატიონი დიდი ლიახვის ხეობის ოსურ სოფლებს მხოლოდ ერთს უმატებს (კიმასი).

ფრონეების ხეობას რაც შეეხება XVIII ს-ის 30-იან წლებში აქ არც ერთი ოსური სოფელი არ იყო. ვახუშტი მხოლოდ ქართულ სოფლებს უთითებს. არც ერთი ოსური სოფელი არაა ფიქსირებული ამ ხეობაში არც რუსის სამწყსოს 1715 წლის დავთრით. სამივე ფრონეს ხეობა მთლიანად ქართველებით იყო **დასახლკარებული.** არ შეცვლილა აქ ეთნიკური სურათი XVIII ს-ის ბოლოსაც. ოღონდ ერთი რამე თვალშისაცემია: ფრონეების ხეობაში XVIII ს-ის დასასრულს ბევრი ნასოფლარი გაჩენილა.

ასეთი იყო ოსთა განსახლების სურათი შიდა ქართლის სხვადასხვა ხეობაში. (თერგი, დიდი ლიახვი, პატარა ლიახვი, ქსანი, ლეხურა, მეჯუდა). XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში მათი განსახლების ადგილები ძირითადად მთიანი ზოლი იყო და არსად ის მთისწინა ზოლშიც კი არ ჩამოდიოდა. XVIII ს-ის ბოლოსათვის სამხრეთის მიმართულებით (ისევ მთაში) ოსებმა რამდენიმე ახალი სოფელი შექმნეს, უფრო სწორედ, ქართველთა ნასოფლარებში დასახლდნენ. საერთოდ არ ცხოვრობდნენ ოსები ფრონეების ხეობაში (ე.წ. ზნაურის რაიონი). **კომპაქტური დასახლებანი პქონდათ მხოლოდ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის მთიან ნაწილში, აგრეთვე თრუსოსა და კუდაროში. რაც შეეხება ქსნის, ლეხურასა და მეჯუდას ხეობებს მათი დასახლებანი მხოლოდ სპორადული და მეჩხერი იყო ხეობათა უკიდურეს მაღალმთიანეთში. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ხეობებში ოსთა განსახლება გვიან, XIX ს-ის 20-30-იანი წლების შემდეგ განხორციელდა.**

ამრიგად, საქართველოს (შიდა ქართლის) მთიანეთში XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან XVIII ს-ის ბოლოსათვის ოსთა განსახლების სურათი მხოლოდ ნაწილობრივ, მცირედ შეიცვალა. მათ, ამ დროისათვის, არ მიუტოვებიათ მთა და მთისწინეთში არ გადმოუნაცვლიათ. ოსური ახალი სოფლების წარმოქმნა ხდებოდა იქვე არსებული ოსური სოფლების გვერდითა და მეზობლად.

XVIII ს-ის 70-იანი წლების ვითარებას ასახავს გიულდენშტედტი. ირკვევა, რომ აღნიშნული დროისათვის დიდი ლიახვის მთიან ნაწილში, ოსებთან ერთად, ჯერ კიდევ უცხოვრიათ ქართველებს. გერმანელი ავტორი წერს:„ჩელიათი, დიდი ლიახვის აყოლებით ქართულია. აქ სულ რამდენიმე და დაახლოებით 300 ოჯახს ითვლიან (გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ.გელაშვილის გამოცემა, I, გვ.275). ქართულ-ოსურ მხარეს უნოდებს სბას, ჯომალს, გუდის, ჯაუკომს (მდ.ფანაზე). ქართულ მხარედ მიაჩნია მაღრან-დვალეთიც (ნ. II, გვ.67).

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ლეხურას, მეჯუდას, ფრონეების ხეობებზე. როგორც ვნახეთ, ამ ხეობებში, XVIII ს-ის ბოლოს, ოსური მოსახლეობა თითქმის არ იყო, თუ არ ჩათვლით ლეხურასა და მეჯუდას ხეობათა სათავეებში ორიოდე მცირე ოსურ სოფელს.

როდის უნდა დაწყებულიყო აღნიშნულ ხეობებში ოსური დასახლებების შექმნა? საარქივო მონაცემებით, აქ ეს პროცესი XIX ს-ის დასაწყისში დაიწყო და გასტანა XIX ს-ის 70-80-იან წლებამდე. ამასთანავე თავდაპირველად ეს პროცესი არც ჯგუფურ და არც ინტენსიურ ხასიათს არ ატარებდა. ის მხოლოდ ინდივიდუალური და გაერთიანებული, არაინტენსიური იყო.

შესაძლებლობა გვაქვს გავარკვიოთ ისტორიულად მეჯუდასა და ლეხურას ხეობებში რომელი ქართული გვარების წარმომადგენლები მკვიდრობდნენ, რისთვისაც გაგვაჩნია XVII ს-ის მეორე ნახევრის საამილახვროს დავთარი, XVIII ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალები. უკანასკნელ ხანებამდე ქართული და ოსური მოსახლეობების განსახლების სასაზღვრო პუნქტები მეჯუდას ხეობაში მეჯვრისხევი და ღრომი იყო. ლეხურას ხეობაში ოსური მოსახლეობა კასპის რაიონის სოფ. ქვემო ჭალის ზემოდანაა. ლეხურას ხეობაში დღეს მხოლოდ ერთადერთი ქართული სოფელია (ქოლოთი), რომელიც მის სათავეშია. მეჯუდას ხეობაში ქართველები მხოლოდ ისროლისხევში მკვიდრობენ. ორივე ხეობის მთა-მთისწინეთში დღეს ოსები არიან განსახლებული. ლეხურას ხეობაში 1814 წელს მხოლოდ ერთი ოსური სოფელი ქვითკირი იყო. მეჯუდას ხეობაში კი ამ დროს ოსები მის უკიდურეს ზემო წელში ცხოვრობდნენ. 1814 წლის აღწერით ირკვევა, რომ ქვითკირში სულ 11 კომლი (52 სული) ოსი მოსახლეობდა. ამავე აღწერით ისიც ირკვევა, რომ ქვითკირში საკომლოები ჰქონდათ ქართველებსაც (სცსსა, ფ.254, ან. I, საქ.N 367). ქოლოთში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ლეხურას ხეობაში განსახლებულ ქართულ გვარებს აქ არ ჩამოვთვლით, რადგან ის სხვა ნაშრომში გვაქვს შესწავლილი. მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ, რომ აქ ორივე ხეობის ქართული მოსახლეობა ბარში, მეჯვრისხევსა და მის მიდამოებში გადასახლებულა. ამ ხეობებში დარჩენილი ქართული მოსახლეობის

აქ მიგრაცია ძირითადად XVIII ს-ში (და XIX ს-შიც) განხორციელებულა. 1766 წლის ერთი საბუთით ჩანს, რომ ლეხურას ხეობაში მთელი რიგი სოფლები და მამულები ტიელ ადგილებად იყო ქცეული. მაგალითად, ცხვლოსში ნახსენებია „დათიკაშვილის მამული ხარაბა", „კონჩოლაშვილის მამული ხარაბა", „ბიშიაშვილი მამული ხარაბა. ამისი შვილი თელავს არის". ამავე საბუთში ხარაბად დასახელებულია გერისთავს — მეშვილდიშვილი ზურაბას მამული, ახმაჯში (ქსნის ხეობა) — ცეცხლაძის მამული. მთლიანად ხარაბა სოფლებს შორისაა ჩამოთვლილი მეჯუდას ხეობის სოფელი მახიაი და ანდორეთი და ლეხურას ხეობის სოფელი ყოური, რომელსაც მიწერილი აქვს: „ორმოცი წლის ხარაბა არის" (ქსძ, IV, გვ.520). მეჯვრისხევში მკვიდრობენ ლეხურას ხეობის სოფ. წოლდიდან გადმოსახლებულები. ქართველებს მიუტოვებიათ ამავე ხეობის სოფ. წირიც. წირში ქართველების მკვიდრობის დამადასტურებელია XVII ს. მეორე ნახევრის საამილახვრო დავთარი (ს.კაკაბაძე, გვ.1,3). ლეხურას ხეობიდან ქართული გვარები აყრა და ბარის სხვადასხვა სოფლებში განსახლება XVIII ს-ში განხორციელდა. ამას გვაფიქრებინებს იოანე ბაგრატიონისXVIII ს-ის დასასრულის ლეხურას ხეობის სოფლების სია. ჩვეულებრივ, სოფელში თუ მოსახლეობა მკვიდრობდა, იოანე ბაგრატიონი გვერდით მიაწერდა „წოსახლე", „მოსახლენი". ხოლო თუ მასში აღარავინ მკვიდრობდა, ე.ი. სოფელი ნასოფლარად იყო ქცეული, სოფლის სახელი მოტანილი აქვს „მოსახლენი"-ს გარეშე. „მოსახლენი"-ს გარეშე (ე.ი. ნასოფლარებად) აქვს ჩამოთვლილი ლეხურას ხეობის შემდეგი სოფლები: რეხა, აბრევი, ტბეთი, ცხინურისი, ლელოვანი, წირი, წუბენი, წოლდი, ზახორი, არმაზი, ნადარბაზევი და სხვ. არადა, ამ სოფელთა უმეტესობაში XVIIს-ის მეორე ნახევარში ქართული მოსახლეობა მკვიდრობდა. მაგალითად, ზახორის მკვიდრი გვარი ყოფილა გოგატიშვილების გვარი.1818 წლის აღწერით გოგატიშვილები ზახორიდან გადასახლებული არიან ბერშუეთსა და უკუღმა სოფელში. დასახელებულ აღწერაში ამილახვრების ყმებს გოგატიშვილებს მიწერილი აქვთ: „Переселенец из Захори„ (სცსსა, ფ. 254, ან. I, საქ.N 542). დასახელებულ სოფლებში დღეს მთლიანად ოსები არიან განსახლებული, რომელთა აქ XIX ს-ში კონცენტრაციის სათანადო საარქივო მასალები ქვემოთ გვექნება მოტანილი. ოსთა ლეხურას ხეობაში დამკვიდრებამ ქართული იოკონიმების (სოფლის სახელები) შეცვლა როდი გამოიწვია. ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ ლეხურას ხეობის სათავის სოფლები (ქოლოთი და ქვითკირი) თუ ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ, დანარჩენი სოფლები (ანუ დღევანდელი ზახორის სასოფლო საბჭოში შემავალი სხვა სოფლები) საამილახვროს მიეკუთვნობოდა და ითვლებოდა ამოწყვეტილი ღაზნელის ყოფილ მამულად.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მეჯუდას ხეობის მთაში ქართველები დღეს მხოლოდ ისროლისხევში მოსახლეობენ, ისიც მცირე რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ მეჯუდას ხეობის ოიკონიმია მთლიანად ქართულია. XVIII ს-ის დასასრულს შედგენილი იოანე ბაგრატიონის აღწერა გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ ხეობის ეთნიკური შემადგენლობა, ქართველთა და ოსთა განსახლების ადგილები. ვახუშტის მიხედვით, მეჯუდას ხეობაზე მხოლოდ ერთი „ოსის სოფელი" არსებობდა მის სათავეში. მასვე ორი „ოსის სოფელი" აქვს მითითებული ისროლისხევში. მეჯუდას ხეობაში, მეჯვრისხევს ზემოთ. ვახუშტი ჩამოგვითვლის შემდეგ ქართულ სოფლებს: ღრომი, კოლონკეთი, ბიეთი, ანდორეთი, ივრეთი, გორეთი, მოხისი. ისროლისხევზე ასახელებს: ბიყარს, მერეს, აკანათურს, ბენდერს და თვით ისროლისხევს. იოანე ბაგრატიონიც ქართველებით დასახლებული სოფლებიდან ჩამოთვლის: „ისროლისხევის სოფლები", „ბიყარი, მოსახლენი", „მერე, მოსახლენი", „აკანათური, მოსახლენი", „აშატური, მოსახლენი". (სხვათაშორის, სოფ. აშატურში აშატურის (ასადურის) გვარისანი მკვიდრობდნენ. XVIIს. მეორე ნახევარში აშატურის (ასადურის) გვარის წარმომადგენლები საამილახვროს სოფ.ჯეჯიკურში იყვნენ მიგრირებულნი). „მოსახლენი"-ს გარეშე აქვს ჩამოთვლილი სოფლები: კოლონკეთი, ბიეთი, ანდორეთი, ივრეთი, გორეთი, მოხისი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ სოფლებში მოსახლეობა აღარ იყო. იოანე ბაგრატიონის ნაშრომიდან ისიც ირკვევა, რომ XVIII ს-ის დასასრულს მეჯუდას ხეობის სათავეში უკვე ბუთი ოსური სოფელი არსებობდა. როგორც ვიცით, ვახუშტის დროს, აქ მხოლოდ ერთი ასეთი სოფელი იყო. XVIII ს-ის მეორე ნახევარში მეჯუდას ხეობის ზემო წელზე დამატებით ოსებით დასახლებული ოთხი სოფელი წარმოქმნილა.

ამ თვალსაზრისით, რას გვიჩვენებს 1814 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერა? ამ აღწერაში მეჯუდას ხეობის ნასოფლართა შორის ჩამოთვლილია ღრომი, ანდორეთი, ბიეთი, ივრეთი, გორეთი, კოსტანაური, ბიყარი. ამ სოფლებში დღეს ძირითადად პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელიდან მიგრირებული ოსური მოსახლეობა მკვიდრობს, რომლებიც აქ ძირითადად XIX ს-ის შუა ხანებიდან დამკვიდრდნენ (ღრომში 1886 წლის საოჯახო სიებით მხოლოდ ქართველები მკვიდრობდნენ). შერეული ქართული — ოსური მოსახლეობა იყო სოფ. ვილდაში, არკინარეთში. 1814 წელს მეჯუდას ხეობის სათავეში ოსებით იყო დასახლებული ტბა (6 კომლი), მერია (13 კომლი), არდისი (10 კომლი), აშატური (17 კომლი), ბყლები (8 კომლი), ე.ი.მეჯუდას ხეობის სათავეში 1814 წელს ოსების საერთო კომლობრივი რაოდენობა 54 იყო. ეს 54 ოსური ოჯახი ეკუთვნოდათ, როგორც ქსნის ერისთავებს, ისე მათ აზნაურებს (ოელაშვილებს, ხმალაძეებს, მრულიშვილებს).

მეჯუდას ხეობაში ოსთა განსახლების საკითხისათვის ინტერეს-მოკლებული არ უნდა იყოს 1820 წლის ერთი საბუთი. ესაა ლრომს მსახლობელი გიორგი ბეგიაშვილის თხოვნა გორის მაზრის ოკრუჟნი ნაჩალნიკ ტიტოვისადმი. საბუთიდან მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს მოვიტან: „ლრომს მსახლობელი გიორგი ბეგიაშვილისაგან: თხოვნა ჩვენნი წინაპარნი გხლებიათ ძველად მეჯუდის ხეობაზედ, სოფელსა ბიყარს ეკლესიის მამულზედ მსახლობელნი და მუნ ბიყარს დატყვევებულა ლეკთაგან პაპის ჩემის მამა ბეკან, რომელსაც დაუყვია ტყვეობასა შინა, არა მცირედი ჟამი...“ „... შ¯დ ტყვეობისა უყიდნია პაპაჩემს გიორგის, ამილახორებიანთ აზნაურიშვილების ყანჩელებისაგან, **ნასოფლარი ლრომი** ციხით, წისქვილით და შესავალ-გამოსავლით, რომელზედაც აუშენებია სოფელი. ესახლოკართ ჩვენ დღეს. უყიდნია კვლავ იქავ, ჩვენის სოფლის ლრომის თავს ხსენებულს ყანჩელებისაგან **ნასოფლარი ანდორეთი,** უყიდნია კვალად **ნასოფლარი გორეთი** და სხვადასხვა მამულები. უბოძებია მეფეს გიორგის უფლისწულობაში, იმავ უსანეთის წმინდის გიორგის ეკლესიის ყმას, ამონყვეტილს მაკრატელაშვილისა და ნადუას ბეითალმანი მამული ლრამატით...„ „...ახლის კამერალნის აღწერით შ¯დ წამირთვა, ამავ დავით ერისთავმა ნასოფლარი ანდორეთი, რომელიც იყიდა თვით გიორგის ტყვეობის შ¯დ, რომელსაც ნასყიდობის სიგელს გვიმტკიცებს მეფე გიორგი, **დაასახლა ზედ ოსნი. მიიტანა ჩემმა ძმამ გუთანი ანდორეთს, ორი დღე ხნა. იგი ხნულიც ოსებმა ნაართვეს, და თვითონ ჩემი ძმაც კინალამ მოკლეს და ხნულიც თავეთთვის დაფარცხეს ოსებმა, რომელშიც დღეს ქერი უდგიათ...“**

მოტანილი ნაწყვეტებიდან, რამდენიმე საკითხს შორის, საინტერესოა ის, რომ ნახსენებია მეჯუდას ხეობის რამდენიმე ნასოფლარი. ე.ი. მეჯუდას ხეობის აღნიშნული სოფლების მოსახლეობა, გიორგი XII -ის გამეფებამდე, აყრილი და ბარში გადასახლებული იყო. ამავე დროს, ერთ-ერთ მათგანში (ანდორეთში) ოსი მიგრანტები, საბუთის შედგენის დროისათვის (1820წ) ახალი დასახლებულები იყვნენ დავით ერისთავის მიერ (1814 წ. აღწერაში ანდორეთი ნასოფლარებს შორისაა დასახელებული).

მეჯუდას ხეობაში გადმოსახლებული ოსები დროებით მცხოვრებთა კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ. მაგალითად, 1814 წლის აღწერაში სოფ. ბენდერში მცხოვრებ 12 კომლ ოსს მიწერილი აქვს: **„Временно живущие лиахские осетинцы“.**

XIX ს-დან შიდა ქართლის მთიანეთიდან ოსები სპორადულად, თითო-ოროლა კომლი განსახლებას იწყებენ შიდა ქართლის ბარის სოფლებშიც. 1814 წლის აღწერით მათ განთესილებს ვხვდებით გვერდისძირის რამდენიმე სოფელში, რომლებიც ასევე „დროებით მაცხოვრებლის“ კატეგორიით არიან შეტანილი აღწერაში. ამავე

აღწერიდან ისიც ჩანს, რომ შიდა ქართლის მთიანეთია ქართული მოსახლეობაც საბოლოოდ იცრება და ბარის სოფლებში სახლდება.ბარის სოფლებიდან ყველაზე მეტი ოსი ქვემო ქვლივანაში (8 ოჯახი) და ზემო ქვლივანაში (12 კომლი) ცხოვრობდა. ყველა ისინი ლიახვის ხეობიდან მოსული დროებითი მცხოვრები იყო. აღნიშნულ დროს გაჩენილა სამი კომლი ოსი სოფ. შაკათგორშიც, რომლებაც მიწერილი აქვთ: „Временно живущие из Аиахского ущелья". შაკათგორის შუბობელ სოფელ იკორთაში კი ლიახვის ხეობის ზემო წელიდან ქართველები, გვარად არჩკაძეები იყვნენ მოსული. აქვე იყვნენ ლიახვიდან გადმოსული ინაურები. ფლავისმანში მოსულ ქართველთაგან შეიძლება დავასახელოთ „ვანათელი ანანურის ეკლესიის ყმა სოსია ჯაფარაული". შემდეგ ჯაფარაულები, სხვა შიდა ქართლელების მსგავსად, კახეთში გადასახლებულან. ისინი სოფ.ახშანში დამკვიდრებულან. 1859 და 1861 წლების აღწერებში ახშანელ ჯაფარაულებს მინერილი აქვთ, რომ გადმოსახლდნენ გორის მაზრიდან (სცასა, ფ.254, ან.2, საქ.N 282, გვ.122-130; სცასა, ფ.254, ან.2 საქ.N 2125, გვ.24). საყურადღებოა, რომ შიდა ქართლის მთიანეთია გარდა, მთიანეთისა და ბარის ქართულ სოფლებში 1810 -იან წლებში ოსები გადმოდიოდნენ დვალეთიდანაც. მაგალითად, ნარადან მიგრირებული სამი ასეთი ოჯახი ნოსახლეობდა მერეთში. დროებით მცხოვრები იყო ქართველი გლეხი ლიახვიდან მოსული „მახარე ნიქარიძე". ის ესნის ერისთავის ყმა იყო.

ამრიგად, მეჯუდისა და ლეხურას ხეობებია მთა-მთიანეთში ოსური მოსახლეობის მიგრაცია ძალიან გვიან, XVIII ს-ის დაასრულა დაიწყო და ძირითადად განხორციელდა XIX ს-ის შუა ხანებში. ოსების მიგრაციას თავისთავად ველი შეუწყო XVIII ს-ში ქართველთა მეჯუდისა და ლეხურას ხეობებიდან აყრამ და ბარის სოფლებში ჩასახლებამ. აღნიშნულ ხეობათა მთა-მთისწინეთის ზოლიდან ქართველთა აყრა-გადასახლების ძირითადი მიზეზი ეკონომიკური ფაქტორი იყო. ქართველი გლეხები დემოგრაფიულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბარისაკენ მოიწევდნენ. ბარში, მთიელთა ჩასახლებით, დემოგრაფიული სიტუაცია უმჯობესდებოდა, მაგრამ უარესდებოდა მთაში. მთა ეთნიკურად არაქართული გახდა. საერთოდ, ქართველ მთიელთა ბარისაკენ მიგრაციას ჩრდილოეთიდან ოსთა მოწოლამაც შეუწყო ხელი.

ქართველთა ისროლისხევიდან აყრისა და ოსთა აქ დასახლების ერთ-ერთი კონკრეტული ფაქტია ფიქსირებული 1797 წლის ერთ საბუთში: „ქ.ღმერთმან მათის უმაღლესობის ნეფის ძის იოანეს ძირი მომცეს თქვენს მონას ჟურულს როსტომს. მერე ამაა მოგახსენებ ჩემი ყოვლად მოწყალეე ბელმწიფეე, რომ **ისროლის ხევზედ ერთი კომლი კაცი მყუანდა თქვენი წყალობითა, მამა-პაპის მემკვიდრე და**

ის ჩემი კაცი აიყარა და წავიდა და იმის მამულის წყალობა დამემართა თქუენგანა, და ოსი გუსი რომ გახლავთ ტბაზედა, იმას მიაბარეთ ის მამული და უბოძეთ, რომ რაც რამ ერგებოდეს თავისის მამულისა, ამ ეურულს როსტომს ემსახურეო. **სამი წელიწადი არის, რომ ის მამული მე მებოძა და ის კაცი ჭამს** და ჩემთვის ერთის ფულისა არა მოუცია რა" (ქართული სამართლის ძეგლები, VII,თბ.,1981, გვ.430).

მეჯვრისხევს ზევით, ე.ი, მეჯუდას ხეობის მთისწინეთისა და მთის ზოლიდან ყმათა აყრისა და სხვაგან გადასახლების საკითხებზეა საუბარი 1771 წლის დავით ერისთავის არზაში, რომელშიც ვკითხულობთ: „თუ ამას ბრძანებთ, ბევრი კაცი ჭყავსთ, ახლა ხომ დამალული აღარ არის. მე და ჩემი სახლიკაცები რომ ვიყრებოდით, ჩვენი კაცი ხომ სულ აიწერა და დავთრები თქვენს მდივნებსა აქვთ, მაგრამ იმასაც კიდეე გარჩევა უნდა. **ზოგნი აყრილნი კახეთს არიან, ზოგნი არიან,** რომ არ შეუძლიათ და კიდეე სოფლურად აყრილნი არიან, როგორც ბარათიანთ კაცნი და ზოგიერთნი ქართველნი არიან" (ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VII, გვ.191). ამრიგად, მოტანილი ამონაწერიდან აშკარაა, რომ მეჯუდას ეეობის მთისა და მთისწინეთის ზოლიდან ქართული მოსახლეობა „სოფლურად აყრილა" და ქართლის ბარის გარდა, კახეთშიც გადასახლებულა.

XVIII ს. დასასრულს მეჯუდას ხეობის სათავის სოფ. ტბიდან მეჯუდასავე ხეობის ქვედა ნაწილში ერთი ოსური ოჯახის ჩამონაცვლებაზეა საუბარი 1796 წლის საბუთში. მეფის ძე იოანე ტბელ ხოსრო თუაურს, ერთგული სამსახურისათვის, ადგილს აძლევს ფოსურში (სადაც თავდაპირველად ფოსურის გვარის ხალხი მკვიდრობდა). მას შემდეგ, რაც ფოსურის მამულს პატრონი გამოჩენია, თვაურს მიუღია მეჯუდას ხეობის სოფ. იყრეთში ამონყვეტილი ფაკაურის მამული (История Осетии..., გვ. 187. სცსსა.ფ. 1448, საბ.516).

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას არაგვის ხეობაში მცხოვრები ოსების შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ხაზი ესმის არაგვის ოსთა არსებობას, თანაც მიუთითებენ მათ საკმაოდ დიდ რაოდენობაზე. განსაკუთრებით შეჩერდა ამ საკითხზე გ.თოგოშვილი (გ.თოგოშვილი, 1969, გვ.188-206). თოგოშვილის მტკიცებით არაგვის ერისთავები ოსური წარმოშობის იყვნენ, რაც ავარაუდებინებს, რომ „არაგვის აუზში მათ გაბატონებას წინ უსწრებდა ოსური მოსახლეობის გაჩენა ამ ადგილებში, რომელთაც მხარი უნდა დაეჭირათ ვანთელი აზნაურების ბრძოლისათვის" (გვ.192). ვერ ერთი გასარკვევია, რამდენად იყო ოსი ვანთელი აზნაური. ვანთელი აზნაური ოსი ვერ იქნებოდა. ის შეიძლებოდა მხოლოდ ნოსარი ყოფილიყო. ვანთში ოსი აზნაური ვერ ოჯდებოდა. ოსი აზნაური მხოლოდ ოსეთში შეიძლებოდა მჯდარიყო. საქართველოში, შიდა

ქართლის მთისწინა ზოლის სოფ. ვანათში მცხოვრები აზნაური უდავოდ ქართველი იქნებოდა. სხვანაირად წარმოუდგენელია. მაგრამ ყველაზე გასაოცარი არის გ. თოგოშვილის თეორია, რომ, თურმე ვანათელი ოსი აზნაურის გაერისთაველებას არაგვის ხეობაში ხელი შეუწყო აქ უფრო ადრე მოსულმა ოსურმა მოსახლეობამ.

მცდარ წარმოდგენას არაგვის ხეობაში ოსური მოსახლეობის არსებობის შესახებ ხელი შეუწყო 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიულმა ნუსხამ (ვ.გამრეკელი, ზ.ცქიტიშვილი, „მაცნე", N I, 1973), რომელიც სრულიადაც არ ემყარება რეალურ მონაცემებს. აშკარაა, რომ მისმა შემდგენლებმა საქართველოს მთიანი კუთხეების მოსახლეობა მხოლოდ ივარაუდეს. ამასთანავე, საბუთში ლაპარაკია არა მხოლოდ არაგვის ხეობაში მცხოვრები ოსების შესახებ, არამედ არაგვის საერისთაოში განსახლებული ოსების შესახებ. დემოგრაფიულ ნუსხაში ვკითხულობთ: „არაგვის ოსი ზაყას, თრუსოს, ჭვრიეს, ჭიდას და ღუდას ათას ორასი". არაგვის ხეობიდან საბუთში მხოლოდ ორი რეგიონია შეტანილი, ღუდა და ხადა. ზაყა იგივე ზახაა, რომელიც ლვალეთის ერთ-ერთი ხევი იყო, თრუსო კი მოიცავს მდ.თერგის სათავეს. რაც შეეხება ჭვრივს, ის პატარა ლიახვის ერთ-ერთი მცირე შენაკადი ხეობაა მის მთიან ზოლში. XVIII ს-ის ბოლო წლების ერთი საბუთით ჭვრივზე ამილახვრებს მიუწვდებოდათ ხელი და ჭვრივის ხეობაში სულ 35 ოსური საკომლოა მითითებული (История Осетии ... გვ.230). XVIIIს. დასასრულის სხვა საბუთში ჭვრივი მღვრივის ხეობის სოფლადაა დასახელებული სავახტანგოს სხვა სოფლებთან — (შელიური, იგივე შურიული), მარალეთი, ყლარცვი, გერი... ერთად (იგივე წიგნი, გვ.241). აღნიშნულ დემოგრაფიულ ველში არაგვის ოსთა შორის ჭვრიველი ოსები იმიტომ არიან დასახელებული, რომ ისინი აქ (ჭვრივში) არაგვის ერისთავთა დვალეთის საგამგეო ტერიტორიიდან იყვნენ გადმოსახლებულნი („ჭვრივი" სუფთა ქართული ტოპონიმია. ძველ ქართულ ენაში „ჭრუვი" ფუღურუოს, უგულო რქის, ლერწმის სინონიმი იყო).

უშუალოდ არაგვის ხეობიდან, როგორც აღვნიშნეთ, საბუთში მხოლოდ მთიულეთის ორი რეგიონი — ხადა და ღუდაა — შეტანილი. ყველა საისტორიო საბუთითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხადა ქართველებით (მთიულებით) იყო და არის დასახლებული. ხადაში ოსური მოსახლეობა არ ფიქსირდება. გვაქვს XVIII ს-ის არაგვის ხეობის აღწერის დავთარი, რომელშიც მხოლოდ ქართული მოსახლეობა, ქართული გვარებია შეტანილი. ასე, რომ, საბუთში ხადაც სრულიად შემთხვევითაა შეტანილი. არაგვის ხეობიდან ოსებით დასახლებული ერთადერთი რეალური პუნქტი ღუდა იყო. ღუდა თეთრი არაგვის ხეობის სათავეშია, მლეთის ზევით, სადაც მთიულთა ერთ-ერთი საერთო სალოცავი „ღუდის ყველანმინდა" მდებარეობს.

ვახუშტი ბაგრატიონი ღუდაში და საერთოდ არაგვის ხეობაში ოსურ მოსახლეობას საერთოდ არ მიუთითებს. არაა მითითებული ღუდაში ოსური მოსახლეობა ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების სიაშიც. XVIII ს. დასასრულის იოანე ბატონიშვილის ქართლ-კახეთის აღწერაში კი მითითებულია „ღუდა ოსები, მოსახლენი" (გვ.35). ღუდაში ოსური მოსახლეობის დასახლკარება სავარაუდებელია დაახ. XVIII ს-ის შუა ხანებში. ღუდაში ოსების დასახლება მომხდარა მას შემდეგ, რაც აქედან ადგილობრივი მკვიდრი ბუთხუზები აყრილან და მლეთაში ჩასახლებულან. ბუთხუზები დეკანოზობდნენ მთიულეთის ერთ-ერთ ძლიერ სალოცავში „ღუდას ყველაწმინდაში". ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით, ოსები ჯავიდან ბუთხუზების ერთ-ერთ წარმომადგენელს — ჯაბან ბუთხუზს მოუყვანია და დაუსახლებია. ხოლო მიხ.კედელაძის ეთნოგრაფიული მასალებით, რომლებიც ისტორიის ინსტიტუტის არქივში ინახება და რომელიც უფრო სანდო უნდა იყოს, პირველი ოსი მიგრანტი ღუდაში დაუკითხავად დასახლებულა. უმჯობესია მ.კედელაძის ეთნოგრაფიული მასალა მოვიტანოთ: „ჩვენ კუთვნილ ღუდის ხეობაში მაღრან-დოლეთიდან გამოქცეული ოსი რუბაევი დასახლებულა, იმის გამო, რომ მას მაღრან-დოლეთში თავისი მეზობელი მოუკლავს და ოჯახის გადარჩენის მიზნით გამოქცეულა. იმ დროს ღუდის ხეობაში ნასოფლარი ყოფილა, რომელიც გაუვალი ტყით იყო დაფარული. ვინღაც ორი მონადირე სოფ.გაგაძეთას მცხოვრები და სოფ.ზემო მლეთას მცხოვრები წამოსულან სანადიროდ და დღეს რომ სოფ.ღუდაა, იქ კომლი(კვამლი) დაუნახავთ. მისულან იმ ადგილს და უნახავთ ის ოსი, რომელსაც ფიჩხის ქოხი ჰქონია გაკეთებული სახლის მაგივრად. მეორე დღეს წასულან იმ მონადირესთან ერთად ხალხი იმ ოსის გასასახლებლად. ოსს ყველაფერი უთქვამს, თავისი მდგომარეობა და შეხვეწნია ამანათად მიმილეთო. იქ მყოფ გაგაძეებს და ბუთხუზებს მოულაპარაკნია რა უნდა მოემოქმედნა ოსი რუბაევის წინააღმდეგ. ზოგს უთქვამს გავასახლოთო, ზოგს უთქვამს დარჩესო. საბოლოოდ გადაუწყვეტიათ, რადგანაც ამანათად შემოგვეხიზნა, დარჩესო. ამავე დროს იმ ოსს პირობა მიუცია ყარაული ვიქნები და თქვენს საქონელს ოსებს არ მოვაპარინებო. რამდენიმე ხანს რომ გაუვლია და რუბაევი დამკვიდრებულა, მას თავისი ნათესავები სამაევი, გადიევი, ყორაევი და სხვები მოუყვანია და თავის მახლობლად დაუსახლებია. ოსები იმ სათიბ-სახნავ და საძოვარზე დასახლებულან ღუდაში, რომელიც ბუთხუზებს და გაგაძეთ (იმ დროს ეს ორი გვარი უკვე მლეთაში იყო გადასახლებული -რ.თ.) ეკუთვნოდათ.ბუთხუზებისა და გაგაძეთათვის ის სახნავ-სათიბი და საძოვარი საჭირო არ ყოფილა, რომელზედაც ისინი დასახლდნენ. ღთიშობელიც იმ დროს იქ ბრძანებულა. ოსები რომ მომრავლებულან და მომაგრებულან და ის

ადგილები დაუჩემებიათ, რომელზედაც დასახლდნენ, ბუთხუზებისა და გაგაძეებისათვის უარი უთქვამთ დამორჩილებაზე. გაგაძეთ და ბუთხუზებს რომ საშვილიშვილოდ არ დაეკარგათ თავისი მამული, იგი ხთიშობლისათვის შეუწირავთ და კულუხი და ბეგარა დაუდვიათ". ეთნოგრაფიული მასალებით ისიც ირკვევა, რომ სოფ. ღუდის ძირძველი მცხოვრებნი, ბუთხუზებთან ერთად, სისველაშვილებიც (იგივე სისველაურები) ყოფილან, რომლებიც აქედან XVII ს-ის ბოლოს აყრილან და ჟინვანს გადასახლებულან. 1873 წლის მონაცემებით ღუდაში სულ 49 კომლი (374) ოსი ცხოვრობდა. 1886 წ. საოჯახო სიებით ღუდაში 65 კომლი ოსია ნაჩვენები. ეს 65 კომლი აქ განაწილებული იყო 5 სოფელზე (განისში — 11 ოჯახი, მიქეთში -10, ურმის სოფელში ანუ გაღმა სოფელში — 10, ხატის სოფელში — 14, ერეთოში — 20). არაგვის ხეობის გარეთ, საერისთავოს ტერიტორიაზე, შესაძლებლობა გვეძლევა გავარკვიოთ ოსების რაოდენობა თრუსოში. გაგვაჩნია 1776 და 1780 წლების თრუსოს მამულების საკომლო აღწერა (История ... გვ.126-129, 142-145). 1776 წლის მონაცემებით თრუსოში სულ 71 კომლი მკვიდრობდა, 1780 წელს — 73 კომლი. ერთ კომლში მაქსიმუმს, 7 სულს თუ ვიანგარიშებთ, მივიღებთ 511 სულს. საშუალება გვაქვს გავარკვიოთ ოსთა საერთო რაოდენობაც ხევში. 1831 წელს ისინი 12 კომლი იყვნენ. ამრიგად, არაგვის ერისთავის მფლობელობაში XVIII ს-ის 70-იან წლებში დაახლოებით 130 კომლი ოსი მკვიდრობდა (უშუალოდ არაგვის ხეობაში 1873 წ. 49 კომლი იყო). 1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში არაგვის ერისთავთა მფლობელობაში მყოფ ოსთა შორის დასახელებული არიან დვალეთის ზახას ხეობაში მკვიდრნი. ჩვენი დაანგარიშებით გამოდის, რომ არაგვის ერისთავის ოსთა დიდი ნაწილი პირიქით, დვალეთში, ზახის ხეობაში მოსახლეობდა. მათი რაოდენობა 1000 კომლზე მეტი ყოფილა. მაგრამ, ზახას ხეობაში ოსთა 1000 კომლის მკვიდრობა წარმოუდგენლად მიგვაჩნია. აქ მხოლოდ ამის ნახევარი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამრიგად, ზედმეტად მიგვაჩნია ლაპარაკი XVIII ს-ის 70-იან წლებში არაგვის ხეობაში 1200 ოსური ოჯახის მკვიდრობის შესახებ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ, გვიან, XIX ს-ში არიან ოსები მოსული ფრონეების ხეობაში. აქ ოსთა მიგრაცია ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან განხორციელდა. ფრონეების ხეობის აღწერისას არცერთ ოსურ სოფელს არ უთითებს ვახუშტი ბაგრატიონი. იგივე სიტუაცია იყო XVIII ს-ის დასასრულსაც. იოანე ბაგრატიონი არც დვანის წყალზე და არც ფცის წყალზე არც ერთ ოსურ სოფელს არ აჩვენებს. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, XVIII ს-ის ბოლოს დვანის ფრონეს ხეობა ქართული მოსახლეობით კვლავ მჭიდროდ იყო დასახლებული (აქ მას არც ერთი სოფელი არა აქვს მითითებული მოსახლეობის"

გარეშე). ფცის ფრონეზე კი არა ერთი ნასოფლარი გაჩენილა, როგორც დღევანდელი ქარელის, ისე ე.წ. ზნაურის რაიონებში (გვ.42-43). საბედნიეროდ, გაგვაჩნია 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარი, რომლებშიც ფრონეების ხეობის სოფლებიცაა შეტანილი. ყველა სოფელში, 1715 წელს, რომლებშიც ახლა ოსები მოსახლეობენ, ან შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობაა, ქართველები მკვიდრობდნენ. XIX ს-ის მეორე ნახევარში ფრონეების ხეობის სოფლებში: სხლითში, ფრინევში, ღვერთეთში, თორმანეულში, მდავში (მავდაში), ბეყმარში, ნორბისში, თერეგვანში, ოჟორაში, ძაღინაში, ღარისთავში, ბალთაში, ფათქინეთში, მეტეხში... უკვე ოსები იყვნენ დამკვიდრებული. შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობა იყო, ამავე პერიოდში, ძვიმლეთში, არკნითში, ხუნდისუბანში, თიღვაში, ოქონასა და ტყისუბანში, ქალეთში. ყველა ამ სოფელში 1715 წელს მხოლოდ და მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. რუისის სამწყსოს დავთარი იმის საშუალებასაც გვაძლევს, გავარკვიოთ თითოეულ ამ სოფელში რომელი ქართული გვარების წარმომადგენლები მკვიდრობდნენ.

გ. თოგოშვილი კი ცდილობს, რომ საკითხი სხვანაირად წარმოიდგინოს და ფრონეების ხეობაში (გალმა მხარშიც) კომპაქტური ოსური მოსახლეობის გაჩენა XVIII ს-ის დასაწყისს დაუკავშიროს. საამისოდ მას მოხმობილი აქვს XVIII ს-ის ერთი-ორი საისტორიო საბუთი, რითაც უნდა მისთვის სასურველი სურათი დახატოს, მაგრამ, ამაოდ. თოგოშვილის მოტანილი საისტორიო საბუთებიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ XVIII ს-ში ხდებოდა ოსთა თითო-ოროლა, ინდივიდუალური შელწევა ქართულ სოფლებში. მაგრამ ხომ დიდი სხვაობაა ამა თუ იმ ქართულ სოფელში ერთი-ორი ოსის ჩასახლებასა და კომპაქტურ დასახლებას შორის? პირველ შემთხვევაში რეგიონის ეთნიკური რუკა არ იცვლებოდა. გ.თოგოშვილი მაგრად ჩასჭიდებია დ.გვრიტიშვილის ვარაუდს გალმამხარის (საციციანოს) შესახებ: „საციციანო, ჩანს ძირითადად მაინც ოსური მოსახლეობის ხარჯზე შევსებულა ჟამით ჟამად და ეს პროცესი XIX ს-შიც გრძელდებოდა. ფაწის ხეობა, მაღრან-დვალეთი, როკა, თლია, ჟამური — აი, ის პროვინციები, საიდანაც ოსები მოდიოდნენ საციციანოში საცხოვრებლად. ასე, რომ ქართულ ნასოფლარ-ნასახლარებში ოსური ახალშენები წარმოქმნილა" (დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 131). დავსძენთ, რომ დ.გვრიტიშვილს ასე განზოგადოებული ვარაუდისთვის არავითარი საისტორიო საბუთი არა ჰქონდა. ვერც მოუთითებდა, რადგან ასეთი საბუთი არ არსებობს. მისი ეს მსჯელობა XIX ს-ის მეორე ნახევარს თუ გამოადგებოდა და არა დროს „ჟამით ჟამამდე". „ჟამით ჟამამდე" რანაირად ავსებდა საციციანოს მოსახლეობით (ოსური მოსახლეობით) ფაწის ხეობა, მაღრან-დვალეთი, როკა, თლია, ჟამური, როკა თვით ამ რეგიონებში ოსების დასახლკარება XVII ს.II ნახევარში მოხდა (ჟამურში კი XVIII ს-ის

დასაწყისში)?

თ. თოგოშვილი ოსთა ქართლიდან კახეთში მიგრაციას XVIII ს-ში გულისხმობს და ამის დასამტკიცებლად მოაქვს „არზა დავით ერისთავის ყმათა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით" (ქსძ, ტ.VII, გვ.191-192). ამ საბუთში კი ოსი ეროვნების ყმებზე ერთი სიტყვაც არაა დაძრული. 1771 წლის ამ საბუთით დავით ერისთავი მიმართავს მეფეს, რომ მის მამულში, კერძოდ, მეჯუდას ხეობაში, მეჯვრისხევს ზემოთ, მოსახლეობას „ვერას თვით მეზობელს ვერც მამულითა სჯობიან და ვერც სარჩოთი". შემდეგ აგრძელებს: „თუ ამას ბრძანებთ ბევრი კაცი ჰყავსო, ახლა ხომ დამალული აღარ არის. მე და ჩემი სახლიკაცები რომ ვიყრებოდით, ჩვენი კაცი ხომ სულ აინერა და დავთრები თქვენს მდივნებსა აქვთ. მაგრამ იმასაც კიდევ გარჩევა უნდა. ზოგნი აყრილნი კახეთს არიან, ზოგნი არიან არ შეუძლიათ და ზოგნი კიდევ სოფლეურად აყრილნი არიან, როგორც ბარათიანთ კაცნი და ზოგნი ერთნი ქართველნი არიან".

საბუთში ერთი სიტყვაც არაა დაძრული მეჯუდას ხეობიდან ოსთა აყრისა და კახეთში გადასახლების შესახებ. ანდა, რატომ იქნებოდნენ ისინი ხსენებულნი, როცა ამ დროს ოსები საერთოდ არ მოსახლეობდნენ მეჯუდას ხეობაში? საბუთში სწორედ ის სამწუხარო სურათია დახატული, თუ როგორ დაიცალა აღნიშნული ხეობა ქართველებისაგან, რითაც მათ ნიადაგი მოუმზადეს ოსთა ჩამოსახლებას თავიანთ ნასოფლარ-ნასახლარებში.

თოგოშვილი წერს, რომ „XVIII ს. ოსები მრავლად იმყოფებოდნენ თავად ფალავანდიშვილებისა და თუმანიშვილების ყმურ დამოკიდებულებაში" (გ.თოგოშვილი — 1969, გვ.199). ამ „მრავალრიცხოვანი ოსი ყმების" დამადასტურებელ საბუთად მოყავს 1700-1719 წლების თუმანიშვილების ყმების მამულების ნუსხა (იხ.დოკუმენტები... ნ.ბერძენიშვილის გამოცემა, I, გვ.110-113). საბუთში თუმანიშვილის მრავალრიცხოვან ყმებს შორის დასახელებულია „მარღიშვილის სახლკარი, საბძელი და ვენახი ორის დღისა". ასე აღმოაჩინა თუმანიშვილების 100 ყმას შორის გ.თოგოშვილმა „მრავალი ოსი". ჯერ ის უნდა გაერკვია ავტორს, მარღიშვილი ოსი იყო თუ არა ნამდვილად. მეორე, მარღიშვილი წარმოშობით ოსიც რომ ყოფილიყო, ის თავისი ყოფითა და კულტურით ქართულ სოფელ ხელთუბანში მოსახლე, რა თქმა უნდა, ქართველი იყო. ამასთანავე, ამ გვარის ქართული წარმომავლობის შესახებ ჩვენ სხვაგან გვქონდა ნათქვამი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ასევე ანზოგადებს ორიოდე ქართულ საბუთს გ.თოგოშვილი და წერს, რომ „დოკუმენტები შეიცავენ ცნობებს ფალავანდიშვილების ოსი ყმებისა და ამ ყმობის წარმოშობის გზების შესახებ" (1969 წ. გვ.200). საამისოდ ავტორი უთითებს 1783 წლის ერთ-ერთ საბუთს,

რომლის შინაარს ის მკითხველს უმალავს.საბუთის შინაარსი კი ასეთია: ორი ოსი, აფა და ჩობა ჩიბირაშვილები მდ.დიდი ლიახვის მთიანი ნაწილიდან ხშირად ჩამოდიოდნენ ქართველთა სამტრიდ და საძარცვავად. მდ.მავდაზე ოსებს ფალავანდიშვილის ყმები ატოცელი აბრამიშვილები (ძმები) დაუჭერიათ და მოუკლავთ. ჩიბირაშვილებს ფალავანდიშვილი მესამედ შეხვედრია არკნეთის და გვერთეთის ხეობებს შორის. ფალავანდიშვილს სიკვდილისათვის თავი დაულწევია, მაგრამ ოსებს მოუკლავთ მისი თანმხლები ქვეითი. რამდენიმე ხნის შემდეგ ოსი ჩიბირაშვილები ფალავანდიშვილს ხელთ ჩაუვარდებიან. ფალავანდიშვილმა სასისხლო გადასახადი მოითხოვა. ოსებს არაფერი არ აღმოაჩნდათ ოთხი ხარის გარდა, რაც მოკლული ადამიანის დასაკრძალავი ხარჯებისათვის გადაიხადეს. იმის გამო, რომ ჩობა და აფა ჩიბირაშვილებს სხვა არაფერი არ აღმოაჩნდათ გადასახადი (უქონელნი იყვნენ), სანაცვლოდ ფალავანდიშვილს ყმებად დაუდგნენ. რამდენიმე მოწმე ოსი ფალავანდიშვილს პირობას აძლევს, თუ ჩიბირაშვილები რიდესმე უკან გამოიქცევიან, ჩვენ მათ ისევ უკან დაგიბრუნებთო. უკან დაგიბრუნებთ, თუ ისინი წავლენ ბიზნად სამაჩაბლოდან და რუსთავიდან, ან ოსებთან სხვა ადგილებში (История... გვ.151, ხ.ი. ფ.Hd, საბ.647).

გ.თოგოშვილი წერს: XVIII ს. უკანასკნელი ათწლეულის დოკუმენტური მასალები გვაძლევენ ცნობებს ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლში ოსთა დიდი ჯგუფების ორგანიზებული გადმოსახლების შესახებ (1969, ნ.გვ.201-202). 1794 წლის ერთი საბუთით ერეკლე მეფე მართლაც უბოძებს თარხნობასა და აზნაურობას თაგაურელ ოსს თუჯი კუნდუხაშვილს, თუ ის საქართველოში გადმოასახლებს ოსებს. საყურადღებოა, რომ შემდეგდროინდელი, 1796 წლის საბუთით ირკვევა საქართველოში კუნდუხაშვილის მიერ გადმოსახლებული ოსების ადგილსამყოფელი. ესაა ხევის სოფ.აჩხოტი (История... გვ.185, სცსსა, ფ.1450, დავთ.23, საბ.187). 1886 წ. საოჯახო სიებით კი სოფ. აჩხოტში 11 კომლი ოსი მკვიდრობდა. აი, ესაა ქართლის მთასა და ბარს მოდებული მრავალრიცხოვანი ოსი მოსახლეობა XVIII ს-ის ბოლოს, რომელიც გ.თოგოშვილმა ერთი ქართული საბუთის არასწორი წაკითხვით წარმოიდგინა. ამასთანავე, იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ XVIII ს-ის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიური ოსური ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით ოსი მოსახლეობა აღარ გადმოსახლდებოდა. ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფალთაგან მათ უკვე ფართოდ ჰქონდათ გახსნილი კარები ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთსა და ბარში. ერთადერთი რეგიონი, საიდანაც ოსები საქართველოში XIX ს-შიც მიგრირდებიან მხოლოდ დვალეთი იყო, ალბათ იმის გამო, რომ ეს რეგიონი ისტორიულად, ბუნებრივ-გეოგრაფიულად უფრო საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ოსეთის ხეობებთან.

ზემოთ ჩვენ საუბარი გვქონდა XVIII ს-ში არაგვის ხეობაში ოსთა დასახლებების თითქმის არ არსებობის შესახებ, თუ არ ჩავთვლით ღუდას. გაირკვა, რომ არაგვის ხეობაში 1.200 კომლი ოსი კი არა, 50 კომლიც არ იყო. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ 1770 წლის დემოგრაფიული ძეგლი სხვა ხეობების მიმართაც არასწორ ცნობებს ემყარება. მასში გადამეტებულადაა ნაჩვენები არამარტო ოსური მოსახლეობა, არამედ ქართულიც. მაგალითად, შეიძლება შევჩერდეთ ქსნის ხეობაზე. 1781 წლის მონაცემებით, ქსნის ხეობაში 739 კომლი ქართველი მკვიდრობდა (ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, ნ. I.). 1770 წლის დემოგრაფიული ძეგლი კი I 600 კომლს აჩვენებს. მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ 1781 წლის აღწერა (ისევე როგორც 1774 წლისა) სრულყოფილი არაა. მასში შეტანილი არაა რამდენიმე სოფელი, რომლებშიც უეჭველი მონაცემებით, აღნიშნული დროისათვის, ქართველები მკვიდრობდნენ. ამდენად, თუ 739 კომლს დავუმატებთ მინიმუმ 70 კომლს, ქსნის ხეობის მთა-მთისწინეთში მოსახლე ქართველების რაოდენობა დაახლოებით 800 კომლი უნდა ყოფილიყო. რამდენი სულისაგან შედგებოდა ეს 800 კომლი? თუ XVIII ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებს დავაკვირდებით, თვალნათლივ ჩანს, რომ კომლების უმეტესობა დიდ ოჯახებს წარმოადგენდა. არაერთი და ორი შემთხვევაა აღნუსხული სამ, ოთხ, ხუთთავიანი ოჯახებისა, ე.ი. ოჯახები წარმოადგენენ სამი, ოთხი, ხუთი საქორწინო წყვილისა და მათი შთამომავლობის ერთობლიობას. კომლში საშუალოდ უნდა ვიანგარიშოთ 8 სული. ამდენად, ქსნის ხეობის მთისწინა და მთის ზოლში 1781 წ. საშუალოდ 6 400 სული ქართველი მოსახლეობდა. 1873 წ. კამერალურ აღწერაში ქსნის ხეობის მთა-მთისწინეთის 51 ქართულ სოფელში 754 კომლი, 5.385 სული მკვიდრობდა (საშუალოდ კომლში 7,2 სული). თუ შევადარებთ 1781 და 1873 წლების მონაცემებს, ქართველი მოსახლეობის კლება საკვლევ რეგიონში აშკარაა (მინუს 1015 სული), რაც გამოწვეულია XIX ს. დასაწყისიდან ქართული მოსახლეობის ბარში ინტენსიური გადასახლებით. ზოგიერთი გვარი ხომ საერთოდ აიყარა ქსნის ხეობიდან და კახეთისა და ქართლის ბარში ჩასახლდა (ბუჯიძე, დორეული, კაჭიური, ქანაშვილი, სულაშვილი...). მათ ნასოფლარებში კი ოსები ეფუძნებოდნენ.

რაც შეეხება ოსურ მოსახლეობას, 1873 წ. კამერალური აღწერის მონაცემებით, ოსები ქსნის ხეობის 39 სოფელში მკვიდრობდნენ. ეს სოფლები მცირე კომლიანი იყო და მათში საშუალოდ 7 კომლზე ოდნავ მეტი მოსახლეობდა. 1873 წ.ქსნის ხეობის მთა-მთისწინეთში სულ 2.479 სული ოსი ცხოვრობდა 283 კომლით (საშუალოდ კომლში 8,75 სული). პროცენტულად ოსები 1873 წელს მთელი მოსახლეობის 31,5 %-ს შეადგენდნენ; კომლთა რაოდენობის 27%-ს. (შესაბამისად

ქართველები მთელი მოსახლეობის 68,5% იყვნენ, კომლთა რაოდენობის 73%). ყველაზე მეტი რაოდენობით ოსები ჭურთის ხეობაში იყვნენ (105 კომლი, 873 სული). საფერშეთში მათი რაოდენობა 54 კომლი (544 სული) იყო, ეამურში — 51 კომლი (414 სული). დანარჩენ სოფლებში 73 კომლი (648 სული) ოსი მკვიდრობდა. 1804 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით, ქსნის ხეობის მთა-მთისწინეთში სულ 254 კომლი ოსი მკვიდრობდა, 1829 სულით. 1804 წლიდან 1873 წლისათვის ქსნის ხეობაში ოსთა რაოდენობამ 650 სულით მოიმატა. დროის ამ მონაკვეთში ეამურიდან და ჭურთიდან ოსები ხეობის უფრო დაბლობ ნაწილში გადადიოდნენ საცხოვრებლად.

გვაქვს წყაროები ოსთა ქსნის ხეობაში განსახლების სურათის შესასწავლად XVIII ს-ში. მხედველობაში გვაქვს „ნუსხა ქსნის ოსების საკომლო მამულებისა" (ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, II, გვ.188-189), რომელშიც ქსნის ხეობაში (და არამარტო ქსნის ხეობაში, არამედ საერისთავოს ტერიტორიაზე) ოსთა განსახლების კომლობრივი რაოდენობაა მოცემული.აღნიშნულმა საბუთმა გ.თოგოშვილს აფიქრებინა, რომ ის არაა სრული: „ნუსხაში აღრიცხული საკომლოთა რაოდენობა (364) გვაფიქრებინებს, რომ იგი ერისთავის გვარის რომელიმე წარმომადგენლის პირად საკუთრებაში მყოფ ოსთა საკომლო მამულების ჯამია და არა ქსანზე არსებული ოსთა საკომლო მამულების მთლიანი ჯამი"(გ.თოგოშვილი — 1969, გვ.180). ჩვენი ნბრით დავსძენთ, რომ აღნიშნული ეჭვი შეიძლება გამოთქმული იყოს მხოლოდ **ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე** მოსახლე **ოსთა** რაოდენობის შესახებ. რაც შეეხება **ქსნის ხეობის** მთა-მთისწინეთში განსახლებული ოსებს, მათ შესახებ საბუთში ზუსტი ცნობები უნდა გვქონდეს მოცემული. ასეთი დასკვნის საფუძველს აღნიშნული საბუთის 1804 და 1873 წლების მონაცემებთან და ეთნოგრაფიულ მასალებთან შედარება იძლევა. ქვემოთ ნუსხის მხოლოდ იმ ნაწილს მოვიტანთ, რომელიც უშუალოდ ქსნის ხეობას ეხება:

„ქ. **„ქსნის ოსთ საკომლო მამულები:**

ქ. **ჭურთას** 60 საკომლო, მომეტებულს ახალ-ახალს გატეხილებს გარდა

ქ. **ქერდიყოათსოფელი** და ბოსელთა საკომლო ათი

ქ. **ეამურს** საკომლო ორმოცდაცამეტი, ახალს გატეხილს გარდა

ქ. **ლომისა და ოხირი** საკომლო თოთხმეტი

ქ. **მუჯუხი** საკომლო თოთხმეტი

ქ. **საფეშეთი** საკომლო ოცი, ახალს გატეხილს გარდა

ქ. **გდუვი**, საკომლო ხუთი

ქ. **იქეთი და ხლომის** ნყარო საკომლო რვა „(ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, II,გვ.188-189).

აქ მოტანილი საბუთის მიხედვით, ოსების საერთო რაოდენობა ქსნის ხეობის მთაში სულ ერთად გამოდის 184 კომლი (XVIII ს-ის

ბოლოსათვის). ოსების ძირითადი ნაწილი კი ხეობის სულ ზემო წელში, — ჟამურში და ჭურთაში, — ყოფილა კონცენტრირებული (ორივეში ერთად 113 კომლი). პროცენტული რაოდენობის მიხედვით. XVIII ს. ბოლოს ქართველებსა და ოსებს შორის ასეთი შეფარდება იყო: ქართველები აქ განსახლებული კომლთა რაოდენობის 81,3%-ს შეადგენდნენ, ოსები — 18,7%-ს.

XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან 1804 წლამდე ოსთა რაოდენობას ქსნის ხეობაში სულ 70 კომლით მოუმატია, ხოლო 1873 წლისათვის — 99 კომლით. ეს, ალბათ, ის ოსები არიან, რომლებსაც ზემოთ მოტანილი საბუთის მიხედვით „ახალ-ახალი გატეხილი საკომლოები" ჰქონდათ.

ეს რიცხვი შეეხება ქსნის ხეობას. მაგრამ ქსნის ერისთავებს ხომ მეზობელი ხეობებიც ეკუთვნოდათ. XVIII ს-ის ბოლოს ოსები მკვიდრობდნენ მეჯუდას ხეობის სათავეში. აგრეთვე, პატარა ლიახვის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც მათი საკუთრება იყო. ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ ლეხურას სათავეში არსებული ორი სოფელი ქოლოთი და ქვითკირიც. დიდი ლიახვის ხეობაში — მაღრან-დვალეთი.

ზემოთ მოტანილ ქსნის მამულების დავთრის მეორე ნაწილში სწორედ პატარა ლიახვის, მეჯუდას ხეობის ზემო წელში მცხოვრები ოსების რაოდენობაა ფიქსირებული. განხილველი საბუთიდან ერთი რამე აშკარად ჩანს, რომ პატარა ლიახვის ხეობაში XVIII ს-ში ოსები აღარ მიგრირდებოდნენ სხვა ხეობებიდან (რეგიონებიდან). ამის მაჩვენებელია ისიც, რომ აქ არაა მითითებული „ახალ-ახალი გატეხილი" მამულები. ქსნის ხეობის თითქმის ყველა ოსურ დასახლებულ პუნქტში იყო მითითებული „ახალ-ახალი" გატეხილი" მიწები (საკომლოები), რაც იმის მაჩვენებელია, რომ აქ, ამ დროს, გრძელდებოდა ოსების მიგრაცია. ამასთანავე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია მოცემულ საკომლოებთან შედარებით, აქ ოსთა რაოდენობა ოდნავ მეტი ყოფილიყო, რადგან იმავე პერიოდის თრუსოს ოსთა აღწერიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ საკომლოზე ორი კომლი ცხოვრობდა ერთად. მაგალითად, თრუსოს სოფ.-გიმარაში მცხოვრები 12 კომლიდან ორს ნახევარ-ნახევარი საკომლო ეჭირა.

ახლა დავთვალოთ ქსნის ერისთავთა საკომლოთა რაოდენობა, ანუ კომლთა რაოდენობა ქსნის ხეობის გარეთ. ის 174-ს შეადგენდა. სულ ერთად კი ქსნის ერისთავთა გამგებლობაში XVIII ს-ის ბოლოს 358 ოსთა საკომლო არსებობდა. თუ დავუშვებთ, რომ აქაც ზოგიერთ კომლს ნახევარი საკომლო ჰქონდა, შეიძლება ეს ციფრი გავზარდოთ, დავამრგვალოთ და 370 კომლი ვიანგარიშოთ. ამას შეიძლება დავუმატოთ მაღრან-დვალეთის ოსური მოსახლეობაც, რომელიც საბუთში შეტანილი არაა. მაღრან-დვალეთში 9 მცირე სოფელი შედიოდა, რომელშიც 1814 წელს 164 კომლი მკვიდრობდა. ამავე

რაოდენობით უნდა ვიანგარიშოთ ოსთა რაოდენობა მაღრან-დვალეთში XVIII ს-ის ბოლოსაც (ანდა XVIII ს-ის მეორე ნახევარში). საბუთში შეტანილი არაა ქნოლოელ ოსთა რაოდენობაც. 1814 წლის აღწერით, ქნოლოში ოსები დაახლოებით 30 კომლი იყვნენ. მივიღებთ სულ ერთად 564 კომლს. აი, რეალური სურათი ქსნის ერისთავთა გამგებლობაში მყოფი ოსთა რაოდენობისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქსნის ხეობაში ქართველთა რაოდენობა 1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში 1600 კომლია ნაჩვენები. სინამდვილეში კი მისი რაოდენობა 800 კომლი იყო. ასევეა ოსთა რაოდენობაც გაორმაგებული და გასამმაგებულიც. დემოგრაფიული ძეგლი ქსნის ოსთა რაოდენობას 2000 -ს უთითებს. ჩვენი დაანგარიშებით დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქსნის ერისთავთა გამგებლოაში მყოფი ოსების რაოდენობა 564 კომლს შეადგენდა. ზედმეტი გამოდის თითქმის 1500 კომლი. ცნობილია, რომ ქსნის ერისთავებს ოსი ყმები ყავდათ დღევანდელი საქართველოს ტერიტორის გარეთ, ისტორიული საქართველოს პროვინცია დვალეთშიც, რომელთა სავარაუდო რაოდენობა 400 კომლი იქნებოდა. ასე მივიღებთ სინამდვილეში არსებულ ციფრს — 1000 კომლს, დემოგრაფიულ ნუსხაში ნაჩვენები 2000-ის ნაცვლად. მაგრამ, მაინც ხაზი უნდა გაესვას, რომ ქსნის ერისთავთა ოსების რაოდენობა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 564 კომლი იყო.

XVIII ს-ის ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონაცემები სინამდვილეს რომ შეესაბამება, ამას ადასტურებს 1814 წლის შიდა ქართლის მთიანეთის მოსახლეობის აღწერაც. 1814 წლის აღწერით, პატარა ლიახვის ხეობაში ოსთა რაოდენობა 393 კომლი იყო. აქედან ადგილზე უშუალოდ ცხოვრობდა 310 კომლი. ჩანს, რომ პატარა ლიახვის ხეობიდან XIX ს-ის დასაწყისში ოსთა ინტენსიური გადასახლება მიმდინარეობდა დაბლობის სოფლებში და 83 კომლი მიგრირებული იყო. ამავე წელს მაღრან-დვალეთში 164 კომლი მკვიდრობდა, ქსნის ხეობაში —343 (ჭურთაში — 108 კომლი, ქარჩოხში — 57, ეამურში —112, საფეშეთში — 68). ლეხურას ხეობის სოფ. ქვითკირში — 11 კომლი და კიდევ ქსნის ხეობაში — 31, მეჯუდას ხეობაში — 84 კომლი. ამრიგად, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქსნის ოსების საერთო რაოდენობა 1814 წელს 1028 კომლი იყო. XVIII ს-ის მეორე ნახევრის მონაცემებთან შედარებით დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქსნის ერისთავთა ოსების რაოდენობა 1814 წლისათვის თითქმის გაორმაგდა, 564 დან 1028 კომლამდე გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო დვალეთის სოფლებიდან ამ დროს ოსური მოსახლეობის ქსნის ერისთავთა საგამგეო ტერიტორიებზე ჩასახლებით.

რაც შეეხება დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ოსებს, მათი

რაოდენობა 732 კომლი იყო. 1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში 860 მაჩაბლის ოსია ნაჩვენები.

როგორც ზემოთ ითქვა, არაგვის ხეობის, უფრო სწორედ, არაგვის ერისთავთა საგამგეოში შემავალ ოსთა რაოდენობა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე რეალურად 130 კომლს უდრიდა (XVIII ს. ბოლოს).

გვრჩება დასაანგარიშებელი კუდარელი ოსების რაოდენობა. აქ ოსთა განსახლების რეალური სურათი XVIII ს-ის ბოლოსათვის მოცემული აქვს იოანე ბაგრატიონს: „ქ.წედისის მხარეს ოსები, რომელიც მიეწერება რაჭასვე ოსის სოფლები: ქ.კუდარო, ქ.ნონა, ქ.ბოჟა, ქ.ზედა ბოჟა, ქ.გულიანთა, ქ.ტურიშვილები,ქ.ნადარბაზევი" (გვ.78). მაგრამ აქ კომლთა რაოდენობა არაა მოცემული. ერთი საუკუნის შემდეგდროინდელი, 1886 წლის საოჯახო სიებით, აქ ოსთა რაოდენობა 320 კომლის ფარგლებში იყო. თუ გავითვალისწინებთ, ერთი საუკუნის განმავლობაში, ბუნებრივ მატებას, XVIII ს-ში ოსების საერთო რაოდენობა კუდაროში 220 კომლზე მეტი არ იქნებოდა.

თუ დავაჯამეთ ზემოთ მოტანილ მონაცემებს, მივიღებთ, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე (აქ არ იგულისხმება დვალეთი, რომელიც იმ ხანად ჯერ კიდევ საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო) დაახლოებით 2.130 კომლი ოსი მკვიდრობდა. ერთ ოჯახში თუ შვიდ სულს ვიანგარიშებთ, გამოდის რომ 1814 წელს საქართველოში სულ 14.910 სული ოსი ეროვნების ცხოვრობდა. ეს ციფრი რომ რეალურია, დასტურდება 1830 წ. გაზ.„ტიფ.ვედომოსტში" (N 72-86) მოთავსებული სტატიებიდან. ამ დროს ლიახვისა და მის შენაკად ხეობებში, სადაც საქართველოში მცხოვრები ოსების ძირითადი მასა იყო კონცენტრირებული, ოსების რაოდენობა სულ 7.200 სულს შეადგენდა.

ზემოთ მოტანილი ჩვენი გამოანგარიშება 1814 წლის მოსახლეობის კამერალურ აღწერას ემყარება. შიდა ქართლში (მის მთიან ნაწილში) ჩატარებული ეს აღწერა სრულად ასახავს იმ დემოგრაფიულ სიტუაციას, რომელიც აქ გვქონდა. აღწერილია დიდი ლიახვისა და მისი შენაკადი ხევების (ქეშელთის ხევი, ჯავის წყალი, სოსხის ხევი, ხვნის ხევი, მუგუთის ხევი, ფანა, კოშკის ხევი, როკის ხევი, ბეის ხევი, მშხლების ხევი) ყველა სოფლის მოსახლეობა. 1814 წლის დემოგრაფიული ძეგლით ლიახვის ხეობაში, გუფთის ზემოთ სულ 37 ოსური სოფელი ითვლებოდა, რა თქმა უნდა, ზოგიერთ უბანს სოფლად თუ არ მივიჩნევთ. შეიძლება ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი, რადგან ისინი, როგორც ტოპონიმები ქართული ენობრივი სამყაროს კუთვნილნი არიან: გუფთა (სიბას განმარტებით „გუბე-ფოსო, გინა წყლის გუბე") --გუფთის უბნები იყო: ბორცვა, ბუხალა, კადიგინი, მარგო; სხლები (და მისი უბანი ხაჭაპური); ჯავა,

ტონტობეთი, გვერწევი, ლამოანი, ახალსოფელი და ჭალიანი, კოტანთო, ხვეწე, ცოხო, დუდუთი და ჭამათი, ბარდნისი, კაბირა, ჭინკანი, კრიეა, ჭრია, ქვემო ახალსოფელი, შალიკაური, მძივი, კოშკა, ჯამაგა, როკა, ქეშელთა, მაცხვარი, ჯავისთავი, ზამთარეთი, წონა, ერწო, ძიაყანა (ბზიაყანა?), ზარცემი, თლე, წიფრანი... აქედან ზამთარეთი, ერწო, წონა, ბზიაყანა, ზარცემი კუდარიოს „ქვეყანას" განეკუთვნებოდა. თლე კი ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ. დიდი ლიახვის ხეობის მთიანეთში ისეთი ოსური გვარები მკვიდრობდნენ, რომელთა ოსური წარმოშობის შესახებ გადმოცემა არაა და ისინი ქართველური ტომის — დვალების გაოსებული შთამომავალნი არიან: ყოჩიშვილი (კოჩიშვილი), ხარებაშვილი, ბეტეშვილი, ჩოჩიშვილი, ფილიშვილი,ვალიშვილი (იგივე დვალიშვილი), თიბილაშვილი (თავდაპირველი ფორმა „თიბელაშვილი"), ბაგაური, გერგაული...

1814 წლის აღწერის დავთრიდან ჩანს, რომ დიდი ლიახვის ხეობაში (მაღრან-დვალეთის ჩათლვით) უფრო დიდი სოფლები იყო, ვიდრე პატარა ლიახვის ხეობაში. დიდი ლიახვის ხეობის 37 სოფელში 752 კომლი მკვიდრობდა, რაც საშუალოდ 20,3 კომლია თითოეულ სოფელში. მაღრან-დვალეთში ეს მაჩვენებელი (164 კომლი, 9 სოფელი) 18,2 -ს უდრის. პატარა ლიახვის ხეობაში 393 კომლი 82 სოფელზე იყო განაწილებული. საშუალოდ ერთ სოფელზე 4,8 კომლი მოდიოდა. თუ ვიანგარიშებთ 1804-1814 წლების მონაკვეთში პატარა ლიახვის მთიანეთიდან მიგრირებულ 310 კომლს, მაშინ გამოდის, რომ XIX ს-ის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობაში ცხოვრობდა 703 კომლი. თუმცა ეს რიცხვი (703 კომლი) არარეალურია, რადგან XIX ს-ის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობიდან მხოლოდ ოჯახებიდან გამონაყოფი ახალი კომლები გადასახლდებოდნენ. ასეა თუ ისე, XIX ს-ის დასაწყისში, სანამ პატარა ლიახვის ხეობელი ოსების სხვა მიმართულებით მიგრაცია დაიწყებოდა, აქ უფრო პატარა სოფლები იყო, ვიდრე დიდი ლიახვის ხეობაში. აქ საშუალოდ სოფელში 8,6 კომლი მკვიდრობდა. პატარა ლიახვის ხეობაში ისეთი სოფლებიც იყო, რომლებშიც ერთი და ორი კომლი მოსახლეობდა. ასეთი 1-2 კომლიანი სოფლები 1814 წლის აღწერით პატარა ლიახვის ხეობაში 17 იყო. 1814 წლის აღწერით ისიც ირკვევა, რომ პატარა ლიახვის ხეობიდან ოსური მოსახლეობის სხვადასხვა მიმართულებით მიგრაციამ ხეობაში ნასოფლარებიც წარმოშვა. ასეთი ნასოფლარი აქ 12 იყო, მათშორის, ლაჭაური, ბელოთი (დვალურის ხეობაში), დვალურა, სნეკვი... ეს უკანასკნელი სოფელი ისტორიულად ქართველი შავარდენიძეების და ნუკრაძეების სამკვიდრო იყო. სნეკვში პირველი ოსური ოჯახები 1817 წელს მოსულან (სცსსა, ფ. 254, 1-543) დვალეთიდან. 1886 წ. სნეკვში ოსებმა რაოდენობით ქართველებს საკმაოდ გადაამეტეს (შესაბამისად 16 და 38 კომლი). რაც შეეხება ბელოთს, აქ ადრე

ქართველ ჩიფჩიურებს უცხოვრიათ, რომლებიც 1818 წელს ფცაში გადასახლებულან (სცსსა, ფ.254, ან.1, საქ.N 1243).

1804-1814 წლებს შორის მონაკვეთში პატარა ლიახვის ხეობის მთიანი ნაწილიდან ოსები გაფანტულან სულ სხვადასხვა მიმართულებით (სხვადასხვა სოფლებში). ძირითადად ოსები ქართლის ბარის ქართულ სოფლებში გაფანტულან. 1804-1814 წლებში პატარა ლიახვის მთიანეთიდან მიგრირებულ 310 კომლს არსად შიდა ქართლის ბარში კომპაქტური ოსური დასახლება არ შეუქმნია. პატარა ლიახველი ოსები ძირითადად განსახლდნენ (ლაპარაკია 1804-1814 წლების მონაკვეთზე და 310 კომლზე) შიდა ქართლის ბარის შემდეგ სოფლებში: მერია, მეჯვრისხევი, ხელთუბანი, მარანა, ტყვიავი, ქინნისი, აძვი, ქვეში, ქსუისი, ფლავი, კარალეთი, ფლავისმანი, სამწევრისი, დიცი, კარბი, ქორდი...

ყველაზე დიდი რაოდენობით (22 კომლი) პატარა ლიახვის მთის სოფლებიდან გადმოსახლებულა გვერდისძირის სოფ. ქვლივანაში. ჩანს, პატარა ლიახვის ხეობიდან ვერდისძირში ოსთა მიგრაცია ქსნის ერისთავთა ინიციატივითაც ხდებოდა, რადგან, როგორც მთის, ისე ბარის ეს რეგიონები ქსნის ერისთავთა საგამგეოში შედიოდა. გვერდისძირში შედიოდა მეჯვრისხევი, აძვი, ქვეში, დუდეთი, ქინნისი, გორანა, ძლავი, ფლავისმანი, არცევი, შაკათგორი, ოტრევი, მერე, ლაფაჩი, სათემო, სნეკვი, მარანა, იკორთა. 1814 წლის აღწერა იმასაც გვიჩვენებს, რომ პატარა ლიახვის ხეობიდან ოსები გადმოსახლდებოდნენ, აგრეთვე, ამავე ხეობის მთისწინა ზოლში: გერის ხეობაში, არბოში, ყლარცვში (აქ ვახუშტის დროსაც იყვნენ ოსები. ახლა ემატებოდნენ). პატარა ლიახვის ხეობიდან XIX ს-ის პირველ 10 წელს ოსთა მიგრაცია ხდებოდა ქსნის ხეობაში, მეჯუდას ხეობაში, არაგვის ხეობაში. მაგალითად, ქსნის ხეობაში პატარა ლიახვის ხეობიდან, დროის აღნიშნულ მონაკვეთში, 33 კომლი ოსი მიგრირებულა (საფეშეთში - - 8, ჟამურში - - 3, ჭურთაში - - 4...). მეჯუდას ხეობასა და ისროლისხევში 21 კომლი ოსი გადმოსახლებულა. ისევე როგორც ქსნის ხეობაში, აქაც ისინი მთის სოფლებში სახლდებოდნენ. ხეობის მთისწინა და ბარის ზოლი ჯერ კიდევ დაუსახლებელი იყო. 1814 წლის აღწერიდან ისიც ირკვევა, რომ ამ პერიოდში ოსური მოსახლეობა პატარა ლიახვის ხეობის მთიანი ნაწილიდან დასახლებულა ლეხურას ხეობის სოფ. წოლდაშიც (1 კომლი). ე.ი. XVIII-XIX სს. მიჯნაზე არსებული ლეხურას ხეობის ერთ სოფელ ქვითკირს, მეორე ახალი ოსური სოფელი წოლდაც დაემატა. სოფ.ქვიტკირის ადრინდელ ოსურ მოსახლეობას პატარა ლიახვის ხეობიდან მოსული კიდევ ხუთი კომლი ოსი დამატებია. პატარა ლიახვის ხეობიდან არაგვის ხეობის მთიან ნაწილში, სათავეში — ღუდაში 6 ოჯახი გადასახლებულა. ერთიც თრუსოში წასულა საცხოვრებლად. დაწყე-

ბულა ოსთა გადასახლება ფრონეების ხეობაში. 1814 წლის აღწერით, ამ ხეობის სოფ. ქალეთში ორი ოჯახი გადასულა საცხოვრებლად. ცნობისათვის ქალეთში XVIII ს-ის დასაწყისში ნებიერიძეები, ქიფსუტიძეები, კახეთელიძეები, ბოკაძეები, ნადირაძეები მკვიდრობდნენ.

ისევე როგორც დიდი ლიახვის ხეობაში, პატარა ლიახვის ხეობაშიც ოიკონიმები თითქმის მთლიანად ქართულია. ქართულია ჰიდრონიმებიც: ფოტრისი (ფოტნისი), აწერის ხევი, შამბიანის ხევი, ჩაბარუხეთის ხევი, დვალურის ხევი, გვიდისის ხევი. ახლა სოფლის სახელებიც გავიხსენოთ: რეხა, კირკოტა, ლეკოვანი, წიფორი, შამბიეთი (ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან: „შამბიანი"), ტყუფთა, ერთული (იგივე „შერთული"), ლაჭაური, გადკარი, ქნოლო, ზემო ლაჭაური, ქვემო ლაჭაური, ფაჩური, ჩაბარუხეთი, ბრილი, ბეხჩო (ბეხუში), ინაური, გნასური, ქვემო ტოლიები, ზემო ტოლიები, ზონკარი, ქვემო საჩინო, ზემო საჩინო, საკანაფო, ქვემო ვანური, ზემო ვანური, გერიეთი, ბელოთი, ტყემლოვანი, დვალურა, საბოლოკე, ბადაანი, სნეკვი...

ამრიგად, 1814 წლის შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერა გვაძლევს საშუალებას, გავარკვიოთ ოსთა მუდმივი განსახლების ადგილები; ოსთა მიგრაციის მიმართულებანი და მიგრაციის სახე; ოსთა რაოდენობა. დიდი ლიახვის ხეობაში ოსები განსახლებული იყვნენ გუფთის ზემოთ. პატარა ლიახვის ხეობაში ოსთა და ქართველთა განსახლების საზღვარი იყო ქართული სოფ. აწერის — ხევი. მეჯუდას ხეობაში ოსები მხოლოდ მის სათავეში მოსახლეობდნენ. მეჯუდას მთელი ხეობა აღნიშნული დროისათვის ფაქტიურად დაუსახლებელი იყო. ლეხურას ხეობის სათავეში ერთი ოსური სოფელი ქვიტკირი არსებობდა. ამავე ხეობაში 1804-1814 წწ. ჩნდება კიდევ ერთი 4 კომლიანი ოსური სოფელი ნოლდი. ლეხურის ხეობის დანარჩენი (უფრო სწორედ, მთლიანი მონაკვეთი) ნასოფლარებით იყო მოფენილი, თუ არ ჩავთვლით ქართულ სოფელ ქოლოთს. ქსნის ხეობაში ოსები მის სათავესა (ჯამურში) და შენაკადი ხეობების (ჭურთა, საფეშეთი) სათავეებში მკვიდრობდნენ. ხეობა მთლიანად ქართული იყო. არაგვის ხეობაში ოსები მხოლოდ მთიულეთის (თეთრი) არაგვის სათავეში —ლუდაში მკვიდრობდნენ. არაგვის ხეობის მთისწინეთსა და მთაში არსად ოსური მოსახლეობა არ იყო. ოსები მკვიდრობდნენ თერგის ხეობის სათავეში — თრუსოში. დასავლეთით ოსური დასახლება გვქონდა მდინარე ჯეჯორის სათავეში — კუდაროში. რაც შეეხება შიდა ქართლის ფრონეების ხეობას (დვანის წყალი, ფცის წყალი..) აქ ოსები 1814 წელს ჯერ არ მკვიდრობდნენ. მხოლოდ შეინიშნება თითო-ოროლა ოსური კომლის შელწევა ფრონეების ხეობაში. საერთოდ არ იყო კომპაქტური ოსური მოსახლეობა შიდა ქართლის ბარში. ისინი აქ

მხოლოდ ქართულ სოფლებში იყვნენ განსახლებული და რეგიონის ეთნიკურ რუკაზე მათი მცირე რაოდენობა რაიმე გავლენას ვერ ახდენდა. არ იყვნენ ოსები არც გალმა მხარში, საციციანოს ტერიტორიაზე (ძამის ხეობა), ატენის ხეობაში, თეძმის ხეობაში. დაუსახლებელი იყო გუჯარეთის ხეობაც.

შესამჩნევი იყო ოსთა მიგრაცია 1814 წელს მხოლოდ პატარა ლიახვის ხეობიდან, რაც ძირითადად ხორციელდებოდა ერთი ფეოდალური საგამგეოს ტერიტორიაზე (ქსნის ერისთავის კუთვნილი მთიანი მამულებიდან ოსები ქსნის ერისთავისავე კუთვნილი მთისწინა და ბარის სოფლებში მიგრირდებოდნენ). **გადასახლებაც ჯგუფური არ ყოფილა. ოსთა მიგრაციას მთისწინეთისა და ბარის სოფლებში 1804-1814 წლების მონაკვეთში მათი კომპაქტური დასახლებების შექმნა არ გამოუნვევია. ისინი იფანტებოდნენ ან ბარის სოფლებში, ან მთის ოსურ სოფლებში.**

ოსთა საერთო რაოდენობა 1814 წლის საქართველოში (და XVIII-XIX სს მიჯნის საქართველოშიც) დვალეთის პროვინციის გამოკლებით, 2.130 კომლი (14.210 სული) იყო. ამდენად, 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა რეალურ სურათს არ იძლევა. მასში თითქმის გაორმაგებულია როგორც ქართველების, ისე ოსების რეალური რაოდენობა (ეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას მხოლოდ მთის რეგიონებზე). ამასთანავე, 1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში საქართველოში მცხოვრებ ოსებს შორის იგულისხმება საქართველოს ისტორიული პროვინციის დვალეთის ოსური მოსახლეობაც. დვალეთი კი მხოლოდ საქართველოს ისტორიული მინა-წყალი იყო. ის ცარიზმმა 1859 წელს საქართველოს ჩამოართვა და ოსეთს (იგივე რუსეთს) მიაკუთვნა. ცნობისათვის: დვალეთი ძირითადად მეფის საგამგეოს წარმოადგენდა. თუმცა აქ ყმები ყავდათ, როგორც ქსნის ერისთავებს, ისე არაგვის ერისთავებს. დვალეთის ნაწილი (ეღელე, კასრის ხევი და სხვა რამდენიმე სოფელი) რაჭის ერისთავთა გამგებლობაში შედიოდა.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ არარეალურია გ.თოგოშვილის მიერ XVIII ს-ის საქართველოში ოსთა რაოდენობის 6 000 კომლით განსაზღვრა (გ.თოგოშვილი, 1969, გვ.165). მადა ჭამაში მოდისო და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევებში" გ.თოგოშვილმა მის მიერ ადრე ქართულ წიგნში ნაგულისხმევი 6 000 კომლი 7 000 კომლამდე გაზარდა: „Во второй половине XVIIIв. в Грузии насчитывалось более 7 000 дымов осетинских крестьян" (Очерки истории Юго-Осетинской АО, Тб., с.108).

ისევ უნდა დავუბრუნდეთ XVIII ს-ის რამდენიმე საბუთს. XVII საუკუნის შუა ხანებში დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ნაწილი დაუსახლებელი რომ იყო და ქართული მოსახლეობა ამოწყვეტილი

რომ იყო ჩრდილოეთიდან ოსთა თავდასხმების შედეგად, კარგად ჩანს ზემოთ არაერთგზის ხსენებული საბუთიდან, რომ „ზემო ჯავა ამოწყდა ოსთაგან". ამას გარდა, გვაქვს სხვა საისტორიო საბუთებიც, რომელთაგანაც კარგად ჩანს,რომ ლიახვის ხეობაში ოსები ინტენსიურად სახლდებიან XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის დასაწყისში. მაგალითად, 1704 წლის წყალობის წიგნით, რომელიც გაცემულია ქართლის მეფე შაჰყულიხანის მიერ ფირან და ბორტი ბადურის ძე მაჩაბლებისადმი, ვგებულობთ, რომ **სახასო მთის ადგილები (დიდი ლიახვის ხეობაში) მათ მამას ბაადურს მოუშენებია, ე.ი. ოსები დაუსახლებია.** ამისათვის მეფეს ეს სახასო ადგილები მაჩაბლებისათვის უბოძებია: „ამას წინათი ჩვენი სახასო მთის ადგილები მამა ჩვენს ბადურს აეშენა, პატრონს მეფეს მამაჩვენს და პატრონს მეფეს ჩვენს ძმასაც თქვენთვის ასე წყალობა ექნა, რომ იმაში თქვენის სახლიკაცებისათვის წილი არ დაედგა... რადგან სახასო ადგილი აგეშენა, ჯელმწიფით, თქვენთვის ებოძათ. ამაში შენს სახლის კაცთ ხელი არა ჰქონდათ. თქვენი ნაქონი მთის ალაგი ისრე ისევ თქვენ გიბოძეთ, რომ თქვენს სახლის კაცებს იმაში ხელი არაეისა აქვს" (სცსსა, ფ.1450, დავთარი 26, საბ. 158).

სხვა საბუთით, ფაქტია, რომ **XVIII ს-ის პირველ ნახევარში დიდი ლიახვის ხეობაში ჯერ კიდევ ბევრი ნასოფლარი იყო.** ამის დასტურია 1714 წლის წყალობის წიგნი, რითაც ლევან და დავით მაჩაბლებს და მათ ბიძაშვილებს ფარსადანსა და ალხაზას მთაში ნასოფლარები მიეცათ: „რა რიგათაც სხვათ მაჩაბლებს თავისი მთის კაცნი და დვალნი ემსახურებოდნენ, **თქვენც რაც დაასახლოთ,** ისე გემსახურნენ" (სცსსა, ფ.1450, დავ.26, საბ.205). ამავე საბუთით ჩანს, რომ ლაპარაკია მდ.დიდი ლიახვის მთის სოფლებზე (უფრო სწორედ, ნასოფლარებზე) ხაჭაპურეთსა და ყუამისთავზე. ვისაც ამ ნასოფლარებსა და უშენ ადგილებზე დაასახლებთ, ისე გემსახურონ „რა რიგათაც სხვათ მაჩაბლებს თავისი მთისკაცნი და დვალნი ემსახურებოდნენ".

1720 წლის საბუთით (შახნავაზის მიერ აზნაურ მრევლიშვილისადმი ბოძებული), აშკარად ჩანს, რომ პატარა ლიახვის ხეობის სოფ. სნეკვში და მეჯუდას ხეობის სოფ. ბიყარში მრევლიშვილებს ყავდათ ქართველი გლეხები: სნეკვში — ფუხაურები ბერო, გიორგი და დათუნა, ბიყარში — თედორე, ვასილ ცხოტელები და შალვა და დათუნა ვარდანაშვილები (История... გვ.111).

1736 წლის ერთ-ერთ საბუთში (ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული მეფე ალექსანდრეს მიერ ბორტი მაჩაბლისადმი) ჩამოთვლილია ოსებით დასახლებული ადგილები დიდი ლიახვის ხეობაში: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი. შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენი მკვიდრი და ყოვლის კაცისაგან უცილებელი მთის

ალაგის ოსები გუფთა და ჯავის ხეობა, კოდა და კოშკის ჭალა...“ (დოკუმენტები, I,გვ. 255).

1723 წლის ერთი საბუთიდან კი ჩანს, რომ მდ.დიდი ლიახვის სოფ. ხვნეში (ჯავასა და კოშკას შორის) ცოტა ხნით ადრე ქართველ მთიელებს უცხოვრიათ. **საბუთში საუბარია სოფელ ხვნეში აყრილი მთიულის მამულზე** (საქართველოს სიძველენი, II, 1909, გვ.363-364).

როგორც საისტორიო საბუთებიდან ჩანს, შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის მოსახლეობა ინტენსიურად იყრებოდა და სხვაგან გადადიოდა საცხოვრებლად XVIII ს-ში. ზემოთ ჩვენ საამისოდ მოტანილი გვქონდა 1771 წლის ერთი საბუთი, — „არზა დავით ერისთავისა ყმათა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II -ის ოქმით“, საიდანაც ჩანს, რომ თითქმის დაცლილია ერისთავების სამკვიდრო მამული მეჯუდას ხეობაში, მეჯვრისხევს ზემოთ: „ზოგნი აყრილნი კახეთს არიან, ზოგნი არიან რომ არ შეუძლიანთ და ზოგნი კიდეე სოფლეურად აყრილნი არიან“ (ქსძ, ტ.VII, გვ.191). საბუთში, აგრეთვე, ლაპარაკია იმაზე, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გასჭირვებია გვერდისძირს. ჩანს, ეს რეგიონები ოსთა ხშირ თავდასხმებს განიცდიდა:„რამაზ ხმალაძე მოკლეს და საქონელიც ასე დაეკარგა იმასაცა და იმის განაყოფსაცა, რომ აღარა მორჩომიათ რა... სრესელებმაც ისე დაკარგეს, რომ არაფერი არა შერჩომიათ რა არცერთს განაყოფსა; არცევი აიყარა და საქონელი დაკარგეს. ვინც იკორთას იდგას, საქონელი იმათაც დაკარგეს; ფურცელაძესაც დაეკარგა საქონელი და კულბითელთაც დაეკარგათ საქონელი“. აშკარაა, რომ მთიდან მოვარდნილი მეკობრე ოსი არ ინდობს არაფერს, ის კლავს აზნაურებს (ცნობისათვის: ხმალაძეები, სრესელები და ფურცელაძეები ერისთავთა აზნაურები იყვნენ). სტაცებს რაც კი რამ აბადიათ. სულ მთლად აყრილა სოფელი არცევი. სწორედ ამის შედეგი უნდა ყოფილიყო გვერდისძირში XIXს-ის პირველ ათეულ წელს ოსთა ინტენსიური გადმოსახლება და დასახლკარება. გვერდისძირიდან გაქცეული ქართველი გლეხის ადგილს მთიდან (ამ შემთხვევაში პატარა ლიახვიდან) მიგრირებული ოსები იკავებენ. გვერდისძირის ნასახლარებზე ოსებს თვით ქსნის ერისთავები ასახლებდნენ. ამით ისინი მოსახლეობის ერთგვარ გადანაწილებას ახდენდნენ თავიანთ სამფლობელოს, მთისწინეთისა და ბარის რეგიონებს შორის.

ფრონეების ხეობიდან XVIII ს-ში მოსახლეობის აყრა-გადასახლებას შეეხება, აგრეთვე, 1762 წლის ზაალ დავითაშვილის არზა მეფისადმი: „ღმერთმან ასე თქვენს მტერს გაუჭირდეს, როგორც მე საქმე მიჭირდეს. ხომ მოგეხსენება, **ჩვენს მამულში ცეცხლი აღარ ანთია. აღარც ყმა დაგვრჩომია. რაც ლეკს მოურჩა, დაიფანტნენ...** საცა ჩემი კაცი იყოს ამ კახეთში იმის წყალობა მიყავით, რომ ავყარო

და აქაე ერთს კაცს მივაბარო და თქვენც გემსახურონ და მეც თქვენის წყალობით დავრჩე. დიაღ ნაილაჯი ვარ, რომა მეტი აღარ იქნება" (ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, II, გვ. 102). შემდეგ თავადი დავითაშვილი ჩამოთვლის იმ თავის ყმებს (გვარებს), რომლებიც კახეთის ამა თუ იმ სოფელში არიან გაქცეული: კოჭატაძე, კურტანიძე, რაზმაშვილი,ლომიძე და კობალაძე ველისციხეს ყოფილან: ანამზეშვილი სიხარულ- თელავს, ხოტორაშვილი ლეონისა-გრემს, ვიშელაშვილი—გავაზს, კბილაშვილი — ურიათუბანს, ჯოხაძე ჩუმლაყს, ქავჭავაძე — ვეჯინს, ხუციშვილი — საგარეჯოს, ელისაშვილი პატარძეულს, ნანიტაშვილი ჩუმლაყს, ხუციშვილი — ანყურს.

ფრონეების ხეობაში დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსების თავდასხმებს ასახავს 1779 წლის საბუთი: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ქირი მოსცეს ოქონელს ფალავანდიშვილის ერეკლეს ყმას გვილიკაშვილს ბეროს, შარშან მთიბათვეში ძაღინას მივდიოდით გიორგი ფალავანდიშვილი, ერთი იმისი კაცი, ერთი როსტომის კაცი და ერთი მე. ეს ოთხნი მაჩაბლის ოსებმა დაგვიჭირეს, გიორგი და თვის კაცი გამოუშვეს და არცარა ნაართვეს რა. და მე და როსტომის კაცი შეგვინახეს. ნერე ფარსადან მაჩაბელს თავის კაცის გიუნაშვილის ტეტიას ხელით წიგნი გამოეგზავნა თავის ოსებთან და მაშინ გაგვყიდეს. მე ყარაჯა ოსმა დამიხანა ცხრა თუმნით რუსის თეთრზედა და ჩამომიყვანა. და ის ოსი შინ მიდგას, თავის თეთრსა მთხოვს. მოიკითხეთ მაჩაბლისაგან გამოსყიდული გახლავარ, სამართალი გვაღირსეთ..." (ქსძ, VIII, გვ.437-438).

ამრიგად, ფრონეების ხეობიდან ინტენსიურად ხდებოდა ქართული მოსახლეობის აყრა-გადასახლება XVIII ს-ის მეორე ნახევარში, რის მიზეზიც, ერთი მხრივ, ლეკთა ხშირი თავდასხმები და მეორე მხრივ, ლიახვის ხეობის ოსთა მეკობრეობა იყო. საბედნიეროდ, გაგვაჩნია საისტორიო საბუთები, რომლებითაც შეგვიძლია გავარკვიოთ ფრონეების ხეობის იმ სოფლებში, რომლებშიც დღეს ოსური მოსახლეობაა, რა გვარის ქართველები მკვიდრობდნენ. ამასთანავე, XIX ს-ის აღწერის დავთრები იმის საშუალებასაც გვაძლევენ, დავადგინოთ როდის და საიდან დაიწყო ფრონეების ხეობაში ოსთა მიგრაცია, რომელ სოფელში დასახლდნენ ისინი პირველად. 1818 წლის აღწერით, ფრონეების ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ: ყორნისში (4 ოჯახი), რუსთავში (2 ოჯახი), ნორბისში (6 კომლი), ბეყმარში (5 კომლი), თორმანეულში (18 კ.), მავდაში (4 კ.) სულ 39 კომლი. ეს იყო და ეს. ყორნისში და რუსთავში მოსახლე ოსები (6 კომლი) XIX ს-ის პირველ ათეულ წელს დიდი ლიახვის ხეობის მთიდან იყვნენ გადმოსახლებული. ნორბისში მოსახლე ოთხი კომლი ოსი ხიზნები იყვნენ. დავთარში ფიქსირებულია, რომ ისინი სოფ.წყლებიდან XVIII ს-ის ბოლოს გადმოსახლებული ერთი ოსის შთამომავლები იყვნენ.

სოფ.წყლები მეჯუდას ხეობის სათავეში მდებარეობდა. ბეყმარში მცხოვრები კეხოშვილები ფალავანდოვის ხიზნები იყვნენ. მათი წინაპარიც XVIII ს-ის ბოლოს მაღრან-დვალეთიდან გადმოსახლებულა. აქვე მცხოვრები კასაბიშვილები იმავე პერიოდში დვალეთის სოფ.თიბედან იყვნენ მოსული. დიდი ლიახვის სოფ.ტონტობეთიდან 12 წლის წინ გადმოსახლებულა (ე.ი. 1806 წელს) ხიზანი გერგაული, რომელიც გაოსებული ქართველი იყო. ამავე წელს დიდი ლიახვის მთიანი ნანილის სოფ.გვერცევიდან კიდევ ერთი ოჯახი მიგრირებულა.სოფ. თორმანეულში მოსახლე რვა კომლი კვლავ მაჩაბლის გლეხებად ითვლებოდნენ, მიუხედავად იმისა,რომ ისინი ფალავანდიშვილის მიწაზე იყვნენ დასახლებული. თორმანეულშიც ოსების დასახლება XIX ს-ის დასაწყისში მომხდარა. იგივე ითქმის სოფ. მავდაზეც (სცსსა, ფ.254, ან.I, საქ.N 543, გვ.143-150). ვიმეორებთ, 1818 წლისათვის ფრონეების ხეობის არც ერთ სხვა სოფელში, დასახელებული 6 სოფლის (ყორნისი, რუსთავი, წორბისი, ბეყმარი, თორმანეული, მავდა) გარდა, არსად ოსური მოსახლეობა არ იყო. ისინიც, როგორც აღვნიშენთ, ძირითადად XIX ს-ის დასაწყისში დიდი ლიახვის ხეობიდან, მაღრან-დვალეთიდან და დვალეთიდან იყვნენ გადმოსახლებული. ორიოდე კომლი უფრო ადრე, XVIII ს-ის დასასრულსაც გადმოსახლებულა. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ 1818 წლისათვის ფრონეების ხეობაში (დვანის წყალზე) ოსების რაოდენობა 39 კომლს არ აღემატებოდა. თორმანეულში ეხლაც ოსური მოსახლეობაა. XVII და XVIII საუკუნეების მონაცემებით კი, თორმანეული მოზრდილი ქართული სოფელი იყო, რომელშიც მკვიდრობდნენ: ელიაშვილები, კიტრაძეები, ხახანაშვილები, მექვაბიძეები, ლონენაშვილები, კუპატაძეები, ცერცვაძეები, გრიგოლაშვილები, ჯოხაძეები, საზვერლიშვილები, რიკაძეები, ხუციშვილები, ნანიტაშვილები, არეშიძეები (იხ.რუისის სამწყსოს დავთარი და ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, II, გვ.46, 52,54).

მავდის მკვიდრები XVIII ს-ში ყოფილან: სამადანიშვილები, ჭიტაძეები, თანდარაშვილები, კაკონაშვილები, ხოხიაშვილები, მამუკაშვილები,სუხიშვილები, ღთისიაშვილები, მახუაშვილები, ბუხაიძეები, შოშიტაშვილები, მახანაშვილები, მისელაშვილები, მჭელები, ჩინჩალაძეები, პაატიშვილები, ჯასტანიძეები... ბეყმარში მცხოვრები გვარებიდან შეიძლება დავასახელოთ: ნებიერიძეები, გვიმრაძეები, გახელაძეები, ხარაულები,... წორბისში უცხოვრიათ: შალბელიქიშვილებს, ბათხაძეებს, მაისურაძეებს, შოშიაშვილებს, საყვარელაშვილებს, ხუციშვილებს, წოწოლაშვილებს, რაჭველებს, ფონჯაიძეებს, სამბახიძეებს, ადუაშვილებს, კობერიძეებს, გოგლიძეებს, ციცუხაშვილებს, თაბუაშკილებს...

ოსთა შიდა ქართლში (ამჯერად ფრონეების ხეობაში) განსახლების

შესასწავლად მეტად მნიშვნელოვანი წყაროა 1830-1831 წლების მოსახლეობის კამერალური აღწერა. 1830 წელს ყორნისში 22 კომლი ოსი მკვიდრობდა. ამ აღწერით ყორნისში პირველი ოსური ოჯახი 1801 წელს გაჩენილა. სამი ოჯახი 1801 წელს დვალეთიდან, ნარას ხეობიდან გადმოსახლებულა. სამი ოჯახიც 1815-1816 წლებში მიგრირებულა, ორი -კუდაროდან და ერთი ნარადან. ოთხი ოჯახი 1831 წლისათვის სულ ახალი დასახლკარებული იყო. ერთს მიწერილი აქვს, რომ გადმოსახლდა კავკასიის მთებიდან 5 წლის წინ, ე.ი. 1826 წელს. იმავე „კავკასიის მთებიდან" მოსულა ორი ოჯახი „2 წლის წინ, ე.ი. 1828-1829 წლებში. დასახლებულ სოფელში ერთი ოჯახიც ნარადან (დვალეთი) გადმოსახლებულა ოთხი წლის წინ (ე.ი. 1826-1827 წლებში) — იხ. სცსსა, ფ.254, ან.I, საქ.N 1244,გვ. 207-208. ყორნისში გადმოსახლებულ 12 კომლ საბატონო გლეხს ყველას შენარჩუნებული ჰქონდა თავად მაჩაბლის ყმობა. ჯიოშვილების ორ კომლს მიწერილი აქვს, რომ ისინი გადმოსახლდნენ ლიახვის ხეობის სოფ.გუფთიდან 20 წლის წინ, ე.ი. 1810-1811 წლებში. ერთი ოჯახი მსხლებიდან მოსულა 10 წლის წინ (ე.ი. 1820 წ.), ერთი კომლიც — ჯავის ხეობიდან 10 წლის წინ (1820 წელს). ყორნისში ამავე წელს მიგრირებულა ერთი ოჯახი დიდი ლიახვის ხეობის სოფ.მუგუთიდან.

სოფ.წუნარში 1830 წელს 9 კომლი ოსი მკვიდრობდა, რომელთა რაოდენობამ 1886 წლისათვის 40-ს მიაღწია. სოფ. წუნარში დვალეთიდან მიგრირებული ოსები დასახლებულან 1824 წელს, მათ შორის, 8 ოჯახი ნარადან მოსულა, ერთი — ზრამაგადან.

1830-1831 წლების აღწერით, თორმანეულში პირველი ოსური კომლი XIX ს-ის დასაწყისში გაჩენილა. ამ აღწერის მიხედვით 6 კომლი ოსი ნარადან 1801 წელს გადმოსახლებულა. ამავე აღწერის სათავადო გლეხების აღწერაში თორმანეულში კიდევ ცალკე აღრიცხულია 27 კომლი ოსი (სცსსა, ფ.254, ან.I, საქ.N 1244, გვ.816-818). მათი ნაწილი დიდი ლიახვის ხეობის სოფ. მუგუთიდან და ჯავიდან გადმოსახლებულან 1818 და 1820 წლებში.

ბეყმარში 1830 წ. 12 კომლი ოსი მკვიდრობდა (1886 წელს — 27 კ.). პირველი ოსური ოჯახი აქ XIX ს-ის დასაწყისში დვალეთიდან მოსულა. ორი ოჯახი 14 წლის წინ (ე.ი. 1816 წელს) ნარადან (დვალეთიდან) გადმოსახლებულა. დანარჩენი გლეხები ბეყმარში ჯავიდან და მუგუთიდან მიგრირებულან 1829 წელს.

1830 წლისათვის სახელმწიფო გლეხებს შორის სოფ. რუსთავში ერთი კომლია ფიქსირებული (1818 წელს 2 კომლი იყო), საბატონო გლეხების რაოდენობა კი 10 კომლი იყო. ყველა ისინი მაჩაბლის ყმები იყვნენ. აღნიშნულია, რომ რუსთავში ყოჩიშვილები ქეშელთის ხეობის სოფ. კელადან 10 წლის წინ (ე.ი. 1820 წელს) გადმოსახლებულან. ამავე დროს მოსულა ჯავის სოფ. კროეადან ხარებაშვილების

ორი კომლი. ასევე ორი კომლი 9 წლის წინ (ე.ი. 1821 წელს) სოფ. კახიდან მიგრირებულა. ქეშელთიდან მოსულა 1822 წელს, როკადან ორი კომლი — 1827 წელს. კიდევ ერთი ოჯახი ჯავის ხეობიდან 1822 წელს (სცსსა, 254-I-1244, გვ.823-824).

1830 წელს ნორბისში სამი ოჯახი სახელმწიფო გლეხი და 14 ოჯახი საბატონო გლეხი მკვიდრობდა. მათმა რაოდენობამ 1886 წელს 50 კომლს მიაღწია. პირველი ოჯახი აქ „კავკასიის მთებიდან", ე.ი. დვალეთიდან 1801 წელს მოსულა, მეორე 1804 წელს, მესამე 1810 წელს. შემდეგ ნორბისში ესახლებიან მაჩაბლების გლეხები დიდი ლიახვის ხეობიდან. ოთხ ოჯახს მიწერილი აქვს, რომ გადმოსახლდნენ 1820 წელს სოფ. წყლებიდან. ამავე წელს ჯავიდან მოსულა კიდევ ერთი ოჯახი. წერეთლის ყმა კაჩმაზაშვილი კუდაროდან 3 წლის წინ (ე.ი. 1827 წელს) მოულა.

სოფელ თერეგვანში 1830-1831 წლებში მოსახლეობდნენ როგორც ქართველები, ისე ოსები. ქართველებიდან შეიძლება დავასახელოთ: ციკაძეები, ნებიერიძეები, კაპანაძეები, ჩხიკაძეები. ისინი ამ სოფლის ძირძველი მკვიდრნი იყვნენ. სახელმწიფო გლეხების აღწერაში 1830 წელს თერეგვანში 1 კომლი ოსია ფიქსირებული, რომელიც აქ დვალეთიდან 1826 წელს გადმოსახლებულა. საბატონო გლეხთაგან კი დასახელებულია ხუთი ოჯახი, რომელთაგან ერთი, წერეთლის ყმა კუდაროდან იყო გადმოსახლებული 1820 წელს.

1818 წელს სოფ. მავდაში თუ ოთხი კომლი ოსი ცხოვრობდა, 1830 წელს მათი რაოდენობა 20-მდე გაიზარდა, რომელთაგან 7 ოჯახი მაჩაბლის გლეხი იყო. ოსები 1886 წელს მავდაში 42 კომლი გახდნენ. პირველი ოსური დასახლება აქ 1801 წელს გაჩენილა. ჯაგაშვილები (1 ოჯახი) მავდაში კოშკის ხეობის სოფ. ტაფანიდან 20 წლის წინ (ე.ი. 1810 წელს) გადმოსახლებულა. ქორთიშვილებიც სოფ. კოშკიდან გადმოსახლებულან 8 წლის წინ (ე.ი. 1822 წ.). გაბარაშვილები 1818 წელს მიგრირებულან, მაგრამ აქედან სოფ.რუსთავში გადასულან. სხვადასხვა წლებში (1817, 1820, 1826) მდ. დიდი ლიახვის ხეობიდან მავდაში რამდენიმე ოჯახი მოსულა, ერთიც — კუდაროდან.

სოფ. ერკნეთში სახელმწიფო გლეხების აღწერაში 1830 წელს ორი ოსის ოჯახია შეტანილი. ერთი მათგან აქ კავკასიის მთების სოფ.თიბედან (დვალეთშია) 1815 წელს მიგრირებულა, მეორე - ნარადან 1826 წელს. მაჩაბლის გლეხებიდან აღრიცხულია ოთხი კომლი. ისინი აქ გადმოსახლებულან 1820 წელს (სოფ.გუფთიდან 1 კომლი), 1828 წელს — სამი ოჯახი ჯავიდან და გვერცევიდან (254-1244, გვ.833-834).

სოფ. ცერონისი 1830 წელს ქართული სოფელი იყო, რომელშიც 1810 წელს ნარადან გადმოსახლებული ორი კომლი ოსიც ცხოვრობდა.

ასევე ნარადან მიგრირებული ორი ოსი მკვიდრობდა სოფ. ქვენატ-კოცაში.

ოთხი ოჯახი ოსისა მკვიდრობდა სოფ. ძალინაში (1886 ნ — 28 კომლი), პირველი ოჯახი აქ კუდაროდან მიგრირებულა, მეორე თიბედან 1827 წელს. კუდაროდან მოსული ორი ოჯახიც წერეთლის გლეხად ითვლებოდა, რომლებიც აქ 1820 წელს დამკვიდრებულან.

სახელმწიფო გლეხების აღწერაში სოფ. ფათქინეთში როკიდან 1828 წელს გადმოსახლებული ერთი ოჯახია შეტანილი. სამი კომლი კი საბატონო გლეხი იყო, რომლებიც ჯავიდან, მუგუთიდან და კუდაროდან მიგრირებულან 1818-1830 წლებში. ამ დროს ფათქინეთში ქართველთაგან მხოლოდ ფალავანდიშვილის აზნაური შალიბაშვილი ცხოვრობდა.

სოფ. ნული ისევე როგორც ახლა, XVIII-XIX სს-შიც ქართული იყო. 1830 წლის კამერალური აღწერით აქ სამი ოსური კომლი იყო მიგრირებული წყლებიდან, ჯავიდან და მუგუთიდან შესაბამისად 1810, 1815 და 1822 წლებში (გვ.840).

1830 წელს გვერთეთში ორი ოსის ოჯახი მკვიდრობდა და ისინი აქ სულ სამი წლის (ე.ი. 1827 წელს) გადმოსახლებული იყვნენ ქეშელთის ხეობის სოფ.კოლადან.

1830 წლის აღწერით, მთლიანად ქართული იყო ღოლეთი, მაკომლეთი, თილვა, ოქონა, ტყისუბანი, ხუნდისუბანი, ახალშენი (254-I-1244, გვ. 1007-1038). შეიმჩნევა ფრონეების ხეობის ზედა წელის სოფლებში XVIII ს-ში მცხოვრები სხვადასხვა ქართული გვარების ამ ქართულ სოფლებში კონცენტრაცია, თავმოყრა. მაგალითად, 1715 წლის აღწერით ხარაულები თუ ბეყმარის მკვიდრები იყვნენ, 1830 ნ. ისინი ხუნდისუბანში იყვნენ გადმოსული. 1715 წლის აღწერიდან 1830 წლის აღწერაში მხოლოდ თითო-ორიოლა ქართული გვარი თუ შემორჩა.

XIX ს. 20-იან წლების ბოლოს გაჩენილა ოსური მოსახლეობა ცხინვალის მახლობელ სოფელ ძარაში. 1830-1831 წლის აღწერით, აქ სულ სამი კომლი ოსი მკვიდრობდა, რომელთაგან ორი ჯავის ხეობიდან იყო გადმოსახლებული 1828 წელს, ერთიც — იმავე წელს ქეშელთის ხეობიდან (გვ.825).

ერთი კომლი ოსი ცხოვრობდა ქართულ სოფელ კნოლეთში. აქ გაგიშვილი 1826 წელს კუდაროდან მიგრირებულა (გვ.1046). 1830 ნ. ქართული იყო მთლიანად სოფლები სუნისი (მაკრახიძე, იანტბელიძე, ბეგიშვილი, ბერაშვილი) და ნირეთი (სამხარაძე, მაისურაძე, ცაბაძე).

ქართულ სოფ.ფცაში რამდენიმე ოსური ოჯახი იყო გადმოსახლებული 1818 წელს პატარა ლიახვის ხეობის სოფ. გვიდისიდან. 1824 წელს ამავე ხეობის სოფ. სარაბუკიდან, 1828 ნ. კუდაროდან თითო ოსური ოჯახი გადმოსახლებულა.

ფრონეების ხეობაში ოსები ემატებოდნენ მომდევნო წლებშიც. საამისო მონაცემები დაცულია 1842 წლის მოსახლეობის კამერალურ აღწერაში (254-I-1936). ყორნისში 1832 და 1834 წლებში მთიდან გადმოსახლებული 5 ოსური ოჯახი დამატებია. ამავე პერიოდში მოსულა თითო ოსური ოჯახი მავდაში, ძვილეთში (254-I-1936, გვ.206, გვ.234-236). გრძელდებოდა ოსების დასახლკარება ფათქინეთში (გვ.242-244). აქ მოსულან კუდაროდან, როკიდან.

1840-იან წლებში ხდება ნასოფლარების ღარისთავის, არკნეთის, ოტორას მოშენება ოსების მიერ. ამ სოფლებში 1842 წლისათვის თითო ოსური ოჯახი იყო იქსირებული.

ემატებიან ოსები სოფ. ფთორმანეულშიც. 1842 წლის აღწერის მიხედვით, აქ ჯავის ხეობიდან 14 კომლი მაჩაბლის ოსი გადმოსახლებულა, ერთიც — ერისთავისა (254-I-1937, გვ.41-45). საბატონო ოსი ყმების რაოდენობამ თორმანეულში 1842 წლისათვის 24 კომლი შეადგინა. ასეთივე პროცესი გრძელდებოდა ფრონეების ხეობის სხვა სოფლებშიც. ბეყმარში ჯავის ხეობიდან 1840-იანი წლების დასაწყისში 7 ოჯახი გადმოსახლებულა (გვ.46-47). ყორნისში ორი ოჯახი დამატებია. ნორბისშიც ჯავის ხეობიდან 3 კომლი გადმოსახლებულა; თერეგვანს დამატებია ერთი ოსური ოჯახი (გვ.48-51, 54, 57,60).

როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, ლეხურას ხეობაში მხოლოდ ერთი თერთმეტკომლიანი სოფელი ქვიტკირი იყო. მეორე ოსური სოფელი ამ ხეობაში (ისტორიული საამილახვრო) 1823-1824 წლებში წარმოქმნილა. ესაა სოფ. ზემო ყურა. უფრო სწორი რომ ვიყოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსებმა ქართველთა ნასოფლარი ააღორძინეს. თუმცა ზემო ყურაში მოსული ოსური ოჯახი ჯანიგაშვილისა 40 წლის წინ (ე.ი. 1790 წელს) წამოსულა თრუსოდან და ლეხურას ხეობაში მოსვლამდე რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი გამოუცვლია შიდა ქართლის ბარში. ზემო ყურაში 1823-1824 წლებში მოსულ ოჯახს თორტიზისა და ხურვალეთის გზა გამოუვლია. 1873 წ. ზემო ყურაში 7 კომლი ოსი ცხოვრობდა. ამათგან ორი ოჯახი 1863 წ. ჭურთიდან და ნოლდიდან მოსულა (254-249).

1830-1831 წლებისათვის ქართლის ბარის სხვადასხვა სოფელში ოსები მცირე რაოდენობით იყვნენ განსახლებული. 1810 წელს ერთი ასეთი ოსური ოჯახი სოფ. ახალქალაქში დამკვიდრებულა. ზემო ხანდაკში ოსების 4 ოჯახი 1820-1821 წლებში განსახლებულა (254-I-1244, გვ.92-35).

ქარელში 1830-1831 წლების აღწერით მკვიდრობდა „კუდაროელი ანუ ჯუშიშვილი", რომელიც 23 წლის წინ (ე.ი. 1807 წელს) იყო გადმოსახლებული (254-I-1244, გვ.54-58). ქარელშივე 1815 წელს ერთი ოსური ოჯახი მოსულა დიდი ღლიანის ხეობიდან. აქვე როკიდან 13 წლის მოსული იყო (1817 წელს) ერთი კომლი. ორი კომლი 1814

წელს ქეშელთის ხეობიდან გადმოსახლებულა.

სოფ. კეხიჯვარში დვალეთის სოფ.თიბედან 1810 წელს ერთი კომლი მიგრირებულა, 1820 წელს — ორი. ამავე წელს ორი ოსური ოჯახი დასახლებულა სოფ.სანიბელში.

20 წლის მოსული იყო სოფ.სამწევრისში ოთხი ოსური ოჯახი (ე.ი. 1810წ.).სოფ.ნადარბაზევში ღუდიდან (თეთრი არაგვის სათავე) მიგრირებული იყო ერთი ოჯახი. თუმცა ნადარბაზევში დასახლებამდე (1828 წ.) ისინი პირველად კარალეთში დამკვიდრებულან.„კავკასიის მთებიდან" 1820 წელს გადმოსახლებულა კასპში ჯაბრიშვილის ოჯახი. სამთავისში 1815 წელს დაფუძნებულა თრუსოელი ქაშაშვილი. ამავე წელს დასახლებულა ერთი ოსური ოჯახი ქვემო ჭალაშიც.

სოფ. ახალშენში 1830-1831 წლებში ორი ოსური ოჯახი მკვიდრობდა (254-I-1244,გვ.78). ერთი მათგანი გვარად ალლუზიანი თრუსოდან იყო მოსული 1815 წელს, მეორე — იმავე წელს ღუდიდან. ამავე დროს გაჩენილა ოსური მოსახლეობა სოფ. ორჭოსანში. აქ მოსახლე 4 კომლი **ქვლივანადან** (პატარა ლიახვის ხეობა) მიგრირებულა, რომელთაგან 2 კომლი 1840 წელს ჭვარებში გადასახლებულა (254-I-1244, გვ.79).

1827-1828 წლებში დასახლებულან ოსები სოფ.ბაღებში (ბერშუეთის მეზობელი სოფელი). 1830-1831 წლებში აქ სულ 9 კომლი ოსი ცხოვრობდა, რომლებიც აქ გადმოსახლებული იყვნენ კუდაროდან, პატარა ლიახვის ხეობის სათავიდან და მთის სხვადასხვა სოფლებიდან (გვ.83-84). 1873 წლისათვის ბაღებში ოსთა რაოდენობა 38 კომლამდე გაიზარდა (1886 წ. 52 კ.) ძირითადად მექანიკური მატების ხარჯზე. ბაღებში მცხოვრები ოსები თითქმის მთლიანად მიგრირებული იყვნენ 1860-იან წლებში როგორც დიდი ლიახვის, ისე პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობებიდან (ორტევი, ჟამური, ლომისა, შუაცხვირი, ღდულეთი, საჩინო, სიათა, ჯომაღა, წიფრანი, ნაქალაქევი).

ბაღების მეზობელ სოფ. ღდულეთში 1830-1831 წლების აღწერაში ორი ოსური ოჯახია ფიქსირებული, რომელთაგან ერთი 20 წლის მოსული იყო დვალეთიდან (ნარადან), მეორე — ათი წლისა (254-I-1244, გვ.85). 1886 წელს ოსების რაოდენობა ამ სოფელში 26 კომლამდე გაიზარდა.

სოფ. დიდ მეჯვრისხევში ორი ოსური ოჯახი 1815 წელს დვალეთიდან გადმოსახლებულა. სოფ. ქვეშში (სოფლების ზემო არცევისა და იკორთის სიახლოვეს) ერთი ოსური ოჯახი დასახლებულა 1820 წ. „კავკასიის მთებიდან". ერთადერთი ოსური ოჯახი იყო სოფ. ქერეშიც 1830 წელს, რომელიც ნარადან 10 წლის წინ (ე.ი. 1820 წ.) გადმოსახლებულა.

სოფ. მერეთში ორიოდე ოსური ოჯახი 1810-1811 წლებში გაჩენილა. ისინი აქ დიდი ლიახვის სათავის სოფ. ზლუბირიდან (სბის

მეზობელი სოფელი),გადმოსახლებულან. ერთი ოჯახიც 1828 წ. მაღრან-დვალეთიდან მიგრირებულა (გვ.130).

შედარებით ადრე დასახლებულან ოსები პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის სოფ.კულბითში. პირველი ოსური ოჯახი აქ XVIII ს-ის დასასრულს დვალეთიდან (ნარა) გადმოსულა. ოსები კულბითში დასახლებულან 1810-იან და 1820-იან წლებში. 1830 წ. კულბითში ოსთა რაოდენობა 10 კომლი იყო, რომელთა რიცხვი 1886 წ. 80 კომლამდე გაზრდილა. ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ კულბითი საეკლესიო გლეხების ოქროპირიძეების სოფელი იყო.

სოფ. კეულში, რომლის ადრინდელი მკვიდრნი ქართველი ბარამაშვილები იყვნენ, 1930 წელს ორი ოსური ოჯახიც მოსახლეობდა, რომელთაგან ერთი მათგანი XVIII ს-ის ბოლოს ჭვრივიდან გადმოსახლებულა, ხოლო მეორე — 1810 წელს ნარადან (გვ.136). ასევე ქართველები, გვარად ბატიაშვილები, იყვნენ დმენისის (პატარა ლიახვის ხეობის) მკვიდრნი. პირველი ოსური ოჯახი დმენისში XVIII ს-ის ბოლოს ჩამოსახლებულა, შემდეგ ოთხი ოჯახი 1801 წელს მოსულა, ორი ოჯახიც — 1811 წელს (გვ.137) — ჭვრივიდან და ნარადან, აგრეთვე, ყლარცვიდან (ჭვრივი და ყლარცვი პატარა ლიახვის მთაშია). დმენისიდან ოსების მცირე ნაწილი 1840-იან წლებში ერედვში, ხურვალეთსა და ქს[illegible]ში გადასახლებულა.

XIX ს-ის პირველ ნახევარში გაჩენილა ოსური მოსახლეობა შიდა ქართლის სოფ.სნეკვში (გვერდისძირში). მიგრანტი ოსები სნეკვში „შუა დვალეთიდან" (ნარა,ზახა) 1815-1828 წლებში გადმოსახლებულან (გვ.140-143). პატარა ლიახვის ხეობაზე მდებარეობდა სოფ.სარაბუკიც, რომელშიც ოსები 1830-1831 წლების აღწერით კავკასიის მთებიდან გადმოსახლებულან 20 წლის წინ (ე.ი. 1810 წელს), 18 წლის წინ (ე.ი. 1812 წელს), 16 წლის წინ (ე.ი. 1814 წელს), 15 წლის წინ (ე.ი. 1815 წელს), 6 წლის წინ (ე.ი. 1824 წელს) — გვ.150-153.

ქართულ სოფ.არბოში ერთი ოსური ოჯახი 1816 წელს ნარადან მოსულა (გვ.157).

1831-1832 წლების კამერალური აღწერიდან (254-I-1245) ცხადი ხდება, რომ ამ დროს დაწყებულა ოსური მოსახლეობის მიგრაცია ქსნის ხეობიდან (ჟამურიდან) ქსნის ხეობისავე უფრო დაბლობ ნაწილში და კიდევ სხვა მიმართულებით.

1820 -იან წლებში დაწყებულა ჭვარების (ატენის ხეობა) მოშენება ოსებით (254-I-1243). აქ ქართველები და ოსები თანაცხოვრობდნენ და ორივენი ქსნის ხეობის მთიანი ნაწილიდან იყვნენ გადმოსახლებული. 18 კომლიდან ნახევარი ქართველები და ნახევარი ოსები იყვნენ. ქსნის ხეობის გარდა,ზოგიერთი აწერისხეკიდან (პატარა ლიახვის ხეობა) მოსულა.

1830-1842 წლების მონაკვეთში გაჩნდა ოსური მოსახლეობა

ლეხურას ხეობის სოფლებში: ზახორში, ნუბენში, ნირში, ნოლდაში, ნინზახორში, (254-I-1951). ზახორში 1842 ნელს 7 კომლი ოსი ცხოვრობდა, ნინზახორში — 3, ნუბენში — 5, ნირში - 11, ნოლდაში — 25. 1842 ნელს ლეხურას ხეობას სოფ.ქვიტკირში 8 კომლი ოსი ცხოვრობდა.

იმავე ტემპითა და იმავე ფორმებით მიმდინარეობდა ოსთა ჩამოსახლება შიდა ქართლის მთიანეთიდან ფრონეების ხეობაში 1830-იან წლებში, რის დამადასტურებელიცაა 1842 წლის აღწერა (254-I-1937). ამ პერიოდში ფრონეების ხეობაში ახალი ოსური სოფლები არ წარმოქმნილა. ოსები ინდივიდუალურად, გაფონვით სახლდებოდნენ ცოტა ადრე მოშენებულ ოსურ სოფლებში. იგივე სახის გადმოსახლებანი გვქონდა 1840 და 1850-იან წლებში (იხ.1859 წლის აღწერა, სცსსა, ფ.254, ან. საქ.N 199). ხაზგასასმელია, რომ ყველაზე დიდი ოსური სოფელი 1859 წ. ფრონეების ხეობაში იყო ყორნისი, რომელშიც 37 კომლი მკვიდრობდა. ქსნის ხეობიდან, მთიანი ნაწილიდან (ჭურთიდან) 1850-იან წლებში 5 კომლი ოსი ჩასახლებულა აბრევში (254-2-244). ამავე დროს, პირველად ჩნდებიან ოსური ოჯახები ქსნის ხეობის მთისწინეთში. 1860 წლის აღწერით, ქსნის ხეობის მთისწინეთის სოფ.ახმაჯში 7 კომლი ოსია ნაჩვენები (254-2-228). წინა, 1842 წლის აღწერაში ახმაჯში არც ერთი ოსური ოჯახი არ იყო ფიქსირებული. ახმაჯში ოსები ქსნის ხეობის სათავეებიდან ჩამოსახლებულან. მაგალითად, 1850 წ. ლომისხევიდან გადმოსახლებულა ორი ოჯახი, ერთი კომლი ლეხურას ხეობის სოფ.წირიდან გადმოსულა, რომელიც, თავის მხრივ, წირში ცოტა ადრე ეამურიდან იყო მიგრირებული.XIX ს-ის შუა ხანებში დასახლდნენ ოსები ბოლისხიდში (9 კომლი) —ლეხურას ხეობა. ისინი აქ მოსულან როკიდან, თლიდან. ქსნის ხეობის მთისწინეთის სოფ. ბეფანთკარში ქსნის ხეობის ზემო წელიდან 1850-იან წლებში 20 კომლი გადმოსახლებულა. ბეფანთკარის მეზობელ სოფელ გიორგაშენში ოსების ხუთი კომლი პატარა ლიახვის ხეობის სოფ.წიფორიდან და ჭურთის ხეობის სოფ.დორეთკარიდან მოსულა.

XIX ს. 50-იან წლებში მომხდარა ლეხურას ხეობის სოფ.ზახორის ინტენსიური დასახლება ჭურთის ხეობის სხვადასხვა სოფლებიდან. საერთოდ, ამ დროს ოსების ინტენსიური გადასახლება შეიმჩნევა ქსნის ხეობის ზემო წელიდან მთისწინეთის სოფლებისაკენ. მაგალითად, ამ დროს ეფუძნებიან ოსები სოფ. ხოფაში. ქსნის ხეობიდან და პატარა ლიახვის ხეობიდან ოსები კვლავ ეფუძნებიან ლეხურას ხეობაში. 1850-იან წლებში მოშენებულა ლეხურას ხეობის სოფ.ცხინულისი. ცხინულისში ერთდროულად 25 კომლი ოსი დასახლდა სოფლებიდან: საბარკლეთი, ჯორთისი, ლეკოვანი. ამ უკანსკნელი სოფლიდან ცხინურისში 1863 წელს კიდევ ექვსი კომლი გადმოსახლებულა.

XIX ს-ის შუა ხანებში ოსები სახლდებიან ინტენსიურად მეჯუდის ხეობაშიც. 1860 წლის წინ ოსები დაფუძნდნენ ბიყარში, ბიეთში, ხარულში (254—2-237). მეჯუდას ხეობის სოფლებში ოსების ჩამოსახლება ძირითადად პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელიდან (ფაჩური, ქნოღო, ჩაბარუხეთი, შუაცხვირი) ხდებოდა.

1850-იან წლებში ოსთა ჩამოსვლა გრძელდებოდა ფრონეების ხეობაში ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან (254-2-2332).

ოსების შიდა ქართლის მთიდან ბარში მიგრაცია აისახა 1873 წლის მოსახლეობის კამერალურ აღწერაში. მხოლოდ ზოგიერთი საარქივო მასალის მოტანით დავკმაყოფილდებით. ქსნის ხეობის მთისწინეთის სოფ.ახალსოფელში 1873 წლის აღწერით 11 ოჯახი ოსი მკვიდრობდა. ყველა ისინი მიგრირებული იყვნენ 1861 წელს როკიდან და კოშკიდან (სცსსა, ფ.254, N 3, საქ.N 246).

სოფ.აგარაში 1866 წ.9 ოჯახი ოსი გადმოსახლებულა ხვციდან, ელტურიდან და შამბიეთიდან.

მეჯუდას ხეობის სოფ.ბენდერში 18 კომლი ოსი 1862, 1863 და 1868 წლებში მოსულა პატარა ლიახვის ხეობის სოფ.ლეკოვანიდან.

მიგრაციაქმნილი სოფლები იყო 1873 წლისათვის: ბატეტი (ორი კომლი ოსი 1870 წ. გადმოსახლებულა ზღუბირიდან),ვაკე (7 კომლი ოსი 1860 წელს მოსულა ნახიდიდან, ქსნის ხ.საფეშეთიდან, ციხიდან), ვაკენასოფლარი (5 კომლი 1864 წ. ზალდიდან მიგრირებულა), გლუხანდისი (1861 წ. 2 კომლი ზალდადან), ღართა (1853 წ. კოშკიდან 6 კომლი ოსი მოსულა), გორაკა (6 კომლი მოსული იყო 1875 და 1877 წლებში შულაურიდან, ქნოღოდან, ჟამურიდან), გვეძინეთი (14 კომლი ოსი 1862, 1863, 1864 წლებში გადმოსახლებულა ჩიფრანიდან, ჯავიდან, ჭვრივიდან,ორტევიდან), იფნარა (4 კ. 1861, 1863,1868 და 1869 წლებში ინაურიდან, ლაჩაურიდან, ჭვარებიდან), კიტრიული (4 კომლი ოსი გადმოსახლებულა 1867, 1869, 1871 წლებში ნიფორიდან), კალეთი (აქ ოსები ყველა ერთდროულად 1869 წელს გერიდან, როკიდან, ქეშელთიდან და ზალდადან გადმოსახლებულან).

დღევანდელი ქარელის რ-ის სოფ. ჯაგარაანთკარში 1873 წ. 4 კომლი ოსი ცხოვრობდა, რომლებიც 1866 და 1867 წლებში პატარა ლიახვის ხეობის სოფლებიდან (გერი, სნეკვი) იყვნენ გადმოსახლებულნი. პატარა ლიახვისავე ხეობის სოფ.ფაჩურიდან და გნასურიდან გადმოსულან ოსები ქვემო ხელჩუაში (10 კომლი) XIX ს-ის 60-იან წლებში. სოფ.კოდმანში 7 კომლი ოსი 1870 წ. ჭვრივიდან იყო მოსული.

სოფ.ლეთეთში ქართველ ბაიდაურებთან ერთად, 3 კომლი ოსიც მკვიდრობდა. ისინი 1865 წ. იყვნენ გადმოსახლებულნი როკიდან და მარალეთიდან.

ფრონეების ხეობის სოფ.ლისოში ოსთა დასახლკარება 1869

ნ.მომხდარა. 13 კომლი მიგრირებულა საჩინოდან, ჯავისთავიდან, მსხლებიდან. ერთი წლით ადრე, 1868 ნ. 11 კომლი ოსი დასახლებულა მეჯუდას ხეობის სოფ.მახისში.13 კომლი ოსი კოშკადან 1853 ნ. — მძოვრეთში გადასახლებულა. 7 კომლი ოსი კი ნიგოზაში 1860-იან წლებში საფერშეთიდან, ნიფორიდან და ქვარებიდან მიგრირებულა. უფრო ადრე, 1848 ნ. დასახლებულან ოსები კრისხევში (10 ოჯახი). 17 კომლი ოსი 1861 წელს სოფ.ნინოწმინდაში დაფუძნებულა ქეშელთიდან, კოშკიდან, ბადათიდან... მიგრაციაქმნილი სოფლები იყო აგრეთვე: ოქიანი (8 კომლი ოსი მოსულა 1861 და 1869 წლებში), ორთუბანი (7 კომლი, 1858 ნ. მოსულა კიმასიდან, გერიდან), პანტიანი (9 კ.ოსი ნახიდიდან 1869 ნ.), რგვალი ჭალა (5კ.1860-იან წლებში)...

XIX ს-ის მეორე ნახევარში დასახლდნენ ოსები გუჯარეთის ხეობაში. კერძოდ, ქვემო მიტარბში 4 კომლი ოსი ცხოვრობდა, რომლებიც 1860-იან წლებში ორტევიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. 1873 ნ.დიდ გუჯარეთში 11 კომლი ოსი ცხოვრობდა, რომლებიც 1858 ნ. როკიდან, კუდაროდან, ყორნისიდან და ძარადან იყვნენ მიგრირებული. ამავე დროს მოსულან ოსები ზემო მიტარბში (254-3-279). მაჭარწყალში 1873 ნ. ოსების 3 კომლი ცხოვრობდა, რომლებიც აქ 1865ნ. იყვნენ მოსული. ოდეთში სამი ოჯახი ოსი ცხოვრობდა. ყველა ისინი აქ ფრონეების ხეობის სოფლებიდან (თორმანეული და ბეყმარი) 1858 და 1872 წლებში მიგრირებულან. 1858 ნ. მოსულა 3 კომლი ოსი გუჯარეთის სოფ. ღინტურშიც დიდი ლიახვის ხეობიდან (254-3-247).

XIX ს-ის 70-80-იან წლებში მთიდან ოსთა ინტენსიური დაშვებაა ფიქსირებული 1886 წლის საოჯახო სიებში. ამ საარქივო მასალებიდან ყველას მოხმობა შეუძლებელია, მაგრამ საერთო სურათის საჩვენებლად ზოგიერთი მათგანი მაინც უნდა გავაცნოთ მკითხველს.

ჯავის საზოგადოების სოფ.ახალსოფელში 24 კომლი მკვიდრობდა, თუმცა ბევრი მათგანი აქ მხოლოდ აღირიცხებოდა. 9 ოჯახი ახალსოფლიდან მიგრირებული იყო (254-3-1650). ორი ოჯახი გადასახლებული იყო გუჯარეთში (ერთი 1876 წელს, მეორე 1883 წელს). მიგრირებული ერთი კომლი ფრონეების ხეობის თერეგვანის საზოგადოების სოფ.მუხაურში იყო გადასახლებული. მდ. დიდი ლიახვის სოფ. ახალსოფლიდან ოსები განსახლებულან შემდეგი მიმართულებით: სოფ.ძვილეთში (ფრონეების ხეობა) — 1870 წელს, ფცაში 1866 ნ. სოფ. ღოლეთში (დირბის საზ.) — 1865 წელს. 1866 წელს შიდა ქართლის გაღმა მხარში (სოფ.ღვლევში) ერთი ოჯახი მიგრირებულა. ახალსოფლიდან ოსთა მიგრაცია ქვემო ქართლშიც განხორციელებულა.1885 ნ.37 წლის ერთი მამაკაცი დროებით საცხოვრებლად ბორჩალოს მაზრაში წასულა.

სოფ. ანდისში (დიდი ლიახვის ხეობა, ჯავის რაიონი) ჯიოშვი-

ლების 12 ოჯახი მკვიდრობდა, რომელთაგანაც ერთი ოჯახი აქ უკვე 15 წელია აღარ ცხოვრობდა. ისინი ბარის სოფ.თიღვაში (ფრონეების ხეობა) 1871 წელს გადასახლებულან.

სოფ. ბარსში (დიდი ლიახვის ხეობა. ჯავის რაიონი) აღრიცხული 9 კომლიდან ადგილზე ფაქტიურად არ ცხოვრობდა სამი ოჯახი. გასიშვილების ორი კომლი 15 წლის წინ (ე.ი. 1871 წ.) მიგრირებული იყო სოფ. თორმანეულში, ხოლო ჯიოშვილების ერთი ოჯახი გალმამხარში, სოფ.ხვედურეთში.

სოფ.ბორგვნისი მდ.დიდი ლიახვის ხეობაში, როკის სასოფლო საზოგადოებაში მდებარეობდა. ბორგვნისში ოფიციალური აღწერით აღრიცხული იყო 19 კომლი. ადგილზე კი მხოლოდ 8 კომლი ცხოვრობდა. 11 კომლი სხვადასხვა დროს მთისწინეთისა და ბარის სხვადასხვა სოფელში იყო გადასახლებული. ორი ოჯახი ქვათეთრში წასულა 1880 და 1883 წლებში. 1882 წ.ერთი კომლი წუნარის საზოგადოების სოფ. ციხისჯვარში დასახლებულა. ამავე საზოგადოების სოფ.კუსირეთში ორი ოჯახი მიგრირებულა, ერთი 20 წლის წინ (ე.ი. 1866 წ.), მეორე — 15 წლის წინ (ე.ი. 1871 წ.). ერთი ოჯახიც ორად გაყოფილა. ნაწილი იმავე კუსირეთში და ნაწილი კუსირეთის მეზობელ სოფელ ქვათეთრში დასახლებულა. ბორგვნისში მცხოვრები ამ ორად გაყოფილი ოჯახის მიგრაცია 8 წლის წინ (ე.ი. 1878 წ) მომხდარა. წუნარისავე საზოგადოების სოფ. კვერნეთში ბორგვისიდან აყრილი ერთი კომლი 15 წლის წინ (ე.ი. 1871 წ.) დამკვიდრებულა. ორი ოჯახი ძოვრეთში 1884-1885 წლებში დასახლკარებულა. ამრიგად, მთის სოფელ ბორგვნისიდან მოსახლეობის ინტენსიური აყრა XIX ს-ის 60-იან წლებში დაწყებულა და გრძელდებოდა აღწერის ჩატარებამდე (1886 წ.). ბორგვნისელები ძირითადად ცხინვალის მეზობელ სოფლებში დასახლკარებულან. ცნობისათვის, წუნარი დღეევანდელი სოფ.ხეთაგუროვოა.

დიდი ლიახვის სოფ.ბუზალაში 1886 წელს 29 კომლი იყო აღრიცხული. ამათგან ადგილზე არ ცხოვრობდა გასიშვილების სამი კომლი. ისინი შესაბამისად გადასახლებული იყვნენ 1865 (აგარაში), 1882 (ხაშურში) და 1870 (თბილისში) წლებში.

სოფ.მარმაზეთი (ელტურის საზოგადოება) პატარა ლიახვის მთის სოფელია. 1886 წ. ოფიციალურად ამ სოფელში 46 კომლი იყო აღრიცხული (254-3-1659), მაგრამ ყველა ადგილზე როდი ცხოვრობდა - 12 კომლი ბარში იყო მიგრირებული. 1866 და 1874 წლებში თითო ოჯახი ბობნევში გადასახლებულა. ერთი ოჯახი 1877 წელს ყვარების საზოგადოების სოფ. ფიცეესში იყო წასული. ორი ოჯახი ქარელის საზოგადოების სოფ.ბანში მკვიდრობდა. ქარელისავე საზოგადოების სოფ. ბატიულში 1879 წელს 6 კომლი იყო გადასახლებული.

1886 წლის საოჯახო სიებით პატარა ლიახვის ხეობის სოფ.ბა-

დათში (1814 წ. აღნერით ბადაანი) — ჭვრივის საზოგადოება 43 კომლი ოსი იყო ფიქსირებული. თუმცა, სხვა მთიანი სოფლების მსგავსად, ბადათშიც ოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტიურად ადგილზე არ ცხოვრობდა. 17 კომლი მთისწინეთისა და ბარის სხვადასხვა სოფელში იყო დასახლკარებული. ორი ოჯახი სკრაში მიგრირებულა. 4 ოჯახი — ფრონეების ხეობის სოფ. ღარისთავში დამკვიდრებულა. მათი აქ დამკვიდრება 1866 და 1871 წლებში მომხდარა. ფრონეების ხეობისავე სოფ. მეტეხსა და ჭურისხევში (ორივე ატოცის საზოგადოებაში შედიოდა) ბადათიდან რამდენიმე ოჯახი მიგრირებულა. ორი კომლი თიღვაში დაფუძნებულა (1868 წ.).

პატარა ლიახვის ხეობის სოფ.ელტურა ისტორიულად მარიამძეების, ჯირკველაძეებისა და ნადირაშვილების სამკვიდრო სოფელი იყო. 1814 წელს აქ მხოლოდ ქართველები მოსახლეობდნენ. 1886 წ. ეს სოფელი მთლიანად ოსური იყო და მასში (დიდი და პატარა ელტურა ერთად) 66 კომლი მკვიდრობდა. 1860-1880-იან წლებში ელტურელი ოსები ფართოდ განსახლებულან კოშკში, ტყისუბანში, ფლავში, გვერძინეთში, ხვედურეთში, ძვიმლეთში, ქვათეთრში, ტყისუბანში, ხაშურში, ქვეშში, ლეკოვანში. სულ ელტურიდან 1886 წლის საოჯახო სიებში 17 კომლი მიგრანტი ოსია აღრიცხული. ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ ელტურაში ოსებს სულ სამი ათეული წელი უცხოვრიათ. აქ 1820-იან წლებში ოსთაგან არავინ მოსახლეობდა. ლიახვის ხეობიდან ელტურაში თავმოყრილი მოსახლეობა ცოტა ხნის შემდეგ ბარის სხვადასხვა სოფელში გაფანტულა. სამწუხაროდ, ელტურელი ჯირკველიძეები, ოსურ ეთნიკურ გარემოში, გაოსებულან და მათ აბაევის გვარი მიუღიათ.

პატარა ლიახვის ხეობის მთიან სოფელ გერში 1886 წლის საოჯახო სიებით 80 კომლი იყო აღრიცხული, მაგრამ სინამდვილეში ადგილზე შედარებით მცირედ ცხოვრობდნენ — 44 კომლი აქედან მიგრირებული იყო (254-3-1665). ყველაზე დიდი გვარი გერში ბეკოშვილების გვარი იყო, რომლებიც აქედან 21 კომლის რაოდენობით იყვნენ წასული. ისინი მიგრირებული იყვნენ როგორც შიდა ქართლის რამდენიმე სოფელში (იფნარი, ნათლისმცემელი, ჯაგარაანთკარი, წნელისი,კრისხევი, წუნარი, არბო, ერკნეთი, ტბეთი), ისე თბილისსა და შულავერშიც კი. დასახლებული გვარის უმეტესი ნაწილი გერიდან 1866 წელს იყო გადასახლებული. არბოლიშვილების სამი ოჯახი თბილისში გადასახლებულა, ნაწილი —თიღვაში, ქალეთში, გვერძინეთში, მულნისში (ოქონის საზოგადოება). გერიდან ერთი კომლი ქვემო ქართლში, თეთრწყაროში, გადასახლებულა 1871 წელს.

ოსებით იყო დასახლებული პატარა ლიახვის სოფ.გვიდისიც (გვიდისის ხევი პატარა ლიახვის ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადია).

1886 წლის საოჯახო სიიდან ჩანს, რომ ამ დროს სოფელი მთლიანად დაიცალა. გვიდისელები გადასახლებულან თბილისში (30 წლის წინ), იფნარაში, მარანეთში, ჭვარებში, მეჯვრისხევში (1885 წ.), ხარულში (25 წლის წინ), ბანათში (20 წ.წინ), დვანში (3 წლის წინ), ქარელში (15 წლის წინ), ხურვალეთში (1882 წელს), ავნევში (1883 წ.), ნულის ტბაში (დვანის საზ.), არკნეთში (30 წლის წინ), მეტეხში (30 წლის წინ), მულნისში (ოქონის საზ.)— 1883 წელს, წყაროს სოფელში (დვანის საზ.), კოშკში (ხვედურეთის საზ.), ბალთაში, გვირგვილაში... ფაქტიურად დაიცალა 1886 წლისათვის გვიდისის 79 კომლიანი მოსახლეობა. ცნობისათვის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 1814 წელს გვიდისში სულ ხუთი კომლი ოსი მკვიდრობდა. შემდეგ, მცირე პერიოდში, გვიდისის მოსახლეობა უფრო ზედა სოფლებიდან ჩამოსახლებულთა ხარჯზე 79 კომლამდე გაიზარდა და ეს 79 კომლიც აქ მცირე ხნით მოსახლეობის შემდეგ სხვაგან, ბარში გადასახლდა.

სოფ. გუფთაში (დიდი ლიახვის ხეობა, დღევანდელი ჯავის რაიონი) 1886 წელს 71 კომლი ჯიოშვილი მკვიდრობდა (254-3-1665), თუმცა მათგან 35 კომლი უკვე ფაქტიურად სხვაგან იყო გადასახლებული.ბევრი მათგანი ყორნისის სასოფლო საზოგადოების სოფ.ციხიანში მიგრირებულა (ციხიანი ფრონეს ერთ-ერთ მარჯვენა შენაკადზეა). 1874-1876 წლებში ციხიანში გუფთიდან ათი კომლი გადასახლებულა. ყორნისში სამი კომლი მიგრირებულა. გუფთელები გადასახლებულან, აგრეთვე, დოდოთში, იმერლიანთკარში, მავდაში, ბრილში,ოჟორაში, სამწევრისში, კეხვში. ხტანაში (ფრონეების ხეობა) შვიდი კომლი დასახლკარებულა. ყველა ამ სოფელში ჯიოშვილების მიგრაცია 20 წლის წინ (ე.ი. 1860-იან წლებში) განხორციელებულა.

ჯავისთაველებიც ძირითადად ფრონეების ხეობაში გადასახლებულან. ხუთი ოჯახი მიგრირებულა ხტანაში 16 წლის წინ (1870 წელს),ლისოში (თერეგვანის საზ.) — 10 წლის წინ (1876 წელს), მულნისში — 20 წლის წინ (ე.ი. 1866 წელს), მონასტერში (კეხვის საზ.) — 20 წლის წინ (ე.ი. 1866 წელს), თერეგვანში.

1886 წლის საოჯახო სიებით სოფ.დოდოთიდან რვა ოჯახი ოსი იყო გადასახლებული. ერთი ოჯახი ღვთისშობლის ნასოფლარში (ყორნისის საზ.) გადასახლებულა. ძაგოშვილების ოჯახი 6 წლის წინ (ე.ი. 1880 წელს) თორმანეულში მიგრირებულა. დოდოთელები დასახლკარებულან, აგრეთვე, თბილისში, გუჯარეთის ხეობის სოფ.მიტარბში 1878 წელს, ბრილში (ყორნისის საზ.), ქურთაში, თილვაში.

დიდი მიგრაციულობით გამოირჩეოდა ჯავის მოსახლეობაც. საოჯახო სიებით აღრიცხული 140 კომლიდან ჯავაში ფაქტიურად აღარ ცხოვრობდა 47 ოჯახი (254-3-1668). დაწვრილებით არ შევჩერდებით ბარის რომელ სოფლებში განსახლდა 1860-1880 წლებს შორის ჯავის მოსახლეობა, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ისინი შიდა

ქართლის ბარის თითქმის ყველა მიმართულებით გაფანტულან, განსაკუთრებით ფრონეების და მეჯუდას ხეობებში, თვით დიდი ლიახვის ხეობის ბარის ზოლში. არაერთი ოჯახი თბილისშიც მიგრირებულა. ფრონეების ხეობის სოფლებიდან შეიძლება დავასახელოთ: ყორნისი, ბეყმარი, მსხლები, წორბისი, ხტანა... მეჯუდას ხეობის სოფელთაგან არკინეთი, ცხინვალის მიდამოების სოფლებიდან — წუნარი, დამპალეთი, ქურთა, დოდოთი, გუჯაბაური.

მთის სოფელ ჯომალაში 1886 ნელს 44 კომლი იყო ფიქსირებული (254-3-1668). ჯომაღელების დიდი ნაწილი (გიკაშვილების 12 კომლი) 1874 ნელს გუჯარეთში (დღევანდელი ბორჯომის რაიონი) გადასახლებულა. კიდევ 6 კომლი ქართლის ბარის სხვადასხვა სოფელში (მძოვრეთი, გვერძინეთი, კლდისთავი, ხვედურეთი, ქარელი) დასახლკარებულა.

სოფ. დისიგინაში (პატარა ლიახვის ზემო ნელი) სულ ცხრა ოჯახი იყო აღრიცხული, რომელთაგან აქ ფაქტიურად 6 კომლი აღარ მკვიდრობდა. ისინი ძირითადად მუღნისში (ფრონეების ხეობა, ოქონის საზოგადოება) მიგრირებულან 1876 და 1880 ნლებში.

დიდი ლიახვის შენაკად ქეშელთაზე მდებარე სოფ. დოდონისთაში 1886 ნლის საოჯახო სიებში 43 კომლი იყო აღრიცხული. თუმცა ისიც ირკვევა, რომ აქ ფაქტიურად 8 კომლიღა მკვიდრობდა. 35 ოჯახი დოდონისთიდან აყრილი იყო. სანამ ჩამოვთვლით მთისწინეთისა და ბარის იმ სოფლებს, რომლებშიც ქეშელთის ხეობის დასახელებული სოფლიდან იყვნენ გადასახლებული, აღვნიშნავთ, რომ თვით მთაში ისინი ხიზნებად ცხოვრობდნენ. დოდონისთიდან ოსები თითქმის ერთდროულად აყრილან 1871 ნელს და ჩასახლებულან ძირითადად წუნარის საზოგადოების (ცხინვალის მიდამოების) სოფლებში: ძარი, კვერნეთი, ციხისჯვარი, წუნარი, ღრუბელა, ქვასათალი, დამპალეთი, დოდოთი, ტბეთი, აგრეთვე, ძოვრეთში, მოხისში, რუსთავში, თხინვალში (ხცის საზოგადოება), მაცხოვარში, ნინოწმინდაში (თიღვის საზ.), სკრისხევში.

ქეშელთის საზოგადოებას მიეკუთვნებოდა სოფ.დამწვარა, რომელშიც აღრიცხული 46 კომლიდან (ყველა ხიზანი) 20 კომლი 1886 ნლისათვის უკვე ადგილზე აღარ მკვიდრობდა. ოთხი ოჯახი ყორნისის საზ-ის სოფლებში: ყორნისში, რუსთავში და ხურჯინაში დასახლკარებულა, ცხრა ოჯახი წუნარის საზოგადოების სოფლებში: ქვასათალი, ძარი, ძართწყარო, დამპალეთი. თითო ოჯახი ქიწნისსა და მუხაურში (თერეგვანის საზ.) დაფუძნებულა. 1873 ნ. ქვასათალში 20 ოჯახი ოსი მკვიდრობდა. ისინი გადმოსახლებული იყვნენ დიდი ლიახვის ხეობის მთიანი სოფლებიდან: მსხლებიდან (1861 ნ.), კოშკადან (1858 ნ.), მუგუთიდან (1867 ნ.), ქეშელთიდან (1854 ნ.), ჯავისთავიდან (1865 ნ.).

1886 წლის აღწერით, დიდი ლიახვის სოფ.ჯრიაში (დღევანდელი ჯავის რაიონი) 23 კომლი ოსი ცხოვრობდა. 23 ოჯახიდან ადგილზე აღარ ცხოვრობდა 7 ოჯახი. ქუმარიტაშვილების ერთი ოჯახი 1883 წლიდან ცხოვრობდა ქარელის საზოგადოების სოფ.ტყემლიანში, მეორე — 1874 წლიდან მეჯუდას ხეობის სოფ.არკინეთში. ჯრიადან მედოშვილების სამი ოჯახი იყო მიგრირებული. ერთი მათგანი 20 წლის წინ (ე.ი. 1866 წ.) გადასახლებული იყო სოფ.დოდონთაში (წუნარის საზოგადოება). მეორე, ასევე 20 წლის წინ იყო გადასახლებული დღევანდელი ხაშურის რ-ნის სოფ. ალში. ხოლო მესამე ოჯახი მედოშვილებისა 1873 წ. ჯერ ქვასათალში (წუნარის საზ.) გადასახლებულა, ბოლოს კი ძევერაში დამკვიდრებულა. ჯრიელთა ერთი კომლი 30 წლის წინ (ე.ი. 1856 წელს) სკრისხევში იყო დაფუძნებული.

სოფ.დვალულა (ელტურის საზ.) პატარა ლიახვის ხეობის მთიანი სოფელი იყო, რომელშიც 8 კომლი ოსი იყო ფიქსირებული. 8 ოჯახიდან 3 ოჯახი ფაქტიურად სხვაგან მკვიდრობდა, რომელთაგან ერთი მათგანი 5 წლის წინ (ე.ი. 1881 წელს) ფრონეების ხეობის სოფ.ტყისუბანში გადასახლებულა.

დიდი ლიახვის ხეობის სოფ. დისიგინაში (მსხლების საზ.) 15 კომლი ხიზანი იყო აღრიცხული. ამათგან 5 ოჯახი ფაქტიურად აქედან გადასახლებული იყო. მაგალითად, გუბაშვილების ორი ოჯახი თერეგვანის საზ-ის სოფლებში (დონაძე, ოჟორა) იყო მიგრირებული.

დიდი მიგრაციულობით გამოირჩეოდა სოფ.ზალდას მოსახლეობაც. 1886 წ. საოჯახო სიებით ზალდაში ფაქტიურად აღარ ცხოვრობდა აქ ჩანერილი 73 კომლი (254-3-1674). რა მიმართულებით არ გაფანტულან ზალდელი გაბარაშვილები. ყველაზე მეტი რაოდენობით იხინი მაინც ქვათეთრში (ქვათეთრი ორი იყო, ქარელის საზოგადოებისა და დირბის საზოგადოების) დამკვიდრებულან. დასახელებული გვარის ჯგუფური გადმოსახლება (11 კომლი) აქ 1856 წელს მომხდარა. 7 კომლი ფრინევში (ფრონეების ხეობა, დვანის საზ.) დაფუძნებულა. მაგრამ აქ ისინი შედარებით გვიან გადმოსახლებულან. თუმცა პირველი გზის გამკვლევი აქაც 1856 წ. მისულა, დანარჩენები: 1874 წ. (2 ოჯახი), 1876 წ. 1878 წ., 1883 წ., 1885 წ. — თითო ოჯახი. გაბარაშვილების 3-3 ოჯახი არცევსა და ხვედურეთში დამკვიდრებულა. 1856 წ. და 1871 წ. დასახლებულან ჭვარების საზოგადოებაში ზალდელები. გაბარაშვილების 5 კომლი წრომის საზ-ის სოფ.ჯაგარაანთკარში გადასახლებულა, შესაბამისად, 1856,1866 და1877 წლებში. სამი კომლი და სამივე 1874 წ. ყინწვისში დამკვიდრებულა. სამი კომლი მოსულა წუნარში (1856, 1866 და 1876 წლებში). ორ-ორი ოჯახი მიგრირებულა ახალსოფელში (1874 და 1876 წლებში), ქალეთში (1876 წ.), სამწყალში, თბილისში (1884 წ.), თითო

კომლი-დამპალეთში (1882 წ.), ზემო გომში (1865 წ.), გვერძინეთში (1871 წ.), ხვედურეთის სახ-ის სოფ.სულუხში, მძივში (1866 წ), ვანათში (1884 წ.), თხინვალში (1878 წ.), ბალთაში (1879 წ.), მოხისში, აჩაბეთში, კარალეთში და ხტანაში.

არანაკლები რაოდენობით იყვნენ მიგრირებული ოსები სოფ.ზღუ-ბირიდან. აქედან ორი ოჯახი გუჯარეთში დამკვიდრებულა. ზღუბი-რელები დაფუძნებულან ნიქოზშიც, ძოვრეთშიც (4 ოჯახი), არცევშიც, კოშკაშიც.

ზონკარში 1886 წ. 38 კომლი მკვიდრობდა. აქედან 10 კომლი ფაქტიურად აყრილი იყო. ზონკარიდან ოსების მიგრაცია მხოლოდ 1876 წ. დაწყებულა. ისინი გადასახლებულან: გორში (1880 წ.), მულნისში (ოქონის საზ. 1882 წ.) თიღვაში (1880 წ.), ნაბაკევში (თიღვის საზ. 1880წ.), ქედში (1876 წ.), შუახევში (დუშეთის მაზრა, 1879 წ.), ცხრანყაროში (ხვედურეთის საზ.), ხურვალეთში (1876 წ.).

პატარა ლიახვის ხეობის სოფ. ინაურში 1886 წელს რვა კომლი ოსი მკვიდრობდა. აქედან 1875 წელს ერთი ოჯახი მეჯუდას ხეობის სოფ.ბიეთში იყო გადასახლებული.

სოფ. კადიბინაში (ჯრიის საზ.) ჩაწერილთაგან ადგილზე აღარ მკვიდრობდა ცხრა კომლი. 5 ოჯახი 1874 წელს წროშის საზ-ის სოფ.ყელეთში მიგრირებულა. ორი კომლი 1864 წ. ნაღვლის საზ-ის სოფ.ნნელისში გადასახლებულა. ერთი ოჯახიც 1871 წელს რუსთავში დამკვიდრებულა.

ქეშელეთის ხეობის სოფ.კოდაში კოჩიშვილები მკვიდრობდნენ. ამ სოფლიდან 31 კომლი სხვაგან იყო მიგრირებული. ისინი 1861, 1866, 1876 წლებში ნუნარის საზ-ის სოფლებში (წუნარი, კვერნეთი, ციხისჯვარი) გადასახლებულან. კოლაელები დასახლკარებულან ფრო-ნეების ხეობაშიც (ყორნისი — 1856 წ., ბრილში — 1861 და 1871 წლები, რუსთავში — 1866 წ. ოთხი ოჯახი). ორ-ორი ოჯახი მისულა: ყინწვისში (1856 წ.), თხინვალში (1866 წ.), თითო:ძარში (1874 წ.), ღარისთავში (1856 წ.), ოუორაში (თერეგვანის საზ.), გუჯარეთში (1871 წ.), დამპალეთში (წუნარის საზ.,1878 წ.), ქემერტაში (1886 წ.), თამარაშენში, ქვასათალში (წუნარის საზ.).

1886 წლის საოჯახო სიებში სოფ.ქეშელთიდან 17 მიგრანტი ოჯახია მითითებული. ამ სოფლიდან ყველაზე მეტი მიგრანტი ჩიბირაშვილი ყოფილა.ორი კომლი საცხოვრებლად გადასულა თიღვის საზ-ის სოფ.ღარისთავში (1886 წ.), ხცის საზ-ის სოფ.თხინვალში სამი ოჯახი მიგრირებულია 1866, 1871 და 1881 წლებში. ნუნარის საზ-ის სოფ.ძარაშიც ჩიბირაშვილების სამი ოჯახი გადასულა საცხოვრებლად 1861 და 1866 წლებში. ქეშელთელების ორი კომლი 1866 და 1881 წლებში სოფ. კვერნეთში დასახლებულა, აგრეთვე, ქარელში 1866 წ.), მუხაურში (1866 წ.) დამპალეთში (1868 წ.), სუქანაანთუბანში...

ჯავისთავის საზოგადოების სოფ.კემულთაში მხოლოდ ბაგაურები ცხოვრობდნენ (24 ოჯახი), რომელთაგან აქედან მიგრირებული იყო 11 კომლი. აქედან თერეგვანში (1856 და 1873წლებში) სამი ოჯახი, თერეგვანის საზ-ის სოფ.მუხაურში ერთი კომლი წასულა საცხოვრებლად. წუნარის საზ-ის სოფ.დოდოთში 1866 ნელს ორი კომლი ჩასახლებულა, ამავე საზ-ის სოფ.საჯვარეში (1877 წ.) — ერთი ოჯახი. კემულთელები წასულან, აგრეთვე, თამარაშენში, თბილისში, ბოშურში...

პატარა ლიახვის ხეობის სოფ.ქვლივანადან 1884 წლიდან გადასახლებულან დოესში, კიტრიულში (მეჯუდას ხეობა, ანდორეთის საზ.), კოშკაში (ხვედურეთის საზ.).

დიდი მიგრაციულობით გამოირჩევა დიდი ლიახვის ხეობის სოფ. კოშკის ოსობაც. კოშკში 1886 ნელს 169 კომლი იყო აღრიცხული ხიზნის კატეგორიით. აღრიცხული 169 კომლიდან კოშკში ფაქტიურად არ ცხოვრობდა 113 კომლი. კოშკიდან მოსახლეობა 50 დასახლებულ პუნქტში გადასახლებულა. პირველი კომლი აქედან 1870 წელს აყრილა. კოშკელების დიდი ნაწილი (10 ოჯახი) ჭვარების საზოგადოებაში ჩასახლებულა. დასახლებულან ისინი ქარელის საზ-ის სოფლებშიც (ლოშკინეთი — 4 კომლი, იმერხევი — 3 კ., მსხლეთი —7 კ., ტყემლოვანი 4 კ., ბანა, სანებელი, ნინოწმინდა, მძოვრეთი 7 კ.). ბობნევის საზ-დან, სადაც კოშკელები გადასახლდნენ, შეიძლება დავასახელოთ: ტანისთავი (2 კ.) და ტეტვისხევი; წუნარის საზ-დან: ძარი (2 კ.), ტბეთი, ლრუბელა (2 კ.), ქვასათალი (4 კ.), კუსირეთი (2 კ.), დვანის საზ-დან შეიძლება დავასახელოთ: სამწყალი, უბიათი, ფრინევი. კოშკელები გადასახლებულან გუჯარეთშიც.

სოფ. მარალეთი პატარა ლიახვის ხეობაზეა, გერთან ახლოს. მარალეთში აღნერილი 26 კომლიდან 10 სხვაგან იყო გადასახლებული. შეიძლება დავასახელოთ სოფლები: იფნარა (ხვედურეთის საზ.), ზლუდერი (ქარელის საზ.), ბერშუეთი, ლეთეთი, ორბოძალი (ქარელის საზ.). მარალეთელთა გადასახლება 1861 ნელს მომხდარა.

მინარეთიდან (ორტევის საზ.) სამი ოჯახი დასახლებულა კირბალში (1874 წ.), გომში (1876 წ.) და ქარელში (1881 წ.). ამ სოფლიდან ერთი ოჯახი 1856 წ. თბილისში გადასულა საცხოვრებლად.

ქეშელთას საზოგადოებაში შედიოდა სოფ. მაირამი, საიდანაც ერთი კომლი 1882 წ. წასულა დვანის საზ-ის სოფ. ტილიანში, მეორე — ხტანაში (1880 წ.), მესამე-ოჯორაში (1879 წ.), მეოთხე — თერეგვანის საზ. სოფ. მუხათში. მაირამიდან 1871 წ. თორმანეულში სამი ოჯახი მიგრირებულა. პირველი ოჯახი, რომელმაც აღნიშნული სოფელი მიატოვა, 1856 წ. სოფ. მონასტერში (კეხვის საზ.) დაფუძნდა.

ჯომალის საზ-ის სოფ.მალში 11 ოჯახი ოსი იყო აღრიცხული.

ადგილზე ფაქტიურად მხოლოდ 4 ოჯახი მკვიდრობდა. დანარჩენები გადასახლებული იყვნენ: ყორნისის საზ-ის სოფ.ჯიქუანთუბანში (ფრონეების ხეობა) — ორი ოჯახი, ხვედურეთში — 3 ოჯახი.

კოშკის საზ-ის სოფ.მძივიდან გადასახლებულან ქვარებში, გვერ-ძინეთში.

ზემოთ ნაჩვენები გვქონდა, რომ ფრონეების ხეობის სოფ. ფათქინეთში (იგივე ბალთა) ოსები XIX ს-ის 10-20-იან წლებში დამკვიდრდნენ. ამ სოფლიდან XIX ს-ის მეორე ნახევარში ოსები ბორჯომის ხეობის სოფ.გომნაში, ბაკურიანში და დიდი ლიახვის ხეობის ბარში (ქურთაში) გადასახლებულან.

დიდი მიგრაციულობით გამოირჩეოდა სოფ. როკის მოსახლეობაც. 1886 წ. აღნერაში ყველა ისინი ხიზნის კატეგორიით არიან ფიქსირებული. როკში აღრიცხული 90 კომლი აქ აღარ ცხოვრობდა. ისინი მთისწინეთისა და ბარის სხვადასხვა სოფლებში იყვნენ მიგრირებულნი. როკელები დიდი რაოდენობით იყვნენ გადასახლე-ბული გუჯარეთში.აქ პირველი ოსური ოჯახი როკიდან 1856 წელს გადასულა, დანარჩენნი: 1871 წ., 1873 წ., 1879 წ., 1880 წ. გუჯარეთში მიგრირებულთაგან საოჯახო სიებში 25 კომლი დავითვალეთ. როკიდან ერთი ოჯახი მიტარბში დამკვიდრებულა. ბევრი როკელი დასახლკა-რებულა ქარელის საზ-ის სოფ.ლეთეთში (17 ოჯახი 1777 წ., 1781 წ., 1783 წ.,). 7 ოჯახი გადასახლებულა ნინოწმინდაში (ქარელის საზ.), 10 ოჯახი — სუქანაანთუბანში (ქარელის საზ). 1866 წელს როკელები მიგრირებულან, აგრეთვე, მზოვრეთში (ქარელის საზ.), ხვედურეთში, თრეხვში (ხვედურეთის საზ.), ხვნეში, გორში, წინზა-ხორში, ყორნისში, ახალფლევში (ნაბახტევის საზ.), არბოში, ახალ-შენში (თერეგვანის საზ.), ზღუდერში, ზემო აგარაში, სურამში, ტანისთავში (ბობნევის საზ.).

დიდი ლიახვის ხეობის სოფ. სოხოში 12 კომლი ოსი იყო აღრიცხული. აქედან ერთი კომლი 1868 წ. ყინწვისში იყო საცხოვრებლად გადასული, მეორე — თამარაშენში.

ჯომაღის საზ-ის სოფ.სომეგიდან 1886 წლის საოჯახო სიებში 12 მიგრანტი (25 კომლიდან) დავითვალეთ. ამ სოფლის მკვიდრნი გადასახლებულან: ქარელში (1871 წ.), თორმანეულში, გუჯარეთში (3 კომლი, 1876 წ.), ყორნისში (1880 წ.), ყელეთში (ნრომის საზოგადოება) — 4 ოჯახი.

სოფ. საძალეთი (იგივე საძაღლეთი) ჭვრივის საზ-ში შედიოდა. სოფლის მკვიდრთაგან 1886 წ. ადგილზე მხოლოდ სამიოდე ოჯახი ცხოვრობდა. დანარჩენები (17 კომლი) ბარში იყვნენ მიგრირებულნი, ძირითადად ქარელის რაიონის სოფ.ორთუბანში (8 ოჯახი 1866, 1868 და 1880 წლებში). საძალეთელები გადასახლებულან, აგრეთვე, ნუნარის საზ-ის სოფ.ტბეთში და ძოვრეთში (1866 წ.).

სოფ. საკინკურში 12 ოჯახი იყო აღრიცხული 1886 წ. აქედან ადგილზე ცხოვრობდა მხოლოდ 4 კომლი. დანარჩენი რვა კომლი გადასახლებული იყო ძოვრეთში, ნაქერალაში, აგარაში, ყინწვისში, სუქანაანთუბანში, ბარში.

სოფ.საჩინოში (პატარა ლიახვის ერთ-ერთ მაჯვენა შენაკადზე მდებარეობდა) აღრიცხული 19 კომლიდან უმეტესობა მიგრირებული იყო: ფრონეების ხეობის სოფ. ფრინევში (1882 წ.), ბაღებში (ბერშუეთის საზ. 4ოჯახი), 1876, 1877,1879, 1885 წლებში. აქედანვე გადასახლებულან: ზარდიანთკარში (კულბითის საზ.), ძვიმლეთში (1886წ.) კიტრიულში (1885 წ.).

ზემოთ არაერთგზის გაესვა ხაზი ოსების შიდა ქართლის სოფ.სუქანაანთუბანში (ქარელის საზ.) მიგრაციას. თავის მხრივ, აქ დასახლებული ოსები სხვაგან გადადიოდნენ საცხოვრებლად, განსაკუთრებით გუჯარეთსა (1874 წ) და წრომის საზ-ის სოფ.ახალსოფელში (1880 წ.).

პატარა ლიახვის სოფ. სიათადან (ზონკარის საზ.). გადასახლებულან ლეხურას ხეობის სოფ.ნირში (1880 წ.) და ამავე ხეობის სოფ. წუბენში (1871 წელს).

პატარა ლიახვის სოფ. სარაბუკში (ერედვის საზ.) მცხოვრები ოსები ხიზნებად ყოფნენ ჩაწერილი. სარაბუკში აღწერილი 13 კომლი აქ აღარ ცხოვრობდა და სხვაგან იყო გადასახლებული. სარაბუკელი ოსები მიგრირებულან: ქვათეთრში, ორტევში, ოსიაურში, ერედვში, არბოში, იმერხევში, ყინწვისში... სარაბუკელები თავიანთი სოფლიდან 1866—1876 წლებს შორის აყრილან. ცნობისათვის იმასაც აღვნიშნავთ, რომ სარაბუკი ქართველი ხელაძეების სამკვიდრო სოფელი იყო.

პატარა ლიახვის ხეობის სოფ. საბოლოკედან სამი კომლი 1866 და 1876 წლებში ქვარების საზ-ში გადასახლებულა.

წუნარის საზ-ის სოფ.ტბეთში ოსები XIX ს-ის მეორე ნახევარში დასახლდნენ. 1886 წ. საოჯახო სიებში ისინი ყველა ხიზნადაა ჩაწერილი. პარალელურად ტბეთელები 1871 და 1876 წლებში სხვა სოფლებში (კოდმანში, ქარელის საზ. ყელქცეულში) გადასახლებულან.

1886 წლისათვის მიგრირებული სოფელი იყო თხელი (ქეშელთის ხეობა). აქ ჩაწერილი 17 კომლი სხვაგან ცხოვრობდა. 1879 წ. თხელიდან 10 კომლი სატივეში (ხცის საზ.) გადასახლებულა, ორი კომლი სურამის საზ-ის სოფელ კვერნეთში. 1886 წ. ორი კომლი ქვარებში წასულა, 1876 წელს — ძარში, ორბოძალში...

მდ.ქეშელთის ერთ-ერთ მარჯვენა შენაკადზე მდებარეობდა სოფ. თლი (ამ სახელწოდებით სოფელი — თლია დასავლეთ საქართველოშიც (ვაკე იმერეთი) იყო. ის შეტანილია 1621 წ. აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსაგალი მოსაკრებელობის დავთარში — (ქსძ, III, გვ.412), რომელშიც 1886 წლისათვის 23 ოსის ოჯახი იყო აღრიცხული

და რომელთაგანაც 14 ბარში იყო მიგრირებული. ისინი გადასახლებულან სოფ.დოდოთში (წუნარის საზ.) — 3 ოჯახი 1864 და 1884 წლებში, მავდაში (თორმანეულის საზ.) — 1864 წელს. ორი კომლი 1868 წელს ოჟორაში (თერეგვანის საზ.) დასახლებულა. ბრილში (ყორნისის საზ.) სამი კომლი მისულა 1861 და 1868 წლებში. მიგრირებულან ისინი მონასტერში, თამარაშენში, საჯვარეში (თორის საზ.).

თერაგინელი (ზონკარის საზ.) სამი კომლი ოსიდან ერთი ხურვალეთში მიგრირებულა 1871 წელს.

დიდი ლიახვის ხეობაში, კოშკის საზ-ში მდებარეობდა სოფ.ურჯვარი. 1886 წლის საოჯახო სიებით ამ სოფელში 24 კომლი იყო აღრიცხული. ფაქტიურად ადგილზე 10 ოჯახი მკვიდრობდა. დანარჩენნი ბარში იყვნენ მიგრირებულნი. სამი ოჯახი გადასახლებული იყო სოფ.ნაქერალაში, ორ-ორი ოჯახი — გუჯარეთში, დოდოთში (წუნარის საზ.), თითო ქინწისში, ტოლაში, თბილისში, ბალთაში, არკნეთში, ჭვარებში, კვერნეთში, ქარელში.

სოფ.ხაჩირაანთკარში (პატარა ლიახვის ხეობა) 8 კომლი ოსი იყო აღრიცხული, რომელთაგანაც ერთი კომლი გადასახლებული იყო მეჯუდას ხეობის სოფ.ბენდერში.

თლის საზ-ის სოფ.ჩიფრანში (იგივე წიფრანი) 29 კომლი მკვიდრობდა. აქედან ადგილზე მხოლოდ რვა კომლი ცხოვრობდა. 21 ოჯახი დაბლობში იყო მიგრირებული. უმეტესობა (14 კომლი) ფრონეების ხეობის სოფ. რუსთავის ჩიფრანში (ყორნისის საზ.) იყო დასახლკარებული. ისინი მთის სოფლიდან 4-9 წლის წინ (ე.ი. 1877-1882 წლებში) მოსულან. წიფრანიდან თითო ოჯახი გადმოსახლებული იყო ჭვარებში, ნიქოზში, წერეთში, ფელში (ატენის ხეობა), ნათლისმცემელში და რენეში (ორი კომლი).

დიდი მიგრაციულობით გამოირჩეოდა დიდი ლიახვის ხეობის სოფ. ხვწეს (ჯავის საზოგადოება) მოსახლეობა. ამ სოფლის მკვიდრთა თითქმის ნახევარი (53 კომლი) აქ აღარ მკვიდრობდა. ხვწელი ოსები შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის მრავალ სოფელში მიგრირებულან. მაგალითად, სუქანაანთუბანში 25 წლის წინ იყო გადასახლებული ორი ოჯახი, 20 წლის წინ — ერთი (ე.ი. შესაბამისად 1861 და 1866 წლებში). 1861 წელს სამ-სამი ოჯახი მიგრირებულა ძოვრეთში (1881, 1874 და 1866 წლებში), ბრილში, დოღლაურში (1871, 1881 და 1885 წლებში), აგარაში (1874, 1878 და 1879 წლებში), გვერძინეთში (1876 წ.), ქვათეთრში (1863 წ. და 1879 წ.) ორ-ორი ოჯახი დამკვიდრებულა არაშენდასა და ყინწვისში (1880 წ.), ელბაქიანთკარში (1881, 1882 წლებში), ხუნდის უბანში (თერეგვანის საზ.) — 1871 წელს, ძარში (1883 და1879 წლებში), დამპალეთში (1876 წ.), ძაღინაში (თერეგვანის საზ.), 1871 წელს ოთხი ოჯახი

დაფუძნებულა თერეგვანის საზ-ის სოფ.ტბაში. ხვწელი ოსები გაფანტულან, აგრეთვე, ღარისთავში (1856 წ.), მუგუთში (1884 წ.), დოდოთში (1881 წ.), ყინწვისში (1881 წ.), თბილისში (1885 წ.), ქარელში (1883 წ.), მძივში (1874 წ.), ბალთაში (1876 წ.), ტყვიავში, ყორნისში (1866წ.),ბეყმარში (1883 წ.), დვანში (!886 წ.), ქვემო ბაგებში (ბერშუეთის საზ.) — 1871 წ., დონაძეში (თერეგვანის საზ.) — 1879 წ.

მიგრაციულობით გამოირჩეოდა სოფ. წონა (თლისთან ახლოს), რომლიდანაც 11 კომლი გადასახლებულა. ისინი მიგრირებულან: მუღნისში (სამი კომლი 1866-1868 წლებში), თერეგვანში (1856 წ.), გვერძინეთში (1886 წ.), ღარისთავში (სამი კომლი 1881 წელს), რველში (დვანის საზ.), დვანში (2 ოჯახი).

ზემოთ ვნახეთ, რომ ლიახვის ხეობის მთიდან XIX ს-ის II ნახევარში არაერთი კომლი ჩამოსახლდა სოფ. წუნარში (ცხინვალთან ახლოს). 1886 საოჯახო სიებით წუნარში 40 კომლი ხიზანია აღრიცხული. აქ მიგრირებული ოსები ადგილზე დიდხანს არავინ არ გაჩერებულა და 12 კომლი მიგრირებულა, მათ შორის, თბილისში (5 კომლი), დუმაცხოში, ნულში (1868 წ.), დოღლაურში, თერეგვანში.

ფრონეს ხეობის სოფ. ნორბისიდან (ყორნისის საზ.) 4 ოჯახი იყო მიგრირებული. ამათგან თითო თბილისსა და ძალინაში (თერეგვანის საზ.) წასულა, ორიც — გაურკვეველი მიმართულებით.

პატარა ლიახვის ხეობის სოფ.ნიფორში (ლეკოვანის საზ.) 16 კომლი იყო. აქედან ორი ოჯახი ცხინულისში (დუშეთის მაზრა, ლეხურას ხეობა) —1861 წ. და ფლავში გადასახლებულა.

ჯავის საზ-ის სოფ.ჩევკინიდან ოსები მიგრირებულან დოდოთში, ნულში, ჭვარებში, ბრილში, ორბოძალში, თიღვაში, თხინვალაში.

თითქმის მთლიანად მიგრირებული იყო სოფ.ჭვრივის მოსახლეობა. 1866-1876 წლებში ჭვრიველები გადასახლებულან: გვერძინეთში, ნიფორში ანუ ნიფლიანში, ატოცში, ნნელისში, ქვათეთრში, მუხლეთში, სკრაში, ბანაში, დმენისში, სკრისხევში, მანგლისში, კოდმანში, ფხვენისში. ჭვრივში ოფიციალურად აღრიცხული იყო 119 კომლი. აქედან ადგილზე მხოლოდ 20 -მდე კომლი ცხოვრობდა.

შულაურში (შალაურში), პატარა ლიახვის ზემო წელში (ქნოლოსთან ახლოს) 17 კომლი იყო აღრიცხული. აქედან 11 კომლი ბარში იყო გადასახლებული: გორაკაში, ცხინულში, ზახორში (ყველა ლეხურას ხეობა).

პატარა ლიახვის ხეობის მთიან ნაწილში მდებარეობდა სოფელი შუაცხვირი. ამ სოფლიდან მთისწინეთისა და ბარის სხვადასხვა სოფელში 29 კომლი (43 კომლიდან) იყო გადასახლებული 1874-1889 წლებში: კარალეთში, წერეთში (ბობნევის საზ.), მუღნისში (ოქონის

საზ.), ქვემო ჭალაში, ურთხელში (ლეხურას ხეობა), ოქონის საზ-ში, ქვემო ბალებში (ბერშუეთის საზ.), საგორეთში, ძვიმლეთში, ოტრევში, მუხლეთში, კოდმანში (ქარელის საზ.).

დიდი ლიახვის ხეობის სოფ. შუა ერმანიდან ერთი კომლი დიდი თონეთში იყო გადასახლებული.

პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელის სოფ.შამბიეთიდან მოსახლეობა გადასახლებულა ოძისში. ზემო ქერეში, მერიაში, ფლავისმანში. ზემო ქერეში 9 კომლი 1871 — წ. მოსულა.

სოფ.შელეურში (ორტევის საზ., პატარა ლიახვის მარჯვენა შენაკადზე, ვანათს ზევით) 31 კომლიდან ადგილზე ალარ ცხოვრობდა 11 კომლი. შელეურელი ოსები მიგრირებულან: მონასტერში (ქარელის საზ.) — 6 კომლი 1886 წელს, ქვათეთრში (1866 წ.) , ქარელში (1861 წ.), იფნარში (ხვედურეთის საზ.) 1856 წ.

ჯავის საზ-ის სოფ.ერწოდან ოსები გადასახლებულან: ყორნისში (1878 წ.), ტბაში (1881 წ.), ხურჯინაში (ყორნისის საზ.) — 1861 წ., გვერწეში (4 კომლი. 1861 წ.), თერეგვანში (2 კომლი 1871 წ.).

1886 წლის აღწერით, ბაკურიანში მოლოდ 7 კომლი მკვიდრობდა.

სოფ.ბანი (ბანები) ქარელის რაიონის იმერხევის საბჭოში შედის. იგი მთლიანად მიგრირებული ოსებით იყო დასახლებული. 1871 წელს ქვრივიდან ბანში ორი კომლი ოსი გადმოსახლებულა. 1875 წ. აქ დვალეთის სოფ.ზრამაგიდან ერთი კომლი გადმოსულა. 1874 წ. ჯავის საზ-ის სოფ.მუგუთიდან სამი ოჯახი მოსულა. ნარადან (დვალეთი) 1876 წ. სამი ოჯახი გადმოსულა, კოშკიდან (1878 წ.), ორტევიდან.

დღევანდელი ქარელის რაიონისავე სოფ.ბატიულში ოსები ერთდროულად 1866 წელს დასახლებულან. 10 კომლი ოსი აქ მიგრირებულა ჯომაღიდან, მარმაზეთიდან და კიმასიდან (1873 წ. აღწერა, სცსსა, ფ.254,ან.3, საქ.N 247).

შიდა ქართლის ბარის სოფ.ბორცუანში ოსები პირველად 1867 წელს გადმოსახლებულან. მეორე ჯგუფი მიგრანტებისა 1879 წ. დაფუძნებულა.

მეჯუდას ხეობის სოფ. ღრომი დღეს მთლიანად ოსებითაა დასახლებული. 1886 წ. საოჯახო სიებით აქ არც ერთი კომლი ოსი არ ცხოვრობდა. ღრომის მკვიდრი ქართველები იყვნენ: შერმადინები (3 კომლი), ნათელაშვილები (2 კომლი), ხიზანიშვილები, ნივილაშვილები, ბეგიაშვილები (2 კომლი), ილურიძეები.

ამრიგად, 1886 წლის საოჯახო სიებით, მდინარეების დიდი ლიახვის და პატარა ლიახვის ხეობების 76-ზე მეტი სოფლიდან XIX საუკუნის 60-70-იან წლებში 1340 კომლზე მეტი ოსი აყრილა და ბარის სხვადასხვა სოფელში დამკვიდრებულა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ორივე ლიახვის მთიან ნაწილში არ დარჩენილა სოფელი, საიდანაც, აღნიშნული დროის მონაკვეთში ოსები არ

გადასახლებულიყვნენ, ბევრი სოფელი ფაქტიურად დაიცალა, ბევრში კი მოსახლეობა განახევრდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ XIX -ის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობებში მცხოვრები ოსების საკმაოდ დიდი ნანილი ხიზნის კატეგორიითაა ჩანერილი, რაც თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ისინი აქ მკვიდრ მოსახლეობას არ ნარმოადგენდნენ და არც თუ ისე დიდი ხნის დასახლებულნი იყვნენ. მაგალითად, ხიზანი იყო სოფ. კოშკში ფიქსირებული 169 კომლი ოსი, რომელთაგან 113 კომლი ფაქტიურად ამ სოფელში აღარ მკვიდრობდა და ბარის სხვადასხვა სოფელში იყო განსახლებული. ხიზნები მკვიდრობდნენ, აგრეთვე, დამნვარაში, ჯრიაში, დისიგონაში...

ასეთია ოსთა მიგრაციის, დასახლკარების სურათი. ქართული საისტორიო წყაროებით, საბუთებით, საარქივო მონაცემებით ცნობილი ხდება, სად და როდის დაფუძნდნენ ოსები საქართველოს მიწა-წყალზე. ამ თვალსაზრისით კიდევ უნდა აღინიშნოს ერთი ტენდენციურობის შესახებ, რომელსაც მიზნად აქვს ოსების რაოდენობის ხელოვნური გაზრდა, აგრეთვე, ისეთი სოფლებისა და რეგიონების მიჩნევა ოსებით დასახლებულ ადგილებად, სადაც ისინი არასოდეს არ ყოფილან, არასოდეს არ ყოფილა მათი არა მარტო კომპაქტური, არამედ ერთეული მკვიდრობის ფაქტებიც კი. მოვიტანთ ერთ ციტატას: „როგორია სამხრეთ ოსური მოსახლეობის დინამიკა XIX საუკუნეში? სიმონოვიჩის 1802 წ. რუკა-სქემის მიხედვით, ოსური მოსახლეობა საქართველოში 35 ათას სულს შეადგენდა. სიმონოვიჩის მოტანილი ციფრი თუ სწორია, მაშინ იგი შეიძლება გავზარდოთ კიდევ გარკვეული რიცხვით, რადგან მასში არ ივარაუდებიან ოსები, რომლებიც საქართველოს ზოგიერთ რაიონებში დამკვიდრდნენ XVIII ს-ში (მაგ., სოფლები ჭვარები, სახორცე-თრიალეთის მთებში, დიღომი, ლილო და სხვ.). ეს პროცესი XIX ს-შიც გრძელდებოდა" (გ.თოგოშვილი. ი.ხაბალაშვილი, ოსეთის მოსახლეობა -მოკლე ისტორიულ-დემოგრაფიული მიმოხილვა, ცხინვალი, 1988 წ. გვ.22). რა შეიძლება ითქვას მოტანილი ამონაწერის შესახებ? საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით ზემოთ დაანგარიშებული გვქონდა, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში 1814 წელს ოსების რაოდენობა 2 130 კომლით განისაზღვრებოდა. გაირკვა, რომ ოსების რაოდენობა აღნიშნული დროისათვის 15.000 სულამდე იყო. რა თქმა უნდა, ვინმე სიმონოვიჩის მიერ შემოთავაზებული და გ. თოგოშვილისა და ი.ხაბალაშვილის მიერ ჰაიპარად გაზიარებული რიცხვი (1802 წლისათვის — 35 ათასი) არარეალურია. არარეალურია იმ შემთხვევაშიც, თუ მასში დვალეთის მოსახლეობასაც ვიანგარიშებთ (რადგან იგი ამ დროისათვისაც და შემდეგაც საქართველოს მიწა-წყალი იყო). დვალეთში კი 1802 წლისათვის რეალური საისტორიო მონაცემებით

5 ათას ოსზე მეტი არ ცხოვრობდა. ავტორებს უფრო დიდი რიცხვი წარმოუდგენიათ, რადგან, თურმე XVIIIს-ში ოსები თრიალეთის მთებში ჭვარებში და სახორცეში, აგრეთვე, დილომში, ლილოში და სხვაგანაც დასახლებულან. დავაკონკრეტებთ და ვიტყვით, რომ ჭვარები და სახორცე ქართლის გალმა მხარის, კერძოდ, თეძმის ხეობის მთის სოფლებია. XVIII ს-ის დასაწყისში რომ დასახლებულიყვნენ ოსები ჭვარებში და სახორცეში, მათ, როგორც ოსებით დასახლებულ სოფლებს აუცილებლად მიუთითებდა ვახუშტი ბაგრატიონი, XVIII ს-ის ბოლოს რომ დამკვიდრებულიყვნენ მეორე ბაგრატიონის — იოანეს, „ქართლ-კახეთის აღწერაში" აისახებოდა. ჭვარები და სახორცე არაა მითითებული XIX ს-ის პირველი ნახევრის მოსახლეობის აღწერის დავთრებში, არამარტო როგორც ოსური სოფლები, არამედ, როგორც სოფლები, რადგან ისინი XVIII საუკუნეშიცა და XIX ს-ის პირველ .ნახევარშიც ნასოფლარებს წარმოადგენდნენ. ჭვარებში ოსების დასახლება მხოლოდ XIX ს-ის 60-70-იან წლებში მოხდა შიდა ქართლის მთიანეთიდან გადმოსახლებული ოსებით და 1886 წ. აქ,დიდსა და პატარა ჭვარებში ერთად სულ 29 კომლი მკვიდრობდა. რაც შეეხება სახორცეს, ის 1886 წელსაც არ იყო ჯერ დასახლებული.

არც ერთი ოსი არაა მითითებული 1886 წ. როგორც დიდ, ისე პატარა ლილოში. ორივე ქართველებით დასახლებული სოფლები იყო (იხ. Свод статистических данных о населении Закавказского края ... Тф., 1893).

ახლა დილმის შესახებ. საისტორიო საბუთებით ჩანს, რომ დილომში (თუ დილმის სიახლოვეს) ოსები დროებით ცხოვრობდნენ. ვახუშტი ამის შესახებ არაფერს ამბობს, იოანე ბაგრატიონი კი დილმის შესახებ აღნიშნავს: „ქ.დილომი და მისი ხევი, მოსახლენი, მეფის ძეს იულონს თ~ს ეყოდა. ქ.ოსები, დილომს მოსახლე" (გვ.30). დილომთან ოსების დროებით მკვიდრობის დამამტკიცებელია XIX ს-ის დასაწ-ყისის სოფ. დილმის მოსახლეობის კამერალური აღწერები, რომლებ-შიც არც ერთი კომლი ოსი და ოსურძირიანი გვარი არაა მითითებული, აგრეთვე, 1799 წლის ერთი საბუთი, რომელიც გაცემულია გიორგი XII -ის მიერ თაგაურელი ოსებისადმი. საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ თაგაურელ ოსებს გამოუთქვამთ სურვილი საქართველოში ოჯახებით გადმოსახლებისა. ამისათვის მეფეს ოსეთში გაუგზავნია აზნაური ნინია გაბაშვილი. გადმოსახლების მსურველ ოსებს მეფე უთვლის, რომ თქვენ იქნებით ჩვენი სახასო გლეხებიო და სხვას არავის ექნება თქვენთან საქმეო. თქვენთვის შევარჩევთ კარგ ადგილსა და საცხოვრებელს, და დაგასახლებთ ისეთ ადგილზე, რომ კარგად იცხოვროთო. პირველ ხანებში თქვენ უნდა მოხვიდეთ დილომში და გაჩერდეთ აქ, შემდეგ კი შეგირჩევთ კარგ ადგილს, რომელიც თქვენ მოგეწონებათ, იქ დაგასახლებთ და გაგიკეთებთ

სიმაგრეს. სანამ თქვენ ხვნა-თესვას მოეკიდებით, ჩვენ მოგეხმარებით სურსათ-სანოვაგით მომარაგებაში (**История**... გვ. 192, ხი, საბ. 1617). ჩვენი ვრცელი კომენტარი საჭირო არაა. **XVIII** ს-ის ბოლოს თაგაურელი ოსები დიღომთან მხოლოდ დროებით იყვნენ დასახლებულნი. დიღომში ოსების დროებითი მკვიდრობა დასტურდება ეთნოგრაფიული მონაცემებითაც. ეთნოგრაფ ჯ.სონღულაშვილის მიერ **1950**-იან წლების დასაწყისში ჩაწერილი მასალით, **XVIII-XIX** საუკუნეების მიჯნაზე სოფელში ოსების **32-33** კომლს უცხოვრია. იმის გამო, რომ ოსები ქურდობდნენ (დიღმელ გლეხებს ქაპანი და ღვედიც კი არ დაუტოვეს), აქ ცხოვრების **2-3** წლის შემდეგ, დიღმელმა გლეხებმა ოსები სახრეებითა და კეტებით გაყარეს. მათ ოსები ბებრისციხემდე მიუცილებიათ. გ.თოგოშვილისა და ი.ხაბალაშვილის დუეტი უფრო შორს მიდის. მათ მოაქვთ ვრცელი ამონაწერი ზ.ჭიჭინაძის ნაშრომიდან „ოსეთის ისტორია ქართული ისტორიული საბუთებით", ტფ., 1913, გვ.185: „გ.ჭიჭინაძე მიუთითებს, რომ **1801** წლისათვის „ოსები ცხოვრობდნენ სოფ.ძევერას, ცხინვალს, სვერს, ერედვს, კორდს (უნდა იყოს ქორდს — რ.თ.), დიცს, აწერისხევს, ჩარბეთს (? - რ.თ.), სნეკვს, ბელოთს, ვანათს, ზარდიანთკარს, მერეთს, კორბს (ალბათ, კარბს — რ.თ.), არბოს, მეჯვრისხევს, მეჯვრისხევს **II**-ს (? - რ.თ.), მეჯვრისხევს **III** (? -რ.თ.), ძველეთს, კირბალს, ბერშოეთს, ჭალას, კორნის (ყორნის? —რ.თ.), ტბეთს, კუსირეთს, სამაჩაბლოს, ხვითს, პოტორის (ალბათ, ფოტრისის ხეობა — რ.თ.), მაღრან-დვალეთს, ჭვრივს, მგვრივს, ნატიხარს, კულბითს, ლამისყანას, მჭადიჯვარს, ჩანგილარს (თეზსა და ოკამთან მდებარე ამ სოფელში **1886** წ. **5** კომლი ცხოვრობდა და არც ერთი არ იყო ოსი - რ.თ.), მუხრანს, კონდას (ალბათ, ქანდა -რ.თ.), კობის აჩხატი (უ.ი. კობი და აჩხოტი), თრუსოს ხეობას, ჩამურს (უ.ი. ჟამურს - რ.თ.), ჩურუკეთს (? -რ.თ.), იკოთს, ხრომის-წყაროს, სტეფანწმინდას, სნოს, სიონს, შუახებს (ალბათ, შუახევს -რ.თ.), მთიულეთს, გუდამაყარს, ხორს (ალბათ, ხორხს — რ.თ.), ხანდოს, ჭართალს, პავლეურს, ციხის გორს, ავნევს, სართიჭალას, ლილოს, ავლევს, მუხრანს, მჭადიჯვარს (ზემოთ ერთხელ უკვე იყო ნახსენები — რ.თ.), ანანურს, კისისხევს (ალბათ, ქაისხევი -რ.თ.), ტონჩას, ებნისს, ჩილურტს (უ.ი.ჭილურტს — რ.თ.), აშს, აახვს (ალბათ, აფხავს —რ.თ.), ჩონტს (ალბათ, ჩინთს — რ.თ.), ბოდორნას, საშაბუროს, ბაზალეთს, გრემისხევს, ოსიაურს და სხვა სოფლებშიც" (გ.თოგოშვილი, ი.ხაბალაშვილი, დასახელებული ბროშურა, გვ.22).

გასაოცარია, როდესაც დასახელებული ბროშურის დოკტორი თანაავტორი ასეთ აბდაუბდას მიუთითებს. ჩამონათვალში, ჯერ ერთი, ერთმანეთში არეულია სოფლები და რეგიონები, მეორე, უმეტეს მათგანში რეალურად ოსებს საერთოდ არ უცხოვრიათ არასდროს.

ზ. ჭიჭინაძის ამ მონაგონ, არარეალურ-ჩამონათვალს რომ დავუჯეროთ, გამოდის, რომ მთელი აღმოსავლეთ საქართველო ოსებით ყოფილა დასახლებული. აღნიშნული ჩამონათვალიდან ოსები სინამდვილეში მოსახლეობდნენ მხოლოდ (და თანაც 1801 წლისათვის) სამაჩაბლოში, ანუ დიდი ლიახვის ხეობის მთაში, ფოტრისში (პატარა ლიახვის შენაკადი ხეობა), მაღრან-დვალეთში (დიდი ლიახვის სათავე), ჭვრივს, კობსა და აჩხოტში (ხევი), თრუსოში (თერგის სათავე), ღუდაში (თეთრი არაგვის სათავე), ეამურში (მდ.ქსნის სათავე). დანარჩენ რეგიონებსა და სოფლებში არც ერთი საისტორიო საბუთით 1801 წლისათვის ოსთა მკვიდრობა არ დასტურდება. ჩამონათვალიდან ზოგიერთ სოფელში გვიან დასახლდნენ ოსები. მაგალითად, მჭადისჯვარში (XIX ს-ის II ნახევარი), კუსირეთში (ეს სოფელი წუნარის საზოგადოებაში შედიოდა და 1886 წ. ფაქტიურად არავინ ცხოვრობდა. XIX ს-ის 70-იან წლებში ერთი კომლი მკვიდრობდა, რომელიც 1875 წელს უკან მთაში, დიდი ლიახვის სოფ.მუგუთში გადასახლებულა — (სცსსა, ფ.254, ან.3, საქ.N 1684). ცხინვალს რაც შეეხება, ცნობილია, რომ 1886 წელს აქ არცერთი ოსი არ მკვიდრობდა (იხ. რ. თოფჩიშვილი „მნათობი", N12, 1987: Р. Топчишвили, Посемейные списки Тифлисской губернии 1886 г.как этнографический источник, — „Советская этнография", № 6, 1989, с.113). 1886 წლისათვის სუფთა ქართულ დასახლებებს წარმოადგენდა ძევერა, სვერი, სტეფანწმინდა, სნო, სიონი, სართიჭალა, საშაბურო,ბელოთი, ვანათი, ერედვი, ქორდი, დიცი, აწერისხევი, ზარდიანთკარი, მერეთი, არბო (ცხოვრობდნენ: ფიჩხნარაშვილები, გვიმრაძეები, მაისურაძეები, გვარამაძეები, გოგიჩაშვილები, თედელურები, ლომოურები). ქართული იყო და არის იკოთი, მეჯვრისხევი, ლამისყანა, მუხრანი. რაც შეეხება მთიულეთს და გუდამაყარს, ხორხს და ხანდოს, ჭართალს და პავლეურს, ამ რეგიონებშიც არც XVIII და არც XIX საუკუნეებში ოსური მოსახლეობა საერთოდ არაა ფიქსირებული, თუ არ ჩავთვლით მთიულეთის არაგვის ხეობის სათავეში მდებარე ღუდას, რომელიც ჩამონათვალში ცალკეა მოცემული და, აგრეთვე, XIX ს-ის 30-იან წლებში მთიულეთის სოფ. სეთურთკარის სიახლოვეს წარმოქმნილ პატარა ოსურ სოფელ ქუმლისციხეს. არ იყვნენ ოსები არც ანანურში, არც ქაისხევში, არც ტონჩაში, არც ებნისში და არც ჭილურტში. ქართული იყო და არის არაგვის ხეობის დაბლობის სოფლები: აში, აფხავი, ჩინთი, ეინვალი, არაგვისპირი, იორი, ყვავილი, არლუნი, ბოდორნა, საშაბურო, ბაზალეთი, გრემისხევი.

სოფლის სახელი „ოსიაური" არ ნიშნავს იმას, რომ ის ოსებით დასახლებული სოფელი იყო. ოსიაურის, როგორც ტოპონიმის წარმოქმნა უკავშირდება მამაკაცის ქართულ სახელს „ოსიას". ვინმე ოსიამ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ სოფელს, სახელიც

მიაკუთვნა — „ოსიაური", ე.ი. ოსიასი. არასდროს სოფ. ოსიაურში ოსებს არ უცხოვრიათ.

არაგვის ხეობის დაბლობ ნაწილში ოსური იყო შუახევი, სადაც ოსები XIX ს-ის შუა ხანების შემდეგ დასახლდნენ. 1886 წ. ქართულ-ოსური მოსახლეობა იყო ჭონტილში.

1830-1831 წლებში ბელოთში მხოლოდ 16 კომლი ქართველი მკვიდრობდა (დემეტრაშვილები, ტერაშვილები, ჩიჟჩიურები...) — იხ.სცსსა, ფ.254, ან. I, საქ.N 1243, გვ.668-672.

გ.თოგოშვილი და ი.ხაბალაშვილი იმასაც წერენ, რომ „1831-1832 წლებში ჩატარდა მესამე კამერალური აღწერა, მაგრამ იგი სამხრეთ ოსეთს არ შეხებია" (გვ.23). რანაირად უნდა შეხებოდა სამხრეთ ოსეთს 1831 წლის კამერალური აღწერა, როდესაც ასეთი ცნება („სამხრეთ ოსეთი") საერთოდ არ არსებობდა? თუმცა უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქში შემავალ ზოგიერთ რეგიონს 1830-1831 წ. აღწერა ნამდვილად შეეხო. აღიწერა ფრონეების ხეობა და სწორედ ეს აღწერაა ერთ-ერთი წყარო ფრონეების ხეობაში ოსთა მიგრაციის შესასწავლად. აღიწერა დიდი და პატარა ლიახვის ხეობათა ბარისა და მთისწინეთის ქართული სოფლები (აქ ჯერ ოსური მოსახლეობა არ იყო, თორემ ისინიც მოხვდებოდნენ კამერალურ აღწერაში). აღიწერა ქსნის ხეობის (და, მათ შორის, ეამურის ოსური) მოსახლეობა. მთელ ქსნის ხეობაში, ეამურის გამოკლებით, 1830-1831 წ. აღწერაში კიდევ მხოლოდ ორი ოსური სოფელია (ლომისი და ოხირი) ნახსენები. კამერალურ აღწერაში ფიქსირებულია, რომ 1830-1831 წ. ეამურში 93 კომლი ოსი მკვიდრობდა (254-I-1245, გვ.543-578). აღიწერა შიდა ქართლის მთიანეთის ოსური მოსახლეობა დიდსა და პატარა ლიახვების ხეობებში 1818 წელს (254-I-543). ამ აღწერაში შეტანილია, აგრეთვე, დვალეთის ზროგოსა და ნარას ხეობები. ზემოთ ნათქვამი გვქონდა, რომ საქართველოს ოსური სოფლები მთლიანად აღიწერა 1814 წელს.

1860 წლის აღწერით ვგებულობთ, რომ ამ პერიოდში ქსნის ხეობის მთა-მთისწინეთში ოსთა რაოდენობა აშკარად გაზრდილა. მათი რაოდენობა აღნიშნული დროისათვის უკვე 474 კომლი იყო. ოსების სამხრეთისაკენ წამოწევით (ე.ი. დაბლობში ჩამოსახლებით) ბევრი ახალი პატარა სოფელი წარმოქმნილა, განსაკუთრებით, ახალგორის სამხრეთით, ქსნის მარჯვენა მხარეზე (მაგალითად, ახალდაბა, გორგაშენი, კოდა, ციხისოფელი...). მოიმატა ოსთა რაოდენობამ ლეხურას ხეობაშიც. მათი რაოდენობა 199 კომლი გახდა.ლეხურას ხეობაში XIX ს-ის შუა ხანებში ბევრი ახალი სოფელი წარმოქმნილა: ბალის ხიდი (9 კომლი), ბალოვანი (I კ.), ილოფთა (8 კ.), სათაგური (3 კ.), ჩანჩხარი (3 კ.). დღეს ლეხურას ხეობაში

ოსებით დასახლებული ბევრი სოფელი 1860 წ. ჯერ კიდევ არ იყო მოშენებული. ასეთებია: არმაზი, გოიანთკარი, ნადაბური, უკანძირი, ურთხლიანი. გაზრდილა და გაფართოვებულა XIX ს.30-40-იან წლებში წარმოქმნილი ოსური სოფლები. მაგალითად, წირში 1840-იან წლებში თუ 5 კომლი ცხოვრობდა, 1860 წელს მათი რაოდენობა 28 კომლამდე გაზრდილა, ძირითადად პატარა ლიახვის ხეობის სოფ. ფაჩურიდან გადმოსახლებულებით, 1886 წელს კი ოსების რაოდენობა წირში 78 კომლი იყო. ნუბენში 1860 წელს 20 კომლი იყო აღრიცხული,მათ შორის, 7 კომლი პატარა ლიახვის ხეობიდან სულ ახალი მიგრირებული იყო. 1886 წ. ნუბენელი ოსების რაოდენობამ 58 კომლს გადააჭარბა. 1860 წლისათვის სოფ. ცხინულისი ახალი მოშენებული იყო. მასში მცხოვრები ყველა კომლი 1850-იან წლებში ქსნის ხეობის სათავიდან, პატარა ლიახვის ხეობიდან და მეჯუდის ხეობის სათავიდან იყვნენ მოსული. 1860 წლისათვის ცხინულისში თუ 25 კომლი იყო აღრიცხული, 1886 წელს, მიგრაციული პროცესების შედეგად, ოსების რაოდენობამ ამ სოფელში 72 კომლს გადააჭარბა.

ლეხურის ხეობის სოფ. ვანში 1860 წ. 8 კომლი ოსი მკვიდრობდა, 1886 წ.—13. ამავე ხეობის სოფ.ველურში სულ სამი ოჯახი მოსახლეობდა, 1886 წ. —32.სოფ.ზახორის კომლთა რაოდენობა შესაბამისად 1860 და 1886 წლებში 19 და 61 კომლი იყო. ამავე ხეობაში 1860 წ-დან 1886 წლამდე ქართველი ოსების რაოდენობა 17 კომლიდან 26 კომლამდე გაიზარდა, ქვიტკირელებისა 15-დან 22-მდე. 1850-იან წლებში ლეხურას ხეობის სოფ. სათაგურში მხოლოდ ორი კომლი ოსი მკვიდრობდა. 1860 წლისათვის მათ მესამე ოჯახი დაემატათ მაღრან-დეალეთიდან. 1886 წ. სათაგურელი ოსების რაოდენობამ, მთიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე, 12 კომლს მიაღწია. 1860 წ. წინზახორში მხოლოდ 5 კომლი ცხოვრობდა და აქედან 2 კომლი სულ ახალი დასახლებული იყო ჭურთის ხეობის სოფ. კუცხოეთიდან. 1882 წელს წინ ზახორში ოსების 22 კომლი დავითვალეთ. წოლდაში ოსთა შეფარდება 1860 და 1886 წლებში 36 და 51 კომლი იყო. 1860 წ. ახალი წარმოქმნილი იყო ლეხურას ხეობაში სოფ. ჩანჩხრები. მისი სამი მკვიდრი ჭურთის ხეობის სოფ. კუცხუეთიდან იყო გადმოსახლებული. 26 წლის განმავლობაში ჩანჩხრების ოსთა რაოდენობა 37 კომლამდე გაზრდილა.

ამრიგად, აშკარაა XIX ს-ის მეორე ნახევარში როგორ იზრდებოდა ლეხურას ხეობის ოსური მოსახლეობა მთიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე. ამ ხეობაში ოსთა მიგრაციას ბევრი ახალი სოფლის წარმოქმნაც (უფრო სწორედ, ნასოფლარების მოშენება), გამოუწვევია. იგივე მდგომარეობა გვქონდა მეჯუდას ხეობაში, ქსნის ხეობის მთისწინა ზოლში. სამაგიეროდ, კლებულობდა ოსური მოსახლეობა ქსნის ხეობის მთიან ნაწილში, ისევე როგორც დიდი და პატარა

ლიახვების ზემო წელში. ასევე მატულობდა ოსური მოსახლეობა მთელი XIX ს-ის II ნახევრის მანძილზე ფრონეების ხეობაში.

ოსები რომ დიდი ხნის გადმოსახლებული არ არიან საქართველოში, ამას ადასტურებს მშვენიერი ეთნოგრაფიული მასალები, ოსური გვარების წარმოშობის შესახებ. ასეთი სახის მონაცემების, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროს შესახებ აღნიშნავდა გ.ჩიტაია. იგი წერდა: „საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ძველი ეთნიკური შემადგენლობის გარკვევისას მკვლევარები დღემდე უმთავრესად ისტორიული მონაცემებით და ტოპონიმიკური ცნობების გამოყენებით კმაყოფილდებოდნენ. ყურადღება არ ექცეოდა იმ მნიშვნელოვან, თუმცაღა თავისებურ წყაროს, რომელიც გადმოცემის სახით ხალხშია დაცული" (გ.ჩიტაია, ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ.I, 1955, გვ.387). თითქმის ყველა ძირითად ოსურ გვარს აქვს გადმოცემა ჩრდილოეთ კავკასიის ამა თუ იმ ხეობიდან მიგრაციის შესახებ. ისინი ზედმიწევნით უთითებენ იმ სოფელს, საიდანაც გადმოსახლდნენ, რომელი გვარები არიან ერთმანეთის განაყრები. საყურადღებოა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებიდან გადმოსახლების შესახებ გადმოცემები არა აქვთ იმ გვარებს, რომლებიც ადგილობრივი მკვიდრნი (დვალები) არიან და გაოსებულან ოსთა ეთნიკურ-ენობრივ სამყაროში. ამ გვარებს ფუძეც უმეტეს შემთხვევაში ქართული აქვთ. გამორიცხულია, რომ მსგავსი გადმოცემები შემოენახათ მრავალი საუკუნის წინ გადმოსახლებულებს. საყურადღებოა, რომ ასეთი გადმოცემები ჰქონდათ არა მხოლოდ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს, არამედ ისტორიული საქართველოს განუყოფელი ნაწილის — დვალეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებსაც, რაც ასევე მათი აქ მოსვლა-დაფუძნებაზე მიუთითებს არც თუ ისე დიდი ხნის წინ.

ოსური გვარების სადაურობა-წარმომავლობის შესახებ საყურადღებო გადმოცემები აქვთ მოპოვებული ბ.კალოევსა და ზ.ვანეევს. მხოლოდ ერთი რამაა გასათვალისწინებელი, რომ ადგილობრივი მცირერიცხოვანი დვალური გვარები, როგორც საერთო კავკასიური მთური წეს-ჩვეულება მოითხოვდა, შეფიცული, შემავებული არიან მოსულ მრავალრიცხოვან ოსურ გვარებთან. ეს შემავება უცბად არ ხდებოდა. იგი მოსულებთან კარგა ხანს ერთად თანაცხოვრების შემდეგ ფორმდებოდა. ასეთი შეფიცვა, ანუ ხელოვნური დანათესავება იგივე სისხლიერ ნათესაობად ითვლებოდა, და ბევრ ადგილობრივ გვარს აღარ შემორჩა გადმოცემა შემავების შესახებ და ისინი (ადგილობრივი და მოსული შეფიცული, შემავებული გვარები) ახლა საერთო ოსი წინაპრისაგან წარმოშობილად ითვლებიან. ბ.კალოევი ტყუილად არ აღნიშნავს, რომ კავკასიური გვარების ამ თვალსაზრისით კვლევას აქვს დიდი მნიშვნელობა ეთნოგენეზის პრობლემების გასაშუქებლად

(Б.А. Калоев, Происхождение некоторых осетинских фамилий по народным преданиям). საყურადღებოა, რომ გადმოცემით, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, ისე საქართველოში გადმოსახლებული ოსები თავიანთი გვარების ფუძემდებლად მიიჩნევენ ოსბაყათარს. ოსებს ბაყათარი ბევრი ჰყავდათ. მაგრამ გადმოცემას ხალხი ყოველთვის უახლოეს წინაპარზე ინახავს. ოსი ეთნოგრაფები ხაზს უსვამენ, რომ ბევრი ოსური გვარი მომდინარეობს ძველი ოსური გვარებიდან - სიდამონიდან, ცარაზონიდან, კუსაგონიდან, ცახილონოდან, აგუზარონიდან. ამ გვარების (род) საფუძველჩამყრელნი იყვნენ სიდამონი, ცარაზონი, კუსიეკი, ცახილი და აგუზი, რომლებიც შვილები ყოფილან ოს-ბაყათარისა (ბ.კალოევის დასახ.ნაშრომი,გვ.207). ოსური გადმოცემებით, ბაყათარი არის „მთელი ოსეთის მფლობელი მთავარი". ფლობდა რა დიდ ჯარს, მან არაერთგზის დაამარცხა ქართლის მეფე (გვ.208). ბაყათარი ებრძოდა კავკასიის მეზობელ ტომებსაც. კალოევი ძალიან ცდილობს ოს-ბაყათარი თამარ მეფის (ანუ დავით სოსლანის) დროს დაუკავშიროს, მაგრამ ხომ ცნობილია თამარის დროინდელი ქართველებისა და ოსების ურთიერთობა. თამარის დროინდელ საქართველოს ოსთა ლაშქარი ვერაფერს დააკლებდა და მაშინ ოსებსა და ქართველებს მხოლოდ კეთილი და მეზობლურ- მოყვარული ურთიერთობა ჰქონდათ. გადმოცემით კი ოს-ბაყათარი არაერთხელ ამარცხებს ქართველთა მეფეს.ისიც აშკარა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში ოსთა ეთნიკური ფორმირება, ოსური გვარების წარმოქმნა ოს-ბაყათარის შემდეგ მოხდა. ოს-ბაყათარის დროს ოსები საქართველოში ჯერ არ იყვნენ გადმოსახლებული. მაშინ ხდებოდა ოსეთში ამ ოსური გვარების ფორმირება, რომლებიც შემდეგ დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში გადმოსახლდნენ. ოს-ბაყათარის შთამომავლებმა მოახდინეს ალაგირის ხეობის თითქმის მთლიანი დასახლება (დაი, ცუსი, არხონი, ლუარი, უნალი, სოლხანეთი). ამ სოფლებში ოს-ბაყათარის შვილის სიდამონის შთამომავალნი განსახლებულან. მეორე შვილის — კუსაგონის შთამომავალნი დამკვიდრებულან ალაგირის ხეობის სოფლებში: დაგომში, ურსდონში, დონისპირში, ცამატში, ინჯინტში.

ბ. კალოევის გამოკვლევით, ალაგირის ხეობის ოსებმა დიდი როლი ითამაშეს ირონული და თუალური (დვალური) ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბებაში (გვ.209). ოლონდ აშკარაა, რომ ირონელების თუალეთში (დვალეთში) გადმოსახლება-დამკვიდრება მოხდა შედარებით გვიან, მას შემდეგ, რაც ალაგირის ხეობაში ისინი დამკვიდრნენ და გამრავლდნენ.

გადმოცემებით, აშკარაა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში (ამ შემთხვევაში, ალაგირის ხეობაში) დამკვიდრება მოხდა ოს-ბალათარისა და მისი შვილების, შთამომავლების, ნათესაური ჯგუფების მიერ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კალოევი ოს-ბალათარს მაინცდამაინც დავით სოსლანს უკავშირებს, რაც გამორიცხულია. ქართული ნყაროებით, კერძოდ ჟამთააღმწერლით, ცნობილია, რომ ოს-ბალათარის რაზმები საქართველოს არბევენდნენ XIII ს-ის ბოლოსა და XIV ს-ის დასაწყისში. ეს ის ოსები არიან, რომლებიც საქართველოში დამპყრობი მონგოლების დავალებებს, დამსჯელ ოპერაციებს ასრულებდნენ. ეს ის დროა, როდესაც მათ ქალაქი გორიც კი დაიკავეს: „და ვინათგან მეფე დავით (ლაპარაკია დავით VIII-ზე — 1293-1311 წ.წ.) არა მიენდო თათართა, ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარს ქართლს. ამისთვს იშლებოდა ქუეყანა ქართლისა. და მთავარ ბაყათარ განდიდებულ იყო და აოჯრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო ჭირი დიდი მკვდრთა ქართლისათა" (ჟამთააღმწერელი, გვ.210).

„ოტებულ რა ცნა დავით, უმძჯნვარესად აოჯრებად ბაყათარ ქართსა, და მეფე დავით ვერ წინააღუდგებოდა — " (ჟამთააღმწერელი, გვ.211). „... და ბაყათარ აოჯრებდა ქუეყანათა და ჯოცდა კაცთა..." (გვ.211). ამ ბაყათარის დროს, უფრო სწორედ, მის შემდგომ მოხდა ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის ხეობაში (და სხვა ხეობებში) დამკვიდრება და ოსური გვარების წარმოქმნა. როგორც ჩანს, XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალეს მიერ საქართველოდან განსხმული, გორიდან გარეკილი ოსთა გადარჩენილი რაზმების ნაწილი დამკვიდრდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში. თავისთავად გამორიცხულია იმავე დროს (XIV ს-ში) ოსთა საქართველოში დარჩენა და დამკვიდრება. გამორიცხულია ეს პროცესი ალაგირის ხეობის პარალელურად დვალეთშიც განხორციელებულიყო, რადგან დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და გიორგი ბრწყინვალე მათ აქ ჩამოსახლებას არ დაუშვებდა. ოსთა საქართველოდან გადარეკვის შემდეგ გიორგი მეფემ დვალეთის გზა (კასრის კარი) ჩაკეტა, რათა საქართველოში (და მის ჩრდილოეთით პროვინციაში, დვალეთში) ოსები აღარ შემოსულიყვნენ. ოსებს დვალეთში გადმოსახლება მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაეწყოთ, რაც ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში (ალაგირისა და ქურთათის ხეობებში) გამრავლდებოდნენ. ოს-ბაყათარის დროს (XIII ს-ის დასასრულსა და XIV ს-ის დასაწყისში) მხოლოდ ცდა და დიდი სურვილი იყო ოსებისა, მონღოლთა მხარდაჭერით, ქართლის მთა-ბარში დამკვიდრებულიყვნენ. გიორგი ბრწყინვალემ ქართლი ოსებისაგან გაწმინდა და აქ ფეოდალური წესრიგი აღადგინა. ქართლის მთაც მტკიცედ დაიმორჩილა. XIV ს-ის პირველ ნახევარში, გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს, ოსთა ქართლში გადმოსახლება აღკვეთილი იქნა (გარდაიცვალა 1346 წელს). ოსები არ ჩანან საქართველოს სიახლოვეს და არც მის პროვინცია დვალეთში „ძეგლი ერისთავთა"-ს შედგენის დროს

XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. ოსთა დვალეთში შემოსახლება მხოლოდ XV ს-დან შეიძლებოდა დაწყებულიყო, მას შემდეგ, რაც ჩვიდმეტი წლის მანძილზე (1386-1403 წ.წ.) რვაგზის შემოსევის შემდეგ მთლიანად განადგურდა არა მარტო საქართველოს ბარი, არამედ მთაც. თემურ-ლენგმა, 1395 და 1400 წლებში ორჯერ აოხრა ოსეთი და ამ დროს (XV ს-ში) ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის ველებში დარჩენილი ნაწილები საბოლოოდ შევიდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში (ადრე შემსულ ოსებს მათი უკანასკნელი ტალღა დაემატა). ოსები ველარ ეტეოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში და ისინი შემოსვლას იწყებენ (XV ს-ის დასასრულიდან) საქართველოს პირიქით პროვინციაში (დვალეთში). ამ დროიდან საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ალარ შეეძლო მყარი კონტროლი განეხორციელებინა მთის ხეობებზე (პროვინციებზე). თუმცა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას დვალეთზე კონტროლი აქ არც მოსახლეობის ეთნიკური ცვლილების შემდეგ დაუკარგავს (გავიხსენოთ დვალეთის მოურავის გიორგი სააკაძის დვალეთში ლაშქრობა).

კალოევს თავის სტატიაში მოყავს მრავალი მაგალითი ოსური გვარების დვალეთსა და შიდა ქართლის მთაში დასახლების შესახებ. დვალეთის ნარას ქვაბულში ძირითადად მკვიდრობდნენ ლეგენდარული ხეთაგის შთამომავლები (გვ. 209-210). ხეთაგი იყო ყაბარდოელი თავადის ინალის შვილი, მეორე ვერსიით, შვილიშვილი, რომელიც ცხოვრობდა ყუბანში. ძმებთან მომხდარი უსიამოვნების გამო, ხეთაგი გამოიქცა და ნარას ქვაბულში დასახლდა. სხვა გადმოცემებით, ის ჯერ ქურთათის (ზოგი ვერსიით, ალაგირის) ბეობაში დამკვიდრებულა. შემდეგ, **თავდაპირველად დასახლებულა სოფ. ცმიში (სხვა გადმოცემით სოფ.სლასში), რომელიც არაოსებით ყოფილა დასახლებული.** გადმოცემით, ისინი ბერძნები ყოფილან (როგორც ჩანს, ბერძნებში მართლმადიდებლები, ანუ ადგილობრივი ქრისტიანი ქართველები (დვალები) უნდა იგულისხმებოდეს). ხეთაგი დაქორწინებულა ადგილობრივი მკვიდრის ბიგულოვის ქალიშვილზე. აშკარაა, ბიგულოვები ადგილობრივი მკვიდრი-დვალები იყვნენ. შეიძლება ეს გვარი „შევადაროთ დასავლურ ქართულ (მეგრულ) გვარს, ბიგვას. „ბიგულოვაა“ და „ბიგვას“ ერთი ძირი აქვთ („ბიგ“). ოლონდ ადგილობრივ დვალურ გვარს ბიგულოვს ფუძეზე ერთვის ქართული სუფიქსი — ულ. გვარის თავდაპირველი ფორმა იყო ბიგული“. თვით კოსტა ხეთაგურიანი თავის თავს, ხეთაგის შემდეგ მეათე თაობას მიაკუთვნებდა,ე.ი. ხეთაგი დვალეთში დასახლებულა XVI ს-ის ბოლოსა და XVII ს-ის დასაწყისში. ამრიგად, XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე დვალეთში დვალური მოსახლეობა ჯერ კიდევ სრულებით არ იყო ასიმილირებული ოსთა მიერ.

ხეთაგის შთამომავალთა დიდი ნაწილი ქართულ-ქართველურ სახელებს (მამია, ჯანია, მამი, გოცი — შდრ. გვარი „გოცაძე“, ჯარჯი,

ძიძა-შდრ. გვარი „ძიძარია", ძუ შდრ. მეგრული სახელი ძუკუ) რომ ატარებდა, ჩვენი აზრით, შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს, რადგან დვალეთში, სადაც ზეთაგი და მიაი შთამომავალნი დამკვიდრნენ, ქართველური ენობრივ-კულტურული გარემო იყო.

ნ.ვოლკოვას მონაცემებით, თრუსოსი და კობის მიდამოების ოსური მოსახლეობა მიგრირებული იყო თაგაურიდან: **„Более массовым было движение тагаурского населения в районы Грузии, в верховья Терека (Трусо) и в район Военно-Грузинской дороги"** (დგ.119). მაგალითად, სოფ. სბაში (თუმცა სბა არც თრუსოშია და არც საქართველოს სამხედრო გზაზე . ის დიდი ლიახვის სათავეშია) მრავალი თაობის წინ დასახლებულა ზორაევების გვარი, სოფ.დარგავსიდანო, სადაც დღემდეა შემორჩენილი მათი საგვარეულო კოშკი. თრუსოში არიან დამკვიდრებული ქურთათის ხეობიდან მიგრირებული ოსებიც. მაგალითად, ნ.ვოლკოვას მონაცემებით, თრუსოში ცხოვრობენ ქურთათის ხეობის სოფ.ხიდისკუადან და სხვა სოფლებიდან გადმოსახლებულები (გვ.121).

როგორც ცნობილია, დვალეთშიც და შიდა ქართლის მთიანეთშიც ოსთა მიგრაცია ძირითადად ალაგირის ხეობიდან განხორციელდა, რის მიზეზიც იყო ის, რომ ეს ხეობა, სხვა ოსურ ხეობებთან შედარებით ყველაზე ნაკლებნაყოფიერი იყო. როგორც ნ.ვოლკოვა აღნიშნავს, ამის შესახებ ჯერ კიდევ ადრე შტედერი მიუთითებდა (გვ.121). ალაგირელები იყვნენ, აგრეთვე, პირველნი, რომლებმაც XVIII ს-ის ბოლოს დაიწყეს გადასახლება ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში.

ნ.ვოლკოვას ეთნოგრაფიული მასალებით, ალაგირელთა მასობრივი და დროის თვალსაზრისით ყველაზე ხანგრძლივი მიგრაცია და დასახლკარება ცენტრალურ და სამხრეთ ოსეთში მოხდა. ავტორი ცენტრალურ ოსეთში დვალეთს გულისხმობს, სამხრეთ ოსეთში კი შიდა ქართლის მთიანეთს. ეთნოგრაფიული მონაცემებით, დვალეთის (არდონისა) და დიდი ლიახვის ოსური მოსახლეობა ალაგირის ხეობის სოფლებიდან (ცამეტი, დაგომი, ლუარი, ურსდონი, ცეი და სხვ.) არიან გადმოსახლებულნი (ნ.ვოლკოვა, გვ.122). ჩამოთვლილი აქვს გვარები: კაძაევები, ალბოროვები, აბაევები, ძუგაევები, კალოევები, ჩესელავები და სხვ.

ნ.ვოლკოვას ეთნოგრაფიული მასალებით, სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსები ძირითადად დვალეთიდან არიან მიგრირებული და თან იშველიებს ვახუშტის ნათქვამსაც, რომ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ქსნის ხეკისა და კუდაროს მოსახლეობას დვალები ეწოდებოდათ, რადგან ისინი გადმოსახლებული არიან ამ ადგილებში დვალეთიდანო (გვ.123).

ნ.ვოლკოვა ხაზს უსვამს, რომ დვალეთის მოსახლეობის ფორმი-

რება მიმდინარეობდა ძირითადად ალაგირელი გადმოსახლებულების ხარჯზე. ზროგოს ხეობაში დასახლდნენო კოზაევების, ბოზიევების, ბირაგოვების წინაპრები, ზახის ხეობაში — კალოევები, სოფ.ტიბეში — კუჩიევები მიზურიდან (გვ.124). დვალეთიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდებოდა დვალთა (ამ შემთხვევაში, უკვე ოსთა) განსახლების აქტიური პროცესი საქართველოს სამხედრო გზის რაიონში (კობი, უხათი), მაღრან-დვალეთში, საიდანაც ზოგიერთი გვარი (მაგალითად, აბაევები) შემდეგ კობში, თრუსოს ხეობაში გადავიდა. ჯავის და კუდაროს ხეობებშიც ნარადან არიან გადმოსახლებულნი (გვ.129). დვალეთის მოსახლეობის ფორმირება მოხდა, აგრეთვე, სხვა რეგიონებიდან გადმოსახლებულებითო (საქართველოდან — დარჩიევები, ყაბარდოდან — ხეთაგუროვები, რომლებმაც ნარასა და მის ირგვლივ 20-მდე დასახლება შექმნეს). ნ.ვოლკოვას აზრით, ასეთი გადასახლებანი დოკუმენტურად ყოველთვის როდი დასტურდება, ამიტომ ამ მოვლენების ქრონოლოგიის განსაზღვრა ყოველთვის არ ხერხდებაო.

ყაბარდოდან დვალეთში მოსული ხეთაგის შთამომავლებმა რატომ მიიღეს გვარი ქართული სუფიქსით? — (ხეთაგ-ური). ამ შემთხვევაში ქართულ გავლენაზე ლაპარაკი გაჟართლებული არ იქნება. გვარი ქართველ მთიელთა გვარებისათვის დამახასიათებელი -ურ სუფიქსით იმიტომ გაფორმდა, რომ გადმოსახლება მოხდა დვალეთში — ქართულ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში. ე.ი. ხეთაგის გადმოსახლების დროს — XVI-XVII სს მიჯნაზე დვალეთში კვლავ იყო ადგილობრივი ქართული (დვალური) მოსახლეობა. აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს. ნ.ვოლკოვას მითითებით, XIX ს-ის 20-იან წლებში ალაგირის ხეობის მთლიანი მოსახლეობა, დვალეთის ჩათვლით, 12.300 კაცს ითვლიდა. კომლში საშუალოდ თუ 6 სულს ვიანგარიშებთ, ალაგირის ხეობაში (დვალეთის ჩათვლით) ცხოვრობდა 2.050 კომლი. ხოლო თვით დვალეთში 5.900 სული იყო (ნ.ვოლკოვა, გვ.125. АКАК, Т . VI, ч.I, 1874, с.403), რაც 983 კომლს უდრის. ისიცაა აღნიშნული, რომ ალაგირის ხეობაში, დვალეთის გარეშე, 42 სოფელი იყო. იმავე წყაროს XIX ს-ის 30-იან წლების მონაცემებით (ЦГИА, Ф. 416,оп.4, д.50,л.,605) ალაგირის ხეობის ყველა დასახლებულ პუნქტში ერთად იყო 423 კომლი. 2.100 მცხოვრებითო (გვ.123). ნ.ვოლკოვას მიერ მოძიებული საარქივო მასალებით 1836 წ. დიგორში იყო 36 სოფელი 850 კომლითა და 4.300 სულით (ნ.ვოლკოვა, გვ.117. მით. ЦГИА, ф.416, оп.4, д.50, л — I). იმავე წყაროზე მითითებით, XIX ს-ის 30-იან წლებში თაგაურიაში იყო 20 სოფელი 431 კომლით, რომელთაც შეეძლოთ გამოეყვანათ 800 ქვეითი და 300 მხედარი (გვ.119). ამავე დროს, ქურთათში ყოფილა 23 დასახლებული პუნქტი 335 კომლითა

და 1.700 მაცხოვრებლით (ნ.ვოლკოვა, გვ.121, იგივე წყარო).

ნ.ვოლკოვას განცხადებით, XVI ს-ზე ადრე ოსთა ცალკეული ჯგუფების მიგრაციის მრავალრიცხოვანი ფაქტების შესახებ ქართული წყაროები გვაუწყებენ, საამისოდ მას მითითებული აქვს თოგოშვილი — ცხოვრებოვის „История"... გვ.85,103 и др. (გვ.136). მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ავტორის მტკიცებას მითითებული მასალა არ ასაბუთებს. 85-ე გვერდზე იწყება „ძეგლი ერისთავთა"-ს ბეჭდვა, 103-ე გვერდზე კი დაბეჭდილია 1636 წლის მეფე როსტომის მიერ გაცემული სიგელი დვალეთში მცხოვრებ ჩანდაძისა და თეგაძისადმი და ამავე გვერდზეა აღნიშნულ ავტორთა მიერ ტენდენციურად ნათარგმნი XVII ს-ის შუა ხანების საბუთი.

კალოევის მონაცემებით, ალაგირის ხეობაში დაფუძნდნენ აგუზოვის შთამომავალნიც (გვ.209), რომელთაგან ბევრი თანამედროვე სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს. აგუზის შთამომავლებს საფუძველი ჩაუყრიათ ბევრი სამხრეთ ოსური გვარისათვის. მოყავს ვანეევის მონაცემები, რომ დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები აბაევები, ჯიკაევები, შაულოხოვები, თომაევები, პლიევები, ჯიოევები, გაგლოევები, სანაკოევები და სხვები აგუზოვის შტოსანი არიან. კალოევის ეთნოგრაფიული მონაცემებით, ალაგირის ხეობაში აგუზოვის გვარიდან შტო-ნაყარი გვარები საერთოდ აღარ ცხოვრობენ. ყველანი დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში არიან განსახლებულნი. ალაგირში წამყვანი მდგომარეობა ცარაზოვებს და ამ გვარიდან გამოსულ გვარებს ეკავათ. ცარაზოვების განსახლების ცენტრი ყოფილა ს.ნუზალი.

კალოევი აღნიშნავს, რომ ალაგირის ხეობის გვარებმა მთლიანად დიდი როლი ითამაშეს ირონული და თუალური (ე.ი.დვალური) ოსთა ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბებაშიო (გვ.209). თუმცა დვალეთში მოსახლეობდა ბევრი ცალკეული გვარი და ნათესაური ჯგუფი, რომლებიც თავიანთი წარმოშობით არ მომდინარეობენ მითითებული ძველი ოსური გვარებიდანო (გვ.209).

ოსების ბარიდან ცენტრალური კავკასიის მთებში (ე.ი. დვალეთში) საბოლოო შესვლის პერიოდად კალოევს XVI ს. მიაჩნია (გვ.211). კალოევის ეთნოგრაფიული მონაცემებით, XVI ს-ში დასახლდა ნარას მეზობელი ზახას ხეობა მრავალი ოსური გვარით. დვალეთში აბაევები ქურთათის ხეობიდან მოსულან. აბაევების სოფელში აბაევებს გარდა, კიდევ 20 ოსური გვარი მკვიდრობდა, რომელთა უმეტესობა გადმოსახლებული იყვნენ ალაგირის ხეობიდან: ხანაევები — ცამატიდან, ბურაევები და ციბიროვები — უნალიდან, ოსიატოვები, ხუტიევები — სოფ. კარადან, მედოევები — ჯომაგიდან.

დვალეთის ზახას ხეობის ერთ-ერთი მოსახლენი იყვნენ კასაევები (კესაევები), რომლებიც შემდეგ სამხრეთით გადასახლდნენ. გადმო-

ცემით კესაევების გვარი ადგილობრივი წარმოშობისაა. გვარის საფუძველჩამყრელს „ხესას“ ჰყოლია სამი შვილი. უფროსს რქმევია „ხერხა“. მამის გარდაცვალების შემდეგ შვილები საქართველოს ბარში გადასახლებულან. ხერხას შთამომავალნი არიან თავადური გვარის ხერხეულიძის (ხერხაულიძის) მატარებელნი. უმცროსი უკან დაბრუნებულა ზახის ხეობაში. საშუალო დასახლებულა დიგორის ხეობაში, რომელთაგანაც მომდინარეობს ოსი კესაევების გვარი. კესაევები თავდაპირველად ყესაურის (ქესაურის) გვარს ატარებდნენ. დვალეთიდან გადმოსახლებული ამ გვარის (ქესაური) რამდენიმე კომლი ქართველი დღესაც მოსახლეობს შიდა ქართლში. ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ კესაევების (ქესაურების) ერთ-ერთი წარმომადგენელი ატარებდა ქართულ სახელს — „ხერხა“ (რომელმაც, თავის მხრივ, ხერხაულების, იგივე ხერხაულიძეების გვარს ჩაუყრია საფუძველი), რაც დვალეთის ზახას ხეობაში მცხოვრებთა ქართველობაზე (დვალურობაზე) მიუთითებს.

ზ.ვანეევის მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებითაც ოსური გვარების ჩრდილოეთ კავკასიაში ფორმირება და მათი აქ დასახლება XVI ს-ის იქით არ მიდის. მკვლევარს მოაქვს ამის დამადასტურებელი არა ერთი მონაცემი. ოს-ბაყათარის შვილები აგუზი, სიდამონი, ცარაზონი, კუსაგინი, ცახილი ცხოვრობდნენ XV ს-შიო (З.Н. Ванеев. Народное предание о происхождении осетин, Сталинир, 1956). სამართლიანია ზ.ვანეევი, როცა წერს, რომ ყველა ოსის ოს-ბაყათარიდან წარმომავლობის შესახებ გადმოცემა ესაა პირველმთხრობელის თავისუფალი შემოქმედების პროდუქტიო. ჩვენი მხრით, იმას დავძენთ, რომ კავკასიის ხალხებში ხდებოდა ხელოვნური დანათესავების არა ერთი ფაქტი, რაც ფაქტიურად მთიელთა საზოგადოებებისათვის სისხლიერი ნათესაობის ტოლფასი იყო. თვით ვანეევი წერს, რომ „...имеет место явление, когда одним фамильным наименованием объединены группы, между которыми кровного родства не было“ (ზ. ვანეევი, დასახ.ნაშრომი, გვ. 53). ზ. ვანეევის მიერ მოტანილ გადმოცემებში ბევრი ისტორიული სიმართლეა, რაც განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ოსური გვარების ჩრდილოეთ კავკასიის მთებში და შემდეგ საქართველოში გადმოსახლების შესახებ. სინამდვილეა მათი საქართველოში გადმოსახლებიდან თაობათა ის რაოდენობა, რომელსაც ასახელებენ. აშკარაა, რომ გადმოცემების ოს-ბაყათარი (რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში ოსთა დასახლებას და რომლისაგანაც მიმდინარეობენ ძირითადი ოსური გვარები) და ყამთაალმწერელში არაერთგზის ხსენებული ოს-ბაყათარი ერთი და იგივე პიროვნებაა. გიორგი ბრწყინვალის მიერ საქართველოდან გადარეკილი ოსთა

რაზმები ოს-ბაყათარის ხელმძღვანელობით ჩრდილოეთ კავკასიის მთებს შეეხიზნენ, აქ გამრავლდნენ, შემდეგ მათ ასიმილაცია მოახდინეს დვალებისა და გამრავლებულებმა მთებიდან ისევ საქართველოს მიმართულებით გამოიკვლიეს გზა უკვე გვიან პერიოდში.

მაგრამ ოსი ისტორიკოსებისათვის გადმოცემები ოსური გვარების შესახებ და ამ გვარების ჩრდილოეთ კავკასიის მთებში გვიან დასახლკარების შესახებ და, აგრეთვე, მათი დვალეთში (XVI-XVII სს) და შიდა ქართლის მთიანეთში (XVII-ს.II ნახევარი) მიგრაციის შესახებ არაფერს ნიშნავს. მათ ხომ მშვენივრად გამოიგონეს „ადრინდელი ანუ წინანდელი ოსების" ცნება, რომლებიც, თურმე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის, ისე საქართველოს მთიანეთში დიდი ხანია ცხოვრობდნენ და რომლებიც ქართველებმა გააქართველეს. ამ მოსაზრების აბსურდულობა, ვფიქრობთ, ჩვენს ნაშრომში ნაჩვენები იყო.

საისტორიო საბუთებით აშკარად ჩანს, რომ შიდა ქართლის მთიანეთში მოსული ოსები ხშირად ძალით იკავებენ მიწა-წყალს, უფრო სწორედ, მათმა ხშირმა თავდასხმებმა აიძულა ქართული მოსახლეობა, რომ ბარში ჩასახლებულიყო. ოს ეთნოგრაფთა მონაცემებით დვალეთში მიგრირებულ ოსებსაც ძალით უხდებოდათ აქ დაფუძნება. მაგალითად, ქვემო ზარაგმას მოპირდაპირე მხარეზე, სოფ. ტობორზაში მოსახლე ბიგულოვებმა (იგივე ბიგულებმა) თუ შეიფარეს და მიიღეს ხეთაგუროვების გვარის ყაბარდოდან გადმოსახლებული წინაპარი – ხეთაგი, სამაგიეროდ მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ხურუმოვების გვარის საფუძველჩამყრელ – ხურუმს. ხურუმი მოსულა სოფ.არხონიდან, ძალით დაუკავებია მდ.ცმიდონის ხეობა, რომელიც ეკუთვნოდათ ბიგულოვებს. ამ ნიადაგზე მათ შორის რამდენიმე თაობის მანძილზე მიმდინარეობდა ბრძოლა. ხურუმოვების გვარიდან შტო-ნაყარი გვარებია, აგრეთვე, გაზაევი, კობესოვი, ხოსონოვი, მარგოევი, ხადაევი, ილიაევი (Б.Калоев, Осетины, с.53).

ასევე დასახლებულან დვალეთის სოფ.ქვემო და ზემო ზარაგმაში ალაგირის სოფ. ნუზალიდან გადმოსული მამიტოვების წინაპრები. მამიტმა და მისმა შთამომავლებმა ჩაუყარეს საფუძველი რამდენიმე ნათესაურ გვარს (მამიტოვი, კაიტმაზოვი, ტეკაევი, სიკოევი, აბოევი, კუდზაგოვი).

მამისონში (სოფ. თიბეში) კუჩიევები მიზურიდან მოსულან 300 წლის წინ, სადაც მათი საგვარეულო კოშკი დღემდე დგას თურმე (Б. Калоев,გვ.56). კუჩიევებს მოყოლიან ბოციევები. კალოევის სიტყვით, ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან ცენტრალურ ოსეთში (ე.ი. დვალეთში) გადმოსახლების პარალელურად მიმდინარეობდა ადგილობრივი (ე.ი. დვალური) მოსახლეობის „სამხრეთ ოსეთსა" და საქართველოში მიგრაციაო (გვ.56).

კალოევისავე ეთნოგრაფიული მონაცემებით, დვალეთის ნარას ხეობის მკვიდრი გვარების დიდი ნაწილი აქ ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებიდან გადმოსახლებულა არა უადრეს XVI ს-სა. ამავე პერიოდში მოსულებად მიაჩნია ზროგოს ხეობის სხვადასხვა საგვარეულო სოფლებში მცხოვრები კოზიევები, ტუგაევები, ხოზიევები, ბისაგოვები. ეს გვარებიც ალაგირის ხეობიდან არიან წამოსული.

დვალეთის ზახას ხეობის ოდინდელი მკვიდრები ყოფილან ბიტაროვები, კესაევები, გალოევები... ამ გვარებს კალოევი ადრინდელი ალანების შთამომავლებად მიიჩნევს, თუმცა მას ამის დამამტკიცებელი არავითარი საბუთი არ გააჩნია. ჩვენი აზრით, დასახელებული სამი გვარის წარმომადგენლები ძველი, ადგილობრივი დვალების შთამომავალნი არიან. კესაევების (ყესაურების) შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა ნათქვამი.

დვალეთის ზახას ხეობაში მცხოვრები გვარები ძირითადად ალაგირისა და ქურთათის ხეობებიდან არიან მიგრირებული (გვ.58). კალოევი იმასაც აღნიშნავს, რომ ზახის ოსური საზოგადოება საბოლოოდ ჩამოყალიბდა XVII ს-შიო.

კალოევის ეთნოგრაფიული მონაცემებით, თრუსოში ოსები მოსული არიან XV-XVI სს-ში დვალეთიდან (თუაევები, იგივე თვაურები), ქურთათიდან (ხამიცოვი, შუტალოვი, ტოიტროვი, კაზიევი...), თაგაურიდან. მაგრამ კალოევს არ ავიწყდება, აღნიშნოს, რომ თრუსოში ოსები უფრო ადრეც ცხოვრობდნენ, რომლებიც მოსული იყვნენ მონგოლთა შემოსევების დროსო. როგორც ყოველთვის, კალოევს არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ თურმე თრუსოს ეს ადრინდელი ალანური მოსახლეობა თემურ-ლენგის ლაშქრობის დროს სამხრეთით გადასახლდა და ქართველებს შეერიაო. ავტორმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ თემურ-ლენგმა ყველაზე დიდი უბედურება ქართველ ხალხს მოუტანა, რვაგზის ილაშქრა საქართველოში და ნაოხარ-ნასოფლარებად აქცია ჩვენი ქვეყანა. საკითხავია, თემურის მიერ თრუსოში დარბეული ალანები, იმავე პერიოდში, რანაირად ნახავდნენ თავშესაფარს სამხრეთით, საქართველოს მთისწინეთისა და ბარის პროვინციებში?

ბ. კალოევი მკითხველს არწმუნებს, რომ კობის ქვაბულში ოსები დასახლდნენ არაუადრეს XVII-XVIII საუკუნეებისაო (გვ.58). დავსძენთ, რომ ხევის კობის ქვაბულში რამდენიმე კომლი ოსური მოსახლეობა გაჩნდა მხოლოდ XVIII ს-ის დასასრულს. გაგვაჩნია ამის დამადასტურებელი ქართული საისტორიო საბუთები. მაგალითად, ხევის სოფელ ალმასიანში XVIII ს-ის ბოლოს ოსების დასახლებაზეა ლაპარაკი 1792 წლის ერთ არზაში: „ქ.ლმერთმან ბატონიშვილი ეახტანგის ჭირი ალმასიანში მსახლობელ აბაშვილს ასას მოსცეს.

ახლა ამას მოგახსენებთ, თქვენის ბრძანებით დავდეგ და

სოფელიც ავაშენე, რომ ეხლა რვა კომლი კაცი გახლავთ" (ქსძ, VIII, გვ.180-181). არზას ახლავს ვახტანგ ბატონიშვილის მინაწერი: „ქ.ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებ ვინცავინ ჩვენის ბრძანების მორჩილი ხარ. მერე ალმასიანი ჩვენ ავაშენეთ და ეს კაცი ჩვენ დავასახლეთ. ამას მანამდის ერთს მოხელეს გაუჩენდეთ, ნურავინ რას შესცოდებთ, თორემ ჩვენად შეცოდებათ მოგკითხეთ. და რომელიც ქარავანი ამ სოფელში დადგება, იმათ ბარგს ამათაც უნდა ნააღებინებდეთ; რაც ერგებოდესთ, ამათაც წილს უნდა მისცემდე".

კალოევი ვერ უარყოფს, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" ოსები გადმოსახლებულნი არიან ჩრდილოეთ ოსეთიდან და რომ ისინი აქ მოვიდნენ არა უადრეს XVI-XVII საუკუნეებისა (Б.Калоев, Осетины, გვ.59). მაგრამ, მას არ ავიწყდება, რომ უფრო ადრე (XVI-XVII საუკუნეებზე ადრე) ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" „ძრეეენიე ოსეტინები" ცხოვრობდნენ.

კალოევის მონოგრაფიაში იმასაც ესმის ხაზი, რომ ქსნის ხეობის სათავეში (ჟამურში, ოსები ძიმირს რომ ეძახიან) და არაგვის ხეობის სათავეში (ღუდაში) ოსები ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ქურთათისა და თაგაურის ხეობებიდან არიან მოსული (გვ.64).

ასე, რომ ოსი ეთნოგრაფების ნაშრომებში ძვირფასი მასალაა მოცემული მთელი რიგი გვარების არა მარტო საქართველოს დღვანდელ და ისტორიულ ტერიტორიაზე მოსვლისა, არამედ თვით ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დასახლებისა. ოს ავტორთა ამ მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ მათ ე.წ. მეცნიერულ კომენტარებს გამოვრიცხავთ.

ზემოთ აღინიშნა, რომ ოსი ავტორები და მათ შორის კალოევიც შიდა ქართლს დაეინებით „სამხრეთ ოსეთს" უწოდებენ და ისეთ კონტექტსში ხმარობენ ამ ტერმინს, თითქოს ე.წ. „სამხრეთ ოსეთი" და საქართველო სხვადასხვა ქვეყნებია. ცნობილია, რომ „სამხრეთ ოსეთი"-ს ცნება საქართველოს მტრებმა შემოგვაპარეს და ბოლოს, XX ს-ის 20-იან წლებშიბოლშევიკებმა ასეთი სახელწოდებით ავტონომიური ოლქი შექმნეს საქართველოს სხვადასხვა ისტორიული ტერიტორიების (შიდა ქართლი, რაჭა, ზემო იმერეთი) ხარჯზე, ოსთა კავკასიაში პრორუსული ორიენტაციის მადლობის ნიშნად.

საქართველოში ოსებით დასახლებული ტერიტორია ოსეთად რომ არ იწოდებოდა, კარგად ჩანს 1791 წლის „საბუთით „განწესებანი საქართუჭლოსა მეფის ირაკლისანი ძეთა თჳსთადმი სამეფჲსათჳს საქართჳუჭლოჲსა", რომელშიც ვკითხულობთ:„აბა, ვთქვათ, როგორ უნდა ამელო ან საუფროსო ან საუფლისნულო თუ ამ ქვეყანაში ქალაქში, ქისიყში, თუშეთში, ქსანსა და არაგვსა და ლიახვში, **პირიქით და პირაქეთ ოსებში**, ხევსურეთში, ყაზახში, ბორჩალოში, შამშადილში და კიდევ სხვას თათრებში..." (საქართველოს სიძველე-

ნი,II, გვ.211). დოკუმენტიდან აშკარაა, რომ ოსებით დასახლებული ტერიტორია ოსეთად არ ინოდებოდა. საბუთის შემდგენელი ლაპარაკობს მხოლოდ პირიქით და პირაქეთ დასახლებულ ოსებზე მაშინ, როდესაც ის საუბრობს გეოგრაფიულ ერთეულებზე: ქიზიყზე, თუშეთზე, ხევსურეთზე, ბორჩალოზე... რა თქმა უნდა, პირიქით ოსებში საქართველოს სამეფოში შემავალი დვალეთის ოსები იგულისხმებიან, რომლებიც ქართველ მეფეთა ქვეშევრდომები იყვნენ ყოველთვის. პირაქეთ ოსებში კი ნაგულისხმევი არიან შიდა ქართლის მთიანეთში (დიდი და პატარა ლიახვების ზემო წელზე, ქსნის სათავეში) განსახლებული ოსები.

ასე დამკვიდრდნენ საქართველოს, შიდა ქართლის პროვინციაში (ჯერ მთაში, შემდეგ – მთისწინეთში, ბოლოს – ბარში) ჩრდილოეთ კავკასიელი ოსები. საერთოდ, ისიც ცნობილია საქართველოს ისტორიაში, რომ XVI ს-დან მოხდა მთიელთა ჩამონოლა, ჩრდილოეთ კავკასიელთა საქართველოსაკენ მიგრაცია. ზოგიერთ რეგიონში და მათ შორის შიდა ქართლის მთიანეთში ჩრდილოეთ კავკასიელმა მთიელებმა (ოსებმა) ეთნიკური სურათი შეცვალეს ჩვენს საზიანოდ. კახეთის მთაში (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი) კი, არა. რატომ? ჩრდილოეთ კავკასიელთა მოწოლას კახეთის მთიელებმა გაუძლეს, ქართლის მთიელებმა ვერა. ოსთა ქართლის მთიანეთში შემოჭრას და შიდა ქართლში ეთნიკური სურათის შეცვლას, ჩვენი აზრით, რამდენიმე გარემოებამ შეუწყო ხელი.პირველი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ მონგოლთა შემოსევების შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შერეკილ ოსებს ჩაეკეტათ ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთსა და ბარში გასასვლელი, დაბლობში მათი მინა-წყალი ყაბარდოელებმა დაიკავეს. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შერეკილი მრავალრიცხოვანი ოსები და თანაც გამრავლების შემდეგ, ველარ ეტეოდნენ. მათ თავიდანვე ჰქონდათ არაერთი ცდა საქართველოში შემოჭრისა და დამკვიდრებისა. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება, მანამ მას რაიმე ძალი შესწევდა, უმკლავდებოდა კავკასიონის ქედს გადმოღმა გადმოსვლის მსურველ ოსებს და ოსეთთან დაკავშირებულ ორ კარსაც (დარიალი და კასრის კარი) მჭიდროდ კეტავდა. საქართველოს დაშლისა და დასუსტების შემდეგ, ოსებს თანდათან ეძლევა შესაძლებლობა ჯერ ინდივიდუალურად, გაეონვით შემოვიდნენ ჩვენში და შემდეგ უკვე ჯგუფურად (რასაც ჩამონოლა შეიძლება ვუწოდოთ) და შექმნეს დვალეთსა და შიდა ქართლის მთაში კომპაქტური ოსური დასახლებები. ოსებს საქართველოს მიწა-წყალზე (დვალეთი, შიდა ქართლის მთა) დაფუძნებაში ერთგვარად შეუწყეს ხელი თვით ქართველმა მთიელებმა, რომლებიც აქედან თითქმის ერთდროულად აიყარნენ ოსთა მოწოლის, თავდასხმების, მეკობრეობის, ლაშქრობების შედეგად. შიდა ქართლის მთიანეთის ქართველ მთიელთაგან მიტო-

ვებას ერთგვარად ხელი შეუწყო, აგრეთვე, იმ სოციალურმა ურთიერთობებმა, რომლებიც აქ არსებობდა. საქართველოს მთიანეთის რეგიონები სოციალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. შიდა ქართლის მთა ფეოდალიზირებული იყო, კახეთისა — არა. ჩრდილოეთიდან მოსახლეობის მოწოლის პირობებში, შიდა ქართლის მთიელებმა მიატოვეს მამა-პაპათა საცხოვრისი, კახეთის მთიელებმა — არა. შიდა ქართლის მთიელი ყმა-გლეხს წარმოადგენდა და მისთვის ასეთ პირობებში (მთის გარემო და მეკობრეთა მეზობლობაში) ცხოვრებას უკეთესი იყო ბარში (ბარის სოციალურ გარემოში) გადასახლებულიყო. ქართველმა ფეოდალებმა თავიანთი ყმა-გლეხები თავადაც გადაასახლეს მთის მამულიდან ბარის მამულში, მითუმეტეს, რომ საგარეო პირობების გამო, ბარში დემოგრაფიული თვალსაზრისით კატასტროფული მდგომარეობა იყო. ზემოთ ისიც გვქონდა ნათქვამი, რომ საქართველოში მძიმე დემოგრაფიული სიტუაციის გამო, გვიან ფეოდალურ პერიოდში (XVIII ს.), ქართველი მეფეები და ფეოდალები თვით იყვნენ დაინტერესებული ოსთა გადმოსახლებით. უცხო ეთნიკური ელემენტის ქართულ გარემოში დასახლება იმ დროისათვის იმდენად საშიში არ იყო ქართული ეთნოსისათვის, რადგან ქართული სახელმწიფოებრიობის პირობებში და ჩამოსახლებისთანავე ოსთა მიერ ქრისტიანობის მიღებით, მიგრანტები ქართულ ყოფა-კულტურას ადვილად ეთვისებოდნენ. ქართველ მეფე-თავადთა მიერ ქართულ მიწებზე ოსთა დასახლებით ორი პრობლემა — ეკონომიკური და დემოგრაფიული — წყდებოდა. სამაგიეროდ, ჩვენმა წინაპრებმა ოსთა საქართველოში ჩამოსახლებით, მათთვის კარის გაღებით, შეცვალეს ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია, რომელიც ჩვენი თაობისათვის გახდა გადასაწყვეტი. სხვათაშორის, მთელ შიდა ქართლში XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIXს-ის პირველ ნახევარში იმდენად მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია გვქონდა, იმდენად იყო შიდა ქართლი ქართული მოსახლეობით გამეჩხერებული, რომ ქართლის მთიანეთსა და ბარს, ალბათ, ოსები უფრო მეტად დაიკავებდნენ, პარალელურად საქართველოს სხვა პროვინციებიდან (ჯავახეთი, ზემო იმერეთი, რაჭა) ქართველები რომ არ გადმოსახლებულიყვნენ.

ყველა ზემოთ მოტანილ საისტორიო წყაროებთან, საბუთებთან, ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, შიდა ქართლის მთიანეთში, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, უცხო ეთნიკური ერთეულის მკვიდრობას გამორიცხავს მატერიალური კულტურის, ხელოვნების ძეგლების არაერთი ნიმუში, რომლებიც მრავლადაა მიმოფანტული აქ. შიდა ქართლის, როგორც მთაში, ისე მთისწინეთსა და ბარში სასულიერო და საერო (აგრეთვე, ხალხური) კულტურის არა ერთი ბრწყინვალე და მნიშვნელოვანი ძეგლია. სპეციალისტების დაკვირვე-

ბით, ხელოვნების მხატვრული ბუნებით, არქიტექტურული შენობა-ნაგებობის კომპოზიციით, სამშენებლო ტექნიკით, დეკორით, აგრეთვე, სკულპტურათა რეალური კომპოზიციით, იმის მიუხედავად, შექმნილი არიან ისინი მთებში, თუ ბარში, აშკარაა და ცხადია მათი საერთოქართული წარმომავლობა. ნათქვამი თანაბრად ვრცელდება როგორც ადრე ფეოდალურ, ისე განვითარებულ ფეოდალიზმისა და გვიან ფეოდალური პერიოდის ძეგლებზე (იხ. Л.Рчеулишвили, Памятники исскуства феодального периода горных районов исторической Шида Картли. — კრ.: „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983, გვ.139-153). შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ძეგლების ქართულობა თვალშისაცემია არასპეციალისტებისათვისაც კი. ბევრი მათგანი ხომ ქართული წარწერებითაა დამშვენებული. არაერთი კოშკის დასახელებას, ალბათ, აზრი არა აქვს, მაგრამ ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესი მათგანი სრულიად ანალოგიურია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონების ნაგებობებისა (მაგალითად, ზურგიანი კოშკი). შიდა ქართლის მთასა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა რეგიონებში, ადრე ფეოდალურ პერიოდში, გაჩნდა ე.წ. „ციხე_დარბაზები", რომლებსაც ერთდროულად დაკისრებული ჰქონდათ ორი ფუნქცია: საკულტო-რიტუალური და თავდაცვითი (ლ.რჩეულიშვილი, გვ.143).

სასულიერო კულტურის ძეგლებიდან ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ადრეფეოდალური პერიოდის ასეთი ძეგლებიდან სპეციალისტების ყურადღებას იმსახურებს:ალევი, სამება, ცხავატი, კაბენი, ნირქოლი, არმაზი, ბიეთი, ერედვი. თითქმის ყველა ამ ეკლესიას ამშვენებს ქართული ასომთავრული წარწერები. ეს ეპიგრაფიკული ძეგლები კი ხშირ შემთხვევაში ამშენებელთა ვინაობას გვამცნობენ. ადრეფეოდალური პერიოდის ძეგლები შიდა ქართლში ძირითადად „სამეკლესიან ბაზილიკებს" წარმოადგენდნენ, რომლებიც ფეოდალთა დაკვეთით შესრულებულია კვალიფიცირებული ქართველი ოსტატების მიერ (ერედვის წმ.გიორგი, ბერის-საყდარი, დოდოთი, კუსირეთი, ნადარბაზევი, კვაისაჯვარი, კასიგინა... თუმცა, აქ არაერთია სამეკლესიანი ბაზილიკის სხვა ჯგუფის ძეგლებიც, რომლებიც აშენებულია რიგითი ოსტატების მიერ და ხალხური ხუროთმოძღვრების დაღი აქვთ დასმული (ლ.რჩეულიშვილი, გვ.146).

მთიან ქართლში საკმარისი რაოდენობითაა პლასტიკური ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც მოპოვებულია კვაისა- ჯვარში, კუდაროსა და კასაგინაში. ისინი მიეკუთვნებიან X-XIსს. და როგორც ხელოვნების ისტორიის სპეციალისტები აღნიშნავენ, მათი მხატვრულ-სტილისტური ხარისხი მთლიანად პასუხობს იმ პერიოდის ქართული პლასტიკური რელიეფის ამოცანებს (ლ. რჩეულიშვილი, გვ.147).

განვითარებული ფეოდალიზმის ძეგლებიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გვხვდება ქართული არქიტექტურის ისეთი ბრწყინვალე ძეგლები, როგორებიცაა XII ს-ის თიღვისა და იკორთის გუმბათოვანი ტაძრები, XIII -ის თირის მონასტერი, ხოფის მონასტერი... ყველა ეს ნაგებობაც ქართული ასომთავრული წარწერებითაა დამშვენებული.

საყურადღებოა, რომ შიდა ქართლში, მონგოლთა შემოსევების პერიოდში, განსაკუთრებული ინტენსივობით შენდებოდა სასულიერო დანიშნულების ნაგებობანი. იმ დროს აგებული ეკლესიებიდან შეიძლება დავასახელოთ ჭარები, მერია, ნუნარი... საინტერესოა, მონგოლთა შემოსევების დროს თუ დაიკავეს ოსებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, როგორღა შენდებოდა აქ ამ დროს ქართული კულტურის ძეგლები? ანდა IV ს-დან თუ შემოსახლდნენ შიდა ქართლში ალან-ოსები (როგორც ამას კალოევი „ამტკიცებს"), როგორღა შეიქმნა ადრე ფეოდალურ პერიოდში ქართული კულტურის ამდენი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ძეგლი?

შიდა ქართლის მთასა და მთისწინეთში ქართულია გვიან ფეოდალური პერიოდის ძეგლებიც: ფეოდალთა ციხე-სიმაგრეები, სასახლეები, კოშკები... (ლ.რჩეულიშვილი, გვ.150). შიდა ქართლის საფორტიფიკაციო ნაგებობების არქიტექტურა თავისი დაგეგმარებით, კონსტრუქციით, ევოლუციური განვითარების ხაზით, არაფრით არ განსხვავდებოდა საქართველოს სხვა რაიონების ანალოგიური ნაგებობებისაგან.

ყველაზე საგულისყურო კი ისაა, რომ შიდა ქართლის, როგორც ბარის, ისე მთიან ნაწილში გავრცელებული იყო ხალხური ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ქართული ნიმუში, როგორიცაა „დარბაზი" თავისი გვირგვინისებური გადახურვით (ლ.რჩეულიშვილი, გვ.152). ხალხური ხუროთმოძღვრების ასეთი ძეგლები კი მთლად უცხო იყო ოსური სამყაროსათვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე მიმოფანტული მატერიალური კულტურის ძეგლები ანალოგიურია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ძეგლებისა. უფრო მეტიც,ქართველი ისტორიკოსების დაკვირვებით, რომლებმაც ადგილზე მიმოიხილეს ეს ძეგლები (ივ.წიკლაური), თვით ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში ფიქსირებული მატერიალური კულტურის ძეგლები სრულიად იდენტურია ქართული ძეგლებისა. მაგალითად, მდინარე ყობანის მარჯვენა შენაკად კარმადონის სათავეში არის სოფელი სანიბა (იგივე სამება), სადაც XVIII-XIX საუკუნეების რუსული ეკლესიიდან 100-150 მეტრის დაცილებით დგას უაფსიდო სნორკუთხა ეკლესიის ნაშთი, რომელიც მოგვაგონებს მთიულეთის რამდენიმე (მაგალითად, მანასეულის, ლაკითხევის შესასვლელთან მდებარე), აგრეთვე, ქსნის ხეობის სათავეში, ეამურის

თემის სოფ. ბაგინთან, ფშავის სოფ.მაღაროს ზემოთ არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ნასოფლარ აკამათში აღმართულ ეკლესიებს (ივ.წიკლაური, 1978 წლის ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური დაზვერვის ნლიური ანგარიში — ხელნაწერი; მისივე 1988 ნლის მუშაობის ანგარიში-ხელნაწერი).

აქე, რომ მატერიალური კულტურის ძეგლების მთელი წყება შუა საუკუნეების მთელ მანძილზე შიდა ქართლში (მთაშიც, მთისწინეთშიც და ბარშიც) მხოლოდ და მხოლოდ ქართული ეთნოსის მკვიდრობაზე მიუთითებს. აქ შემოსახლებულმა ოსებმა (XVII ს-ის მეორე ნახევრიდან) რაიმე გავლენაც კი ვერ მოახდინეს აღნიშნული სახის ქართულ კულტურაზე. ერთადერთი, რაც ოსური მოსახლეობის მკვიდრობაზე მიგვანიშნებს XVIII ს-ის შიდა ქართლის მთიანეთში, ესაა საფლავის ქვები, რომელთა ეპიტაფიები უკლებლივ ქართულ ენაზეა შესრულებული. საინტერესოა, რაღა უშლიდა ოსებს ხელს XVIII და თუგინდ XIX ს-ის მთელ მანძილზე ეპიტაფიები მაინც ოსურ ენაზე (თუნდაც ქართული ასოებით) შეესრულებინათ? საქმე იმაშია, რომ საფლავის ქვების კულტურაც მათ გადმოსახლების შემდეგ, ადგილობრივი ქართველებისაგან შეითვისეს.

ძირითადი დასკვნები

1. საქართველოს სახელმწიფოს დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსებთან. ეს ურთიერთობა ხან მტრული და ხანაც მეგობრული იყო. ოსებს და მათ წინაპარ ალანებს ისტორიის ვრცელ მანძილზე მუდმივი ბინადრობის ერთი ადგილი არ ჰქონიათ. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დასახლებამდე, ოსებმა რამდენიმე საცხოვრისი გამოიცვალეს. ოსების წინაპარი ირანულენოვანი ტომები თავდაპირველად შუა აზიის სტეპებში ცხოვრობდნენ. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ალან-ოსები აზოვისა და დონისპირა ველებზე დამკვიდრდნენ. აქ ა.წ. IV ს-ში ალანებმა ჰუნების გამანადგურებელი თავდასხმა განიცადეს. გადარჩენილი ალანების მცირე ნაწილმა სამხრეთისაკენ ჩამოინია და ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველები დაიკავა. ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში ალან-ოსებმა შექმნეს ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც მონგოლებმა გაანადგურეს XIII ს-ში. ოსების საბოლოო და უკანასკნელი შერეკვა ჩრდილოთ კავკასიის მთიან ხეობებში მოხდა XV ს-ის დასაწყისში, თემურ-ლენგის ორგზის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად. XIII-XIV სს-ში ხდება ალან-ოსების ბინადრობის ადგილის კიდევ ერთხელ შეცვლა. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესული ალან-ოსები ადგილობრივ კავკასიურ ტომებს შეერივნენ. ოსების ადრინდელი საცხოვრისი ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ყაბარდოელებმა დაიკავეს და მთიდან ბარში გამოსასვლელ ადგილებში შექმნეს მტკიცე სიმაგრეები, რათა მთებში შერეკილი ოსები საცხოვრებლად აღარ გასულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის ბარში.

XIII-XIV სს-მდე ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მთებში საერთოდ არ ცხოვრობდნენ. მხოლოდ ამ პერიოდიდან ისინი გვევლინებიან ქართველთა უშუალო მეზობლებად. ველის მობინადრე ოსები მთიელებად იქცევიან. იმდენად მასობრივი იყო ოსების ბარიდან მთებში შესვლა, რომ მათ მიგრაციას ბარიდან მთაში ტოპონიმების გადატანაც კი მოჰყვა შედეგად.

2. ყოველგვარ არგუმენტებსა და ფაქტებსაა მოკლებული და მხოლოდ ზოგიერთი ავტორის ახირებას ემყარება თეზისები ოსების საქართველოში ძველი დროიდანვე მკვიდრობის შესახებ. არც ერთი საისტორიო წყაროთი, საბუთით, არქეოლოგიური მასალით არ დასტურდება ოსების საქართველოში მიგრაცია და აქ საბინადროდ გადმოსვლა არც ძველი წელთაღრიცხვის სხვადასხვა მონაკვეთში და არც ახალი წელთაღრიცხვის IV ს-ში. ჰუნების შემოსევას ალან-ოსების საქართველოში დასახლკარება არ მიუყოლია.ამ დროს ოსებმა

მხოლოდ დონისპირა და აზოვისპირა ველებიდან შედარებით სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში წამოიწიეს.

3. არ დასახლკარებულან ოსები საქართველოში არც VII და არც XIIIსაუკუნეებში, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია. XIII ს-ში ოსებმა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დაიწყეს შესვლა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა და დასრულდა ეს მიგრაციული პროცესი XV ს-ის დასაწყისში. ამ პერიოდში მხოლოდ ოსების ერთმა ჯგუფმა სცადა შიდა ქართლში დასახლება. ოსებმა ისარგებლეს საქართველოს დასუსტებით და მონგოლთა მხარდაჭერით ცდილობდნენ შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვებას. ოსების მონგოლთა ეს ფაქტიურად საპოლიციო რაზმები, გარკვეული ხნის შემდეგ, მეფე გიორგი ბრწყინვალეს მიერ განადგურებული და გაძევებული იქნენ საქართველოდან. ოსთა ამ რაზმების განადგურებისა და გაძევების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს ფესვეურებმა კარგა ხნით მტკიცედ ჩაკეტეს ოსეთიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კასრის-კარი) და კარგა ხნით შეაჩერეს ოსთა საქართველოში მიგრაცია.

4. კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში — დვალეთში ოსების შემოსახლება იწყება XV საუკუნეებიდან. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI ს-ში. XVII ს-ში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივი ქართველური ტომის — დვალების ასიმილაცია ოსების მიერ. თუმცა ოსების დვალეთში დასახლებამდე, ოსების მოწოლის გამო, დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა) განსახლდა. ადგილზე დარჩენილი დვალები, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში, ამ უკანასკნელთა აქ ჯგუფური შემოსახლებისა და სწრაფი გამრავლების შედეგად ასიმილირებული იქნენ. დვალეთში მოსახლეობის ეთნიკურ ცვლილებას, ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოჰყოლია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ მანძილზე და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შედეგად (1859 წლამდე), დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

5.დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდ.თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (მდ.დიდი ლიახვის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII ს-ის I ნახევარში განხორციელდა. XVII ს-ის პირველ ნახევარში ოსებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული შიდა ქარლთის მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი აქ მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობის სათავეში (მაღრან-დვალეთში) იყვნენ მიგრირებული. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით, XVII ს-ის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი და

პატარა ლიახვების ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აქედან აყრილი და ბარში იყო საცხოვრებლად წასული.

6. შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII ს-ის მეორე ნახევრიდან; ისინი თანდათან მოიწევენ სამხრეთისაკენ და XVIII ს-ის 30-იან წლებისათვის ითვისებენ დასახელებული ორი ხეობის მთიან ზოლს მთლიანად. აქ, დასახელებულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად.

XVIII ს-ის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში ფაქტიურად არსად არ იყვნენ განსახლებული. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში.

7. XVIII ს-ის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორის ხეობის სათავეში (კუდარო) და ქსნის ხეობის სათავეში (ჟამური). ჟამურში ოსთა მიგრაცია ხდება, როგორც ჩრდილეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან, ისე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზოლიდან. კუდაროში ისინი ძირითადად მიგრირებული არიან დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ ესახლებიან დიდი ლიახვის ხეობაში, შემდეგ პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნის სათავეში (ჟამურში). XVIII ს-ის დასაწყისში მცირე რაოდენობით ოსური მოსახლეობა ჩნდება მეჯუდას ხეობის სათავესა და ისროლისხევში. მეჯუდას ხეობის სათავეში ისინი პატარა ლიახვის ხეობის სათავიდან გადმოდიან.

8. XVIII ს-ის ბოლოსათვის ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): კუდარო (მდ.ჯეჯორის სათავე) — გუფთა (მდ.დიდი ლიახვის ხეობა) — აწერისხევის ზემოთ (პატარა ლიახვის ხეობაში) — მეჯუდას ხეობის სათავეში ორი სოფელი — ჟამური (ქსნის ხეობაში) — ლუდა (მდ.თეთრი არაგვის ხეობის სათავე) — თრუსო (მდ.თერგის სათავე). XVIII ს-ის ბოლოსათვის ოსები საერთოდ არ იყვნენ ლეხურას ხეობაში, მეჯუდას ხეობაში (მისი სათავის გამოკლებით), ქსნის ხეობის მთიანეთის დიდ ნაწილში, ფრონეების ხეობაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის დროს, ისე XVIII ს. დასასრულს, ოსები საქართველოს ცალკეული ხეობების მხოლოდ „უვენახო-უხილო“ ზონაში ანუ „მთის ადგილებში“ ცხოვრობდნენ.

9. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX ს-ის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაერთიანი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის

სოფლებში. ამ დროისათვის ოსთა ასეთი განსახლება განსაკუთრებით განხორციელდა პატარა ლიახვის ხეობის მთიანი მონაკვეთიდან.

10. XVIII ს-ის დასასრულიდან ფაქტიურად შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში. განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დვალეთის ოსური მოსახლეობა, რომლებსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია არ შეუწყვეტიათ თითქმის მთელი XIX ს-ის მანძილზე. საერთოდ, ოსების საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება უმეტესად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან დვალეთში შემოსახლებულები გარკვეული ხნით აქ მკვიდრობის შემდეგ შიდა ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად. თუმცა არაერთი ფაქტია დადასტურებული ოსთა გადმოსახლებისა უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან, განსაკუთრებით მიგრაციის ადრეულ, საწყის ეტაპზე.

11. სინამდვილეს არ შეესაბამება ზოგიერთი ავტორის მტკიცება XVII-XVIII სს-ში შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსთა განსახლების შესახებ. XIX ს-ის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში, მეჯუდას ხეობაში, ლეხურას ხეობაში და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუქტებში. ფრონეების ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან, თუმცა, თვალშისაცემია, რომ პირველი ოსი მიგრანტები ფრონეების ხეობის ქართველთა ნასოფლარებში დვალეთიდან წამოსული ოსები იყვნენ. პატარა და დიდი ლიახვის ხეობიდან გადმოდის მოსახლეობა მეჯუდას ხეობაში. ლეხურას ხეობაში ოსების მიგრაცია ძირითადად ქსნის ხეობიდან (ეამური, ჭურთა) ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, XIX ს-ის პირველ სამ ათეულ წელს ლეხურას, მეჯუდას და ფრონეების ხეობებში ოსთა დასახლკარებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ინტენსიურად ამ ხეობების მოშენება ძირითადად მოხდა XIX ს-ის შუა ხანებიდან მოყოლებული, ვიდრე 1880-იან წლებამდე.

XIX ს-ის 30-იან წლებში ჩნდება თითო-ოროლა ოსური ოჯახი შიდა ქართლის გალმამხარში, სადაც მათი მიგრაცია ძირითადად XIX ს-ის მეორე ნახევარში განხორციელდა. XIXს-ის მეორე ნახევარში დასახლდნენ ოსები დღევანდელი ბორჯომის რაიონში (გუჯარეთის ხეობა).

12. კახეთსა და ქვემო ქართლში ოსები შიდა ქართლის მთიანეთიდან XX ს-ის დასაწყისში გადასახლდნენ.

13. ოსების საქართველოში შემოსვლა და დასახლება მთლად მშვიდობიანი არ იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში

მომწყვდეულმა ოსებმა ძალით გამოიკაფეს გზა, როგორც დვალეთში, ისე შიდა ქართლის მთიანეთში. საისტორიო საბუთებით აშკარაა, რომ ადგილობრივი მთიელი ქართველი გლეხები ოსთა თავდასხმებით შეწუხებული სტოვებდნენ მამა-პაპათა საცხოვრებელ ადგილებს და ბარში სახლდებოდნენ. ბარში კი მათთვის, ამ თვალსაზრისით, ხელსაყრელი მდგომარეობა იყო. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან შიდა ქართლის მთისწინა და ბარის რეგიონები დემოგრაფიულად კატასტროფამდე იყო მისული.

დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მიგრაციას ერთგვარად ხელი შეუწყო, აგრეთვე, იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო ვეღარ ანხორციელებდა კონტროლს ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსასვლელ ჩამკეტ კარებებზე — კასრის კარზე და დარიალზე.

მომდევნო პერიოდისათვის (XVIIIს) იმდენად დაეცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და იმდენად კატასტროფიული შეიქმნა დემოგრაფიული სიტუაცია შიდა ქართლში, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები (მეფე, თავადები) თავად უწყობდნენ ხელს და ხშირად იწვევდნენ ოსებს საქართველოში დასასახლებლად.

14.ოსების საქართველოში მიგრაცია ერთდროული პროცესი არ ყოფილა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან იგი ძირითადად XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ში განხორციელდა. მათ ამ პერიოდში მხოლოდ შიდა ქართლის მთიანი ნაწილი დაიკავეს. XVIII ს-ის ბოლოდან შეწყდა ოსთა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოში მიგრაცია. შიდა ქართლის მთიანეთიდან ოსების სამხრეთისაკენ წამონევა და შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში დასახლკარება ხდება XIX ს-ის მთელ მანძილზე.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთისა და XIX ს-ის პირველ ნახევარში მთისწინეთის არაერთ სოფელში ოსთა ერთ თაობაზე მეტს არ მოუწია ცხოვრება. მთისა და მთისწინეთის ამა თუ იმ სოფელში მცირე ხნით მკვიდრობის შემდეგ, ოსები უფრო სამხრეთით ეშვებოდნენ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალებზე თვალის გადევნებით. XIX ს-ის დასაწყისში მთისწინეთის სოფლებში დასახლებულნი, ამავე საუკუნის შუა ხანებიდან ინტენსიურად გადადიან საცხოვრებლად ბარის სოფლებში. ასე, რომ XVIII ს. ბოლოდან და XIX საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოს მაღალმთიანეთის სოფლებიდან, დაბლობის მიმართულებით, ოსთა თანდათანობითი, ინტენსიური წინ წამოწევა აშკარაა, რასაც უდავოდ მიესადაგება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხმარებული ტერმინი „ჩამოწოლა". იმდენად დიდი მოძრაობა აბასიათებდათ ოსებს, რომ XIX ს-ის მეორე ნახევარში ბარის სოფლებში

დასახლებულნი, ბარისავე სხვა სოფლებში გადადიოდნენ საცხოვრებლად.

15.ოსები რომ დიდი ხნის ჩამოსახლებულნი არ იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, ამის დამადასტურებელია მათი სოციალური მდგომარეობაც. XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვის ხეობაში მოსახლე ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ხიზნებადაა ჩაწერილი. ხიზანი კი, როგორც ქართული საისტორიო წყაროებითა და სათანადო გამოკვლევებით ცნობილია, საკუთარი სამკვიდრებლიდან აყრილი და სხვაგან თავშეფარებული გლეხია. შიდა ქართლის მთიანეთში მიგრირებული ხიზანი ოსების ნაწილი მაჩაბლებს დაუყმევებიათ,ნაწილი კი კვლავ ხიზნებად იყვნენ დარჩენილი. ხიზნობა განსაკუთრებით შეინარჩუნეს, შედარებით გვიან, XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებულმა ოსებმა.

16. თითქმის მთლიანად სიყალბეზე და არარეალურ ისტორიულ ფაქტებზეა აგებული ოსეთ-საქართველოს (ოსებისა და ქართველების) ხანგრძლივი ურთიერთობა. იგი ახლიდან შესწავლას მოითხოვს. ერთ მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნეს ზოგიერთი ოსი ავტორის მიერ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში ოსთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით წარმოდგენა და მათი საერთო რაოდენობის ხან 6.000 და ხან 7.000 კომლად მიჩნევა. რეალურად კი XVIII ს-ის დასასრულს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 2.130 კომლი (15.000-მდე სული) ოსი მკვიდრობდა.

17. ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი შემოსახლება დვალეთში მოხდა, რომელიც ისეთივე მთიანი რეგიონი იყო, როგორც ფხოვი, თუშეთი, ხადა, ცხავატი, გუდამაყარი, ცხრაზმა... დვალეთის ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა, მაგრამ წყალგამყოფი ქედი შესამჩნევად დაბალია დვალეთის ჩრდილოეთით მდებარე ქედთან შედარებით. გზებით დვალეთი საქართველოსთან (შიდა ქართლი, რაჭა) მჭიდროდ იყო დაკავშირებული 11 გადასასვლელით, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიასთან მხოლოდ ერთი კასრის-კარი აკავშირებდა და რომლითაც სარგებლობა მხოლოდ ზაფხულში შეიძლებოდა. შიდა ქართლთან და რაჭასთან კი მიმოსვლის სშუალება ზამთარშიც იყო.

საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთანავე დვალეთი მჭიდროდ და აქტიურად იყო ჩართული ქართულ სახელმწიფოებრივ სიატემაში, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით. დვალეთი მხოლოდ 1859 წელს დაკარგა საქართველომ, როდესაც მეტროპოლიამ ის რუსეთის თერგის ოლქს დაუქვემდებარა. არაა გასაზიარებელი და საისტორიო წყაროებისა და საბუთების მცდარ გააზრებას ეფუძნება შიდა ქართლის

მთიანი ნაწილის (დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ქსნის და თერგის ხეობების) დვალეთად მიჩნევა. შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, დიდი ლიახვის უკიდურეს სათავეში მხოლოთ მაღრან-დვალეთის რეგიონი არსებობდა, რომელიც ცხრა მთური სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა და რომელიც წარმოქმნილი იყო შედარებით გვიან (X-XIსს. შემდეგ) დვალეთიდან დვალთა გადმოსახლების შედეგად.

დვალეთი საქართველოს პირველი რეგიონი იყო, რომელმაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების მოწოლა განიცადა. ოსთა მოწოლამ (ლაშქრობა-თავდასხმებმა) დვალები აიძულა საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, რაჭა, იმერეთი) გადასახლებულიყვნენ. დვალეთში ოსების პირველი შემოჟონვა XVს-ის ბოლოს მოხდა. მათი მიგრაცია აქ კი ძირითადად XVIს-ში განხორციელდა და გრძელდებოდა ის XVIIს-შიც ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის ხეობიდან. ადგილზე დარჩენილი დვალები მიგრანტი ოსების ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გაოსდნენ. დვალთა გაოსების პროცესი ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნიკური ასიმილაცია რამდენიმე თაობის მანძილზე მიმდინარეობდა. XVIIს-ის დასასრულს დვალები უკვე გაოსებულნი იყვნენ, თუმცა, შეიმჩნევა, რომ XVIIIს-ის პირველ მეოთხედში მათ მცირე ნაწილს თავისთავადობა კვლავ ჰქონდა შენარჩუნებული. როგორც ხშირად ხდებოდა ისტორიაში, მოსულმა ოსებმა დამხვდური ტომის — დვალების თვითსახელწოდება მიიღეს.

საისტორიო წყაროების, საბუთების, ტოპონიმების, ანთროპონიმების კომპლექსურმა შესწავლამ მოგვცა საშუალება დაგვესკვნა, რომ დვალეთი არამარტო პოლიტიკურად, კულტურულ-რელიგიურად, არამედ ეთნიკურადაც ქართულ-ქართველური იყო. დვალები ზანებთან ახლოს მდგომი ტომი იყო, თუმცა ზანების (მეგრელების) სრულ ასლს როდი წარმოადგენდნენ. ისინი ზანებსა და სვანებს შორის მდგომი ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო და ლაპარაკობდნენ დამოუკიდებელ, ერთ-ერთ (ან გადაშენებულ) ქართველურ ენაზე, რომელსაც ყველაზე მეტი საერთო ზანურთან (მეგრულთან) ჰქონდა. ასე, რომ დვალები არ ყოფილან არც ვაინახები, და მით უმეტეს, არც ოსები. თუმცა, როგორც მეზობლების, ვაინახებისა და დვალების ურთიერთშერევა საგულვებელია. ასეთი ურთიერთშერევები ხომ კავკასიის არაერთი ხალხისათვის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დამახასიათებელი იყო.

Роланд Топчишвили

Вопросы переселения в Грузию осетин и этноистории Шида-Картли (основные выводы)

1. Грузинское государство имело давние связи с обитающими на Сев.Кавказе осетинами. Эти связи отмечались попеременно дружеским или враждебным настроем. Подобно своим предкам-аланам, осетины в течение длительного исторического периода, не имели постоянного места жительства; до оседания в горах Кавказа, осетины несколько раз меняли место обитания. Их предки-ирано-язычные племена, являлись выходцами из среднеазиатских степей. На рубеже нашей эры аланы-осетины поселяются в степях Азовья и берегах Дона, где в IV в. н.э. испытывают уничтожающие нападения гуннов. Спасшаяся от этих набегов небольшая часть алан держит курс на юг и поселяется в предгорных степях Сев.Кавказа. На этой территории аланы-осетины основали ранне-классовое государственное образование, впоследствии уничтоженное монголами (XIII в.). XIII-XIV век отмечается новым переселением алан-осетин. Осев на землях Северного Кавказа, происходит их смешение с сев.кавказскими племенами, что же касается ранних поселений осетин на сев.Кавказе — их занимают кабардинцы, соорудив на рубежах гор и равнины надежные укрепления; целью данного мероприятия являлось задержание загнанных в горы осетин и изоляция их от равнинных районов Сев.Кавказа.

До XIII-XIV веков осетины вообще не обитали в горах Сев.Кавказа. Лишь с указанного периода они являлись непосредственными соседями грузин. Осетины — жители равнин превращаются в горцев. Заселение осетинами горных районов носило

массовый характер, что и нашло отражение в топонимах, занесенных из равнины в горы.

Окончательное изгнание осетин из равнин в горные ущелья отмечается в начале XV в., впоследствие двух уничтожительных набегов Тамерлана.

2. Тезис о древнейшем местожительстве осетин на территории Грузии лишен всякого основания. Ни один исторический источник, документ или археологический материал не свидетельствует о миграции и оседлости осетин в Грузию в различный период до н.э., также в IV в. н.э. Вследствие нашествия Гуннов не последовало поселение алан-осетин. В указанный период аланы-осетины мигрировали из степей Придонья и Приазовья, сравнительно южнее, в предгорные степи Северного Кавказа.

3. В противовес мнению некоторых авторов не прослеживается поселение осетин в Грузии как в VII, так и в XIII веках. В XIII в. осетины начинают оседать лишь в горных ущельях Сев.Кавказа. Этот миграционный процесс был сравнительно длительным и закончился в начале XV в. В данный отрезок времени лишь небольшая группа осетин попыталась обосноваться в Шида-Картли. Пользуясь ослаблением Грузии и поддержкой монголов, осетины пытаются захватить земли для поселения в Шида-Картли. Осетины фактически являлись полицейскими отрядами монголов. Они были изгнаны и уничтожены царем Георгием Блистательным. В итоге, государственные мужи Грузии, надолго закрыли ведущие из Осетии в Грузию врата (Дариали и Касрис-Кари).

4. С XV в. начинается поселение осетин в грузинской провинции Двалети, расположенной на севере главного Кавказского хребта. В основном, этот процесс осуществился на протяжении XVI в., а в XVII в. в Двалети заканчивается ассимиляция осетинами местного грузинского племени двалов. Следует отметить, что до поселения осетин в Двалети, по причине засилия осетин, значительная часть двалов мигрировала в различные уголки Грузии (Шида-Картли, Квемо-Картли, Имерети, Рача). Оставшаяся на месте часть двалов, оказавшись в этническо-языковой среде осетин, вследствие группового поселения и быстрого размножения последних была ассимилирована. Несмотря на этнические перемены, отмежевания данной провинции от Грузии не последовало. На протяжении всей истории грузинской государственности, также после превращения ее в российскую

колонию (до 1859 года), Двалети являлась неотъемлемой частью Грузии.

5. На территории нынешней Грузии первые поселения осетин появляются в ущелье Трусо (исток реки Терека) и в Магран-Двалети (исток р.Б.Лиахви). Переселение осетин в эти места из северо-кавказских ущелий осуществилось в пол.XVII столетия. В это время осетины еще не владели значительной частью горной Шида-Картли. Они были мигрированы лишь в истоки ущелья Б.Лиахви (Магран-Двалети). По свидетельству ряда исторических источников, в I пол. XVII столетия горная часть Шида-Картли (ущелья Большой и Малой Лиахви) была усеяна разоренными деревнями. Изгнанное с этих мест и вынужденное покинуть их грузинское население переселилось и осело на равнине.

6. Со второй половины XVII в. отмечается миграция осетин в горную часть Шида-Картли, а именно, в верхнюю часть рек Большой и Малой Лиахви: они постепенно двигаются на юг и к 30-м годам XVIII в. полностью осваивают горную полосу выше названных ущелий. В отмеченный период в некоторых горных селах осетины соседствуют с оставшимся в этих местах малочисленным грузинским населением.

На протяжении всего XVIII столетия расселение осетин в предгорьях Шида-Картли не фиксируется. Заселение осетин на данной территории (в основном в опустошенных селах) происходит с конца XVIII и начала XIX вв.

7. К началу XVIII в. осетины заселяют истоки Джеджори (Кударо) и Ксанского ущелья (Жамури). В Жамури миграция осетин протекает как из горных ущелий Сев.Кавказа, так и горной полосы ущелья Большой Лиахвы. В Кударо-же они в основном, мигрировали из Двалети. В горной Шида-Картли осетины вначале поселяются в ущелье Большой Лиахви, а далее в ущелье Малой Лиахви, у истоков Ксани (Жамури). В начале XVIII в. малочисленное осетинское население появляется в Исролисхеви, также у истоков ущелья Меджуда, куда устремляются осетины, обитавшие до того в ущелье реки Малой Лиахви.

8. К концу XVIII столетия крайними пунктами поселения осетин (по направлению с Запада к Востоку) были Кударо (исток р.Джеджори) — Гупта (ущелье реки б.Лиахви) — верхняя часть Ацерисхеви (в ущелье М.Лиахви) — две деревни в ущелье Меджуда-Жамури (в ущелье Ксани) — Гуда (исток реки Белой Арагви) — Трусо (исток реки Терека). К концу XVIII в. ущельях Лехура, Меджуда (за исключением ее истоков), в большей

горной части ущелья Ксани, ущельях Проне наличие осетин вообще не фиксируется; т.е. так же как и во времена Вахушти Багратиони, так и к концу XVIII в. осетины жили лишь в „горных уголках", лишенных „виноградно-фруктовых" насаждений.

9. К концу XVIII и началу XIX столетия осетины обладают значительным участком предгорья в ущелье реки Малой Лиахви. Начиная с этого времени, и в особенности, в первые годы XIX столетия, происходит индивидуальное („просачивающее") расселение осетин с горных районов Шида-Картли в предгорья и равнину этого региона. Указанное расселение с особой интенсивностью осуществилось с горного участка ущелья Малой Лиахви.

10. С конца XVIII столетия фактически прерывается миграция осетин из горных ущелий Сев.Кавказа в направлении Грузии. Причиной тому послужило разрешение официального правительства России на предоставление местожительства в равнинных районах Сев.Кавказа. Особым исключением являлось лишь осетинское население Двалети, непрекращающее миграцию на территории Грузии на протяжении всего XIX столетия. В основном, расселение осетин на территории Грузии осуществлялось через Двалети. Поселившиеся в Двалети осетины-выходцы из сев. кавказких горных ущелий, после определенного времени переходили на жительство в Шида-Картли. Однако, имеются факты непосредственного переселения осетин из Северо-кавказских горных уголков; последнее обстоятельство характеризует, в основном, ранний, начальный этап миграции осетинского населения.

11. Неверным представляются утверждения некоторых авторов касательно расселения осетин в предгорьях Шида-Картли и равнине в XVII-XVIII вв. В начале XIX в. начинается миграция осетин в ущелья рек Проне, Меджуда, Лехура, так же другие населенные пункты Ксанского ущелья. Заселение осетинами древних грузинских деревень в ущелье Проне протекало, в основном, из ущелья реки Большой Лиахви. Однако, заслуживает внимания тот факт, что первые мигранты-осетины в грузинских деревнях ущелья Проне, являлись выходцами из Двалети. Из ущелий рек Большой и Малой Лиахви население переходит в ущелье Меджуда. Миграция осетин в ущелье Лехура осуществлялась, в основном, из Ксанского ущелья (Жамури, Чурта). Однако, в первой четверти XIX столетия в ущельях Лехури, Меджуда и Проне оседание осетин не носило

интенсивного характера. Последнее имело место, в основном, с середины XIX века и продлилось вплоть до 1880-х годов.

С 30-х годов XIX в. появляются единичные осетинские семьи по правому берегу р.Куры (Гагмамхари) территории Шида-Картли, куда их миграция, в основном, осуществилась во второй половине XIX в. В это время осетины заселяют нынешний Боржомский р-он (ущелье Гуджарети).

12. В Кахети и Квемо Картли из горного Шида Картли осетины переселились в начале XX столетия.

13. Приход и поселение осетин на территории Грузии не отмечались мирным характером. Теснимые в горных ущельях Сев.Кавказа осетины, силой прочищали себе путь как в Двалети, так и горную часть Шида Картли. Согласно историческим документам, изнуренное осетинскими набегами, местное сельское грузинское население покидало обжитые горные места предков и переселялось в равнину, где для этого создались благоприятные обстоятельства; в следствие изнурительных набегов врагов предгорье Шида-Картли, так же равнинные регионы, стояли перед реальной угрозой демографической катастрофы.

Миграции осетин в Двалети и горную Шида-Картли, в некотором смысле, способствовало социально-политическое положения Грузии той эпохи. Раздробленная вследствие частых вражеских набегов Грузия была бессильна осуществлять контроль над главными врагами, ведущими с Северного Кавказа в нашу страну — Касрис-Кари и Дарьяли.

В последующий период (XVIII в.) экономическое развитие страны резко ухудшается, демографическая ситуация в Шида-Картли становится катастрофической и грузинские государственные мужи (царь, тавады) сами способствуют и часто приглашают осетин на поселение в Грузии.

14. Во второй половине XVIII в. в горной Шида-Картли и I пол. XIX в. ни в одном селе предгорья не фиксируется проживание осетин более одного поколения. После кратковременного проживания в горном или предгорном селе, осетины устремлялись на юг; это подтверждается материалами по описанию населения в XIX в. Поселенные в начале XIX столетия в предгорных селах, к середине этого же века интенсивно переходят на равнину. Таким образом, с конца XVIII и в течение всего XIX столетия, бесспорным фактом является постепенное, интенсивное продвижение осетин из высокогорных грузинских сел по направлению к равнине, что находит точное отражение в

применяемой в грузинской историографии терминологии — „Чамоцола". Осетины отличались особой подвижностью: обосновавшись в равнинных селах во второй половине XIX века, они незамедлительно переходили в другие равнинные поселения.

15. Социальное положение переселившихся в Шида-Картли осетин свидетельствует не в пользу их давнего пребывания в этой области. Согласно спискам-описям населения XIX в. большая часть осетин ущелья Большой Лиахви имеет статус **хизан** (по груз.историческим источникам и специальным исследованиям являлись согнанными со своих мест и нашедшими укрытие в другом месте сельчанами). Мигрированная в горную Шида-Картли часть осетин-хизан оказалась под господством Мачабели, часть же осталась при статусе хизан. Хизанство, в основном, смогли удержать мигранты-осетины, пришедшие с Сев.Кавказа сравнительно поздно (II пол.XVIII в.).

16. На нереальных исторических фактах базирован ошибочный взгляд на длительное взаимоотношение Осетии и Грузии (осетин и грузин), следовательно, он требует основательного пересмотра и глубокого изучения. Примером к вышеизложенному могут послужить положения некоторых авторов-осетин о наличии в Грузии во II пол. XVIII столетия осетин в количестве от 6.000 — до 7.000 дымов, что никак не соответствует действительности и является искусственным завышением реального числа населения осетинской национальности. Реальность же такова: к концу XVIII столетия на территории современной Грузии проживало 2.130 дымов (до 15.000 душ) осетин.

17. Двалети является первым местом поселения осетин на исторической территории Грузии. В данном исследовании вопросу расселения и этнической принадлежности двалов отведено особое место. Занимаемая двалами территория — это горный массив, подобный Пхови, Тушети, Хада, Цхавати, Гудамакари, Цхразма... Двалети была расположена на северных склонах Главного Кавказского хребта, однако водораздельный хребет был значительно ниже расположенного к северу от Двалети горного массива. Посредством одиннадцати перевалов Двалети имела круглогодичные связи с остальной частью Грузии (Шида-Картли, Рача); что же касается связи Двалети с Северным Кавказом, здесь был задействован лишь один переход — Касрис-Кари, да и то, лишь в летнюю пору.

Двалети активно была включена в систему грузинской государственности как политическо-экономическом, так и культур-

но-религиозном смысле. Грузия потеряла Двалети лишь в 1859 году в итоге подчинения метрополией Терской области, бывшей в ведении России.

Неверным толкованием исторических источников и документов объясняется именование горной части Шида-Картли (ущелья рек Большой и Малой Лиахви, Ксани и Терека) — территорией Двалети. В горной Шида-Картли, а именно, у крайней точки истока реки Диди Лиахви, существовал лишь регион Магран-Двалети, представляющий единство девяти горных селений. Названное образование датируется сравнительно поздним (после X-XI вв.) временем и является итогом переселения двалов из Двалети.

Двалети — первый регион на территории Грузии, претерпевший опустошительные набеги осетин с гор Северного Кавказа. Указанный фактор вынудил двалов мигрировать в различные уголки Грузии (Шида и Квемо Картли, Рача, Имерети). Первое просачивание осетин в Двалети приходится на конец XV в., миграция, в основном, была осуществлена на протяжении XVI-XVII вв. из Северо-Кавказского ущелья Алагирь. Оказавшись в языково-этнической среде мигрантов-осетин, происходит осетинизация оставшихся на месте двалов. Этот процесс носил поступательный характер, охватив несколько поколений. На исходе XVII столетия заканчивается осетинизация двалов, однако, к первой четверти XVIII в. малая их часть все-же сохранила самобытные черты. Следуя исторической традиции, пришельцы-осетины принимают самоназвание двалов.

На основе комплексного изучения исторических источников, документов, топонимических и антропонимических данных, представляется возможным заключить, что Двалети являлось грузино-картвельским образованием как в политическом и религиозно-культурном, также и этническом смысле. Двалы являлись племенем, близким к занам, однако не представляли их копии. Будучи картвельским племенем, двалы занимали промежуточное звено между занами и сванами, говорили на одном (ныне не существующем) из картвельских языков, наиболее сходном с занским (мегрельским). Таким образом, двалы не являлись вайнахами, тем более, осетинами. Следует тут же отметить, что близкое соседство обусловило взаимослияние вайнахов с двалами. Аналогичные процессы на протяжении всей истории являлись характерной особенностью многих кавказских народов.

ADDENDA

1) დვალეთი რომ ოსეთში არ შედიოდა და რომ დვალეთში ოსებმა დასახლება ბრძოლით შეძლეს კარგად ჩანს ერთ ქარაულ ("ზემო რაჭულ) ხალხურ ლექსში (სიმღერაში). აი, ეს ლექსი: „მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი თეთრი ფრინველი თეთრი ფრთიანი. ჟღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი, დიდი ლაშქარი — ოსი და დვალი. ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა, ცისკრისა ჟამსა, გათენიასა: ქნევა ხმლისა, ძგერა შუბისა. ხმალი ორ პირი სისხლში სცურავდა, შუბის ნალენი ზეცას ცვიოდა, ძგერა შუბისა. ხმალი ორ პირი სისხლში სცურავდა, შუბის ნალენი ზეცას ცვიოდა, მესამე დღესა ჩამოცვიოდა. ვაჟკაცთ ყვირილით მინა იძროდა, სისხლსა და ღვარსა კაცნი მოპკონდა. ჯაფარ გაიქცა, ვით რომ კაკაბი, ოსი მოსდევდა, ვით რომ არნივი".

ამრიგად, ხალხურ ლექსში ასახულია დვალეთში შემოფრენილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალებთან. ოსები სამოსახლო ტერიტორიების მოსაპოვებლად იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში იმარჯვებენ კიდეეაც. მრავალი დვალი დაილუპა. გადარჩენილები კი გაიქცნენ მამა-პაპათა საცხოვრებლიდან. დვალთა ერთ-ერთი ლიდერი — ჯაფარი დამარცხდა რა უთანასწორო ბრძოლაში, ის „გაიქცა, ვით რომ კაკაბი". რაც შეეხება იმას, რომ ეს ბრძოლა ნამდვილად დვალეთში მოხდა, კარგად ჩანს ხალხური ლექსიდან. ლექსში ნახსენები ორივე ტოპონიმი („მაღლა მთა" და „ჟღელე", სადაც ბრძოლა მოხდა) დვალეთშია. „მაღლა მთა" ეს იგივე „მაღლა დვალეთია". ასეთი გეოგრაფიული ერთეული ნახსენები აქვს იოანე ბაგრატიონს (იხ. მისი „აღწერა", გვ. 77), ჟღელე კი დვალეთის ერთ-ერთ ხეობაა. ლექსში ნახსენები „უცხო ფრინველი", რა თქმა უნდა საომრად მოსული ოსები იყვნენ, რომლებიც დიდი ლაშქრით დაუპირისპირდნენ ადგილობრივ დვალებს. ლექსში ასახული ბრძოლის შემდეგ მოხდა სნორედ მოსახლეობის ეთნიკური შეცვლა დვალეთში.

2) დვალები ნანარებთან ერთად ერთ-ერთ ქართველური ტომი რომ იყო, ეს ჩანს სხვა მონაცემებითაც. ამასთანავე, ეს დვალ-ნანები (ნანარები) თავის დროზე უფრო ფართოდ იყვნენ განსახლებული კავკასიის მთიანეთში. როგორც ს.ჯანაშია შენიშნავდა, „აფხაზთა ხალხური გარდმოცემით ძველთაძველ დროში აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა ხალხი, რომელიც ეკუთვნოდა ნან-ის (აფხაზური ფორმაა), ანუ ნანია-ს (სამურზაყანელი ფორმაა) გვარს" (ს.ჯანაშია, III, გვ. 14). საინტერესოა აგრეთვე ს.ჯანაშიას მიერ მოყვანილი ერთი ცნობა ა. დირის წიგნიდან: „Современные названия кавказских племен", რომელშიც აღნიშნულია, რომ „პალასის ცნობით, აბაზები (პირიქითელი აფხაზები) და ჩერქეზები სამეგრელოს „დოლ"-ს (Dol) ეძახიან, Pallas, Voyages, II, P., 1788, p. 120, h. I" (იქვე, გვ. 12. სქოლო). ეს ცნობა პირდაპირ ეხმაურება ჩვენ დასკვნას იმის შესახებ, რომ დვალები ზანებთან ახლოს მდგომი ტომი იყო. ჩერქეზებისათვის იმდენად არ განსხვავდებოდნენ დვალებისაგან ზანები (მეგრელები), რომ მათ ერთი ეთნიკური ტერმინით („დოლ") მოიხსენებდნენ. აშკარაა, რომ დვალები და ნანარები (ნანები) ადრე უფრო ფართო ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი, როგორც კავკასიონის აქეთ, ისე იქით (ჩრდილოეთით). სნორედ ეს ორი მონათესავე ტომი (დვალები და ნანები — ნანარები) უნდა ყოფილიყო ყობანური კულტურის შემქმნელი და რომლებიც თავისი ეთნიკური იერსახით ახლოს იდგნენ სვანთა და ზანთა ქართველურ ტომებთან.

შინაარსი

შესავლის მაგიერ 3
დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის 6
ოსთა საქართველოში მიგრაციის ისტორიოგრაფია 73
ოსთა საქართველოში მიგრაციის ისტორია 123
ძირითადი დასკვნები 217
Вопросы переселения в Грузию осетин и этноистории Шида-Картли (основные выводы) 224

ნიგნი აიწყო კომპანია VESTA-ს კომპიუტერულ ტიპოგრაფიამი (**დირექტორი გიორგი შავლაყაძე**).

ოპერატორი: **ლელა ნიქარიშვილი**

დააკაბადონა **ალექსანდრე მაჭავარიანმა**

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.5

წიგნში ჩართული რუკა შესრულებულია ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილებაში. საქმიანი და პრაქტიკული დახმარებისათვის, ავტორი დიდ მადლობას უხდის აღნაშნული განყოფილების გამგეს, ბატონ **იოსებ ქართველიშვილს**, კონსულტაციისათვის — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ **კობა ხარაძეს**.